ილია აბავია

# ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება

წიგნი მეორე

«ლიტერატურა და ხელოვნება»
თბილისი

72 (C 41) 1
72 (47 . 922) (09) + 398 . 72 (47 . 922)
Ⴢ 263

8 — ! — 2

# წინასიტყვაობა

წინამდებარე მონოგრაფია წარმოადგენს ქართული ეროვნული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის — ხალხური ხუროთმოძღვრების გამოკვლევას.

უკანასკნელ ხანებში მრავალი ნაშრომი მიეძღვნა ხალხური ხუროთმოძღვრების შესწავლას, როგორც ქართულ ისე რუსულ ენაზე, მაგრამ ყოველივე ეს სრულიად ვერ ასახავს ქართველი ხალხის მდიდარ ხუროთმოძღვრულ შემოქმედებას.

საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილია ძველ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ფრიად საყურადღებო ძეგლები. აღსანიშნავია, რომ ხსენებული ნაგებობანი საქართველოს სხვადასხვა მხარეში ბუნებრივ გარემოსთან შეგუებისა და ადგილობრივი საშენი მასალების გამოყენების ტრადიციების შესაბამისად არის განვითარებული; ამიტომ საქართველოს ცალკეული მხარეების ხალხური ხუროთმოძღვრების მიკრორაიონული თვალსაზრისით შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც თეორიული ისე ზოგიერთი თანამედროვე პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად.

წინამდებარე ნაშრომი მიძღვნილია დასავლეთ საქართველოს — კოლხეთის ერთ-ერთი ულამაზესი მხარის — აფხაზეთის ხალხური ხუროთმოძღვრების შესწავლისადმი, რომელიც მონოგრაფიულად დღემდე არ ყოფილა გამოცემული.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩვენ მიერ შეგროვილი უხვი მასალის საფუძველზე მოწმდება, რომ XVIII და XIX საუკუნეთა ხალხური ხუროთმოძღვრული ძეგლები სათავეს იღებენ იმ ღრმა ეროვნული ტრადიციებიდან, რომელთა წარმოშობის ისტორიული ფესვები უხსოვარ წარსულში იკარგება.

ამ საკითხზე ყურადღების გამახვილებამ განაპირობა აგრეთვე რამდენიმე გვერდი დაგვეთმო აფხაზეთის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილი ისეთი უნიკალური ძეგლებისათვის, რომლებიც ქრონოლოგიურად განეკუთვნებიან საზოგადოების განვითარების წინაკლასობრივ პერიოდს; ამ თვალსაზრისით ნაშრომში შეტანილი მასალა არქაული ძეგლების შესახებ არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული. ხსენებული ძეგლების განხილვისას მკითხველი უეჭველად დაინახავს ჩვენს წინაპართა მიერ საუკუნეების მანძილზე შექმნილ სამშენებლო კულტურის იმ მარაგს, რომელიც დღემდე წარმოადგენს ხალხური შემოქმედების დაუშრეტელ წყაროს.

წიგნში განხილულია აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებული ძველი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, რომლებიც უხვადაა ილუსტრირებული დამახასიათებელი ჩანახატებითა და განაზომი გრაფიკული მასალებით, ასევე საკმაო რაოდენობის ფოტოდოკუმენტებით.

გარკვეულია ხალხური კარ-მიდამოსა და საცხოვრებელი სახლის გეგმის კომპოზიციური განვითარების ეტაპები, მათი ტიპობრივი ფორმირების სტადიები—პირველყოფილი წრიული მოყვანილობის კოლხური ფაცხების ტიპებიდან, ვიდრე კოლხური ოდა-სახლის განვითარებულ სახემდე; დადგენილია საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა კანონზომიერი განვითარების პოზიტიური სურათი.

ნაშრომში მოცემულია ფაქტობრივი გრაფიკული მასალის ანალიზი, რომელშიაც ხაზგასმითაა ნაჩვენები ხალხური გეგმარების უძველესი ტრადიციები — გარკვეულია მათი კონსტრუქციული სტრუქტურისა და ხუროთმოძღვრული ფორმის ძირითადი არსი.

აფხაზეთში შესწავლილი ხალხურ ნაგებობათა ტიპები შედარებული გვაქვს საქართველოს სხვადასხვა მხარეში ჩვენ მიერ შესწავლილ იდენტურ ტიპებთან. აგრეთვე განხილულია მეზობელ და შორეულ ქვეყნებში არსებული მათი სინქრონული ტიპებიც და სხვ.

წიგნში განხილული მცირე ფორმის ხალხური ძეგლები გასაოცარი მხატვრული ოსტატობითა და ტექნიკური აზრის სიღრმით ისეა შესრულებული და ერთმანეთთან შერწყმული, რომ არავითარი ზედმეტობა მათი ელემენტების ფუნქციურ დამოკიდებულებაში არ იგრძნობა.

კოლხური წნული კედლების მხატვრული დამუშავების ტრადიციული ხერხები, ხეზე და ქვაზე ჩუქურთმის კვეთის ტექნიკა და პლასტიკური ხელოვნების ზოგიერთი ნიმუში, რომელიც მოტანილი გვაქვს წიგნში, მეტყველებენ ჩვენი წინაპრების მაღალ კულტურაზე.

დაინტერესებული მკითხველი წიგნში შეხვდება აგრეთვე სამშენებლო ტექნიკის ისტორიის ამსახველ მასალასაც, რომელიც თან ახლავს ზოგიერთი ხალხური ნაგებობის ანალიზს.

წიგნის მიზანია გააცნოს დაინტერესებულ მკითხველთა ფართო მასებს კოლხეთის ერთ-ერთი მხარის — აფხაზეთის ტერიტორიაზე დღემდე შემონახულ ხალხურ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა უბადლო ნიმუშები.

ვფიქრობთ ჩვენ მიერ შეგროვილი და შესწავლილი მასალა ხალხური ხუროთმოძღვრების საგანძურიდან სათანადო კრიტიკის საფუძველზე გამოყენებას ჰპოვებენ თანამედროვე არქიტექტურულ პრაქტიკაში — ტიპიური პროექტების შედგენის დროს.

ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების შესწავლასთან ერთად მხედველობაში გვაქვს აგრეთვე მისი გამოყენების შესაძლებლობა თანამედროვე სასოფლო მშენებლობაში. ამ მიზნით ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა, ძველი მემკვიდრეობის პროგრესული ელემენტებისა და ფორმების გადამუშავებამ თანამედროვე სამშენებლო ტექნიკის შესაბამისად, მოგვცა ფრიად მნიშვნელოვანი შედეგები, რომლებსაც მიეძღვნა აგრეთვე ცალკე ნაშრომები.

წინამდებარე მონოგრაფია არა მარტო ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით უნდა იყოს საინტერესო, არამედ ისტორიული და ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც, ვინაიდან ხალხური ხუროთმოძღვრება აღმოცენდა და ჩამოყალიბდა ბუნებრივ გარემოსთან შეგუების პროცესში ერის სოციალური, კულტურული და ეკონომიური ხანგრძლივი განვითარების შედეგად.

მონოგრაფია „ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების" სახელწოდებით აჭარის შესახებ გამოცემულ იქნა ჩვენ მიერ 1956 წ., რის გამოც მას პირველ წიგნად ვთვლით; იგივე სახელწოდების წინამდებარე მონოგრაფია, რომელიც მიეძღვნა აფხაზეთს, წარმოადგენს ზემოხსენებული ნაშრომის გაგრძელებას საქართველოს სხვა მხარის (აფხაზეთის) შესახებ. ამდენად მას მეორე წიგნად მივიჩნევთ.

ჩვენ განზრახული გვაქვს გავაგრძელოთ მუშაობა ამ მიმართულებით და გავაცნოთ ფართო საზოგადოებას საქართველოს სხვა მხარეებისა და კუთხის ხალხური ხუროთმოძღვრული ძეგლებიც.

აფხაზეთის ხალხური ხუროთმოძღვრების მონოგრაფიული შესწავლა, როგორც პირველი ცდა, ბუნებრივია ვერ იქნება უნაკლო და ცალკეული ხარვეზებისაგან დაზღვეული, რის გამოც დიდი მადლობით მივიღებთ ყველა სასარგებლო შენიშვნასა და რჩევას, რომელსაც გავითვალისწინებთ შემდგომ მუშაობაში.

# თავი პირველი

## აფხაზეთის ხალხური ხუროთმოძღვრების შესწავლის ზოგადი მიმოხილვა

### ხალხური ხუროთმოძღვრების შესწავლის ისტორია

ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების მეცნიერული შესწავლის ისტორია, შეიძლება ითქვას, ფაქტიურად 1925—1927 წლებიდან იწყება. ამ წლებიდან მომდინარეობს ხალხური ხუროთმოძღვრების საარქივო ფონდების ფაქტობრივი ხუროთმოძღვრული გრაფიკული მასალებით შევსება-გამდიდრება და მათი მეცნიერულად დამუშავება-გამოცემა; ამ დროიდან იწყება ყურადღების გამახვილება ქართულ ეროვნულ ხუროთმოძღვრულ ფორმათა ხალხურ საწყისებზე და ქართული ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის გამოყენების ცდები.

საქართველოში ხალხური ხუროთმოძღვრების შესწავლის დაწყების დღიდან დაახლოებით 40 წელმა განვლო და ამ ხნის მანძილზე შესწავლილი და გამოკვლეულია საქართველოს მთიანეთი: სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ხევსურეთი, ქართლის მთიანი ნაწილი, მესხეთი, აჭარა და სხვა.

შედარებით ნაკლებადაა გამოკვლეული და ღარიბადაა გაშუქებული სამეცნიერო ლიტარატურაში საქართველოს ერთ-ერთი საყურადღებო კუთხის — აფხაზეთის ხალხური ხუროთმოძღვრება.

ეს გარემოება ყოვლად გაუმართლებელია და არც შეეფერება ქართული მატერიალური კულტურის გამოკვლევის დღევანდელ დონეს.

აფხაზეთი თავისი ისტორიული წარსულით, უძველესი დროიდან იზიდავდა სხვადასხვა დარგის მრავალ მკვლევარსა და მოგზაურს; არა ერთ მათგანს აუწერია აფხაზეთის ბუნება, მისი ისტორია და ზნე-ჩვეულება.

აფხაზეთის შესახებ სხვადასხვა სახის უძველესი ცნობები გადმოცემული აქვთ ბერძენ, რომაელ და ბიზანტიელ მწერლებს, ძველი და ახალი ხანის დასავლეთ ევროპელ მოგზაურებსა და სხვ.

პირველი წერილობითი წყაროები, რომლებშიაც მოხსენებულია აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობა, ეკუთვნის VI—V საუკუნეს ძვ. წელთაღრიცხვით; ამ მხრივ საყურადღებოა ანტიკური ხანის ბერძენი გეოგრაფისა და ისტორიკოსის მილეთელი ჰეკატეს თხზულება, ე. წ. „მხარეთ-აღწერილობა“, რომელსაც ჩვენამდე მხოლოდ ნაწყვეტების სახით მოუღწევია. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ უძველეს წერილობით ცნობებს, რომლებიც დაგვიტოვეს ჰეკატეს ცხოვრების შემდეგ მომდევნო ანტიკური ხანის მკვლევარებმა: ჰეროდოტემ, ჰიპოკრატემ (V ს. ჩვ. წ-დე), ქსენოფონტემ (IV ს. ჩვ. წ-დე), არიანემ, სტრაბონმა (I-II ს. ჩვ. წ-ით) პროკოფი კესარიელმა (VII ს. ახ. წ-ით), და სხვ.

საქართველოს ამ კუთხის შესახებ არსებობს მრავალი ისეთი ღირსშესანიშნავი შრომა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიულ-მატერიალური კულტურის შესწავლის საქმეში.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საგულისხმოა და საქართველოს ისტორიოლოგიის საგანძურში საპატიო ადგილი უკავიათ ისეთ გამოკვლევებს, როგორიცაა: ფრ. დიუბუა დე მონპერეს, დ. ბაქრაძის, მ. ჯანაშვილის, კ. ჰანის, ნ. ჯანაშიას, ტორნაუს, თ. სახოკიას, ი. პანტიუხოვის, ნ. მარის, ვ. სიზოვის, ა. პავლინოვის, პ. უვაროვას, მ. ივაშჩენკოს, ვ. სტრაჟევის, ა. ფადეევის, ა. მილერის, ფ. ბაიერნის, პ. ინგოროყვას, ს. ყაუხჩიშვილის, შ. ინალ-იპას, ზ. ანჩაბაძეს, ც. ბჟანიას, ხ. ბღაჟბას და სხვათა შრომებს, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ.

საქართველოს მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლების პირველ მკვლევარად საყოველთაოდ აღიარებულია უცხოელი მეცნიერი ფრ. დიუბუა დე მონპერე, რომელმაც დაგვიტოვა ქართული ხელოვნების ძეგლების ამსახველი უძვირფასესი განძი.

თავისი ცნობილი მოგზაურობა დიუბუამ 1831 წელს დაიწყო შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროდან და ოთხი წელი მოანდომა მარტო ამ ადგილების გამოკვლევას. თავისი

ხანგრძლივი და რთული გამოკვლევის მასალები მან გამოაქვეყნა პარიზში ექვს ტომად — „მოგზაურობა კავკასიის გარშემო“. გარდა ამისა, მაღალმხატვრული გემოვნებით შესრულებული ჩანახატები, დაუღალავი და სისტემატური ხანგრძლივი შრომით მოპოვებული უამრავი გრაფიკული მასალა, რომელშიაც ასახულია მთელი კავკასიის ძველი მატერიალური კულტურის უძვირფასესი ძეგლები, მონუმენტური ალბომის სახით გამოსცა პარიზში 1843 წელს[1].

საქართველოს სიძველეთა შესწავლის საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის ისტორიკოსს დ. ბაქრაძეს. მან იმოგზაურა სამეგრელოს, სამურზაყანოსა და აფხაზეთში.

აფხაზეთში მოგზაურობა შეადგენდა დ. ბაქრაძის მიერ დასახული საერთო გეგმის ნაწილს, რომელიც მიზნად ისახავდა მთლიანად საქართველოს არქეოლოგიურ შესწავლას.

დ. ბაქრაძის შრომა „Очерк Мингрелии, Самурзакани и Абхазии“ გამოქვეყნებულ იქნა 1860 წელს[2]. ამ შრომაში აღწერილია სამეგრელოს, სამურზაყანოსა და აფხაზეთის სოფლების თავისებურება. აქვეა მოცემული კელასურის უძველესი ისტორიული კედლის აღწერა.

მისივე კალამს ეკუთვნის აფხაზეთის ისეთი ქრისტიანული ძეგლების გამოკვლევა, როგორიცაა: ბიჭვინთა, ლიხნი, ანაკოპია, დრანდა, მოქვი და სხვ. დ. ბაქრაძის ეს შრომა — „О древних памятниках христианства“ გამოქვეყნდა 1875 წელს.

1892 წელს გამოქვეყნდა მ. ჯანაშვილის ეთნოგრაფიული ნარკვევი აფხაზეთის შესახებ — „Абхазия и абхазцы[3].

ეს ნარკვევი მ. ჯანაშვილმა შეადგინა რუსულ ენაზე ყველა იმ ლიტერატურულ წყაროთა მონაცემების საფუძველზე, რაც კი იმხანად მიმოფანტული იყო ეთნოგრაფიის დარგში აფხაზეთის თაობაზე. ამ შრომით ავტორი მიზნად ისახავდა რუსი მკითხველისათვის გაეცნო აფხაზთა ყოფა-ცხოვრება.

ნარკვევში დაწვრილებითაა აღწერილი ხალხური საცხოვრებელი ფაცხის ტიპები, მათი კონსტრუქციული აგებულება და ზოგიერთი ხალხური სამშენებლო ტერმინი.

აფხაზეთის ყოფა-ცხოვრებისა და ისტორიული საკითხების გაშუქების საქმეში დიდი ყურადღება და ინტერესი გამოიჩინა აგრეთვე თბილისის ყოფილი პირველი გიმნაზიის მასწავლებელმა კ. ფ. ჰანმა.

1900 წლის ზაფხულში მან იმოგზაურა სამეგრელოში, სამურზაყანოსა და აფხაზეთში. იგი იყო ისეთ უძველეს სოფლებში, როგორიცაა: ლიხნი, დურიფში, ჩხალთა, გენწვიში, ლვანდრა, საკენი და სხვ. და ნაწილობრივ აღწერა ხალხური საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები. მან ეს შრომა — „Поездка в Мингрелию, Самурзакани и Абхазию“ გამოაქვეყნა 1902 წელს[4].

დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების მასალების შეგროვებისა და გამოქვეყნების საქმეში ნიკო ჯანაშიას. მისი შრომებიდან ჩვენი გამოკვლევისათვის საგულისხმოა 1917 წელს პეტერბურგში გამოქვეყნებული ნაშრომი — „Абхазский культ и быт“. ნაშრომში მას გულდასმით აქვს განხილული საკულტო, საცხოვრებელი და სხვა დანიშნულების ხალხურ ნაგებობათა სახეები და ტერმინები.

აფხაზეთის ძველი სოფლების, კარ-მიდამოებისა და ხალხური ნაგებობების შესწავლის საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია აგრეთვე ნ. ტორნაუს „კავკასიელი ოფიცრის მოგონებებს“.

ნ. ტორნაუს ეს შრომა — „Воспоминания Кавказского офицера“ (1835 წ.) გამოქვეყნდა 1864 წელს. ხსენებულ ნაშრომში ფრიად დამაჯერებლად და დაწვრილებით არის აღწერილი ფეოდალთა ტიპიური საცხოვრებელი სახლები, კარ-მიდამოები და სხვადასხვა სახის ხალხური შენობები.

ეთნოგრაფიული ხასიათის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ნაშრომია თედო სახოკიას „მოგზაურობანი“. ამ გამოკვლევებს საფუძვლად უდევს იმ დროის მასალები, როდესაც აფხაზეთის მიწა-წყალზე ფეხს იკიდებს რუსეთის თვითმპყრობელური კოლონიური პოლიტიკა.

1896 წელს გამოქვეყნდა ი. პანტიუხოვის ნაშრომი — „О пещерных и позднейших жилищах на Кавказе“.

ამ შრომაში მოცემულია საქართველოს ძველ ტიპიურ საცხოვრებელთა სქემები და მათი მოკლე დახასიათება.

აკადემიკოს ნ. მარის შრომებიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის ნაწილი, რომელიც შეეხება აფხაზეთის ტერიტორიაზე არქაული ხანის ძეგლებს, ე. წ. „ცანების გალავნის“ (აცანგვარის) სახელწოდების ეტიმოლოგიისა და ტერმინ „აფხაზის“ გარკვევის საკითხებს. გამოკვლევის ეს ნაწილი ნ. მარმა 1913 წლის 27 თებერვალს მოახსენა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ-ფილოლოგიური სექციის სხდომას. მისი შრომა „История термина „Абхаз“ გამოქვეყნებულ იქნა 1912 წელს, ხოლო სრული შრომა აფხაზეთის შესახებ — „О языке и истории Абхазов“ — 1938 წელს.

1886 წელს, ვ. სიზოვმა იმოგზაურა აფხაზეთის ტერიტორიაზე და აწარმოვა არქეოლოგიური გამოკვლევები. მან ჩაატარა გათხრები მდ. ბესლეთისა და უძველესი სოხუმის — „აყვას“ მიდამოებში.

ვ. სიზოვმა თავისი ნაშრომი — „Восточное побережье Черного моря. Археологическия экскурсии“ გამოაქვეყნა 1888 წ. „Материалы по археологии Кавказа“-ს ფურცლებზე.

ვ. სიზოვის შემდეგ აფხაზეთში იმოგზაურა გამოჩენილმა მკვლევარმა არქიტექტორმა — აკადემიკოსმა ა. მ. პავლინოვმა ქრისტიანული ძველი ძეგლების შესასწავლად. სიზოვის, პავლინოვისა და მათი მომდევნო მკვლევარების მოგზაურობა საქართველოს სიძველეთა შესწავლის მიზნით მიეკუთვნება იმ პერიოდს, როდესაც რუსეთის მთავრობამ გააუქმა ადგილობრივი ეროვნული სამეცნიერო საზოგადოება და მის ნაცვლად დააარსა მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილება. ექსპედიცია პავლინოვის ხელმძღვანელობით სწორედ მოსკოვის ამ არქეოლოგიური საზოგადოების სახსრებით მოეწყო 1888 წელს.

პავლინოვმა აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოიკვლია

[1] «Таким образом, Дюбуа не был простым путешественником, изложившим лишь впечатления поездки. Это был исследователь, с глубокой серьезностью относившийся к предмету своих занятий, ученый, собравший всю доступную ему литературу и создавший труд, появление которого, несмотря на многочисленные принципиальные и фактические ошибки автора, можно считать значительнейшей вехой в истории изучения Кавказа». В. Беридзе, Против искажения истории Грузинского искусства, Тбилиси, 1949 г., стр. 9.

[2] «Кавказ», №№ 48, 49.

[3] «Записки» КОРГО, кн. XVI, Тифлис, 1892г.

[4] «Кавказский Вестник», №№ 4, 5.

ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი ძეგლები, როგორიცაა: მოქვი, დრანდა, ილორი, ბედია და სხვ.

პავლინოვის შრომა — „Материалы по археологии Кавказа“ გამოქვეყნებულ იქნა 1893 წ. გრაფინია პ. უვაროვას რედაქციით.

გრ. პ. უვაროვა თვითონაც დიდი ინტერესით ეკიდებოდა საქართველოს სიძველეთა შესწავლის საქმეს. ამ მიზნით მან შემოიარა საქართველოს რაიონები და თავი მოუყარა ძველი მატერიალური კულტურის ღირსშესანიშნავ მასალებს.

აფხაზეთის ტერიტორიაზე მოგზაურობის მასალები მან პირველად გამოაქვეყნა 1891 წელს — „Кавказ, Абхазия, Аджария, Шавшетия, Псховский участок, путевыя заметки“, II ნაწ. ხოლო 1894 წ. „Материалы по археологии Кавказа“-ს IV გამოცემაში.

სოფელ ბესლეთში, ამავე სახელწოდების მდინარეზე გადებული უძველესი ერთთაღიანი ქვის ხიდის ახლოს მან აღმოაჩინა და გამოიკვლია ე. წ. ბესლეთის სასახლე. მანვე გამოიკვლია აფხაზეთის ყველაზე უძველესი ქრისტიანული ძეგლი, ე. წ. სიმონ კანონიტას ტაძარი, ბიჭვინთა, ლიხნი და მრავალი სხვა უცნობი მცირე ეკლესია მაჭარის წყლის ხეობაში.

ფ. ბაიერნის შრომა „О древних сооружениях на Кавказе“, რომელიც 1895—1896 წელს გამოქვეყნდა უკვე ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა, მაგრამ მას დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება.

ფ. ბაიერნის მიერ აფხაზეთის ტერიტორიაზე ფიქსირებულია უძველეს ნაგებობათა ნაშთები: სათვალთვალო კოშკები, მაღალი მთის ზონის სხვადასხვა დანიშნულების უძველეს შენობათა კედლები, საკულტო ნაგებობები და სხვ.

აფხაზეთის ძველი მატერიალური კულტურის შესწავლის დარგში მნიშვნელოვანი და საყურადღებოა აგრეთვე ი. სტრაჟევის შრომა „Руинная Абхазия“[1].

ი. სტრაჟევი ისტორიულ ფონზე განიხილავს ზოგად მოკლე ცნობებს უძველესი გაგრის, სახელდობრ მითრიდატე VI-ის დროინდელ (123—65 წ. წ. ჩვ. წ-დე) საფორტიფიკაციო დანიშნულების ნაგებობათა უძველესი კედლებისა და კოშკების, მიწისქვეშა საიდუმლო გასასვლელ დერეფანგვირაბების, უძველესი სოხუმის სიძველეთა ნაშთების და სხვ. შესახებ. გარდა ამისა მოკლედ გვაცნობს მდ. მჭიშისა და მდ. შპანდრის ხეობაში კლდეში გამოკვეთილ მიუვალ გამოქვაბულ-მონასტრებს და სხვ.

ყურადღებას იპყრობს მ. ივაშჩენკოს 1935 წ. გამოქვეყნებული შრომა აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული არქაული ძეგლების შესახებ — „Исследование архаических памятников материальной культуры в Абхазии“.

ამ შრომაში ავტორს მოკლედ აქვს განხილული წინაისტორიული ხანის გამოქვაბული ბინა-სადგომები, დოლმენები, აცანგვარები, კრომლეხები და სხვ.

სისტემატურ კომპლექსურ გამოკვლევათა სერიას წარმოადგენს ა. ფადეევის შრომები, რომელთაც უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ისტორიული აფხაზეთის სიძველეთა შესწავლის დარგში.

ფადეევის ერთ-ერთი საგულისხმო შრომაა 1934 წელს გამოცემული „Краткий очерк истории Абхазии“, რომელშიაც მიმოიხილავს აფხაზეთის ისტორიული უძველესი ცნობების ძირითად წყაროებს.

მისი მეორე, 1939 წელს გამოცემული შრომა — „Хозяйство и двор Абхазского помещика накануне реформы 1870 г.“ ეძღვნება XIX ს. ფეოდალის დიმიტრი შერვაშიძის მეურნეობის, კარ-მიდამოს, საცხოვრებელი სახლისა და საგარეო ადგილების აღწერას.

საყურადღებოა მისი სხვა შრომებიც: „Меч и золото на берегах Абхазии“, „Что должен знать каждый из истории Абхазии“ და სხვა.

როდესაც საქმე ეხება ისტორიული ქართული წყაროების გამოყენების საკითხს, საქართველოს ისტორიულ-მატერიალური კულტურის ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის ისეთ საისტორიო თხზულებათა კრებულს, როგორიცაა „ქართლის ცხოვრება“.

„ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე ასახულია აფხაზეთის ისტორიის უმთავრესი მომენტები დასაბამიდან მეცხრამეტე საუკუნემდე.

„ქართლის ცხოვრებაში“ მოცემულია თხზულებათა ერთ-ერთი საყურადღებო ციკლი, ე. წ. „ცხოვრება ეგრისს-აფხაზეთისა“[2]. აქვე მნიშვნელოვანი ცნობებია ბიჭვინთის ტაძრის აღმშენებლისა და დათარიღების შესახებ და სხვ.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის გარემოება, რომ XVIII ს-ნის მეორე ნახევრიდან XIX ს-ნის მთელ მანძილზე ქვეყნდებოდა აგრეთვე სხვადასხვა ხასიათისა და დანიშნულების მცირე წერილები; როგორც ირკვევა იმდროინდელ პერიოდულ გამოცემებში სხვადასხვა დროს ქვეყნდებოდა პოლიტიკური, ეკონომიური, გეოგრაფიული და სხვა დარგის ფაქტობრივი მასალები.

ყველა ეს გაფანტული მცირე წერილობითი ცნობა ძვირფასი განძია აფხაზეთის წარსულის სრულყოფილი სურათის დასადგენად და მხედველობაში უნდა მივიღოთ აფხაზეთის ძველი მატერიალური კულტურის ყველა დარგის სპეციალური გამოკვლევისას.

აფხაზეთის ისტორიული წარსულის შესასწავლად განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აგრეთვე X საუკუნის დიდი ქართველი მწერლის გიორგი მერჩულეს თხზულება „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“.

გიორგი მერჩულეს ეს ძეგლი და თვით ავტორის — გიორგი მერჩულეს ცხოვრება მეცნიერულად შეისწავლა და გამოიკვლია ქართველმა მეცნიერმა პ. ინგოროყვამ.

პ. ინგოროყვას ნაშრომის „გიორგი მერჩულე“[3] ვრცელი ნაწილი (მთლიანად IV თავი) ეძღვნება დასავლეთ საქართველოს ფეოდალური ხანის „აფხაზეთის სამეფოს“ ისტორიული ცხოვრების მასალების განხილვას. გიორგი მერჩულეს ძეგლში მოხსენებული ცნობების მიხედვით ავტორს განხილული აქვს უძველესი აფხაზეთის ტერიტორიული მოცულობა, მისი მკვიდრ მოსახლე ქართველურ ტომთა ვინაობა და სხვ.

საქართველოს სიძველეთა გამოკვლევის დარგში განუზომელია ს. ყაუხჩიშვილის შრომების მნიშვნელობა.

მისი შრომა — „პერსონების დასახლების ისტორია საქართველოში“ გამოქვეყნდა 1942—1946 წლებში[4]. ს. ყაუხჩი-

---

[1] Известия абхазского научного общества, 1925 г., выпуск первый.

[2] „ქართლის ცხოვრება“ დ. ჩუბინოვის გამოცემა, სანკტპეტერბურღს, 1854 წ., გვ. 177—178.

[3] გიორგი მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, პავლე ინგოროყვას მიერ აღდგენილი დედანი, 1, თბილისი, 1949 წ.

[4] ს. ყაუხჩიშვილი. ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, 1942 წ., ტ. IV და 1946 წ. ტ. VI.

შვილმა გამოიკვლია და დაადგინა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ თანამედროვე ბერძნულ მოსახლეობას არავითარი კავშირი არა აქვს იმ ძველ ბერძნულ მოსახლეობასთან, რომელთა გამოჩენა დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე უძველეს საისტორიო პირველ წყაროებში ცნობილია ჯერ კიდევ ძვ. წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან. აწინდელ ბერძენთა ჩამოსახლება, როგორც ირკვევა, 1868 წლიდან იწყება.

ყურადღების ღირსია აგრეთვე ისეთი შრომები, როგორიცაა: პროფ. ნ. ძ. აბრამოვის «Некоторые естественные строительные камни Абхазии», 1926 г., вып. III. ს. პ. ბასარიას «Нарзан на лугах (Шхапидза) и путь к нему» 1925 წ.; ი. ნ. ვორონოვის «Итоги изучения флоры Абхазии за 100 лет", რომლებშიაც მოცემულია ზოგიერთი საყურადღებო ცნობა ადგილობრივი ქვისა და ხის საშენი მასალის ბუნებრივი რესურსების შესახებ. ამ საკითხზე საგულისხმო ცნობებია აგრეთვე მოცემული გაზეთ „Трудовая Абхазия-ს" 1924, 1925 წლების ფურცლებზე: Еще об использовании богатств Абхазии в области строительных материалов" და სხვა.

ნ. რეხვიაშვილის სპეციალური გამოკვლევა „რკინის სამეურნეო იარაღები აფხაზეთიდან", გვაცნობს ხის დასამუშავებელი ხალხური უძველესი იარაღების — ცულების „აფსუაიხას" და „აკვალას" ფორმებს, დანიშნულებას, მათ ტიპობრივ ნათესაობას კოლხურ უძველეს ცულებთან და სხვ.

დღეს, როდესაც საქართველოს სიძველეთა ტრადიციული შესწავლის საქმე მყარ მეცნიერულ ნიადაგზეა დამკვიდრებული, ფრიად მნიშვნელოვანი და საინტერესოა ყოველი ახალი შრომა, რომელიც ამ საკითხებს აშუქებს.

ამ მხრივ საყურადღებოა მ. გარაყანიძის „საქართველოს ხით ხუროთმოძღვრება" და რ. მეფისაშვილის — „საქართველოში კოლმეურნეთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ზოგიერთი საკითხი".

მ. გარაყანიძის შრომა „საქართველოს ხით ხუროთმოძღვრება", რომელიც გამოქვეყნდა 1959 წ. რუსულ ენაზე, უხვად ილუსტრირებული დიდტანიანი წიგნია.

წიგნში შეტანილია ხალხური ხუროთმოძღვრების თითქმის ყველა ის ძირითადი არსებული მასალა, რაც კი დაგროვილი იყო საერთოდ სხვადასხვა ავტორის მიერ ხალხური ხუროთმოძღვრების შესწავლის მთელი ისტორიის მანძილზე — 1925 წლიდან დღემდე; გარდა ამ მასალებისა, დანაზომების, ჩანახატებისა და ფოტოილუსტრაციების სახით ერთეის თვით ავტორის მიერ მოპოვებული მრავალი საინტერესო მასალა.

როგორც სამარშრუტო რუკებიდან ირკვევა, ავტორს ხალხური ხით ხუროობის მასალების ნაწილი გურიისა და იმერეთის ტერიტორიაზე შეუგროვებია 1954 წელს; ამავე წელსაა შეკრებილი აჭარის, სამეგრელოს და აფხაზეთის მთელი საველე მასალა

ბუნებრივია, რომ ერთ ზაფხულში საქართველოს ზემოხსენებულ მხარეთა ასეთი სწრაფი ტემპით ჩამოვლა მეტად ართულებს ხალხური ხუროთმოძღვრების მასალების სათანადოდ შეგროვება-შესწავლას და არასწორი დასკვნების გამოტანის საფრთხეს ქმნის. ამიტომაცაა, რომ წიგნი არცაა დაზღვეული ამგვარი დასკვნებისაგან.

რ. მეფისაშვილის ნაშრომიც „საქართველოში კოლმეურნეთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ზოგიერთი საკითხი" 1959 წელს გამოქვეყნდა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომებში — „ქართული ხელოვნება", № 5. ამ ნაშრომში განხილულია საქართველოს ხალხური საცხოვრებელი სახლების მხოლოდ უკანასკნელი წლების რამდენიმე ახალი მშენებლობა. აფხაზეთის ტერიტორიიდან ავტორს მოყვანილი აქვს 1955 წლებში აგებული ტიპიური საცხოვრებელი ახალი „ოდა სახლების" ორი სქემატური დანაზომი.

აფხაზეთის შესახებ არსებული ლიტერატურა ამ მოკლე მიმოხილვით არ ამოიწურება, — მხედველობაში გვაქვს ისეთი გამოკვლევები, რომლებშიაც მოცემულია მრავალდარგობრივი ხასიათის საინტერესო მასალები; მათი განხილვა სიტყვას გაგვიგრძელებდა, მაგრამ ნაწილობრივ მაინც საჭიროა დავასახელოთ: С. Н. Замятнин, Палеолит Абхазии, Сухуми, 1917 г. ამ შრომაში განხილულია აფხაზეთში 1934—1936 წწ. აღმოჩენილი ქვის ხანის იარაღები; А. Н. Соловьев, Энеолитическое селище у Очемчирского порта в Абхазии, 1939г. გადმოცემულია საინტერესო ცნობები უძველესი ნაგებობების ნაშთთა შესახებ და სხვ., А. Н. Дьячков-Тарасов, Гагры и их окрестности, Тифлис, 1903 г., განხილულია უძველესი გაგრის სიძველეთა ნაშთები; Ф. Жордания, Хроника Абхазских царей, Тифлис, 1902 г., Л. М. Меликсет-Беков, Древнейшая Пицунда Евксинского, Одесса, 1914 год — ეს შრომა ეძღვნება ბიჭვინთის ტაძრის ზოგიერთი საკითხის დაზუსტებას. საინტერესოა აგრეთვე თიათინელი ბერის, საქართველოში წარმოგზავნილი მისიონერის ქრისტეფორე კასტელის ნახატები (იხ. კასტელის ალბომი) მიხეილ თამარაშვილის გამოცემა; А. Зотов, Легенда о дольменах в черноморской губернии, 1915 г. და სხვ.

ზემოჩამოთვლილი ლიტერატურის გარდა არსებობს აგრეთვე სოხუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მასალები, რომლის ფონდებში დაცულია და კომპლექსური ექსპოზიციის დარბაზებში გამოფენილია აფხაზეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს აღმოჩენილი და შეკრებილი მატერიალური კულტურის უმდიდრესი ძვირფასეული ექსპონატები. აქ თავმოყრილია არქეოლოგიური გათხრებით მუზეუმის მიერ ადგილობრივად ფასიანი შენაძენი ან სხვა შემთხვევით მოპოვებული საგნები.

გამოფენაზე წარმოდგენილია, როგორც ანტიკური, ისე ახალი ხანის ხისა და ქვის ხუროობის უნიკალური ნიმუშები, ხალხური დგამ-ჭურჭლის, ძველ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ზოგიერთი საყურადღებო ტიპი და სხვ.

ხალხური ხუროთმოძღვრების შესწავლის მიზნით თავის დროზე დიდი მუშაობა აქვთ ჩატარებული: საქართველოს საბჭოთა არქიტექტორთა კავშირის სამეცნიერო-საკვლევ სექციას, ხელოვნების — ყოფილ „მეტეხის" მუზეუმს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრას და სხვ[1].

წინამდებარე მონოგრაფიაში ისტორიულ, ეთნოგრაფიულ

---

[1] ყველა ეს თავმოყრილი მასალა გადაეცა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს და ამჟამად ინახება არქიტექტურის განყოფილების ფონდსაცავებში.

და არქეოლოგიურ მასალებთან ერთად გამოყენებული გვაქვს აგრეთვე უძველესი მშენებლობის ტრადიციებთან დაკავშირებული ფოლკლორული მასალა — ხალხური ზეპირსიტყვიერების საყურადღებო გადმოცემები.

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ლიტერატურული პირველწყაროები არ არის აფხაზეთის ხალხური ხუროთმოძღვრების სისტემატური გამოკვლევისა და შესწავლის შედეგი — და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, ვინაიდან ეს საკითხი აქ დასახელებული შრომების ავტორთა კვლევა-ძიების საგნად არ იყო მიჩნეული და არც საამისო პირობები იყო მაშინ; ამიტომ აფხაზეთი ამ ასპექტით დღემდე შეუსწავლელია.

დასასრულს, საჭიროდ მიგვაჩნია ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ აფხაზეთის ხალხური ხუროთმოძღვრების შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სათანადო კრიტიკის საფუძველზე ზემოთ მიმოხილული წყაროების დამხმარე მასალად გამოყენების საკითხს.

## გეოგრაფიული გარემო და მოსახლეობა



აფხაზეთის ლანდშაფტი კელასურის სანაპიროსთან. საერთო ხედი ზღვიდან (დიუბუას ნახატიდან)

ტერიტორია, რომელიც უკავია აფხაზეთს თავისი მრავალფეროვანი ხატოვანი ბუნებითა და უძველესი მოსახლეობით, საქართველოს ერთ-ერთი მეტად საინტერესო კუთხეა. მისი ტერიტორიის საზღვრები ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, საქართველოს მტერთა დამანგრეველი შემოსევების გამო თუ პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოვლენების შესაბამისად ხშირად გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა, ამიტომ, ჩვენი აზრით, თავდაპირველად საჭიროა გავეცნოთ ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთ წყაროს.

აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიის შესახებ ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში დაცული ცნობების გასარკვევად საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ თვით აფხაზეთის სახელწოდების გავების საკითხს, რადგან ხშირად ხან იგი საკუთრივ აფხაზეთსა ნიშნავდა, ხან ფართო მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული[1].

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი, 1948 წ., გვ. 46.




1. აფხაზეთის ისტორიული რუკა (ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით)

აფხაზები თავიანთ საცხოვრებელ მხარეს უწოდებენ აფსნ, აფსუა — ეს იგივეა, რაც აფხაზი ან კიდევ: დედა სამშობლო აფხაზეთი[1].

აფხაზეთის შავი ზღვის სანაპირო ზოლში მცხოვრებ ქართველურ ტომთა სახელები მოხსენებული აქვთ ბერძენ და რომაელ მწერლებს ჯერ კიდევ VI—V საუკუნეებში ჩვ. წელთაღრიცხვამდე; არიანე ლაზების მეზობლებად იხსენიებს აბსილებს, ხოლო აბსილების მეზობლებად — აბასხებს (Абаски)[2].

პროკოფი კესარიელის ცნობებითაც ირკვევა, რომ „ზღვისპირას აბაზგები მოსახლეობენ, რომელთა საბინადრო ადგილი კავკასიონის მთებამდე გრძელდება. აბაზგები ძველთაგანვე ლაზების ქვეშევრდომნი იყვნენ და მუდამ ჰყავდათ თვისტომი მთავარი"[3].

ამრიგად, სატომო სახელი აბასხი და აბაზგი თავდაპირველი სახეობის ყველაზე პირველი ასურული წყაროების მიხედვით „მუსკებიდან"[4] მომდინარეობენ, რაც იგივეა: მუსხები — მოსხები — მესხები.

პირველად ნ. მარმა გამოიკვლია აფხაზების ეს ძველისძველი სახელწოდება — „აბასხის" და „მესხის" კანონზომიერი განვითარების ფონეტიკური კავშირი, სადაც „ა" არის აფხაზური დიალექტის თავსართი — „აბასხი" — „აფხაზი"[5]. მარის ამ დასკვნას იზიარებდა აგრეთვე აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი.

თანამედროვე აფხაზეთი მდებარეობს საქართველოს შავი ზღვისპირის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ჩრდილოეთით ესაზღვრება კავკასიონის ქედი, რომლითაც ემიჯნება რუსეთის სფსრ-ს; დასავლეთით საზღვრავს მდინარე ფსოუს გასწვრივ რუსეთის სფსრ; სამხრეთით — შავი ზღვა. ხოლო აღმოსავლეთით — მდინარე ენგური და მის გაგრძელებაზე სვანეთ-აფხაზეთის მთები, ვიდრე კავკასიონამდე; შავი ზღვის ეს სანაპირო ვიწრო ზოლი, რომელიც აფხაზეთს უკავია — დაწყებული აღმოსავლეთით მდინარე ენგურიდან, ვიდრე დასავლეთით მდინარე ფსოუმდე, გადაჭიმულია დაახლოებით 250 კილომეტრის სიგრძეზე და საშუალოდ 35—40 კილომეტრის სიგანით ზღვიდან კავკასიონამდე (სურ. 2).

დღევანდელ აფხაზეთს 8,7 ათასი კვადრატული კილომეტრი ფართობი უკავია, რაც „საქართველოს ტერიტორიის 12 პროცენტს შეადგენს"[6].

აფხაზეთის მცხოვრებთა უმეტეს ნაწილს ქართველები შეადგენენ; აქ ცხოვრობენ: აფხაზები, მეგრელები, სვანები, რაჭველები, იმერლები, რუსები, უკრაინელები. სომხები, ბერძნები და სხვ. „აფხაზეთი ხასიათდება მოსახლეობის სიმჭიდროვის უფრო ნაკლები კოეფიციენტით, ვიდრე მთელი საქართველო"[7]. მჭიდროდაა დასახლებული ზღვის სანაპირო დაბლობი და ბორცვიანი ადგილები, ხოლო უფრო ნაკლებად და მეჩხერად — მაღალმთიანი ნაწილი.

როგორც ირკვევა, აფხაზეთის ხალხურ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებს საუკუნეების მანძილზე კანონზომიერი განვითარების მეტად რთული გზა გაუვლიათ.

აფხაზეთის ხალხური ნაგებობების ტიპობრივი ჩამოყალიბების საფუძველს შეადგენს შემდეგი ძირითადი ფაქტორები: უპირველეს ყოვლისა, კლიმატური პირობები — ჰავა, ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები — რელიეფი, ანთროპოგეოგრაფიული პირობები — მოსახლეობის კავრცელების, ყოფა-ცხოვრებისა და ძირითადი სამეურნეო საქმიანობის ხასიათი, ფლორისა და ფაუნის ურთიერთ მიზეზობრივი კავშირის ძირითადი პირობები და სხვ.

აფხაზეთის ზღვისპირა დაბლობი სუბტროპიკული ზონაა. ზამთარი აქ ძალზე მოკლე და რბილია.

სხვა ფაქტორებთან ერთად სუბტროპიკულმა კლიმატურმა მონაცემებმაც განაპირობა ხალხურ ნაგებობებში იაფფასიანი ადგილობრივი საშენი მასალის, წნული და თხელყვდლიანი, ფართოდ გავრცელებული მსუბუქი კონსტრუქციების გამოყენება.

აფხაზეთი ძირითადად მთაგორიანია. უმეტესი ნაწილი აფხაზეთის ტერიტორიისა მდებარეობს ზღვის დონიდან 200 მეტრზე უფრო მაღლა; ცალკეული ადგილები „აფხაზეთის ალპებისა, 4.000 მეტრზე მაღლა მდებარეობენ და დაფარულია მუდმივი თოვლითა და მყინვარებით"[8].

მაღალი მთის ზონის უმეტესი ნაწილი მჭიდროდაა დაფარული სამრეწველო მნიშვნელობის ტყეებით. სადაც ბლომად მოიპოვება საშენი ხე-ტყის ისეთი ჯიშები, როგორიცაა: მუხა, წაბლი, ურთხელი, ბზა, ძელქვა, ფიჭვი, ნაძვი, სოჭი, წიფელი, თხილი და მრავალი სხვა დენდროლოგიურად საინტერესო ჯიში: სოჭი, ჭადარი, წაბლი, წიფელი და ურთხელი აზიდულია თვალუწვდენელ სიმაღლეზე და არნახული სიდიდისა გვხვდება; ესაა აქაური ტყის რაღაც საოცარი გიგანტები[9].

ხალხური გადმოცემით თითოეული ამ გოლიათი ხისაგან ოთხ-ხუთ ოთახიანი ოდა-სახლის საშენი ხე-ტყის მასალა „გამოიჭრებოდა".

აფხაზეთის დაბლობი, ალაგ-ალაგ ჭაობიანი ადგილები, ისტორიულად ცნობილი. ლეგენდარული კოლხეთის დაბლობის გაგრძელებაა. კოლხეთის ჰავისა და ბუნების შესახებ განსაკუთრებით საინტერესო უძველეს ცნობები დაგვიტოვეს ჰიპოკრატემ და არქანჯელო ლამბერტიმ.

ძველი საბერძნეთის გამოჩენილმა მკურნალმა — მედიცინის მამამთავარმა ჰიპოკრატემ, რომელსაც 2400 წლის წინათ უმოგზაურია კოლხეთის მიწა-წყალზე, უნიკალური ცნობები დაგვიტოვა. აი, რას გადმოგვცემს იგი: „ამ ქვეყანაში ზამთარ-

---

[1] პ. გიორგაძე, აფხაზეთი და აფხაზნი, ივერია, 1888 წ. № 167.

[2] К. Ган, Известия древних греческих и римских писателей о Кавказе. часть I. Тифлис. 1884 г., стр. 150.

[3] გეორგიკა, გვ. 103.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბილისი, 1960 წ. გვ. 401.

[5] Н. Марр, История термина «Абхаз», ИАН. 1912 წ., გვ. 703—704.

[6] ლ. კარბელაშვილი, გ. გეხტმანი, საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია, თბილისი, 1958 წ. გვ. 149.

[7] იქვე.

[8] И. Шафиро, Я. Дарсания и др., Долголетние люди Абхазии, Сухуми, 1956г., стр. 20.

[9] ერთ-ერთი ასეთი გიგანტური სოჭის (Амза) მორი ექსპონირებულია სოხუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში; მისი ფუძის დიამეტრი ორ მეტრამდე აღწევს, ხოლო სიმაღლე 70 მეტრი ყოფილა; ამ სოჭის ხნოვანობა დადგენილია—700 წ. მსუბუქი და გამძლე სოჭი საუკეთესო საშენ მასალად ითვლებოდა აფხაზეთში.




8. აფხაზეთის თანამედროვე რუკა (საცხ. ზონებად დაყოფის სქემა, საცხ. სახლების გავრცელებული ტიპების გეოგრაფიული განლაგება

სა და ზაფხულს შორის დიდი გარჩევა არ არის სითბო-სიცივის მხრივ. აქ უფრო ხშირია სამხრეთის ქარი. ამას გარდა, იცის კიდევ ადგილობრივი ქარი, რომელიც არის ფრიად ძლიერი, ცხელი და უსიამოვნო. ამ ქარს ეძახიან „კენხრონს", ჩრდილოეთის ქარი აქ იშვიათია, და არა აქვს არც ძალა და არც მნიშვნელობა"[1].

იტალიელმა მისიონერმა არქანჯელო ლამბერტიმ დაგვიტოვა აგრეთვე ფრიად მნიშვნელოვანი ცნობები იმდროინდელი კოლხეთის ჰავისა და ბუნების შესახებ. „კოლხიდას თავისი მდებარეობის გამო ისეთი ნოტიო ჰავა აქვს, რომლის მსგავსი არსად არ მოიპოვება. ამის მიზეზია ის, რომ დასავლეთით, შავი ზღვით, მოდის ნამიანი ჰაერი და აღმოსავლეთით აკრავს კავკასიის მთები, საიდანაც მრავალი მდინარე ჩამოდის, ამას დაუმატეთ ხშირი ტყეები, რომლის გამო ჰაერი ვერ მოძრაობს. ზღვის ქარი ძალიან ხშირია და მას მუდამ მოსდევს წვიმა და ნისლი"[2].

კლიმატურ-ბუნებრივი პირობების გარდა აფხაზეთის ხალხურ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ტიპების ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო აგრეთვე მოსახლეობის შრომა-საქმიანობის ძირითადი ფაქტორები.

ზღვისპირა დაბლობებში და მის ახლო გორაკ-ბორცვიან ადგილებში ზომიერი და ტენიანი ჰავისა და ხანმოკლე, თბილი ზამთრის გამო, მოსახლეობა უძველესი დროიდან მემინდვრეობასთან ერთად მისდევდა მევენახეობას, მებაღეობას, მეფუტკრეობას და ნაწილობრივ სეზონიკური ხასიათის მეურნეობასაც კი, რომელსაც დღეს წამყვანი და მძლავრი ბაზა აქვს შექმნილი.

რაც შეეხება აფხაზეთის მაღალი მთის ზონას, მოსახლეობა უძველესი დროიდან მისდევდა მსხვილფეხა (განსაკუთრებით ცხენის) და წვრილფეხა საქონლის მოშენებას.

გეოგრაფიულ გარემოსა და შრომა-საქმიანობის კონკრეტულ პირობებს, რომლებიც უშუალოდ ზეგავლენას ახდენენ ხალხურ ხუროთმოძღვრებაზე, დაწვრილებით განვიხილავთ ქვემოთ, აფხაზეთის ტერიტორიაზე შეკრებილი მასალების განხილვის დროს.

## მოგზაურობის მარშრუტები და შესწავლილი ძეგლების ძირითადი სახეები

აფხაზეთის ტერიტორიაზე ხალხური ხუროთმოძღვრების შესწავლის მიზნით ჩვენ მიერ შედგენილი პროგრამის შესაბამისად ჩატარებულ იქნა რამდენიმე მოგზაურობა (სურ. 2).

პირველი მოგზაურობა ხალხური ხუროთმოძღვრების მასალების შესაგროვებლად მოეწყო 1950 წელს საქართველოს არქიტექტორთა კავშირისა და ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დახმარებით.

1950 წლის ზაფხულში გამოვიკვლიეთ და შევისწავლეთ მთლიანად გუდაუთისა და ნაწილობრივ გაგრის რაიონის ტიპიური აფხაზური სოფლები — როგორც ზღვის სანაპირო ზოლის, ისე მთის სოფლებიც.

მეორე მოგზაურობის ჩატარება მხოლოდ ორი წლის შემდეგ —1952 წელს შევძელით; ამ მოგზაურობის დროს გამოვიკვლიეთ და შევისწავლეთ მთლიანად სოხუმის რაიონის ტიპიური სოფლები — ახლომდებარე სოფლებიდან: ბესლეთი, კელასური, ბირცხი, ყუმა-აჩადარა, გუმისთა და სხვ.; მაჰარწყალისა და კოდორის ხეობის მაღალი მთის ზონის სოფლებიდან: წებელდა, ჩხალთა, აჟარა, ბრამა, ღვანდრა, ტვიბრაშელი და სხვ.

მესამე მოგზაურობა მოვაწყვეთ 1954 წელს გალისა და ოჩამჩირის რაიონებში. ამ მოგზაურობის დროს გალის რაიონიდან შემოვიარეთ და გამოვიკვლიეთ შემდეგი სოფლები: ოტობია, ოკვინორე, წარჩე, აჩიგვარა, ილორი, ოქუმი, ჰეზურხინჯი, პირველი გალი და სხვ. ხოლო ოჩამჩირის რაიონიდან: მოქვი, ბესლახუბა, არასაძიხი[3], აკუასკა, თამიში და სხვ.

ჩვენ მიერ აფხაზეთის ტერიტორიაზე თავმოყრილი მასალები ხალხური ხუროთმოძღვრების შესახებ შეიცავს დანაზომებს, ჩანახატებს, შესწავლილი ობიექტების აღწერებს, ფოტოსურათებს და ფოლკლორული სახის მასალას.

ზოგიერთი საკითხის დაზუსტების მიზნით 1959 წლის ივლისში მოეწყო ბოლო — მეოთხე მოგზაურობა.

ამ მოგზაურობის დროს პირველად აღიბეჭდა ფოტოფირზე სოფ. საკენის მახლობლად, მდ. კოდორისა და ნაჩვალის ხევის შესაყართან, მიკვლეული ხის ნაგებობათა უძველესი ნაშთების საინტერესო კონსტრუქციების ფრაგმენტები.

ასევე პირველად იქნა გამოკვლეული ამ მოგზაურობის დროს სოფ. საკენისა და გენწვიშის ძველი ხალხური საცხოვრებელი სახლების დღემდე უცნობ ტიპთა საყურადღებო ნიმუშები და სხვ. გარდა ამისა ექსპედიციის დროს შევკრიბეთ ზოგიერთი საინტერესო მასალა მდინარე მზიშის სათავესთან კლდეში გამოკვეთილი უძველესი მონასტრის, აგრეთვე მაღალი მთის ზონაში ალპურ საძოვრებზე ქვის უძველეს ნაგებობათა კედლების უხსნარო წყობის (მშრალი წყობის) ნაშთების შესახებ. და სხვა.

მოგზაურობის დროს მძიმე და რთული სამუშაოს შესრულება ძალზე შეგვიმსუბუქა ადგილობრივ მცხოვრებთა გულწრფელმა მხარდაჭერამ და ჩვენი საქმის სიყვარულმა. ისინი ნამდვილად არიან ჩვენი მრავალწლიანი მოგზაურობის გზამკვლევარები, მათი უანგარო დახმარებით შევძელით აფხაზეთის ტერიტორიაზე შეგვეგროვებინა ხალხური ხუროთმოძღვრების ამსახველი მდიდარი და მრავალფეროვანი მასალა, რომლის საფუძველზედაც დაიწერა წინამდებარე მონოგრაფია.

---

[1] ალ. ჰყონია, ჰიპოკრატეს ცნობანი კოლხიდელების შესახებ (470—376 წ.წ. ძვ. წ.), ისტორიული ნარკვევი ანუ ქრესტომათია. 1890 წ., გვ. 110.

[2] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ალ. ჰყონიასი, თბილისი, 1938 წ., გვ. 164—165.

[3] ასეთივე სახელწოდების ადგილი გვხვდება გაგრის რაიონშიც.

# გამოკვლეული ძეგლების დათარიღების საკითხისათვის

ამ წიგნში თავმოყრილია აფხაზეთის ძველი ხალხური ხუროთმოძღვრების საყურადღებო ძეგლები; აგრეთვე პირველყოფილი ხუროთმოძღვრული კატეგორიის უნიკალური ნიმუშები — მატერიალური კულტურის ისეთი ძეგლები, რომლებიც უშუალოდ გენეტიკურადაა დაკავშირებული სხვადასხვა სახის ხალხურ ძეგლებთან.

ამ ძეგლების ერთობლივი განხილვა საინტერესოა სამშენებლო ტექნიკის ისტორიის თვალსაზრისითაც, რადგან საშუალება გვეძლევა დავადგინოთ განმტკიცებული სამშენებლო ტრადიციების ძველისძველი ფესვები, რომლებიც ავსებენ ძველი ხალხური სამშენებლო ტექნიკის ისტორიული განვითარების საერთო სურათს.

ძველ ნაგებობათა ძეგლების შესწავლისათვის, ცხადია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ცალკეული ძეგლების დათარიღებას.

ქვემოთ განხილული ხალხური ძეგლების დათარიღების შესახებ არ მოგვეპოვება არც ეპიგრაფიკული ხასიათის მასალა და არც რაიმე ცნობა ლიტერატურულ წყაროებში. ამრიგად, ჩვენ მიერ ფიქსირებული ხალხური ძეგლები ან კიდევ სხვა სახის მონუმენტური ნაგებობანი საუკუნეების მანძილზე მრავალგზის აღდგენილ-სახეშეცვლილი და დაუთარიღებელი სახითაა მოღწეული დღემდე. ცხადია, ასეთი ძეგლების შესწავლა მრავალნაირ სიძნელესთან არის დაკავშირებული; ამის გამო საჭიროა ძეგლების ერთგვარი დაჯგუფება წარმოშობისა და დანიშნულების მიხედვით.

ჩვენ შევეცდებით, თითოეული ჯგუფი ძეგლებისა განვიხილოთ იმ საზოგადოებრივი ფორმაციის კანონზომიერ განვითარებასთან მჭიდრო კავშირში, რომლის წიაღშიაც აღმოცენდა და წარმოიშვა ძეგლის ესა თუ ის ტიპიური სახე.

უკანასკნელი პერიოდის მეცნიერულმა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანი ცხოვრობდა ჯერ კიდევ შორეულ წარსულში, ე. წ. პალეოლითის ხანაში. სოხუმის მახლობლად მდებარე გამოქვაბულ-სადგომებში აღმოჩენილია პირველყოფილ ადამიანთა კულტურის არსებობის საყურადღებო ნიშნები[1].

აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი გამოქვაბულები: ქვა-ჭარა, ამტყელი, ათაფი, მაგარა და სხვ. წარმოადგენენ პალეოლითის ხანის გამოქვაბულ-სადგომებს.

პირველყოფილი მოხეტიალე ადამიანისათვის ცხოვრების ხელსაყრელ პირობებს აფხაზეთის ზღვის სანაპირო ზოლში, უპირველეს ყოვლისა, ქმნიდა სუბტროპიკული კლიმატური პირობები და ადვილად მოსაპოვებელი საკვების სიუხვე[2].

პირველყოფილ ადამიანთა საზოგადოების თანდათანობითი კანონზომიერი განვითარების პროცესში თავი იჩინა საწარმოო ძალთა ზრდის აუცილებლობამ. ამ აუცილებლობიდან გამომდინარეობს პალეოლითიდან ნეოლითზე გადასვლა; დიდმნიშვნელოვანი ძვრები ნეოლითის ადამიანის ტექნიკაში იწყება მადნის გამოდნობის აღმოჩენით, ხოლო ამ ახალ ტექნიკას ადამიანი თანდათანობით მთლიანად გადაჰყავს ლითონის (სპილენძის) ფართოდ გამოყენების სტადიაში, ე. წ. ბრინჯაოს ხანაში.

ცნობილია, რომ ნეოლითური ხანის ადამიანის სამშენებლო ტექნიკისათვის საჭირო იარაღს ძირითადად წარმოადგენდა ხისტარიანი ქვის ჩაქუჩისა და ცულის რაღაც საშუალო სახეობა, რომლის საინტერესო ნიმუშები აღმოჩენილი იქნა სოხუმის მახლობლად (სურ. 3). ცხადია, ასეთი საწარმოო იარაღით მხოლოდ და მხოლოდ პრიმიტიული, დროებითი ქოხები (წნული კარვები) თუ აიგებოდა.

ჩვენი აზრით, წრიული მოხაზულობის წნული საცხოვრებ-



3. ქვის ჩაქუჩისა და ცულის ხის ტარზე დამაგრების პირველყოფილი სახეები (სოხუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მასალებიდან)

ლები ნეოლითური ხანისა და ბრინჯაოს ხანის მიჯნაზე უნდა იყოს წარმოშობილი, მათი მემკვიდრეობის გადმონაშთებს წარმოადგენენ ქვემოთ განხილული კოლხური ფაცხების განვითარებული ტიპიური სახეები.

ბრინჯაოს ტექნიკის ხანაში აფხაზეთის ბინადარი, რომელიც მაღლობებზე (გორებზე) ახერხებდა დასახლებას, ძირითადად მესაქონლეობას მისდევდა. ისინი ცხოვრობდნენ ცალკე საგვარეულო ჯგუფებად, ეს იყო ე. წ. აფხაზური „აულა“, რომელიც აერთიანებდა რამდენიმე ოჯახს, და წარმოადგენდა აფხაზურ „ატააცჩვას“. ამ ხანის უძველესი ტრადიციების გადმონაშთები უნდა იყოს ერთი გვარის რამდენიმე ოჯახის ერთი კარ-მიდამოს გარშემო დასახლების წესი.

აფხაზეთის ტერიტორიაზე მატერიალური კულტურის წინაისტორიული საფეხურების საინტერესო დამახასიათებელ საკულტო ნაგებობებს წარმოადგენენ ქვის დიდი ლოდებისაგან მშრალი წყობით აგებული ისეთი ძეგლები, როგორიცაა დოლმენები და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები, ე. წ. „აცანგვარები“; მრავალრიცხოვანი ასეთი ძეგლების წარმოშობა და მათი მშენებლობის პრაქტიკა აფხაზეთში იწყება

---

[1] С. Н. Замятнин. Палеолит Абхазии. Труды института Абхазской культуры, С. Х. Сухуми, 1937г.

[2] «В те далекие от нас времена, склоны ближайших к морю хребтов и предгорий, покрытых могучей растительностью, обладающих ровным и мягким субтропическим климатом, изобилующих животными и дичью, представляли собой местопребывание бродячих человеческих орд, передвигавшихся с места на место в поисках средств к существованию. Эти люди стояли на низкой ступени развития техники и культуры» (А. В. Фадеев, Что должен знать каждый об истории Абхазии, стр. 6).

ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში და გრძელდება ბრინჯაოს ტექნიკის პერიოდის მთელ მანძილზე.

ამრიგად, აფხაზეთის ტერიტორიაზე დღემდე კარგად არის მოღწეული პირველყოფილი გამოქვაბულ-ბინა-სადგომების, აცანგვარებისა და დოლმენების მრავალრიცხოვანი ნიმუშები. არქაული ძეგლების ეს ჯგუფი ქრონოლოგიურად აშკარად განეკუთვნება წინაისტორიული ხანის ე. წ. პირველყოფილთემური საზოგადოების პერიოდს.

გვაროვნული წყობილების დაშლის დღიდან ვიდრე მონათმფლობელურ წყობილებამდე აფხაზეთის მეზობელ ტომებს შორის, განსაკუთრებით ჩრდილოეთიდან (მომთაბარე ტომებთან), იწყება განუწყვეტელი თავდასხმები და ბრძოლები საძოვრებისა და საქონლის მითვისებისათვის; ამ დროიდან მოყოლებული გამუდმებული შეიარაღებული შეტაკებები გრძელდება ფეოდალური წყობილების დასასრულამდე და, როგორც გადმონაშთს, შემდეგ პერიოდშიაც ვხვდებით.

მეზობელ ტომებს შორის ასეთმა დამოკიდებულებამ აუცილებელი გახადა აფხაზეთის მაღალმთიან ადგილებში, ჩრდილოეთის მხრიდან შემოსული მტრებისაგან დასაცავად, ხისა და ქვითკირის პირველი თავდაცვითი ხასიათის გალავნებისა და საბრძოლო კოშკების აგება. ჯიხა-ოხორის, ანუ „აბაას" სახელწოდებითაა ცნობილი ადგილობრივ მოსახლეობაში მდ. მოქვის ხეობაში — სოფ. არასაძიხთან ჩვენამდე მცირედ შემორჩენილი ქვითკირის ნაგებობები.

ხის უძველეს ნაგებობათა ნაშთები, რომლებიც შემთხვევით იქნა აღმოჩენილი სოფ. საკენის მახლობლად, ღრმადაა მიწის ქვეშ მოქცეული. მისი დანიშნულებისა და კონსტრუქციული წყობის მიხედვით შეიძლება გამოითქვას აზრი, რომ ქრონოლოგიურად იგი „აბაას" დროინდელ თავდაცვით ნაგებობათა ჯგუფის ძეგლებს მიეკუთვნება.

„აფხაზეთის დიდი გალავანი" ქვითკირის უძველეს ნაგებობათა შორის აფხაზეთში ერთ-ერთ საყურადღებო ძეგლად ითვლება.

სპეციალური გამოკვლევებით მოპოვებული მასალების უკმარისობის გამო მისი აშენების პერიოდი არ არის დაზუსტებული.

პირველ ცნობებს ამ ვეებერთელა გალავნის შესახებ გვაწვდის პტოლემე, რომელიც მოღვაწეობდა ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნის მეორე ნახევრიდან III საუკუნის დასაწყისამდე. იგი იხსენიებს მას „ძლიერი კედლის" სახელწოდებით მდ. კორაქსის[1] მახლობლად, მაგრამ არაფერი აქვს ნათქვამი მისი აშენების თარიღის შესახებ.

ეს გალავანი მოხსენებული აქვს აგრეთვე VI საუკუნეში (ახ. წელთაღრიცხვით) სტეფანე ბიზანტიელს „კორაქსის კედლის" სახელწოდებით. საინტერესოა ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოფი კესარიელის (VI საუკუნე) ცნობა: იგი მოგვითხრობს, რომ ბიზანტიის იმპერიის დროს „კეისარმა იუსტინიანემ (527—565) ლაზიკაში ციმაგრე ააშენა, რომელსაც დაერქვა ლოსორიუმ და აგრეთვე ამავე მხარეს კლისურები შემოავლო კედლებით, რათა აქედან მტრები ლაზიკას არ „შესეოდნენ"[2]; პროკოფი კესარიელის მიერ მოხსენიებული „ლოსორიუმი" და „კლისურები" ეჭვი არ არის „კელასურის დიდი გალავნის" კომპლექსში შემავალი ნაგებობები უნდა იყოს.

[1] ძველი ბერძნები მდინარე კოდორს კორაქსს უწოდებენ.

[2] ა. ბერულავა, აფხაზეთის ისტორიული ადგილები, თბილისი, 1951 წ., გვ. 28.

საინტერესოა აგრეთვე ფრ. დიუბუას შეხედულება ამ ძეგლის დათარიღების შესახებ; მისი აზრით, ეს უზარმაზარი გალავანი აშენებული უნდა იყოს ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრე, დიოსკურიის რესპუბლიკის ჩრდილოეთიდან შემოსული მტრებისაგან დასაცავად[3].

ძვ. წ-ის VI საუკუნეში აფხაზეთის შავი ზღვის სანაპირო წარმოადგენდა ელადისა და შემდეგ რომის იმპერიის უძველეს კოლონიებს.

ელინელები თავიანთი ამ კოლონიების სამფლობელოს, განსაკუთრებით შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილს, უწოდებდნენ „კოლხიდას", რომელშიაც გარდა აფხაზეთისა, შედიოდა აგრეთვე მთელი დასავლეთ საქართველო.

წინამდებარე ნაშრომში მოტანილი გვაქვს ამ პერიოდის, ე. წ. ანტიკური ხანის მონუმენტური ნაგებობებისა და სხვა ნაკეთობათა ზოგიერთი საინტერესო ფრაგმენტი.

მჭიშის ქარაფიან-ფრიალო კლდეში გამოკვეთილი მონასტრის სენაკთა კომპლექსი ეკუთვნის აგრეთვე ძეგლთა იმ ჯგუფს, რომელსაც არავითარი ეპიგრაფიკული ხასიათის — უშუალოდ დამთარიღებელი ნიშნები არ გააჩნია; ამ ძეგლის დათარიღების შესახებ არც სამეცნიერო ლიტერატურულ წყაროებში არის ცნობილი რაიმე სარწმუნო მასალა; ასეთი მდგომარეობა, ცხადია, ართულებს ძეგლის შესწავლის საკითხს.

მჭიშის მონასტრის კლდეში ნაკვეთი კომპლექსი უნდა მივაკუთვნოთ გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოს, კერძოდ — განვითარებული ფეოდალიზმის პირველ პერიოდს (X—XII ს. ს.); ამ პერიოდს ეკუთვნის საერთოდ საქართველოში გამოქვაბულ ნაგებობათა სამშენებლო ხელოვნების წარმოშობისა და განვითარების ეტაპები.

გაერთიანებული საქართველოს სამეფოს დაცემის დღიდან, გვიანფეოდალიზმის პერიოდში, უკვე არავითარი პირობები არ არსებობდა კლდეში გამოქვაბულ საცხოვრებელთა დიდი მასშტაბის მშენებლობისათვის, ამიტომ ამ პერიოდშივე წყდება გამოქვაბულ ნაგებობათა მშენებლობის პრაქტიკაც[4].

ამრიგად, შეცდომა არ იქნება, თუ ამ პატარა მოცულობის ძეგლის აშენების პერიოდად მივიღებთ IX—X საუკუნეების ფარგლებს.

აფხაზეთის ხალხურ ხუროთმოძღვრებას, როგორც ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ განუყოფელ ნაწილს, გავლილი აქვს კანონზომიერი განვითარების ყველა ეტაპი. იგი საქართველოს ძველი სამშენებლო ხელოვნების მტკიცე ტექნიკურ ტრადიციებს ემყარება.

აფხაზეთის ხალხური ხუროთმოძღვრება ქვისა და ხის მასალების დამუშავების ნაირსახეობაშია ასახული. ძველი ხალხური ნაგებობები ძირითადად აქ ხის მასალით არის აგებული.

ქვის შენობებთან შედარებით ხის შენობების ნაკლებ გამძლეობისა გამო იშვიათად შევხვდებით ხის უძველეს ნაგებობებს, მაგრამ მიუხედავად ამისა აფხაზეთში დღემდე კიდევ საკმაოდ მოიპოვება ხალხური საცხოვრებელი, სამეურნეო და საკულტო დანიშნულების ძველი შენობების საყურადღებო ნიმუშები.

[3] Фр. Дюбуа. Путешествие вокруг Кавказа, том I, Сухуми, 1937 г., стр. 147.

[4] Г. Гаприндашвили. Пещерный ансамбль Вардзия. Тб., 1960 г., стр. 8.

აფხაზეთის ტერიტორიაზე მეტნაკლებად კარგად არის მოღწეული ჩვენ დრომდე XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის ხის ნაგებობები, რომლებიც კანონიერად ითვლებიან ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და უძველესი სამშენებლო ტრადიციების მემკვიდრეობის ძეგლებად.

აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობა თავისი მიწა-წყლის დასაცავად ერთი სულისკვეთებით იბრძოდა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ; ისინი ვერ ურიგდებოდნენ თურქთა ბატონობას და განუწყვეტელ სისხლისმღვრელ ბრძოლებს ეწეოდნენ; „აფხაზეთის მოსახლეობის ბრძოლა თურქი დამპყრობლების წინაღმდეგ განსაკუთრებით XVIII ს. მეორე ნახევრიდან გაძლიერდა“[1] და გაგრძელდა თითქმის XIX საუკუნის დასაწყისამდე.

თურქეთმა თავისი მრავალი წლის ბატონობის მანძილზე ვერ შეძლო ჩამოეგლიჯა საქართველოსაგან აფხაზეთის მიწა-წყალი, ვერ შეძლო საქართველოს ამ მხარეში ქართული ეროვნული კულტურის მოსპობა და განადგურება იმ სიძლიერით, როგორც ეს მოხდა აჭარისა და ახალციხის რაიონებში.

ისლამის სარწმუნოების გავრცელება აფხაზეთში უნიადაგო აღმოჩნდა ქრისტიანული სარწმუნოების გადასაგდებად; „ისლამი აქ უპირატესად ფეოდალებმა და სამთავრო ხალხმა აღიარეს, შარვაშიძეთა სახლი, რომელიც ქართული ფეოდალური საზოგადოების განუყოფელი წევრი იყო, მეტნაკლებად ფარულად ქრისტიანობდა. მშრომელი ხალხის დიდი ნაწილიც ქრისტიანობას შერჩენოდა“[2].

ასეთ ვითარებას ისიც ემატებოდა, რომ XVIII ს. მთელ მანძილზე, ვიდრე XIX საუკუნის დამდეგამდე, განუწყვეტელი იყო შინაფეოდალური აპაოხრებელი ომები და მის დასასრულს ბოლო არ უჩანდა; გამუდმებული შუღლი და მტრობა ჰქონდათ იმერეთის მეფეს, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრებს.

„აფხაზეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობის კალო მაშინ გაილეწა, როცა რუსეთის ჯარმა 1810 წელს სოხუმი დაიკავა“[3]. ამ დროიდან იწყება მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის განვითარება აფხაზეთში და ადგილობრივი მოსახლეობის ბრძოლა ამ კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ XVIII—XIX საუკუნეების მანძილზე აფხაზეთის სამთავროს ზემოხსენებული სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარების გამო ადგილობრივი მოსახლეობა გაღატაკების გზაზე იყო დამდგარი, რის გამოც, ცხადია, საქართველოს ამ მხარეში, განსაკუთრებით ხალხური ხუროთმოძღვრების დარგში, ახალი მნიშვნელოვანი თითქმის არაფერი შექმნილა. პირიქით, ხალხური შემოქმედებითი მოღვაწეობა, განსაკუთრებით სამშენებლო ხელოვნების დარგში, საგრძნობლად დაქვეითდა. ზოგიერთი ღირსშესანიშნავი საცხოვრებელი და სხვა დანიშნულების ნაგებობები ნგრევისა და განადგურების ობიექტები გახდა; ცეცხლმა შთანთქა აფხაზეთის საერისთავოს მრავალი სასახლე და მათ გარშემო შემოკრებილი საკულტო თუ სხვა დანიშნულების ძეგლები.

ის, რაც მეტ-ნაკლებად, დაახლოებით XVIII—XIX საუკუნეების ხალხურ ძეგლებად გვაქვს აღიარებული და განხილული, საბინაო და სამეურნეო ნაგებობების სახით, წარმოადგენენ ძველი ქართული სამშენებლო ტექნიკის მემკვიდრეობიდან მიღებული მტკიცე ტრადიციების გაგრძელებას; ვხვდებით აგრეთვე ზოგიერთი ძველი ხუროთმოძღვრული ფორმისა და კონსტრუქციის შედარებით განვითარებული სახით განმეორების მაგალითებს, რაც ქვემოთ, სათანადო ადგილებზე დაწვრილებით გვექნება გაშუქებული.

---

[1] ბერძენიშვილი, ვ. დონდუა და სხვ., საქართველოს ისტორია, ტ. 1, 1958 წ., გვ. 357.

[2] იქვე, გვ. 403.

[3] თ. სახოკია, მოგზაურობანი, 1950 წ., გვ. 306.

# თავი მეორე

## უძველეს ნაგებობათა ნაშთები და მოკლე ცნობები მათ შესახებ

### ბუნებრივი და ხელოვნური გამოქვაბული სადგომები

ვიდრე შევუდგებოდეთ უძველეს ნაგებობათა ზოგიერთი ნაშთის განხილვას, საჭიროდ ვთვლით რამდენიმე გვერდი დავუთმოთ ხელოვნურ ნაგებობათა მშენებლობის წინა პერიოდის დახასიათებას. მხედველობაში გვაქვს ის პერიოდი, როდესაც კულტურის დაბალ დონეზე მდგომი პირველყოფილი ადამიანი ბუნებრივ მზა გამოქვაბულებს იყენებს თავშესაფარად.

აფხაზეთის ტერიტორიაზე მრავალი საინტერესო ძეგლია შემორჩენილი როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური გამოქვაბული ნაგებობების სახით. დადასტურებულია, რომ პირველყოფილი ადამიანისათვის ყველაზე ხელსაყრელი იყო საცხოვრებელ თავშესაფარად ბუნებრივი, მზა გამოქვაბულების გამოყენება.

ასეთი გამოქვაბულების სადგომად გამოყენება, როგორც ცნობილია, მიეკუთვნება საზოგადოების განვითარების იმ საწყის ეტაპს, რომელიც მეცნიერებაში უძველესი ქვის ხანის სახელწოდებითაა ცნობილი (პალეოლითი).

ზოგიერთ მკვლევართა შორის დიდხანს იყო დამკვიდრებული ის აზრი, თითქოს საქართველოს არ გაუვლია ქვის ხანის პერიოდი და ამიტომაც მასთან დაკავშირებული ძეგლების არსებობაც საეჭვოდ იყო მიჩნეული; ეს გარემოება იმითაც იყო გამოწვეული, რომ არ არსებობდა ამ მიმართულებით არც ერთი მეცნიერული გამოკვლევა, რომელიც მოითხოვდა დიდი მასშტაბის არქეოლოგიური გათხრების ჩატარებას.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ქვის ხანის პირველყოფილი ადამიანის გამოქვაბულ-სადგომებისა და „შრომის იარაღების“ შესახებ საბჭოთა პერიოდამდე მეცნიერულად დასაბუთებული თითქმის არაფერი იყო ცნობილი.

პირველი დიდი გამოკვლევა, რომელმაც დაადასტურა უძველესი ქვის ხანის არსებობა საქართველოში, ეკუთვნის პროფ. გ. ნიორაძეს[1]. ამ დღიდან იწყება პალეოლითის პერიოდის ახალ-ახალი გამოკვლევებით გამდიდრება.

აფხაზეთის პალეოლითური ხანის ძეგლების შესწავლის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის არქეოლოგ ს. ნ. ზამიატნინს, რომელმაც 1934 წლიდან დაიწყო ამ ხანის ძეგლების შესწავლა; მან მდ. ენგურიდან ტუაფსემდე უძველესი ქვის ხანის უამრავი ძეგლი გამოავლინა, მათ შორის 33 ადგილმდებარეობა აფხაზეთის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი[2].

სანამ შევუდგებოდეთ აფხაზეთის პალეოლითის ადამიანის საცხოვრებელი გამოქვაბულ-სადგომების განხილვას, საჭიროდ ვთვლით გამოვარკვიოთ უძველესი საცხოვრებელი ზონები, რომელთა საზღვრების დადგენა მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანისათვის ხელმისაწვდომ ბუნებრივ-კლიმატურ და ტოპოგრაფიულ პირობებთან.

**საცხოვრებელი ზონების გამორკვევა.** ჩვენ მიერ შესწავლილ მასალებზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ აფხაზეთის ისტორიული მხარის უძველესი საცხოვრებელი ადგილების, ე. წ. საცხოვრებელი ზონების საზღვრები, რომელშიაც უცხოვრია ადამიანს უძველესი დროიდან.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, აფხაზეთის ტერიტორია ჩვენი დაყოფის მიხედვით შედგება სამი საცხოვრებელი ზონისაგან: 1. დროებითი საცხოვრებელი ზონა; 2. მუდმივი საცხოვრებელი ზონა და 3. დროებითი საცხოვრებელი ზონა (სურ. 2).

აფხაზეთი ჩრდილოეთიდან დაცულია ცივი ქარებისაგან კავკასიის მთავარი ქედით; მისი ტერიტორიის დაახლოებით 40% დაბლობებსა და მთისძირა ხელმისაწვდომ ბორცვებს უკავია. შავი ზღვის სანაპიროს ახლომდებარე დაბლობების უმეტესი ნაწილი დაფარული იყო ჭაობებით, რომელიც წარმოადგენდა კოლხეთის ისტორიულად დაჭაობიანებული ადგილების გაგრძელებას. ეს ჭაობები იწვევდა ტროპიკულ დაავადებებს და მუსრს ავლებდა ცოცხალ არსებას, რის გამოც

[1] გ. ნიორაძე, პალეოლითის ადამიანი დევის ხვრელში, თბილისი, 1933 წ.

[2] С. Н. Замятнин, Палеолит Абхазии. под редакцией акад. Н. Н. Мещанинова, ИАК. АН СССР. Сухуми, 1937 г.

პირველყოფილი ადამიანი, ცხადია, გაურბოდა ამ ადგილების გამოყენებას მუდმივ საცხოვრებლად და მხოლოდ ზოგჯერ თუ იქნებოდა მისი დროებითი ბინადარი, რის ნიშნებს დღესაც პოულობენ არქეოლოგები ამ ადგილებში.

ამრიგად, შავი ზღვის ეს სანაპირო ვიწრო ზოლი უძველესი დროიდან მხოლოდ დროებით-სეზონური საცხოვრებელი უბანი იყო კულტურის დაბალ დონეზე მდგომი ადამიანისათვის. ამიტომ საცხოვრებელ ზონებად ჩვენი დაყოფის მიხედვით მას პირობითად პირველ დროებით საცხოვრებელ ზონას ვუწოდებთ.

მეორე მხრივ, აფხაზეთის ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც ზღვის დონიდან 700 მეტრზე უფრო მაღლა მდებარეობდა, უღრანი ტყეებით დაფარული, სახიფათო ნაპრალებიანი, ზვავიანი ადგილები, რომლებიც დიდთოვლობის დროს რამდენიმე თვით მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს, მუდმივ საცხოვრებლად მოუხერხებელი და არა ხელსაყრელი იყო[1]. ამიტომ ეს ზონაც დროებით საცხოვრებელ ზონად გვაქვს აღიარებული.

ამრიგად, მხოლოდ ამ ორ დროებით საცხოვრებელ ზონებს შორის არსებული შედარებით ვრცელი არე — ბორცვები, ხეობათა ხელმისაწვდომი ფერდობები და მთის დავაკებული ადგილები ზღვის დონიდან დახლოებით 600—700 მეტრის სიმაღლემდე — უძველესი დროიდან წარმოადგენდა მეტად ხელსაყრელ მუდმივ საცხოვრებელ ზონას. მესამე საცხოვრებელი ზონა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აგრეთვე დროებით საცხოვრებელი ზონაა, იგი ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარეობს და მოქცეულია ალპურ ზონაში (სურ. 2).

მეორე უძველეს საცხოვრებელ ზონაში მოქცეულია ბზიფის, კოდორის, საკენის, მაჰარწყალის და ამტყელის ხევხეობათა ნაწილი; ისინი გეოლოგიურად კარგად არიან შესწავლილი და ცნობილია, რომ შედგება კირქვებისა და ალაგ-ალაგ გრანიტისაგან[2].

სწორედ ასეთი შემადგენლობის კლდეთა მასივებში ვხვდებით ბუნებრივი გამოქვაბულების ყოველგვარ სახეობას, კლდეთა შვერილებს, ან კიდევ ერთმხრივ დიდად გამოღიავებულ მცირე სიგრძის ფარდულ-გამოქვაბულებს, — ესაა პალეოლითის ადამიანის საცხოვრებელთა საყურადღებო ტიპები.

მეორე საცხოვრებელ ზონაში აღრიცხულია და გამოკვლეული მრავალი ასეთი საინტერესო ძეგლი, — აგრეთვე პირველყოფილ მცხოვრებთა თავშესაფრები.

**ბუნებრივი გამოქვაბულ-სადგომები.** ბუნების შემოქმედების ასეთ საყურადღებო ძეგლებად აფხაზეთში აღიარებულია შემდეგი გამოქვაბულ-სადგომები: ქვა-ჭარა[3], ამტყელი, ოთაფი ანუ აჩქითძგა ცნობილი აბრსკილის გამოქვაბული, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია მრავალი მითოლოგიური გადმოცემა.

ქვა-ჭარას გამოქვაბულის (სურ. 4) არქეოლოგიური გათხრები ჩატარებულ იქნა 1958 წ.; აღმოჩენილი იქნა უძველესი




4. ქვა-ჭარას გამოქვაბული (გეგმა და ჭრილები)

ქვის ხანის ინვენტარის მდიდარი კოლექცია. ამ კოლექციების შესწავლამ დაადასტურა, რომ აღნიშნულ გამოქვაბულში უცხოვრია პალეოლითის ადამიანს[4].

მეორე სახის ტიპიურ სადგომ გამოქვაბულს წარმოადგენს მდ. ამტყელის ხეობაში სოფ. ამტყელიდან ორი კილომეტრის დაშორებით მდებარე ე. წ. ამტყელის გამოქვაბული.

წინასწარი სადაზვერვო არქეოლოგიური მონაცემებით დადასტურებულია, რომ იგი უძველესი ქვის ხანის ადამიანს თავშესაფრად გამოუყენებია. აღნიშნული გამოქვაბული ხასიათდება უზარმაზარი შესავალი ხვრელით, რომლის სიმაღლე 15 მეტრია, განი — 19 მეტრი, ხოლო გამოქვაბულის სიგრძე 18 მეტრს არ აღემატება. ამ გამოქვაბულის ორიგინალობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი მოგვაგონებს უზარმაზარ ღია ფარდულს[5].

ასეთი ბუნებრივი გამოქვაბულ-თავშესაფრების მოკლე განხილვა საჭიროდ ვცანით და გამართლებულად მიგვაჩნია არა იმით, რომ მათი მზამზარეული გამოყენება პალეოლითის ადამიანის მიერ წარმოადგენს რაიმე ხუროთმოძღვრულ საწყის ეტაპს, არამედ იმით, რომ მათი მიკვლევა და ადგილმდებარეობის განსაზღვრა უპირველეს ყოვლისა საშუალებას გვაძლევს მათი გავრცელების არეების შესაბამისად გამოვიკვლიოთ და დავადგინოთ უძველესი საცხოვრებელი ზონები.

გარდა ამისა, ზემოხსენებულ გამოქვაბულთა ტიპების შესწავლის პროცესში გამოირკვა, რომ გვიან პერიოდში პალეოლითის ადამიანი გამოქვაბულის გარეთ ან შიგნით უკვე იწყებს მის გადაკეთებას თავდაცვის ან კიდევ „საცხოვრებლის" გაუმჯობესების მიზნით.

შეიძლება გამოითქვას აზრი, რომ გვიან პერიოდში გამოქვაბულთან მოგორებული შერჩეული ქვის ლოდების ერთიმეორეზე პრიმიტიულად დალაგების შემწეობით პალეოლითის ადამიანმა პირველი კედელი ამოიყვანა მშრალად შესავალ-ხვრელების „ამოსაშენებლად". ამრიგად, ეს ის მომენტია, როდესაც საფუძველი ჩაეყრება „პირველი სამშენებ-

---

[1] А. Фадеев, Краткий очерк истории Абхазии, часть первая Сухуми, 1934 г., стр. 26.

[2] ალ. ჯავახიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, ტ. 1. გეომორფოლოგია თბ., 1926 წ. გვ. 18.

[3] სახელწოდება ქვა-ჭარა მეგრულ დიალექტზე ნიშნავს ქვა-წერას (ნაწერი).

[4] Н. З. Бердзенишвили. Новые данные о палеолите Абхазии, Труды Абхазского института языка, литературы и истории, 1959 г., вып. XXX, стр. 166—167.

[5] იქვე, გვ. 169.

ლო ტექნიკის“ საწყის ეტაპს, რომელმაც შესაბამისად განვლო განვითარების სხვადასხვა საფეხურები.

დასასრულს საჭიროა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ პრიმიტიული „სამშენებლო ტექნიკის“ ამ ეტაპზე ზედმეტია ლაპარაკი რაიმე ეროვნულ ხუროთმოძღვრულ ფორმებზე; მაგრამ ერთი რამ ცხადია: ამ ეტაპზე დაგროვილი გამოცდილება და კონსტრუქციული ხერხები საფუძვლად დაედო არქაული ძეგლების — დოლმენებისა და ციკლოპურ ნაგებობათა მშენებლობის ხელოვნებას.

**მჭიშის ხელოვნური გამოქვაბულები.** მჭიშის მონასტრის კომპლექსი კლდეში ნაკვეთი ხელოვნური ნაგებობაა, რომელიც მდებარეობს გუდაუთის რაიონში — სოფ. ბლაბურხვასა და ოთხარას შორის მდ. მჭიშის (მჭიშთა) ხეობაში. იგი გუდაუთ-სოჭის მთავარი გზის მარჯვნივ მდებარე გადასახვევიდან დაახლოებით ხუთი კილომეტრითაა დაშორებული.

მჭიშის მონასტრის კლდეში ნაკვეთი ქვაბები უფლისციხისა და ვარძიის ტიპის გამოქვაბული ნაგებობებია. იგი, როგორც საკულტო დანიშნულების ხელოვნური გამოქვაბული, მდ. მჭიშის სათავესთან ალმართულ მიუდგომელ ქარაფოვან კლდეშია გამოკვეთილი.

რთული მდებარეობისა და მიუდგომელი მისასვლელების გამო მჭიშის ქვაბებში ჯერჯერობით ვერც ერთ მკვლევარს ვერ შეუღწევია; ასეთი გარემოება, ცხადია, ხელს უშლიდა ამ ძეგლის პოპულარიზაციას.

1879 წელს ამ ძეგლის შესახებ ზოგიერთი საინტერესო ცნობა მიუწოდებია ა. ნ. ვედენსკის არქეოლოგ ე. ი. ჩერნიავსკისათვის; ორი წლის შემდეგ ამ ცნობების დაზუსტების მიზნით ჩერნიავსკის გეოლოგ ი. პრენდელისა და მ. შერვაშიძის თანხლებით უცდია ახლა ხსენებულ ქვაბებში, მაგრამ, როგორც ჩანს ეს ცდა უშედეგოდ დამთავრებულა[1].

მჭიშის ქვაბთა კომპლექსი სამონასტრო დანიშნულებისათვის ყოფილა განკუთვნილი. მისი რვასართულიანი ფასადის სიმაღლე 30 მეტრს აღემატება, ხოლო განი 12 მეტრამდე აღწევს; მთელი კომპლექსი შედგება გამოქვაბულთა ორი ჯგუფისაგან: ქვედა და ზედა ქვაბთა ჯგუფებისაგან; ასეთი დაჯგუფება კლდის-ქარაფების მდებარეობით არის ნაკარნახევი (სურ. 5. )

გამოქვაბულთა ქვედა ჯგუფი ოთხ სართულად არის განლაგებული ოდნავ წინ გამოწეულ ქარაფში, ხოლო ზედა ჯგუფი ოთხ სართულადაა გამოკვეთილი უკანა ფრიალო ქარაფის სიბრტყეში.

ხსენებულ ქარაფებში არსებული ბუნებრივი შვერილები, ნიშაწალოები და წინა პლანზე განლაგებულ ქვაბთა დიდი ზომის ღიადები მთელი რვა სართულის სიმაღლეზე ამოშენე-



5. მჭიშის ხელოვნური გამოქვაბული. მონასტრის საერთო ხედი

[1] Труды V-го Архсологического съезда в Тифлисе, 1881 г., Москва, 1887г., стр. 254.

ბელია ქვის წყობით კირის ხსნარზე, ყოველ სართულზე დატანებული აქვს სხვადასხვა ზომის ორიგინალურად განლაგებული სასინათლო ხვრელები (სურ. 5).

მდ. მჭიში სათავეს იღებს მონასტრის მარჯვნივ 20—30 მეტრის დაშორებით მდებარე ბუნებრივი გამოქვაბულიდან, რომლის შიგნით მოთავსებულია ვრცელი ტბა. ამ ბუნებრივ დატბორილ გამოქვაბულთან დაკავშირებულია ერთი მეტად საინტერესო ხალხური გადმოცემა, რომლის მიხედვით მჭიშის მონასტრის საიდუმლო ასაძრომი ხვრელი სწორედ ამ დატბორილ გამოქვაბულში უნდა იყოს, რომელიც ზემოთ მიემართება მონასტრის ზედა იარუსების ქვაბებისაკენ.

ხალხური წყაროები მოგვითხრობენ აგრეთვე, რომ შიშიანობის დროს მჭიშის მონასტრის ქვაბებში ინახავდნენ ლიხნის, ბიჭვინთის და სხვა ტაძრების განძეულობას.

სოფ. ბლაბურხვის მცხ. 80 წლის განთქმული მონადირე ო. ბარციცი 1915 წ. ზემო მისადგომებიდან შესულა ზედა იარუსის ქვაბებში. მისი გადმოცემით ზედა იარუსის ქვაბები 36 განყოფილებისაგან შედგება. ასევე ცნობილია, რომ მ. შერვაშიძე ორჯერ შესულა ქვედა იარუსის ქვაბებში. ხოლო მესამედ იგი ასულა ა. ვედენსკის თხოვნით 1879 წ. მისი გადმოცემიდან ირკვევა, რომ ქვედა იარუსი შედგება 22 განყოფილებისაგან; ერთ-ერთ ასეთ სამლოცველო სენაკში მ. შერვაშიძემ იპოვნა — ვერცხლის კოვზი, ლითონის ჩხარები და კერამიკული ჭურჭლის ნატეხები[2]. ზოგიერთი საინტერესო ცნობა მოცემული აქვს აგრეთვე ნ. მ. ალბოვსაც, რომელიც ავსებს ზემოთ მოტანილ ცნობებს მჭიშის ქვაბებში შეღწევის საკითხის შესახებ[3]. ამრიგად, მოწმდება, რომ მჭიშის გამოქვაბული მონასტრის კომპლექსი დაახლოებით 60 განყოფილებისაგან უნდა შედგებოდეს.

მჭიშის გამოქვაბულ ნაგებობათა სახით ჩვენ საქმე გვაქვს საშუალო საუკუნეების საქართველოში გავრცელებულ კლდეთა გამოკვეთის უძველეს ხელოვნებასთან. დიდად საყურადღებოა აგრეთვე რთულ სამთო ვითარებაში მშენებლობის წარმოების ტექნიკა, — როგორც ირკვევა, ყოველგვარი სამშენი მასალა (ქვა, კირი და სხვ.) აზიდული უნდა იყოს საჰაეროსაბაგირო მექანიზმებით, რომლის უძველეს გადმონაშთებს დღესაც ვხვდებით ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების საგანძურში. აფხაზეთში მოპოვებული ამ სახის მასალის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

## არქაული ნაგებობები

**დოლმენი.** აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი ხანის ქვის ნაგებობათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დღემდე შემორჩენილი უზარმაზარი მონოლითური ქვაფილებისაგან უხსნაროდ აგებული ნაგებობანი, რომლებიც სამშენებლო ხელოვნების ადრინდელ ეტაპებს მიეკუთვნებიან.

ჯერ კიდევ დაბალი „სამშენებლო ტექნიკის" კვალობაზე ადამიანი პირველად აღწევს ქვის ნაგებობებში რთული კონსტრუქციული ამოცანის მარტივი ხერხით გადაწყვეტას: ქვაფილების მინიმალური რაოდენობით (ძირითადში ხუთი ცალით) ახერხებს წინასწარ დასახული გეგმით შიგა სივრცის შემოზღუდვას და მისი საერთო ასახულობის მონუმენტურ მასებში გადმოცემას (სურ. 6).

საერთოდ ცნობილია, რომ ასეთი ნაგებობები მეგალითური კულტურის ძეგლთა ჯგუფს განეკუთვნება და სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია „დოლმენების" სახელწოდებით, რომელიც „...როგორც ტერმინი პირველად ფრანგი მეცნიერის ბოდენის მიერ იქნა შემოღებული"[1].

აფხაზეთში დოლმენები გვხვდება ცალკეულ ჯგუფებად და გავრცელებულია მხოლოდ მეორე საცხოვრებელ ზონაში, რომელიც, ჩვენი დაყოფის მიხედვით, უძველეს მუდმივ საცხოვრებელ ზონას წარმოადგენს. იგი გავრცელებულია ქვით მდიდარ ადგილებში, განსაკუთრებით იქ, სადაც ადვილი მოსაპოვებელია სათანადო ბუნებრივი მონოლითური ქვაფილა-ბლოკები.




6 სოფ. ეშერის (კიურდერის) განათხარი დოლმენის გეგმა და ჭრილი (ბ. ა. კუფტინის მიხედვით)

---

[1] Е. Д. Фелицын, Западно-Кавказские дольмены, Материалы по арх. Кавказа. 1904г. вып. 13, стр. 1.

[2] В. И. Стражев, Рунная Абхазия, Известия Абхазского научного общества, 1925г., вып., I, стр. 136—138.

[3] Н. М. Альбов. Этнографические наблюдения в Абхазии «Живая старина». 1893 г. вып. III, стр. 328—329.

მიკვლეული დოლმენებიდან ყველაზე უკეთაა დაცული სოფ. ამტყელის ამავე სახელწოდების ტბასთან ახლო მდებარე დოლმენი; საინტერესოა აგრეთვე აზანთის დოლმენთა კომპლექსი, რომლის შესახებ მოკლე ცნობები პირველად გამოაქვეყნა ვ. ი. სტრაჟევმა 1926 წ.,[1] ასევე ცნობილია და შესწავლილი სოფ. ზემო ეშერისა და აჭანდარის დოლმენთა ჯგუფი.

აფხაზეთის დოლმენების მეცნიერული შესწავლა ფაქტიურად დაიწყო 1934--35 წლებში აკად. ი. ი. მეშჩანინოვის საერთო ხელმძღვანელობით[2].

აფხაზეთისა და საერთოდ კავკასიის დოლმენების მშენებლობის კულტურა მიეკუთვნება არა „ყობანურ" კულტურას, როგორც ადრე ფიქრობდნენ, „...არამედ თვით ამ კულტურის შემქმნელად უნდა სამართლიანად მივიჩნიოთ კოლხები და მას უნდა კოლხური კულტურის სახელწოდება მივანიჭოთ"[3].

დადგენილია, რომ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის დოლმენების მშენებლობის პერიოდი მიეკუთვნება დაახლოებით 4000 წლის წინა პერიოდს ჩვ. წელთაღრიცხვამდე, სადაც ბინადრობდა თანამედროვე მონათესავე ტომების წინაპრები· კოლხები, აფშილ-აბასგები (აფხაზები), ადიღები, ჩერქეზები, ყაბარდოელები და სხვ.

იმხანად ზემოხსენებულ ტომებში გამეფებული იყო ე. წ. ანიმისტური სარწმუნოება; ამ რელიგიის მიხედვით მიცვალებულს მიწაში არ მარხავდნენ, გაახვევდნენ ხარის ტყავში და დაჰკიდებდნენ საგვარეულო „წმიდა" ხეზე.

მიცვალებულის ასეთი „დასაფლავების" შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის აპოლონ როდოსელი[4]. მიცვალებულის გახრწნის შემდეგ დარჩენილი ძვლები რიტუალური ცერემონიით შეჰქონდათ დოლმენებში[5].

ლიტერატურული წყაროებიდან ცნობილია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე შემორჩენილ დოლმენებს ხალხი „ქონდრის კაცთა" ანუ „ჯუჯათა სახლებს" (სსუპუნს) უწოდებს[6]. დღემდე მხოლოდ ეს ტერმინი იყო ცნობილი, მაგრამ ბოლო ხანებში გამოირკვა, რომ ხალხურ მეტყველებაში დღემდე




7. სოფ. ეშერის (კიურდერეს) დოლმენების განლაგების სიტუაციური გეგმა

დაცულია აგრეთვე კიდევ ორი ფრიად საინტერესო ტერმინი - „მდიშყუდე" და „ოძვალე".

ამგვარად საგულისხმოა, რომ სამურზაყანოში და აბჟუას აფხაზეთშიაც დოლმენებს „მდიშ ყუდეს" ეძახიან. რაც მეგრულ დიალექტზე „დევის სახლს" ნიშნავს. ზოგიერთი კიდევ „ოძვალეს" უწოდებს; „ოძვალე" იგივე „საძვალეს" ნიშნავს: ეს უკანასკნელი ტერმინი მართლაც ზუსტად გამოხატავს აქაური დოლმენების დანიშნულებას, რომელშიაც „მარადის" ინახებოდა მათ წინაპართა ძვლები. ასევე საყურადღებოა, რომ დოლმენებს სოფ. კიურდერეს ზოგიერთი მკვიდრი „მალარას" ანუ „მალარიებს" ეძახის[7].

აფხაზეთის დოლმენები წარმოადგენენ სამარხი დოლმენების საინტერესო ტიპებს, მაგრამ „მათი ფორმა და გენეზისიც უნდა განვიხილოთ საცხოვრებელი არქიტექტურის განვითარებასთან დაკავშირებით (რაც მტკიცდება... ირლანდიის საცხოვრებელი დოლმენების მაგალითზე)[8].

აფხაზეთის დოლმენების[9] ჯგუფური განლაგება ტიპიური ხასიათისაა, მათში მინიატურული მასშტაბითაა მოცემული დაგეგმარების უძველესი პრინციპები. ჩვენი აზრით სწორედ



8. სოფ. ფშადის დოლმენის საერთო ახსახულობა (ე. დ. ფელიცინის მიხედვით)

---

[1] В. И. Стражев. К Азанскому дольмену, изв. Абхаз. Научного Общества, вып. IV, Сухуми, 1926г.

[2] აფხაზეთის ამ არქეოლოგიური ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ საბჭოთა კავშირის გამოჩენილი არქეოლოგები: ბ. ა. კუფტინი, ს. ნ. ზამიატნინი, ლ. ნ. სოლოვიევი, მ. მ. ივაშჩენკო და ა. ლ. ლუკინი.

[3]. პ. უშაკოვი, საქართველოს უძველესი ხალხები და უკანასკნელი წლების აღმოჩენები არქეოლოგიის დარგში, საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე, X, 1940 წ., გვ. 247.

[4] В. Латышев. Известия древних писателей греческих и латинских О Скифии и Кавказе, том I, вып. 2, 1893г. стр. 410.

[5] როგორც ირკვევა, მიცვალებულთა ხეზე ჩამოკიდების ტრადიცია კოლხეთის ტერიტორიაზე XVII საუკუნემდე ყოფილა შემორჩენილი, ვინაიდან მისიონერი არქანჯელო ლამბერტი დაახლოებით სამი საუკუნის წინათ წერდა, რომ „აფხაზებს აქვთ ერთი შესანიშნავი ჩვეულება, რომელიც სხვაგან არ მოიპოვება; სახელდობრ ის, რომ მიცვალებულებს როდი მარხავენ, არამედ ჰკიდებენ ხოლმე ხეზე შემდეგი წესით: გამოღარავენ ხის ღერს კუბოს მსგავსად, შიგ ჩასდებენ მიცვალებულს და ვაზის მაგარი ლერწმით ჩამოჰკიდებენ ხის წვერზე. ამავე ხეზე ჩამოჰკიდებენ ყველა იარაღს, რომელსაც მიცვალებული სიცოცხლეში საომრად ხმარობდა" (არქანჯელო ლამბერტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 168—169).

[6] А. Зотов, Легенда о дольменах в черноморской губернии. Известия Кавказского отдела императорского Русского географического общества. Тифлис. 1915 г. том XXIII, №1.

ლ. მელიქსეთ-ბეგი, მეგალითური კულტურა საქართველოში, თბ., 1938 წ.

[7] საგულისხმოა, რომ მესხეთში და ზემო აჭარაში სიტყვა „მალარას" გამოქვაბულის სინონიმად ხმარობენ.

[8] ირ. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია, თბილისი, 1955 წ., გვ. 17.

[9] აფხაზეთის დოლმენების შესახებ დაწვრ. ცნობები იხ. З. Анчабадзе. История и культура древней Абхазии. Москва 1964.

ეს პრინციპები წარმოადგენენ ხალხური ჯგუფური დასახლების უძველესი ტრადიციული დაგეგმარების საწყისებს, რაც მდგომარეობს რელიეფისა და გარემო პირობების მოხდენილ გამოყენებაში (სურ. 7).

სოფ. ეშერის ზემო დასახლების — კიურდერეს დოლმენები მიმართულია სამხრეთ-აღმოსავლეთით, ხოლო სოფ. ხაბიოს დოლმენები — სამხრეთით, რაც, ცხადია, გარკვეული წეს-ჩვეულებით უნდა იყოს ნაკარნახევი.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ამ უბნებზე თანამედროვე ხალხურ საცხოვრებელ სახლებსაც იგივე ორიენტაცია აქვთ, რაც აღნიშნულ დოლმენებს, — მიმართულია სამხრეთ-აღმოსავლეთით. ამ ფაქტებს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ სამარხი დოლმენების როგორც განლაგებას, ისე ორიენტაციას საფუძვლად უდევს იმდროინდელი დასახლების დაგეგმარების უძველესი ტრადიციები.

საერთოდ დოლმენები გეგმის მიხედვით გვხვდება ტრაპეციული, სწორკუთხოვანი და წრიული მოყვანილობის[1]. აფხაზეთში გავრცელებულია მხოლოდ ტრაპეციული და სწორკუთხოვანი გეგმის დოლმენები. ტრაპეციული გეგმა დომინირებულია სოფ. ეშერის — კიურდერეს დოლმენებში, სწორკუთხოვანი მოყვანილობისა კი სოფ. ხაბიოს დოლმენებში (ტაბ. 1,2).

ზოგიერთი დოლმენის გვერდის ქვაფილებზე ამოღარულია ნარიმანდი წინა და უკანა კედლების ქვაფილების ჩასამაგრებლად, რომლებიც ხის ნაშთიანი ჭდობის მსგავსად უხსნაროდ არის ჩაჭდარი, ზოგიერთში კი უნარიმანდოდ, პირდაპირ გრძივ კედლებს შორისაა უხსნაროდ ჩასმული (სურ. 6.).

გრძივი და განივი კედლების ერთმანეთთან დამაგრების კონსტრუქციული კვანძის ასეთმა ხერხმა განაპირობა დოლმენის გეგმაზე გრძივი კედლების წაგრძელება ორივე გვერდზე თანაბარი ზომის გამონაშვერების სახით; ამრიგად, გრძივი კედლების ასეთი გამონაშვერები ანუ ე. წ. ანტები დოლმენის გეგმაზე წინა კედლის გასწვრივ ქმნის ლოჯიისებურ „ღია აივნის" ჩანასახს. დოლმენის უმარტივეს კომპოზიციაში ხსენებული „ღია აივნის" ჩანასახი ერთ-ერთი ძირითადი საწყისი ხუროთმოძღვრული კომპონენტია და დამახასიათებელია აფხაზეთისა და დასავლეთ კავკასიის დოლმენებისათვის (სურ. 8, ტაბ. 1, 2).

სოფ. ხაბიოს დოლმენებს განვიხილავთ ჩვენ მიერ დაზომილი დოლმენების მაგალითზე. შესწავლილი დოლმენის აგებულებაში ყურადღებას იპყრობს ერთქანობიანი დოლმენური გადახურვის კონსტრუქცია, რომელიც ნაცვლად ერთი მონოლითური ქვაფილისა გადახურულია ორნაჭრიანი ქვაფილებით ისე, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები (ტაბ. 2, იხ. ჭრილი).

საზოგადოებრივი განვითარების პროცესში, როგორც ჩანს, დოლმენები განიცდიან დეგრადაციას და თანდათანობით იცვლება იმავე დანიშნულების, შედარებით მსუბუქი და მცირე ფორმის ნაგებობებით.

აფხაზეთის ზოგიერთ სოფელში დღესაც ვხვდებით ხისა და ქვის როტონდისმაგვარ მცირე ფორმის ფარდულებს, რომლებიც წარმოადგენენ „საიქაო" სახლებს, ე. წ. „საძვალე" ნაგებობებს. ისინი ზოგიერთ შემთხვევაში პატარა მასშტაბის ოდა-სახლის ფორმაზეა აგებული.

ხსენებული ხალხური „საძვალეები", მცირე მოცულობის ერთგანყოფილებიანი ფანჩატურისმაგვარი ხისა და ქვის ნაგებობების სახით, აქა-იქ კიდევ შემორჩენილია შემდეგ სოფლებში: ოქუმში, წარჩეში, აჩიგვარაში და სხვ., მათ შორის თავისი სიდიდითა და უნიკალობით გამოირჩევა სოფ. აჩიგვარაში დ. შონიას კარ-მიდამოზე არსებული ქვის ორსართულიანი „საძვალე" (სურ. 9).

პირველი სართული წარმოადგენს დოლმენისებური გეგმის დახშულ სათავსს, რომელსაც ხვრელის ნაცვლად აქვს ერთფრთიანი ვიწრო კარი. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მას აქვს ანტებს შორის შექმნილი ტიპიური აივანი, ისე როგორც ეს დოლმენურ ნაგებობებში გვაქვს ზემოთ აღწერილი.

როგორც ირკვევა, პირველი სართულის გეგმა არაფრით განსხვავდება აფხაზეთისა და საერთოდ დასავლეთ კავკასიის სწორკუთხოვანი მოყვანილობის გეგმის დოლმენებისაგან. ამრიგად, პირველი სართული არის ცხედართა ჩონჩხის „უკუნით დასაყუდებელი" განყოფილება (ტაბ. 3, იხ. პირველი სართულის გეგმა).

მეორე სართულის გეგმა წარმოადგენს ერთადერთ ვრცელ ოთახს, რომლის წინა კედლის გასწვრივ ოდა-სახლებში გავრცელებული ხუროთმოძღვრული სვეტებიანი ტიპიური აივანია მოწყობილი. კარ-ფანჯრებიც აივნის გასწვრივ მდებარე



9. სოფ. აჩიგვარა. დ. შონიას საოჯახო საძვალე — მავზოლეუმი

[1] გეგმაზე წრიული მოხაზულობის დოლმენი, როგორც უნიკალური ძეგლი, ჩვენ დრომდე შემორჩენილია მდ. ფსეკუპსას აუზში: რკალურად გამოთლილი 6 ქვა ერთმანეთთან მიჯრით დაყენებულია უხსნაროდ; В. М. Сысоев, Археологическая экскурсия по Закубанью в 1892 году, стр. 116.

კედლებში აქვს ოდის წესზე განლაგებული; ოთახის დანარჩენი სამი კედელი საგანგებოდ ყრუდაა დატოვებული. აღნიშნულ ყრუ კედლებსა და ტახტებზე გამოფენილია მიცვალებულთა რელიქვიები — მათი პორტრეტები, ტანსაცმელი და სხვ.

ამრიგად, პირველი სართული წარმოადგენს ნამდვილ სარკოფაგს, სადაც ამჟამად სამი ცხედრის ძვლები ასვენია. ხოლო მეორე სართული, როგორც ჩანს, მიცვალებულთა პირადი ნივთების საექსპოზიციო დარბაზია და ეთნოგრაფიული ხასიათის პატარა მუზეუმს მოგვაგონებს[1].

ერთი სიტყვით, ზემოხსენებული „საძვალე“, რომელსაც უძველესი დოლმენის დანიშნულება მემკვიდრეობით აქვს მიღებული, დღეს ნამდვილ საოჯახო მავზოლეუმს წარმოადგენს.

ზემოხსენებული მავზოლეუმ-საძვალის სახით საქმე გვაქვს არქაული პერიოდის, კერძოდ, დოლმენების დანიშნულების მქონე ახალი ტიპის თანამედროვე ნაგებობასთან, რომელიც ადგილობრივი ზნე-ჩვეულებისა და უძველესი სამშენებლო ტექნიკის ნიადაგზეა წარმოშობილი და განვითარებული თანამედროვე ხელოვნების დონემდე.

უძველესი საწესო ჩვეულებით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ აღნიშნული საძვალის ფასადის კომპოზიციური გადაწყვეტა მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ ოდა-სახლის ხუროთმოძღვრულ კომპოზიციასთან, რომელშიაც ამჟამად საძვალის პატრონის ოჯახის წევრები ცხოვრობენ. აქვე უნდა დავძინოთ, რომ მისი მთავარი ფასადი ხშირად მიმართულია იმ მხარეს, საითაც ძირითადი საცხოვრებელი ოდა-სახლის ფასადია. გარდა ამისა საძვალის აივანი ოდა-სახლის ხუროთმოძღვრული აივნის მოტივებითა და ელემენტებით არის დამუშავებული და მცირე ფორმებში (მასშტაბში) მისი ხუროთმოძღვრული განმეორებაა.

ერთი სიტყვით მისი საერთო ასახულობა პატარა ოდა-სახლის შთაბეჭდილებას ქმნის. დ. შონიას ოდა-სახლისა და „საძვალეს“ ფასადების დამუშავება მოკლებულია ხალხური ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელ სინატიფეს. მათში ჭარბობს ქალაქის ხუროთმოძღვრების ზეგავლენით გამოწვეული შეუფერებელი ტლანქი ელემენტები, ისევე, როგორც ეს საერთოდ ახასიათებს მეორე სამამულო ომის შემდეგ ხალხური საცხოვრებელი სახლების მასიურ მშენებლობას მთელ აფხაზეთში, რის შესახებაც ქვემოთ დაწვრილებით გვექნება საუბარი (სურ. 9, ტაბ. 3).

როგორც ირკვევა, აფხაზეთის ტერიტორიაზე ქვის ნაგებობათა მშენებლობის ისტორია იწყება დოლმენურ ნაგებობათა მშენებლობის ტექნიკით.

როდესაც ვლაპარაკობთ დამუშავებული მონოლითური ერთნაჭრიანი უზარმაზარი ქვა-ლოდებით მშენებლობაზე, რომელთა წონა საშუალოდ 15—20 ტონას აღწევს, რაც ბევრად აღემატება თანამედროვე მშენებლობის ერთნაჭრიანი მსხვილი საკედლე ბლოკებისა და პანელების წონას, უნებლიეთ წარმოგვიდგება თანამედროვე ქარხნული წესით დამზადებული მძიმე ბლოკებითა და პანელებით მშენებლობის ტექნიკა, რომელთაც სხვადასხვა ტიპის თანამედროვე მძლავრი ამწეებით სწევენ.

სრულიად სამართლიანად გვებადება კითხვა, ძველ ხანაში (პალეოლითი და ნეოლითი,) როდესაც განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ადამიანი შეიარაღებული იყო მხოლოდ პრიმიტიულ სამშენებლო ტექნიკით, როგორ ახერხებდა იგი ასეთი დიდი წონის მონოლითურ ქვაფილოვანი ლოდების მოპოვებასა და გადატანას დანიშნულ ადგილამდე, ან კიდევ დოლმენურ ნაგებობათა კედლების შვეულ მდგომარეობაში დაყენებასა და გადახურვას?

ამ გიგანტურ ლოდოვან ქვა-ფილების გადასატანად საჭირო იყო დიდი ძალა, რომელიც საგვარეულო წყობილების კვალობაზე ადამიანთა კოლექტიური შრომის მოხერხებული ორგანიზაციის გარდა მოითხოვდა კიდევ რაღაც დამატებით მექანიკურ საშუალებებს; ასეთი მექანიკური საშუალება უნდა ყოფილიყო ისეთი „იარაღები“ და ხერხები, რომლებიც მიღებული იყო უძველესი დროიდან ეგვიპტესა და სხვა ქვეყნებში უზარმაზარი ობელისკების გადასატანად[2].

აფხაზეთის დოლმენურ ნაგებობათა მშენებლობისათვის საჭირო ლოდოვანი ქვა-ფილების გადატანა დანიშნულ ადგილამდე ძირითადად უნდა მომხდარიყო მორული ხის სავორავებით, ე. წ. „ჯანდრებით“; ქვაფილების საგორავებზე შეყენება და აწევ-დაწევა აუცილებლად ხდებოდა სხვადასხვა სახის ბერკეტებით, სახელდობრ — ბრტყელ-გაბძული, ანუ ე. წ. მიჯრილი ბერკეტებით, რომლებიც მორებისაგან შეკრულ მძლავრ სისტემას წარმოადგენენ. ასევე გამოყენებული იყო ხელოვნურად დაკიბული ტერასები და მიწაყრილებით მოწყობილი ქანობები ქვების გადასაადგილებლად ან ასაწევად.

**ცანების ქვის ნაგებობათა ნაშთები.** აფხაზეთის ტერიტო-




10. აცანგვარის საერთო ხედი (გეგმა და ქვის მშრალი წყობის კედლის ფრაგმენტი (ი. მ. ივაშჩენკოს მიხედვით)

---

[1] მიცვალებულთა პირადი ნივთებიდან აქ ნახავთ ვერცხლის ქარქაშიან ხანჯლებსა და ხმალს, უნიკალურ სანადირო თოფებს, განუმეორებელი ოსტატობითა და ხელოვნებით შესრულებულ ცხენის მოსართავებს, უნაგირს, ძველებურ დამბაჩას, ხელნაქარგ ნიმუშებს, ბრჭყვიალა ფერებით მოხატულ ხალიჩა-ფარდაგებს, კოლხური ხოხბისა და ლამაზ ფრინველთა ფიტულებს და სხვა წვრილმან ნივთებს.

[2] О. Шуази, История архитектуры, Москва, 1935г., стр. 24—25.

რიაზე ვხვდებით კიდევ ერთ მეტად საინტერესო არქაულ ძეგლს, რომელსაც მკვიდრი მოსახლეობა „აცანგვარას“, ანუ „აწანგვარას“ ეძახის; სამეცნიერო ლიტერატურაში იგი ცნობილია „ცანიგვარას“ სახელწოდებითაც; ზოგიერთი ავტორი კი მას „ჯუჯათა გალავანის“ სახელწოდებით იხსენიებს.

ვიდრე შევუდგებოდეთ აღნიშნული ძეგლების განხილვას, საჭიროდ ვთვლით შევეხოთ ამ ძეგლთა სახელწოდების დაზუსტების საკითხს. აღნიშნული ძეგლების ზემოხსენებულ სახელწოდებათა არსი მჭიდროდ არის დაკავშირებული ცნობილ ლეგენდასთან[1] ცანების შესახებ, რომელიც ჩვენს დრომდე შემონახულა აფხაზურ ფოლკლორში.

ამ ლეგენდაში მოხსენებულ სიტყვებს — „ა-ცანსა“ და „ა-გვარას“, ჯერ კიდევ 1913 წელს პირველად მიაქცია ყურადღება ნ. მარმა, რომელმაც გამოიკვლია ისინი მხოლოდ ფონეტიკური თვალსაზრისით.

აფხაზურ დიალექტზე ლეგენდაში მოხსენებული „აცანგვარა“ — ამ ნაგებობის სახელწოდებაა, და ორი სიტყვის „a — tan“-ისა და „a-gwara“-ს კომპოზიტს წარმოადგენს.

ნ. მარს, მართალია, არ უნახავს ეს ნაგებობები (აცანგვარები), მაგრამ ეს სახელწოდება ლინგვისტური გაგებით შემდეგნაირად აქვს დაზუსტებული — „Цанская ограда или ограда цанов“[2]. რაც შეეხება სახელწოდებას „ჯუჯათა გალავანს“ — მას არავითარი კავშირი არა აქვს სინამდვილესთან, ის მხოლოდ ხალხურ გადმოცემებშია ლეგენდის დამახასიათებელი გაზვიადებით მოხსენებული.

საკითხავია, ვინ იყვნენ ცანები, რომელთა მშენებლობის უნიკალური ნაშთები დღესაც დიდ ინტერესს იწვევს? აქვს თუ არა ცანების არსებობას სინამდვილესთან რაიმე საერთო და თუ არსებობდნენ, აფხაზეთის ტერიტორიის რა ნაწილში უცხოვრიათ?

ცხადია ზემოჩამოთვლილი საკითხების გამორკვევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული ძეგლების დანიშნულების სწორად გაგებისათვის.

ცანების ირგვლივ არსებულ ლეგენდას სინამდვილესთან რაღაც საერთო აქვს, რაც უპირველეს ყოვლისა მდგომარეობს იმაში, რომ ცანები, როგორც ტომი, აფხაზეთის ტერიტორიაზე მართლა არსებობდა; გარდა ამისა, როგორც ლეგენდიდან ირკვევა, ისინი ცხოვრობდნენ მთებში და ჰყავდათ დიდძალი წვრილფეხა საქონელი[3].

„ზღვისპირა აფხაზეთის სექტორი ბზიბის მდინარიდან ვიდრე მდინარე ლაფსთამდე მე-16—19 საუკუნეებში ცნობილი იყო „ცანების“ თემის სახელწოდებით. აქ მოსახლე ტომს „ცანები“ ეწოდებოდა...

„ცანების“ თემის მეთაურ თავადთა გვარეულობა ატარებდა სახელწოდებას „ცაბ“...

მდინარეს, რომლის ხეობაში განფენილი იყო უმთავრესად მოსახლეობა დიდი „ცანების“ ტომისა და რომელი მდინარეც შეერთვის ზღვას ამ თემის ცენტრთან — „ცანდა“, ამჟამად ეწოდება „ცანდრიფშ“[4].

როგორც ირკვევა, „ცანები“ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ერთ-ერთი უძველესი ტომის სახელწოდებაა. „აცანგვარის“ ნაგებობათა ნაშთების გავრცელების არე, რომელიც ჩვენ მიერ შეგროვებული მასალის მიხედვით დგინდება, სწორედ იმ ადგილებს მოიცავს, სადაც უცხოვრია ზემოხსენებულ ტომს, ე. წ. „ცანებს“; როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ცან“ არის აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ერთ-ერთი უძველესი ტომის სახელწოდება. აფხაზურ დიალექტზე მას ემატება ცნობილი წინსართი — ნაწილაკი „ა“, საიდანაც მიღებულია „ა-ცან“; ასევე „ა-გვარა“ იმავე დიალექტზე სიტყვა სიტყვით ნიშნავს საქონლის სადგომად ღია ცის ქვეშ შემოზღუდულ ადგილს (საქონლის სადგომი ეზო).

ლიტერატურულ წყაროებში ამ საინტერესო ძეგლების შესახებ პირველი ცნობები მცირე მიმოხილვის სახით მოცემული აქვს ბოტანიკოს ნ. ალბოვს ჯერ კიდევ 1893 წელს. ალბოვი მას იხსენიებს „ცანი-გვარას“ სახელწოდებით; ასევე საყურადღებოა კ. ჰანის, მ. ივაშჩენკოს, ნ. კვეზერელი-კოპაძის და ც. ბჟანიას შრომები. უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული ავტორების ცნობები აღნიშნული ძეგლების შესახებ



11. აცანგვარის ნაშთები:
I ქუიანი (აცანგვარის კედლის ნანგრევების საერთო ხედი)
აცანგვარის გეგმები: II გუარაპი, III ლიხტო, IV აჩამ-ხუცარი, V ბგანიპა

[1] Х. С. Бгажба. Сказание о карликах ацанах, Абхазские сказки, Сухуми, 1959 г., стр. 13—14.

[2] Н. Я. Марр, О языке и истории Абхазов, Москва, 1938 г. стр. 70.

[3] Х. С. Бгажба, დასახელებული ნაშრომი, გვ. 15—16.

[4] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ. 1954 წ., გვ. 153.

აშკარად ეწინააღმდეგება ერთიმეორეს; კიდევ მეტიც. ზოგიერთი მათგანი სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველის ყურადღება გავამახვილოთ ამ საკითხის გასარკვევად.

როგორც ალბოვის გადმოცემიდან ჩანს, აღნიშნულ პრიმიტიულ ნაგებობათა ნაშთები მწყემსების მიერ უბრალოდ ქვისაგან უხსნაროდ აგებული გალავანია ნახირის სადგომად[1]. ჩვენი აზრით ეს ცნობა უფრო შეეფერება სინამდვილეს, ვიდრე სხვები. ი. ივაშჩენკო კი ამ ძეგლებს საკულტო ნაგებობებად თვლის[2] (სურ. 10).

სულ სხვა აზრს ანვითარებს ნ. კვეზერელი-კოპაძე: აღნიშნული „აცანგვარები“ მას მიაჩნია თოვლსაცავ და საგზაო დანიშნულების ნაგებობად; ეს ორიგინალური ნაგებობები მას წარმოდგენილი აქვს ზამთრის პერიოდში მგზავრთა თავშესაფრად[3]; მაგრამ ეს მტკიცება რამდენადმე საეჭვოდ მიგვაჩნია, რადგან, როგორც ცნობილია, ამ ნაგებობათა უმრავლესობა ალპური ზონის საძოვრებზეა განლაგებული და მაგისტრალურ გზებს არ უკავშირდება; გარდა ამისა, დიდ თოვლსა და ქარბუქში ეს ადგილები სრულიად მიუვალი ხდება.

აზრთა ეს სხვადასხვაობა ამ ძეგლების დანიშნულებისა და შენებულობის სტრუქტურის შესახებ სრულიად გააქარწყლეს უკანასკნელი პერიოდის გამოკვლევებმა.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს ც. ბჟანიას გამოკვლევა. იგი სისტემატურად აწარმოებდა ალპურ ზონაში „აცანგვარების“ ნაგებობათა ნაშთების ფიქსირებასა და შესწავლას. შეიძლება ითქვას, რომ ც. ბჟანიას, როგორც ეთნოგრაფს, თითქმის არ დარჩენია აფხაზეთის ტერიტორიაზე „აცანგვარების“ არც ერთი ჯგუფი, რომ გულმოდგინედ არ ჰქონოდეს შესწავლილი[4]. ხსენებული მკვლევარის რჩევით ჩვენ მიერ დათვალიერებული იქნა მთა ბგანიპას (სოფ. აჭანდარის მახლობლად), აჩამხახუცარის (სოფ. ოთხარისა და მდ. ბზიფის ხეობათა შორის), აგრეთვე გუარასპის, ლიხოტის, მარუხუს და ქუიანის ალპური ზონის „აცანგვარები“.

თითქმის ყოველ ზაფხულს, ალპური ზონის ამ ადგილებში შეხვდებით სხვადასხვა დარგის მკვლევარებს — ბოტანიკოსებს, გეოლოგებს, ეთნოგრაფებს, მესაქონლეობის სპეციალისტებს და სხვ., მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს ძეგლები არ ყოფილა მშენებლების-არქიტექტორების თვალით გასინჯული და შესწავლილი.

„აცანგვარის ნაგებობებს გარს შემოვლებული აქვს ოვალური მოყვანილობის ერთმანეთზე უხსნაროდ დალაგებული ქვის ზღუდე-გალავნები. ზღუდის შიგა სივრცე დაყოფილია რამდენიმე განყოფილებად, რომლებსაც იყენებდნენ საქონლის სადგომებად[5]. დღემდე შემორჩენილი ზღუდე-გალავნების სიმაღლე 70 სმ. აღწევს, სიგანე საშუალოდ 80 სმ., ასეთი ზღუდის შიგა სივრცე საშუალოდ 800—1000 კვ. მ. არ აღემატება.

მთელი რიგი ავტორებისა იზიარებდა იმ აზრს, თითქოს „აცანგვარის“ ნაგებობას გეგმაზე მხოლოდ და მხოლოდ წრეხაზის მოხაზულობა აქვს — სინამდვილეში ეს აზრი არ მოწმდება.

უმრავლესობა მათგანი სწორკუთხოვანი მოხაზულობის ანუ, უფრო სწორად, კვადრატთან მიახლოებულ გეგმას წარმოადგენს (სურ. 11). ამას ადასტურებს ადრინდელ მკვლევართა შორის კ. ჰანიც[6].

ავტორების უმრავლესობა ეყრდნობა მ. ივაშჩენკოს მოსაზრებას — თითქოს აცანგვარის „... ნაგებობას ვიწრო გასასვლელის სახით შესავალი მუდამ მოთავსებული აქვს აღმოსავლეთით“[7]. აცანგვარებში შესასვლელის აღმოსავლეთით მოწყობის ტრადიციას ივაშჩენკო საკულტო მოტივებით ხსნის.

სინამდვილეში შესასვლელები მოთავსებულია არა მარტო აღმოსავლეთით, არამედ დასავლეთით, სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით. ასე, რომ აცანგვარებში შესასვლელის მოწყობას საფუძვლად უდევს არა საკულტო წესები, არამედ დაგეგმარების წმინდა უტილიტარული მოთხოვნილებები —




12. სოფ. არახაძიხი. ჯიხა ოხორის („აპაა“-ს-ქვითკირის ნაშთები, შეჯგუფული დასახლების აღდგენილი გეგმები)

---

[1] Н. Альбов, Ботанико-географические исследования в западном Закавказье в 1893 году, стр. 144—145.

[2] М. М. Иващенко, Исследование архаических памятников материальной культуры в Абхазии, вып. 3, Тифлис, 1935г., стр. 79—80.

[3] Н. И. Квезерели-Копадзе, Дорожные сооружения древней Абхазии, Сухуми, 1955 г., стр. 14, 48.

[4] Ц. Н. Бжания, К вопросу изучения каменных построек Ацангвара, Сухуми, 1959г., стр. 91—100.

[5] ალპური საძოვრების ზონაში კოლმეურნე მწყემსები დღესაც იყენებენ ამ ზღუდეებს ზაფხულობით საქონლის სადგომად.

[6] К. Ган., Поездка в Мингрелию, Самурзак. и Абхаз., 1902 г, стр. 56.

[7] М. Иващенко, დასახელებული ნაშრომი, გვ. 79—80.

შესასვლელები მუდამ გაბატონებული ქარების საწინააღმდეგოდაა მოთავსებული (სურ. 11)[1].

როგორც ირკვევა, აცანგვარას ნაგებობათა კომპლექსი არის არა საკულტო და საგზაო დანიშნულების ნაგებობა, არამედ დაწინაურებული მესაქონლეობის მქონე „ცანების“ სეზონური ხასიათის (საზაფხულო) სამეურნეო დანიშნულების დროებითი ბინები ალპურ საძოვრებზე.

თავისი საწყისი ფორმებითა და დანიშნულებით აცანგვარის კომპლექსი შეიძლება შევადაროთ აჭარის ალპურ ზონაში საზაფხულო საძოვრებზე არსებულ იაილებს ხის მორული ზღუდე-გალავნებითა და დროებითი საცხოვრებლებით[2]. მესაქონლეობასთან დაკავშირებით მსგავსი ტრადიციები მოწმდება აგრეთვე სამეგრელოში, გურიაში, საინგილოსა და საქართველოს მთიანეთში.

მსგავსი პარალელები არსებობენ აგრეთვე ევროპის სამხრეთ ალპურ ზონაში, ე. წ. „Sennhütten“-ების სახელწოდებით და სხვ.[3].

რა შეიძლება ითქვას ამ ძეგლების შესახებ? პირველყოვლისა სადღეისოდ ამ ძეგლებს არავითარი ხუროთმოძღვრული ღირებულება არა აქვთ.



13. სოფ. არასაძიხი. ჯიხა-ოხორის ნანგრევების საერთო ახახულობა

მათდამი ასეთი ცხოველი ინტერესი გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მასში გადმოცემულია გეგმარების უძველესი ტრადიციები და სამშენებლო ტექნიკის კონსერვატული ხერხები, სახელდობრ, ქვის კედლების მშრალი წყობით ამოყვანის წესები.

**ციხე-სახლის პროტოტიპები („ჯიხა-ოხორის“ ნაშთები).** მუდმივი საცხოვრებელი ზონის მაღალმთიანი ტყის მასივებითა და ნარ-ეკლებით დაფარულ სანახებში ადამიანის ყურადღებას ხშირად იქცევს უძველეს შენობათა ქვის კედლების ნანგრევები[4]; აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ნანგრევების ახლომახლო ხშირად წააწყდებით აგრეთვე ვაზის, ბროწეულის, ვაშლისა და სხვა ხეხილის გაველურებულ ჯიშებს.

აღნიშნული გარემოება იმით უნდა აიხსნას, რომ ეს ადგილები წარმოადგენენ უძველესი დროის ნამოსახლარებს.

როგორც ჩანს, აბორიგენული მოსახლეობა სხვადასხვა ავბედობის მიზეზით გადაშენდა, მათი კარ-მიდამოები და საცხოვრებელთა ნანგრევები დროთა ვითარებაში ტყით დაიფარა და გაუჩინარდა. სწორედ ამ უძველეს კარ-მიდამოთა ნაშთების, ნიშან-ადგილების არსებობაზე მეტყველებს დღემდე მოღწეული გატყიურებული ხეხილის არსებობაც.

მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ზოგიერთი ძეგლის იმ ჯგუფის განხილვაზე, რომლებსაც დღემდე მოუღწევიათ მდ. მოქვის სათავის სანახებში ქვითკირის უძველეს შენობათა ნაშთების სახით.

ჩვენ მიერ მიკვლეული ძეგლების ნაშთები მდებარეობს ოჩამჩირის რაიონის სოფ. არასაძიხში — ლაგვილავების უბანში[5].

პირველი შთაბეჭდილება ძალზე უფერული და უხალისოა, რადგანაც შორიდან ქვითკირის შენობის ერთი გადარჩენილი კედლის კუთხის გარდა არაფერი ჩანს; ხოლო იქვე, მოშორებით, მეორე შენობის 140 სანტ. სიმაღლის ქვითკირის კედლის კონტურიღაა დარჩენილი. ერთმანეთის პირდაპირ მდებარე კედლებში არსებული კარის ფორმადაკარგული გაგანიერებული ხვრელები წკნელისაგან მოწნული ღობითაა შევსებული; ამ სახით მიღებული გალავნის შიგნითა, კარგად დაცული სივრცე დღეს მშვენიერ საბოსტნედ არის გამოყენებული. ადვილი შესამჩნევია ზოგიერთი სხვა შენობის საძირკვლების არსებობაც.

აღნიშნულ ნაგებობათა ნაშთები ჯგუფურადაა განლაგებული პ. გ. ლაგვილავას ეზოს შესასვლელთან, მარცხნივ.

მეორე ჯგუფი ასეთივე ნაგებობებისა გახლაგებულია ს. ჩ. ლაგვილავას კარ-მიდამოს უკან, მარცხენა მხარეზე; იგი დაშორებულია ზემოხსენებულ ქვითკირის ნაგებობათა ჯგუფიდან დაახლოებით 400 მეტრით (სურ. 12).

ს. ჩ. ლაგვილავას კარ-მიდამოზე არსებული ქვითკირის შენობათა ნანგრევების ნაწილობრივ გასუფთავების შედეგად გამოვლინდა რამდენიმე შენობის მეტნაკლებად დაზიანებული კედლის კონტურები, მათ შორის ერთ-ერთი ნაგებობის

---

[1] ი. ადამია, მშრალი წყობის ქვის უძველეს ნაგებობათა ნაშთები აფხაზეთში, ვ. ი. ლენინის სახ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტ. შრომები, № 2 (95), თბ., 1964 წ.

[2] ი. ადამია, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, 1956 წ., გვ. 13—16.

[3] А. Филипсон, Европа, С.-Петербург, 1896г., стр. 163.

[4] ასეთი სახის ნანგრევებს ვხვდებით მდ. მოქვის ზემო დინების ხეობებიდან დაწყებული ვიდრე მდ. ბზიფის ზედა დინების ხეობათა მიღმა.

[5] სოფლის სახელწოდება „არასაძიხი“ აფხაზურ დიალექტზე ორი სიტყვის ნაწარმოებია—„არასა“—თხილი და „ძიხი“—ცივი წყალი; ასეთი სახელწოდების ადგილი ცნობილია გაგრის რაიონშიც იქ, სადაც „კლდის წყაროსთან“ ბუნებრივ გამოქვაბულში მოწყობილია წყალსაცავი, რომლიდანაც კურორტი ახალი გაგრა იღებს სასმელ წყალს.



**14. სოფ. ხაკუნი. ხის უძველეს ნაგებობათა ნაშთების განლაგების სქემა მდ. კოდორისა და ნაჩკალის ხევის შესართავთან**

კედლები, თითქმის ორი სართულის სიმაღლისა, კარგადაა მოღწეული (სურ. 13. ტაბ. 4).

მკვიდრი მოსახლეობა ამ ძეგლების ნაშთებს „აბაას", ანუ „აბაა-ვნის" უწოდებს, რაც აფხაზურ დიალექტზე „ქვითკირს" ან „ციხესაცხოვრებელს" ნიშნავს; სოფ. წარჩეს მცხ. 90 წლის ძ. ბენიას ახსოვს, რომ მისი წინაპრები ტყეებში არსებულ ამ შენობებს „დულაბიან სახლებს" ეძახდნენ და რომ ამ სახლებში „სულ ძველად ჯოგით მდიდარი მთიელები ცხოვრობდნენ".

სოფ. ბზიბის (გაგრის რ.) მცხ. 110 წლის დ. უ. ძაძბა და სოფ. არასაძიხის (ოჩამჩირის რ.) მცხ. აჯუკა გოგია ამ ნაგებობათა სახელწოდების შესახებ დაახლოებით ერთსა და იმავე ცნობებს გვაწვდიან: რომ ამ ნანგრევებისა არავინ არაფერი იცის, ეს არის „ჯიხა-ოხორის" ნანგრევები; ამ „ჯიხებში" ძველად შიშიანობის დროს ან კიდევ სისხლის აღების შემთხვევაში მთელი გვარეულობა აფარებდა თავს.

ს. ს. ლაგვილავას წინაპრებისაგან გაუგონია, რომ „ეს შენობები აუშენებიათ ბერძნებს ძველად საზღვრების დასაცავად, იმ დროს როცა „აფხაზეთის დიდი გალავანი" უშენებიათ"; ამრიგად, ხალხური გადმოცემები საერთოდ ამ ნაგებობებს თავდასაცავ შენობათა მნიშვნელობას ანიჭებს.

ხალხურ წყაროებს ძირითადად ერთსა და იმავე დასკვნამდე მივყავართ, სახელდობრ: დასტურდება, რომ ეს ნაგებობები არის მთიელ ტომთა უძველესი საცხოვრებელი „სახლ-ციხე" — საგვარეულო ოჯახის საიმედო საცხოვრებელი კომპლექსი.

როგორც გენერალური გეგმის რეკონსტრუქციიდან ირკვევა (სურ. 12). საქმე გვაქვს მეორე მუდმივ საცხოვრებელი ზონის საზღვრებში მოქცეულ უძველესი ტიპის ნასახლარებთან, სადაც დასახლების სისტემა უძველესი ხანიდან საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ჯგუფური დასახლების ხასიათისაა.

როგორც ჩვენ მიერ აღდგენილი სქემატური გეგმიდან ჩანს, საცხოვრებელი და სამეურნეო შენობები განლაგებულია უწესრიგოდ შეჯგუფებული სისტემის სახით (სურ. 12). ტიპიური ნაგებობები სწორკუთხოვანი მოხაზულობისაა. როგორც დღემდე მოღწეული ნაშთების დანაზომი მასალებიდან ირკვევა, მათი სივრცობრივი ფორმა და გეგმა ქვემოდან ზემოთ, სართულების მიხედვით, თანდათანობით ვიწროვდება და მკვეთრად შესამჩნევი ოთხწახნაგა პირამიდული მოყვანილობა აქვთ.

კერძოდ, აღნიშნული უძველესი ნაგებობა წარმოადგენს მხოლოდ ერთგანყოფილებიან ტიპიურ სადგომს, რომელიც გეგმაზე კვადრატის მოყვანილობისაა; ამ სადგომს პირველ სართულში სასინათლო ხვრელები არა აქვს, რაც გამოწვეული უნდა იყოს თავდაცვითი მოსაზრებით, ხოლო შესასვლელი დატანებული ყოფილა თავსა და ბოლოში, მოპირდაპირე კედლებში, მცირე ზომის საკარე ხვრელების სახით (ტაბ. 4).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ სისქე კედლისა, რომელიც აგებულია მცირე ზომის (25×30, 30×30 სმ) სწორკუთხოვანი ე. წ. „კაპარის" ქვებისაგან კირის ხსნარზე („a—kir")[1], 150 სმ-ს აღწევს.

კირის ხსნარის ინერტულ შემადგენელთა კონგლომერაციულობა და ხსნარის მოპარბებული ხმარების წესი კედლის წყობაში მეტყველებს აღნიშნულ ნაგებობათა სამშენებლო ტექნიკის არქაულობაზე.

ამ მოკლე მიმოხილვის შემდეგ საშუალება გვეძლევა გადავიდეთ ზემოხსენებული ზოგიერთი ზეპირგადმოცემითი სახელწოდების ახსნა-განმარტებაზე, სახელდობრ: დავუბრუნდეთ ისევ „ჯიხა-ოხორის" გაგების საკითხს.

„ჯიხა-ოხორი" ორი სიტყვის ნაწარმოებია (ჭანურ-მეგრული): „ჯიხა" ნიშნავს თავდაცვით ნაგებობას — იგივე „ციხე", ხოლო „ოხორი" ნიშნავს „სახლს"; „სახლი" და „ოხორი"



**15. სოფ. ხაკუნი. დაკიდებული უძველესი ხის ხიდის ბურჯის ფრაგმენტი**

[1] აღნიშნული კირქვების გეოლოგიური გავრცელების ზოლი იწყება მდ. რუხის წყლის სანაპიროდან ვიდრე სოჭამდე; ეს კირქვები დღესაც ხელმისაწვდომ იაფფასიან საკედლე მასალას წარმოადგენს.



10. დაკიდებული ხის ხიდი მდ. კოდორზე, რომელიც აკავშირებს სოფ. ხრამს სოფ. აჟარასთან

ჟამგადასული ტერმინებია, ადრინდელ ხანაში, როგორც ჩანს, ისინი სინონიმებად იხმარებოდა.

„...სახლი გულისხმობდა, როგორც ნაგებობას, ისე ნაგებობაში მცხოვრებ მოსახლეობას, ოჯახს და საგვარეულოსაც კი"[1]. „სახლი" და „ოხორი" შემდეგ იქცა ნაგებობის აღმნიშვნელ ტერმინებად.

„...ამიტომ გახდა შესაძლებელი, რომ „სახლი" ადამიანთა საცხოვრებელ შენობასაც დაერქვა და დღეს ხომ ეს ტერმინი უპირატესად სწორედ ამ მნიშვნელობით იხმარება[2].

გარდა ზეპირი წყაროებისა აფხაზეთის ტერიტორიაზე დღემდე უცნობი საცხოვრებელი კომპლექსი — ტიპიური „ციხე სახლების", ე. წ. „ჯიხა-ოხორის" არსებობა დამოწმებულია წერილობითი წყაროებითაც.

ჩვენ ხელთა გვაქვს მე-7 საუკუნის ერთი უაღრესად საყურადღებო წერილობითი ცნობა, რომელშიაც მოხსენებულია სოფ. მოქვის სანახებში არსებული ერთ-ერთი უძველესი ადგილის სახელწოდება „ჯიხახორა"; ამ ცნობის ავტორია მე-7 საუკუნის მოღვაწე თეოდოს განგრელი, რომელსაც ჯიხახორა მოხსენებული აქვს თავის „მოგონებებში", როდესაც აღწერს ლაზიკაში გადასახლებულ დასჯილ მონოთელიტთა ცხოვრებას.

ამრიგად, თეოდოს განგრელის ცნობით, ენაამოჭრილი, ხელებწაკვეთილი და ექსორიაქმნილი ეს მართლმადიდებელნი თრაკიიდან შემდეგ ლაზიკიაში გადაუსახლებიათ და დაუბინავებიათ „... იმ ციხეში, რომელსაც თესუმესი ეწოდება და, რომელიც მდებარეობს სოფ. მოქვის ზემოთ ქრისტესმოყვარე აბაზგებისა და ალანთა ტომის მახლობლად ხუთი სიმიის მანძილზე სოფ. ჯიხახორიდან. ესე იგი იმავე ლაზთა ქვეყნის ჭეშმარიტად ქრისტეს მოყვარე პატრიოკიოსისა და მაგისტროსის გრიგოლის პირველი სახლიდან"[3].

თეოდოს განგრელის ზემოხსენებული ცნობის საფუძველზე პ. ინგოროყვა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „აქ, სოფ. მოქვის სანახებში, მდებარეობდა ერთ-ერთი რეზიდენცია ლაზიკის მთავრის — პატრიკიოსისა. ამ რეზიდენციის სახელწოდება იყო „ჯიხა-ხორა"[4].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს სახელწოდება, ცხადია, „...ქართული წარმოშობისაა: ჯიხა-ხორა მეგრულ დიალექტზე სიტყვასიტყვით ნიშნავს „ციხე-სახლი"[5].

დასასრულს კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ამ ძეგლების სახით საქმე გვაქვს ტიპიური „ციხე-სახლის" პროტოტიპებთან „ჯიხა-ოხორის" სახელწოდებით, რაც დასტურდება როგორც ადგილობრივი ხალხური ზეპირწყაროებით, ისე საისტორიო წერილობითი წყაროებით და თვით ნაგებობათა ნივთიერი ნაშთების გრაფიკულ დანაზომ მასალათა ანალიზის მიხედვით.

**ხის უძველეს ნაგებობათა ნაშთები.** სოფ. საკენიდან ორი კილომეტრის დაშორებით მდ. კოდორისა და ნაჩვალის ხევის შესაყართან 1957 წ. გაზაფხულზე წყალდიდობის დროს (მეწყერის შედეგად) ჩამოქცეულა ხევის ციცაბო ნაპირის ნაწილი[6]. როგორც ადგილზე დათვალიერებამ გვაჩვენა, დაახლოებით 50 მეტრის სიმაღლესა და 80 მეტრის სიგანეზე შეუღლადაა ჩამოქცეული 90 ათასი კუბომეტრი მოცულობის კონგლომერაციული ნიადაგი.

სტიქიის მიერ ამ უზარმაზარი „არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების" შედეგად ბუნებრივად შექმნილი „გეოლოგური ჭრილის" დაახლოებით შუა ადგილას 20 მეტრის სიღრმეზე, უმნიშვნელო განსხვავებით სხვადასხვა დონეზე, აღმოჩნდა უძველესი ხის მორული სისტემის ნაგებობათა მთელი კომპლექსი (სურ. 14).

მეწყერი ისეთი დამანგრეველი ძალისა ყოფილა — თითქმის არც ერთი ნაგებობა არ გადარჩენილა ისე, რომ არ დაშლილიყო და შეიძლებოდეს მათი მოცულობითი ფორმისა ან გეგმის გადაწყვეტაზე მსჯელობა.

ერთადერთი, რაც შეგვიძლია, არის ის, რომ ზოგიერთი კონსტრუქციული კვანძის, ზედ შერჩენილი ფრაგმენტებისა და ქვემოთ ჩამოქცეული დაშლილი ცალკეული მორების მეშვეობით რეკონსტრუქციის წესით მთავარ ხაზებში აღვადგინოთ მისი ადრინდელი სახე.




17. ნაჩვალის ხევი (მდ. კოდორის ხეობა) კოშკური ნაგებობის მორული კედლის ფრაგმენტი (აღდგენილი კონსტრუქცია)

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბილისი, 1946 წ., გვ. 9.

[2] ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზმის გზაზე, თბ., 1937 წ., გვ. 1—2.

[3] თეოდოს განგრელის „მოგონებებიდან", გეორგიკა, IV, ნაკვეთი, 1, თბილისი, 1941 წ., გვ. 50.

[4] პ. ინგოროყვა, დასახელებ. ნაშრომი, გვ. 132.

[5] იქვე, გვ. 168.

[6] ეს ცნობა მოგვაწოდა 1957 წლის ზაფხულში, ზემოსვანეთის სოფ. ხაიშის მცხ. შოთა დავითიანმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

გადარჩენილი ფრაგმენტების მიხედვით დასტურდება, რომ სქემაზე აღნიშნული ობიექტები (სურ. 14) უნდა იყოს შემდეგი დანიშნულების უძველესი ნაგებობები: I და II — ჯიხური (მორებისაგან აგებული კოშკური ნაგებობა) III — მორული ნაგებობა (წისქვილისათვის) და IV — ერთმანეთზე შედგმული მორებისაგან შედგენილი საფეხურიანი კონსოლური ბურჯი (დაკიდებული ხიდისათვის).

ცხადია, ეს ნაგებობები დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ოდესღაც აქ არსებული ხიდის ნაგებობასთან, რომელიც, ეჭვი არ არის, მდებარეობდა მთავარ, მაგისტრალურ გზაზე. გზა აქედან გადიოდა იმიერ-კავკასიაში (ქლუხორში — კოლხორში); ღვანდრის (გვანდრა) მთის სანახებში დღესაც არსებობს დროთა ვითარებაში მივიწყებული ამ ისტორიული გზის ნიშნები.

შემთხვევით მიკვლეული ამ ხის ნაგებობათა ფრაგმენტებიდან ყურადღებას იქცევს მორებისაგან („ჯა-რგვალისაგან") შედგენილი უძველესი კონსტრუქციების განუმეორებელი გონებამახვილური გადაწყვეტა. ამ მხრივ საყურადღებოა ზემოხსენებული ხიდის ბურჯი (სურ. 14, IV და სურ. 15) და მორებისაგან კოშკის აგების უძველესი ხერხი.

აღნიშნული ყველა ნაგებობა ხისაა; გამოყენებულია როგორც წიწვიანი, ისე ფოთლოვანი ჯიშის მორები. დროთა ვითარებაში მიწის ქვეშ მოქცეული მორების მეტი ნაწილი თითქმის დენდროლითებად ქცეულა. გეოლოგების აზრით, ამ პროცესისათვის, განსაკუთრებულ პირობებში, რამდენიმე ათეული საუკუნე მაინცაა საჭირო.

ვიდრე შევუდგებოდეთ ჩვენ მიერ ხიდის ბურჯად მიჩნეული კონსტრუქციული კვანძის განხილვას, საჭიროა შევეხოთ ამ კონსტრუქციული კვანძის ამოცნობის საკითხს.

ისტორიული კოლხეთის მიწა-წყალზე გავრცელებული, ძველი, ხალხური დაკიდებული ხიდების მაგალითებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ეს უნიკალური მორული კონსტრუქცია მემკვიდრეობით უცვლელად მეორდება უძველესი დროიდან დღემდე.

მსგავსი კონსტრუქციული კვანძები, როგორც უძველესი კონსერვატიული სამშენებლო ხერხის გადმონაშთები, დღესაც შემორჩენილია მთიანი აფხაზეთის შორეულ სოფლებში, ჩქარ მდინარეებზე გადასასვლელი დაკიდებული ხიდების კონსტრუქციებში, რომელთა სანაპირო ბურჯები ზედმიწევნითი განმეორებაა ჩვენ მიერ მიკვლეული მიწისქვეშ მოქცეული ბურჯის კონსტრუქციული სტრუქტურისა. დასამოწმებლად მოტანილი გვაქვს დაკიდებული ხიდის მხოლოდ ერთი ილუსტრაცია კოდორის ხეობიდან, რომელიც სოფ. ბრამას აკავშირებს სოფ. აჟარასთან (სურ. 15 შეადარეთ სურ. 16).

ამრიგად, ამ ორი სხვადასხვა პერიოდის კონსტრუქციული კვანძების შედარება საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ აზრი, რომ მიწის ქვეშ აღმოჩენილი მორული სისტემის ეს უძველესი კონსტრუქციული კვანძი უეჭველად ხიდის ბურჯია.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სოფ. ბრამასა და სოფ. აჟარას ეს საერთო ხალხური ხიდი ამ 30 წლის წინათ მდ. კოდორის ორივე ნაპირზე დარგული ცოცხალი ვაზის დაგრეხილ ღეროებზე ყოფილა დაკიდებული, ხოლო ზედ სასიარულოდ დაფენილი იყო წნული ლასტები. მსგავსი „ცოცხალი ხიდები" გავრცელებული იყო არა მარტო აფხაზეთში, არამედ სვანეთში, სამეგრელოში, გურიაში, აჭარაში და სხვ. ასეთ ხალხურ „ცოცხალ ხიდებს" დაწვრილებით აღწერენ ისეთი მკვლევარები, როგორიც არიან კ. დ. მაჭავარიანი, ალ. ცაგარელი, ა. ი სტოიანოვი, ნ. ი. კეზერელი-კოპაძე და სხვ.[1].

ამრიგად, თანამედროვე ლითონის ბაგირების მოვალეობას ასრულებდა საგანგებო ჯიშის ცოცხალი ვაზის დაგრეხილი ღეროები, რომელიც სამშენებლო დანიშნულებისათვის ყოფილა სათანადო ადგილებზე კულტივირებული. ასეთი დანიშნულების ვაზს სამეგრელოში „ტყარ-ბინეხს" და იმერეთში ძლევმლის ვაზს უწოდებენ. გურიასა და აჭარაში კი კრიკინა ვაზის სახელწოდებით იცნობენ. „ძლევამლი", „კრიკინა" და „უსურვაზიც" მოხსენებული აქვს თავის „სიტყვის კონაში" სულხან-საბა ორბელიანს[2].

ხსენებული ხიდის ბურჯი წიწვიანი ჯიშის (ნაძვი) 25 სმ. დიამეტრის მქონე მორებისაგან კონსოლური წესით ამოყვანილია საფეხურებად ისე, როგორც ეს სურ. 15-ზეა ნაჩვენები.

ამ კონსოლის სისტემის ურთიერთშემაკავშირებლად მხოლოდ ერთი მორია ზედა და ქვედა მორებს შორის განივად გადებული და ერთმანეთში მდაბიო ჭდობური წესითაა ჩამჯდარი.

კონსტრუქციის ასეთი აგებულების არსი განაპირობა მალის შემცირების ტექნიკურმა მოსაზრებამ; ამ რთული ამოცანის ორიგინალურ და მარტივ გადაწყვეტას ადვილად ახერხებს ხის დამუშავებაში დახელოვნებული ხალხური მშენებელი, რომლის უძველეს ნახელავსაც მოუღწევია ჩვენს დრომდე.

როგორც ზემოთ გვაქვს აღნიშნული, მეორე საინტერესო კონსტრუქციული კვანძია კოშკური ნაგებობის ნაწილობრივად გადარჩენილი კუთხის ფრაგმენტი (სურ. 17). როგორც მითითებული დანაზომი ნახაზიდან ჩანს, გადარჩენილია გარდიგარდმო მდებარე მთლიანი მორების მხოლოდ სამი რიგი, რომელთა შორის ორი მდებარეობს გრძივად და ერთიც განივადაა მათ შორის მოქცეული.

ჩამოქცეული მორების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საკედლედ შერჩეული მორების უმრავლესობა წაბლი და წიფელი უნდა იყოს, თუმცა რამდენიმე წიწვიანი ჯიშის მორიცაა შიგადაშიგ გარეული.

გადარჩენილი მორების დიამეტრი 30 სმ აღწევს, ქვემოთ დადებულის სიგრძე კი 6 მეტრს აღემატება. მორების ბოლო არ არის ერთ ზომაზე გადაჭრილი. მათ უმრავლესობას ბოლოში 8—10 სმ სიგანის უსწორმასწოროდ გამჭოლი ხვრელები აქვს ამოჭრილი[3].

გარდიგარდმოდ მდებარე მორების ბოლოები (ნაშთები) კედლის სიბრტყიდან მეტნაკლებობით 50 სმ არის გადმოშვერილი.

---

[1] К. Д. Мачавариани. Описательный путеводитель по гор. Сухуми и Сухумскому округу. Сухум, 1913 г., стр. 303; Ал. Цагарели, Из поездки в Закавказский край летом 1877 г., Журнал МНП за 1877г., XII, стр. 213—214, А. И. Стоянов. Путешествие по Сванетии, Записки Кавказск. Отдела РГО, X, вып. 2, Тифлис, 1876 г., стр. 456; Н. И. Кезерели-Копадзе. Грузинские народные переправы, Тбилиси, 1963 г., стр. 319—348.

[2] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949 წ.

[3] ხალხური გადმოცემით, ასეთი ხვრელები დიდტანიან მორებს მაშინ უკეთდება, როდესაც თითო-თითოდ არის ტყიდან გამოსაზიდი „დასაცურებელი" ან სხვა დანიშნულ ადგილამდე მისატანი. ამ ხვრელებში ვაცურიან „კრიკინას" ან „ცუნელის" წნელს, შემდეგ მიაბამენ ხარებგამბულ უღლის შუაში და ამ წესით მიათრევენ მშენებლობის ადგილამდე.

„მორების თრევით" მოტანის ამ წესს დღესაც მიმართავენ აფხაზეთისა და სამეგრელოს მთის სოფლებში. ამ ხერხს „ჭოლა" ანუ „ჭოლით მოტანა" ჰქვია, ხოლო ხვრელს — „ჭოლას ხვრელი".

საგულისხმოა, რომ ზემოხსენებული „ჯოლას ხვრელის“ გარდა ზოგიერთი მორის ნაშვერში შენობის კუთხესთან ამოჭრილია 10×8 სმ ზომის გამჭოლი ხვრელი ისე, როგორც ეს გეგმაზეა ნაჩვენები (სურ. 17).

ცხადია, შენობის ყველა კუთხესთან უნდა ყოფილიყო მოწყობილი ასეთი ხვრელები, რომლებშიაც ზემოდან, შენობის მთელ სიმაღლეზე შეეულად გაყრილი უნდა ყოფილიყო შემაუღლებელი ძელები, ან კიდევ ნაწილ-ნაწილ, რამდენიმე მორის ცალ-ცალკე ბლოკირების მიზნით.

აღწერილი კონსტრუქციის აგებულება საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ აზრი, რომ შეუღლების ასეთი ხერხი აუცილებელი იყო ამ სახის კოშკური ტიპის მორული სისტემის ნაგებობათა მდგრადობისათვის, რომელსაც ესოდენ დიდ ყურადღებას აქცევდნენ ჩვენი წინაპრები. სხვანაირად წარმოუდგენელია ასეთი მორული სისტემის ნაგებობის მდგრადობის საკითხის გადაწყვეტა მაშინ, როდესაც გარდიგარდმო მდებარე მორების შეხების ადგილი ღრმა ჭდობური ხერხებით არ ყოფილა ერთმანეთთან დაკავშირებული. ამრიგად, როგორც მოსალოდნელი იყო, მორები „ნახევარი ჩაჭრის“ წესით არ არის ერთმანეთში ჩამჯდარი, რის გამოც გარდიგარდმო მეჩხერად მდებარე მორებს შორის მთელი სიგრძის გაყოლებაზე იქმნება ღიადები, რომლებიც შევსებულია და გაჭექილი შედარებით მცირე დიამეტრის მორებითვე.

ცნობილია, რომ უძველესი კოლხური საცხოვრებელი სახლის — მორული სისტემის კედლის ამოყვანის მსგავსი კონსტრუქციული სქემის აღწერილობა მოცემული აქვს ანტიკური ხანის ავტორს — ვიტრუვიუსს[1].

კოლხური საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციული სტრუქტურის, მისი სივრცობრივი ფორმის რეკონსტრუქცია ვიტრუვიუსისეული აღწერილობის მიხედვით სხვადასხვა ავტორს სხვადასხვანაირად აქვს მოცემული, რაც გამოწვეულია ზოგიერთი ბუნდოვანი ადგილით ხსენებულ ანტიკურ ტექსტში.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ ზემოგანხილულ ნაჩვალის ხევის არქეოლოგიურ ძეგლებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს უძველესი მორული სისტემის ნაგებობათა კონსტრუქციული შედგენილობის დასადგენად.



8. სოფ. კელასური. აფხაზეთის დიდი გალავნის ზღვისპირა კოშკის საერთო ასახულობა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

## აფხაზეთის დიდი გალავანი და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ნაგებობა

აფხაზეთის ტერიტორიაზე ქვითკირის უძველეს ნაგებობათა შორის „აფხაზეთის დიდი გალავანი“ ერთ-ერთ საყურადღებო ძეგლად ითვლება. როგორც ზემოთ გვაქვს აღნიშნული, ამ ძეგლის დათარიღების თაობაზე მკვლევართა შორის ჯერ კიდევ არ არის დადგენილი საერთო აზრი.

ასეთი დანიშნულების გალავნები, რომლებიც უზარმაზარ ტერიტორიაზეა გადაჭიმული, მხარეთა დაცვის მიზანს ემსახურებოდა და საერთოდ ცნობილია სხვადასხვა ხალხში საზოგადოებრივ ფორმაციათა განვითარების ეტაპების შესაბამისად.

მათი მშენებლობის გავრცელების არე (ერთეულების სახით) მოიცავს ევრაზიის კონტინენტთა უზარმაზარ ტერიტორიას: დასავლეთ ევროპიდან — ცნობილი ისტორიული კედლის, რომის „Limes“-ით დაწყებული, ვიდრე აზიის აღმოსავლეთ კიდემდე — დამთავრებული „ჩინეთის დიდი კედლით“.

[1] Витрувий, Десять книг об архитектуре, т. I. пер. Ф. А. Петровского, М., 1936 г.



19. სოფ. კელასური. აფხაზეთის დიდი გალავნისა და ზღვისპირა კოშკის საერთო ხედი ზღვიდან (დიუბუას ჩანახატი)

საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე, ნანგრევების სახით, მოღწეულია ამგვარი საფორტიფიკაციო დანიშნულების ორი ძეგლი. ერთი მათგანი მდებარეობს საქართველოს ისტორიულ კარიბჭესთან — აღმოსავლეთით, საინგილოს ტერიტორიაზე, და ცნობილია „კავკასიის კედლის"[1] ანუ „ზაქათალას გრძელი კედლის" სახელწოდებით[2]; ხოლო მეორე ძეგლი, ნაკლებად შესწავლილი „აფხაზეთის დიდი კედელი", მდებარეობს საქართველოს დასავლეთ ნაწილში აფხაზეთის ტერიტორიაზე.

სოფ. კელასურის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზღვის პირას, ადამიანის ყურადღებას იპყრობს ცის ფონზე მკვეთრად გამოხატული ნახევრად დანგრეული უზარმაზარი კოშკური ნაგებობის საერთო ასახულობა (სურ. 18); იგი წარმოადგენდა „აფხაზეთის დიდი გალავნის" სისტემაში ჩართულ ნაგებობას, თავდაცვის მიზნით აგებულია მკვიდრი მოსახლეობის მიერ დიდი ზომის სპონდიოს ქვებით კირის ხსნარზე (ვარაუდობენ VI ს. ახ. წელთაღრიცხვით).

XIX საუკ. ორმოციან წლებში კოშკის კედლები თითქმის დაუზიანებლად ყოფილა შემონახული; მოტანილი ცნობა მოწმდება დიუბუას ჩანახატებით[3], სადაც ზღვის სანაპიროს გასწვრივ, სოფლის ძველი დასახლების სისტემაში, მარცხნივ გარკვევით მოჩანს თვალწარმტაც ლანდშაფტთან ერთად მაღალი კოშკის დაუზიანებელი კედლები და თვით კელასურის გალავნის ასახულობა (სურ. 19).

როგორც მითითებული სურათიდან ჩანს, კელასურის კედელი კლაკნილად მიჰყვება მთების როულ რელიეფს.

აღნიშნულ კოშკურ ნაგებობას გეგმაზე ტრაპეციული მოხაზულობა აქვს, მისი წინა კედლის მარცხენა და მარჯვენა კუთხე სრულიად მორღვეულია; კედლის სისქე 2 მეტრს აღემატება (ტაბ. 5).

დიუბუას აღწერილი აქვს გალავნის მიმართულება თანმიმდევრულად კელასურის კოშკიდან დაწყებული, ვიდრე მდ. ენგურამდე; იმხანად მოღწეული ნაშთების მიხედვით გალავნის სიგრძე 160 კმ უდრიდა[4].

დიუბუას მოგზაურობიდან 60 წლის შემდეგ პ. უვაროვამ შემოიარა გალავნის ეს ადგილები — იგი სავსებით იზიარებდა დიუბუას მოსაზრებებს ამ კედლის შესახებ[5].

„დიდი გალავნის" მიდამოებში დღემდე მოღწეული სიმაგრეთა ნაშთების მიხედვით ირკვევა, რომ გალავნის სისტემაში — ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე — კელასურის ზღვისპირა კოშკის გარდა ჩართული უნდა ყოფილიყო მრავალი სხვა საბრძოლო დანიშნულების ნაგებობაც, განსაკუთრებით სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებზე. 160 კმ მანძილზე გალავნის სისტემაში შემავალ ასეთ სტრატეგიულ ციხე-სიმაგრეებს ზეპირი წყაროები დაახლოებით 30-ზე მეტს ვარაუდობს, ეს ციხე-სიმაგრეები უშუალოდ ამ გალავანთან უნდა იყოს დაკავშირებული[6].

---

[1] ზ. ედილი, საინგილო, 1947 წ., გვ. 169—174.

[2] Е. А. Похомов, Закатальская длинная стена, Баку, 1950 г.

[3] Frédéric Dubois de Monpereus, Atlas, Rue des petits Augustins, № 5, Paris, 1843.

[4] Фр. Дюбуа де Монпере, Путешествие вокруг Кавказа, том I, Сухуми, 1937г., стр. 147.

[5] Граф. П. Уварова, Кавказ, Абхазия, Аджария, Шавшетия, Псховский участок, часть II, Москва, 1891 г., стр. 94.

[6] ი. ადამია, აფხაზეთის დიდი გალავნის ნაგებობათა კომპლექსი, ვ. ი. ლენინის სახ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის შრომები № 2 (95), თბ., 1964 წ.

# თავი მესამე

## აფხაზეთის ძველი სოფლის დაგეგმარებისა და განაშენიანების ზოგიერთი საკითხი

### უძველესი დასახლების წარმოშობის ზოგადი პირობები და ძირითადი სახეები

აფხაზეთის უძველესი დასახლების შესახებ არ მოგვეპოვება არავითარი გრაფიკული ხასიათის მასალა, არც ძველი და არც ახალი (თუნდაც რეკონსტრუქცია). არც ქართულ და უცხოურ საისტორიო წერილობით წყაროებშია მათ შესახებ რაიმე საყურადღებო ცნობები გადმოცემული.

სამწუხაროდ, არა მარტო აფხაზეთის, არამედ საერთოდ საქართველოს ტერიტორიაზე ბარისა და მთის უძველესი ისტორიული დასახლების შესწავლის საკითხი დასაწყის ფაზას არ გასცილებია; არა მარტო ხუროთმოძღვრული გაგებით, არამედ ისტორიულ-გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, დემოგრაფიული და სხვა თვალსაზრისით — ეს საკითხი დღემდე თითქმის სრულიად შეუსწავლელია და მკვლევართა ყურადღების მიღმაა დარჩენილი.

ამ უკანასკნელ ხანებში საქართველოს ტერიტორიაზე, უძველეს ნამოსახლ ადგილებზე ზედაპირული მასალების შეგროვებისა და მათი აღრიცხვის საფუძველზე საქ. მეც. აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტმა ნ. ბერძენიშვილის მეთაურობით დააყენა უძველესი ნამოსახლი ადგილების დიდი მასშტაბით გამოკვლევის საკითხი (მხედველობაშია გათხრითი არქეოლოგია); ასე რომ საქართველოს უძველესი მოსახლეობის ნაკვალევი და დასახლების გარკვეული სისტემები მოკლე ხანში „...სულ მთლად აღრიცხული გვექნება, ისტორიულ-გეოგრაფიულად შესწავლილი და არა ერთი მათგანი არქეოლოგიურად გათხრილ-გამოკვლეული“[1].

შემჩნეულია, რომ დასახლების სისტემათა დაგეგმარების საწყისი ტრადიციები, რომლებიც გადმონაშთების სახით საუკუნეთა სიღრმიდან განუწყვეტლივ მომდინარეობენ (როგორც კონსერვატული მეთოდები) მეორდებიან თითქმის უკანასკნელ დრომდე.

როგორც ირკვევა, დასახლების უძველესი სახეები საცხოვრებელი ზონების შესაბამისად არის განვითარებული. ძირითადად ვარჩევთ ბარისა და მთის დასახლების ფორმებს. თავისთავად აფხაზეთის უძველესი დასახლების ფორმა იყოფა ორ ჯგუფად: მუდმივი დასახლება (მეორე ზონა) და დროებითი ანუ სეზონური ხასიათის დასახლება (I და III ზონა). პირველი ზონის, ე. წ. ბარის დასახლების შესახებ, რომელიც შავი ზღვის სანაპირო ზოლს მოიცავს, ნივთიერი ხასიათის დღემდე მოღწეული ნაშთები ძალზე მცირეა.

ამ ადგილების ჭაობიანი და სუბტროპიკული კლიმატური პირობების გამო აბორიგენულ მოსახლეობას შეეძლო გამოეყენებინა იგი მხოლოდ დროებით — სეზონურად, დამახასიათებელი თბილი და უთოვლო ზამთრის პერიოდში; ამიტომ აქ აღმოჩენილი უძველესი ნამოსახლი ადგილების ნაშთები დროებითი ხასიათის ტიპიური დასახლებისა უნდა იყოს.

როგორც ზემოთ მიმოხილული მასალებიდან ირკვევა, აფხაზეთის ბუნებრივ გამოქვაბულ სადგომებში აღბეჭდილია პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების ნაკვალევი. ასეთ გამოქვაბულთა უმრავლესობა აფხაზეთში მოქცეულია მეორე საცხოვრებელი ზონის (მუდმ. საცხ. ზონა) ხეობათა კლდოვან მასივებში. ეს იყო ადამიანის მიერ უნებლიეთ, მაგრამ მისთვის მიზანშეწონილი საცხოვრებელი ადგილის არჩევის პირველი ჩანასახი.

სოციალური განვითარების კანონების გარდუვალი მოქმედების აუცილებლობამ ბუნებასთან ბრძოლის პროცესში თანდათანობით მოამზადა ნიადაგი, რათა ადამიანი გამოსულიყო ბუნებისაგან „წყალობით“ მიღებული მზა გამოქვაბული სადგომებიდან და დასახლებულიყო უკეთეს საცხოვრებელ ადგილებზე, ხელოვნურად აგებულ პრიმიტიულ საცხოვრებლებში.

გამოქვაბულიდან გამოსულ ადამიანთა ჯგუფი პირველად ჯგუფურადვე უნდა დასახლებულიყო; ეჭვი არ არის, პირველი დასახლება მთის ზონაში უნდა მომხდარიყო, ვინაიდან, როგორც ვიცით, სხვა ადგილი (არც პირველი და არც მესამე საცხოვრებელი ზონა), მკაცრი ბუნებრივი პირობების გამო არ იყო მისთვის ხელსაყრელი. ამასვე კარნახობდა შრომასაქმიანობის კოლექტიური ფორმა და გარეშე მტრებისაგან საერთო თავდაცვის მოთხოვნილებები. ასეთმა გარემოებამ წარმოშვა დასახლებული ადგილის გარშემო თავდაცვითი

[1] ნ. ბერძენიშვილი, ისტორიული გეოგრაფიისათვის, საქართველოს ისტ. გეოგრ. კრებული, 1, თბ., 1960 წ., გვ. 20.



20. უძველესი დასახლების სქემა ბუნებრივ ბორცვებზე (რეკონსტრუქცია ავტორის)

მნიშვნელობის დიდი შრომატევადიანი „სამშენებლო სამუშაოების“ ჩატარების აუცილებლობა. თავდაპირველად დასახლებული ბორცვების ან გორების გარშემო ჩნდება სხვადასხვა სახის ზღუდეები და განიერი თხრილები, რომლებიც ერთგვარი სიმაგრის მოვალეობას ასრულებდნენ.

ამ უძველეს ტრადიციაზე უნდა იყოს დაფუძნებული მდ. კოდორის, საკენის, ხაფსთის, მაჭარისწყლის, მჭიშის, მოქვისა და სხვა ხეობათა მთის სოფლების უმრავლესობა, რომლებიც ერთმანეთის დაშორებით ცალკეულ ბორცვებზეა განლაგებული უბნებად და რამდენიმე ოჯახი (სამიდან-ხუთამდე, ხშირად ერთი გვარი) ერთი კარ-მიდამოს გარშემოა დასახლებული. ამრიგად, უძველესი დასახლება პირველად იყო ჯგუფური ხასიათისა საგანგებოდ არჩეულ „საცხოვრებელ ბორცვებზე“ ან გორებზე.

საგანგებოდ არჩეულ „საცხოვრებელ ბორცვებზე“ შეჯგუფებული დასახლების ამ უძველეს სახეს თავისი პირველყოფილი ფორმითა და შინაარსით აფხაზეთის ტერიტორიაზე გადმონაშთების სახით თითქმის XVII—XVIII საუკუნემდე მოუღწევია.

მთის ზონაში ამ სახის დასახლების გავრცელების შესახებ ხელთა გვაქვს იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის დაკვირვებული თვალით ნახული წერილობითი ცნობა, რომლითაც მოწმდება, რომ „აფხაზები ქალაქებში და ციხეებში როდი ცხოვრობენ, არამედ შეიყრება ერთი გვარის ათი თუ ოცი ოჯახი, ამოირჩევენ რომელსამე მაღლობ ადგილს, გააშენებენ იქ კარგ, ისლით დახურულ ფაცხებს, შემოავლებენ ამორჩეულ ადგილს მაგარ ღობეს და ღრმა თხრილს. ღობეს და თხრილს იმიტომ აკეთებენ, რომ ეშინიათ თავდასხმისა“[1].

ჩვენ აქ ვიძლევით ზემოხსენებულ მაღლობ ადგილებზე უძველესი დასახლების რეკონსტრუქციის სქემას, რომლის დასადგენად გამოყენებული გვაქვს ძველი ხალხური კარ-მიდამოების ტიპები, როცა ერთი ეზოს გარშემო რამდენიმე ოჯახია ერთად დასახლებული; ეს ნივთიერი დანაშთი გრაფიკული მასალა შევსებულია და შეჯერებულია როგორც წერილობით, ისე ზეპირი წყაროების საინტერესო გადმოცემებით (სურ. 20).

ხალხურ წყაროებში დღემდე დაცული ყოფილა ერთი მე-

[1] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938 წ., გვ. 168.



21. ხელოვნურ საცხოვრებელ ბორცვებზე დროებითი (სეზონური) დასახლების სქემა (რეკონსტრუქცია ავტორის)

ტად საინტერესო გადმოცემა სამეგრელოს მთავრის სასახლის „ძველი ყაიდის“ ეზო-კარ-მიდამოს სიმაგრის შესახებ.

დადიანებს ძველად ბევრი „დოხორე“ (სასახლე) ჰქონიათ, მაგრამ ყველაზე „ძლიერი“ ყოფილა მანუჩარ დადიანის „დოხორე“ (სოფ. ჰკადუაშთან ახლოს); „დოხორე და სხვა შენობები ერთ დიდ მაღლობზე ყოფილა „წარმოდგმული“.

„დოხორეს“ უზარმაზარი ეზო-კარ-მიდამო ორ საჟენზე მეტი სიღრმისა და სიგანის დამბით (თხრილით) ყოფილა ირგვლივ შემორტყმული და თანაც ზედ მის გარშემო ძელის ზღუდით ყოფილა შემორაგული. „დაუპატიჟებელი სტუმარი“[1] იქ ვერასგზით ვერ შეაღწევდა, თუ „დოხორეს“ მცველები სახელდახელოდ ხიდს არ გაუდებდნენ. ვინც არ უნდა ყოფილიყო მომსვლელი, ეზოში მისი შემოყვანისთანავე ხიდიც თურმე მყისვე აიღებოდა (ასე ყოფილა ნაბრძანები)[2].

ეს ზეპირგადმოცემა იმით არის საყურადღებო, რომ მოცემულია გადმონაშთების სახით „საცხოვრებელი ბორცვების“ ტიპიური დასახლების სისტემაში არსებული უძველესი დაგეგმარების ელემენტები და ამ სახის დასახლების ინდივიდუალური განვითარების გზები.

როგორც ჩანს, სამოსახლო ბორცვები, ე. წ. გორები, ხუროთმოძღვრული გაგებით დასახლების ერთადერთ ფიზიკურ ფორმას წარმოადგენდა. ამ პერიოდისათვის სხვა ფორმა არ არსებობს; ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ როცა მესაქონლეობის წარმოებასთან ერთად მიწათმოქმედებაზე გადასვლამ, სამოსახლო ბორცვებზე თანდათანობით მოსახლეობის სიჭარბემ, და ამით გამოწვეულმა „ბორცვების“ გადატვირთვამ უკვე თავისთავად დააყენა დაბლობი ადგილების, განსაკუთრებით ზღვისპირა ჭაობიანი ადგილების სამეურნეო დანიშნულებისათვის დროებით გამოყენების საკითხი, სამოსახლო ბორცვების ხელოვნურად შექმნის აუცილებლობა (ბუნებრივი ბორცვების არსებობა აქ გამორიცხული იყო); მთის დასახლების ფორმა (სამოსახლოდ შერჩეული ბუნებრივი „გორები“), როგორც დასახლების ერთადერთი ფორმა, გადატანილი იქნა ბარის დროებითი დასახლების სისტემაში ხელოვნური „საცხოვრებელი ბორცვების“ მოწყობის სახით.

ჩვენს ყურადღებას იზიდავს ის გარემოება, რომ ბოლო ხანებში კოლხეთის დაჭაობებულ ადგილებში (სამეგრელოში — ნაოხვამუ, ნაჯიხური, გურიაში — ჭოგნარი და იმერეთში — საღორია) აღმოჩენილია ხელოვნურად მოწყობილ ბორცვებზე — ყორღანულ ბექობებზე დასახლების ძველთაძველი ტიპიური სახე[3]; დასახლების იდენტური ტიპები ხელოვნურად მოწყობილ „საცხოვრებელ ბორცვებზე“ აღმო-

[1] იგულისხმება სამტროდ მოსული ვინმე.

[2] მოთხრობილია იადო ადამიას მიერ 1956 წ. (ქ. ცხაკაია).

[3] ნ. ხოშტარია, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობანი და მათი შესწავლის პრობლემა, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VI, №6, 1945.

ჩენილი იქნა აგრეთვე აფხაზეთის ტერიტორიაზე — დაჭაობიანებულ ზღვის სანაპირო ზოლში.

როგორც მოწმდება, დასახლებისათვის ხელოვნური „საცხოვრებელი ბორცვის“ მოსაწყობად იქვე, ირგვლივ, ოვალურადაა მოთხრილი ეამრავი მიწა. ამრიგად, შუაგულში ხელოვნური „საცხოვრებელი ბორცვის“ შექმნასთან ერთად მის გარშემო წარმოიქმნება წყლით სავსე თხრილ-ჯებირები[1]. ეჭვი არ არის, საცხოვრებელი ბორცვების გარშემო არსებულ ამგვარ თხრილ-ჯებირებს იგივე თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა, რაც ბუნებრივი სამოსახლო ბორცვების შემთხვევაში იყო გამიზნული; გარდა ამისა, ასეთნაირი ხელოვნურად მოწყობილი დასახლებული „კუნძულის“ გარშემო მკვიდრ მაცხოვრებლებს საჭიროების შემთხვევაში შეეძლოთ ნავებითაც შემოევლოთ (სურ. 21).

ანტიკურ წერილობით წყაროებში დაცულია საინტერესო ცნობები ისტორიული კოლხეთის კლიმატურ-ბუნებრივი პირობებისა და ჭაობიან ადგილებში მკვიდრ მაცხოვრებელთა დასახლების შესახებ; ძველი საბერძნეთის გამოჩენილი მკურნალი ჰიპოკრატე მოგვითხრობს, რომ კოლხეთი „...არის ჭაობიანი, ცხელი, ნოტიო და შემოსილი ტყით. აქაური მკვიდრნი ცხოვრობენ ჭაობებში; წყალში აშენებენ სახლებს ხისას ან წკნელისას... ამ ქვეყანაში ბევრი არხია, შიგ უგდიათ მთლიანი ხისაგან გაკეთებული ნავები და ამ ნავებით შემოუვლიან გარშემო თავიანთ მამულებს“[2].

არავითარი კომენტარი არ უნდა იყოს საჭირო იმის დასამოწმებლად, რომ ჰიპოკრატეს აღწერილი აქვს ზემოხსენებულ კუნძულისებურ ხელოვნურ „საცხოვრებელ ბორცვებზე“ ტიპიური დასახლების უძველესი სახეები.

ჰიპოკრატეს ნახსენები „ბევრი არხი“ უთუოდ ხელოვნური „საცხოვრებელი ბორცვების“ გარშემო არსებული არხები უნდა იყოს; გარდა ამისა საფიქრებელია, რომ ერთი „საცხოვრებელი ბორცვი“ სხვა, მეზობლად მდებარე „საცხოვრებელ ბორცვებთან“ ასეთივე არხებით უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ხელოვნურ „საცხოვრებელ ბორცვებს“ შორის მიმოსვლაც ნავებით იქნებოდა შესაძლებელი (სურ. 21). ჩვენი აზრით, კოლხეთის ჭაობიან ადგილებში იმ დროისათვის არავითარი სხვა სახის არხები არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

როგორც ირკვევა, სამეგრელოსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე დასახლების გარშემო ღრმა თხრილებისა და ზღუდეების მოწყობა დაგეგმარების ერთ-ერთ უძველეს ელემენტს წარმოადგენს. უძველესი დასახლების ეს ტრადიციები გავრცელებული იყო როგორც მთის ზონაში, ისე დაბალ ზონაშიც (დროებითი საცხოვრ. ზონა).

რამდენიმე სიტყვით საჭიროა გავარკვიოთ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო სამოსახლო ბორცვებზე (გორებზე) საცხოვრებელი თუ სხვა დანიშნულების ნაგებობათა განლაგება.

როგორც ძველისძველი კარ-მიდამოების ხალხური დაგეგმარების წესებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, ზემოხსენებულ სამოსახლო ბორცვებზე შენობებისათვის შერჩეული უნდა ყოფილიყო დავაკებული ადგილები.



22. ერთი სახურავის ქვეშ გაერთიანებული იოკუტების მწკრივად განლაგებული ქოხები (ლ. მორგანის მიხედვით)

დავაკებული ადგილის წრიული ან ოვალური ეზოს ფართობი, რომელიც ბორცვის სივრცობრივ ფორმაზე იყო დამოკიდებული, წარმოადგენდა საერთო სარგებლობის დიდი ეზო-კარ-მიდამოს პირველ ჩანასახს, რომლის გარშემო, როგორც საფიქრებელია, მეტწილად განლაგებული უნდა ყოფილიყო წრიული მოყვანილობის ხელოვნური წნული ფაცხა-ხურვილები (კოლხური წოწოლა ფაცხები).

გამორიცხული არ არის ნაგებობათა სწორხაზობრივად ჩამწკრივებული განლაგებაც, რაც სხვადასხვა გარემოებით უნდა იყოს გამოწვეული; ამგვარი განლაგების გადმონაშთებია ერთ ეზო-კარ-მიდამოს გასწვრივ რამდენიმე ოჯახის (ხშირად ორი ან სამი ძმის) საცხოვრებელი და სხვა ნაგებობათა მწკრივული განლაგების შემთხვევებიც; იდენტური მაგალითები დამოწმებული გვაქვს სამეგრელოს, გურიისა და იმერეთის სინამდვილეში. სინქრონული პარალელებიდან მოტანილი გვაქვს აგრეთვე საკმაოდ მკაფიო ილუსტრაცია შეჯგუფული დასახლების სისტემიდან იოკუტების პრიმიტიული ქოხ-ბინების სწორხაზობრივად ჩამწკრივებული განლაგების სახით (სურ. 22).

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ პერიოდიდან იწყება დამახასიათებელი დიდი მასშტაბის მიწის სამუშაოები, როგორც მთაში — „დასავაკებლად“, ისე ბარში — „ხელოვნური სამოსახლო ბორცვების“ მოსაწყობად.

ამ პერიოდიდან უნდა იყოს დამკვიდრებული ძველი ქართული სამშენებლო ხელოვნების ჩამოყალიბების პროცესში უძველესი ტერმინები — „შანდაკი“ და „დავაკება“; ესენი, როგორც მოშანდაკების (მოვაკისების) შესატყვისი ტერმინები, მოხსენებულია ქართულ საისტორიო ლიტერატურულ წყაროებში, სახელდობრ გიორგი მერჩულეს თხზულებაში „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“[3] (X საუკ. ძეგლი). „დავაკება“, იგივე „შანდაკი“ მოხსენებულია აგრეთვე XVI ს. იადიგარ დაუდის საექიმო წიგნში, რომელშიაც მითითებულია, რომ საცხოვრებელი სახლი უნდა „...მაღალსა და შანდაკს ალაგს იყოს და ღრმასა ალაგებში არ იდგეს; სახლებისა და კედლების მოფარებით არ იყოს“[4].

ამრიგად, უძველესი დასახლების ძირითად სახეს წარმოადგენს ბორცვებზე (გორებზე) დასახლებული ერთი გვარის რამდენიმე ოჯახისაგან შემდგარი (ათი ან ოცი) შეჯგუფული დასახლების სისტემა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისინი

---

[1] Л. Н. Соловьев, Энеолитическое селище у Очемчирского порта в Абхазии, Материалы по истории Абхазии, Сборник I, вып. XV, 1939г., стр. 6—8.

[2] ალ. ჭყონია, ჰიპოკრატეს ცნობანი კოლხიდელების შესახებ (470—376 წ. ძვ. წ. ა.), ისტორიული ნარკვევი, 1890 წ., გვ. .110.

[3] გ. მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, პ. ინგოროყვას მიერ აღდგენილი დედანი, I, თბ., 1949, წ. გვ. ლგ.

[4] იადიგარ დაუდი, მედიცინა ძველ საქართველოში XVI ს., თბ., 1938.



28. სოფ. აბგარხუკ. შამხების საგვარეულო დასახლების უბანი, საერთო ხედი აღმოსავლეთიდან

ცხოვრობდნენ ცალკე საგვარეულო ჯგუფებად (ე. წ. აფხაზური „აულა"), რომელიც აერთიანებდა რამდენიმე ოჯახს და ქმნიდა აფხაზურ „ატააცჩვას".

მესაქონლეობის პარალელურად მიწათმოქმედებაზე გადასვლის პერიოდიდან უნდა დაწყებულიყო აგრეთვე საგვარეულო წყობილების ყაიდაზე მჭიდროდ დასახლებული „გორებიდან" ზოგიერთი ოჯახის განსახლება საერთო დასახლების სისტემიდან და ახალი სამოსახლო ადგილების არჩევაათვისება.

საზოგადოებრივი წყობილების სისტემაში თანდათანობით თავი იჩინა წოდებრივმა დაჯგუფებამ, რომელმაც გარკვეული ზეგავლენა მოახდინა მიწის განაწილებაზე და ახალი სისტემის დასახლების სტრუქტურაზე. ამ დროიდან იწყება გაფანტული (გაშლილი) დასახლების პირველი ჩანასახები და უძველესი შეჯგუფული დასახლების დიფერენციაცია, რომელსაც გვიან პერიოდში თან მოჰყვა მიწების დაქუცმაცება, ე. წ. პარცელებად დანაწილება.

ზემოთ განხილული უძველესი შეჯგუფებული დასახლების ტრადიციების გადმონაშთები თითქმის დღემდეა შემორჩენილი ხალხური დასახლების სისტემაში — იგი გავრცელებულია დროებითი დასახლების ზონაში, განსაკუთრებით მთაადგილებში, სამეურნეო დანიშნულების შეჯგუფულ ნაგებობათა სახით.

საყურადღებოა, რომ სამეურნეო დანიშნულების ასეთ სეზონურ დასახლებას სამეგრელოში „გოლას" — („გორას") ეძახიან[1], აჭარაში „თას" („იაილას"), და „ფერდას" („ყიშლას"), ქართლ-კახეთში—„მთას", ხოლო საინგილოში „ბინას"[2].

ეჭვი არ არის, აფხაზეთის ტერიტორიაზე მაღალი მთების ზონაში დღემდე მოღწეული სამეურნეო დანიშნულების სეზონური ხასიათის თავშესაფარ-ქოხბინები და ზემოგანხილულ აცანგვარულ ნაგებობათა განლაგების სტრუქტურა წარმოადგენენ აფხაზეთის უძველესი დასახლების პროტოტიპებს, რომლებშიაც გადმოცემულია მემკვიდრეობით მიღებული უძველესი დასახლების ადგილობრივი ტრადიციები[3].

ამით ვამთავრებთ ისტორიული აფხაზეთის უძველესი ტიპიური დასახლების პირველადი ფორმების აღმოცენების მოკლე ზოგად მიმოხილვას. უძველესი დასახლების ზემოხსენებული პირველი ჩანასახები, როგორც ქვემოთ დავინა-

---

[1] ი. ადამია, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება თბ., 1956, წ., გვ. 13.

[2] ზ. ედილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 134—135.

[3] მაღალი მთის დროებით საცხ. ზონაში ცნობილია სეზონური შეჯგუფული დასახლების შემდეგი ადგილები: აქატის, ბგაიხუს, ძიხვას, ჩამხაგვარას და სხვ.; მათ შორის ყურადღებას იქცევს საინტერესო ცნობა — აქატის მიდამოებში თეთრი საშენი მარმარილოს ლოდებისაგან ნაგები ზღუდეების შესახებ ...Дорога идет мимо большой, мраморной горы, весь путь в этом месте усыпан глыбами белого мрамора, причем другого камня здесь мало, так что в Ахате каменные ограды для телят большей частью делаются из глыб мрамора». (С. П. Басария, Нарзан на лугах (Шхапшдзе) и путь к нему, 1925г., стр. 123—124).

ხავთ, წარმოადგენენ აფხაზეთის ძველი სოფლის წარმოშობისა და განვითარების მკაფიო სათავეებს.

დასასრულს უნდა ითქვას, რომ ამ გადმონაშთების შესწავლას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, როგორც აწინდელი ვითარების სწორად გაგებისათვის, ისე მომავალში სათანადო მეცნიერული დასკვნების საფუძველზე თანამედროვე ხუროთმოძღვრების მოთხოვნილების შესაბამისად გადამუშავებული ეროვნული ფორმების ზომიერი გამოყენებისათვის.

## ძველი სოფლის დასახლების განვითარების ეტაპები და ძირითადი ტიპები

ისტორიული კოლხეთის (კერძოდ, აფხაზეთის) ტერიტორიაზე უძველესი და ახალი ხანის დასახლების საკითხებზე მუშაობამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ძველი ხალხური დასახლება საწყის სათავეებს იღებს უძველესი ხანის სიღრმიდან (დაბალი საფეხურიდან); ენგელსის კლასიფიკაციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი იწყება ველურობის უმაღლესი საფეხურიდან, მაშინ, როდესაც „ცეცხლი და ქვის ცული უკვე მეტწილად იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ადამიანმა გააკეთა მთლიანი ხისაგან ნავი, ხოლო ალაგ-ალაგ მორები და ფიცრები სახლის ასაშენებლად"[1]. ამ მიმართულებით გამოცდილების დაგროვებით ადამიანი თანდათან გზას იკაფავს ბარბაროსული პერიოდის უმაღლეს საფეხურამდე, ხოლო შემდეგ გადადის ცივილიზაციაში. როგორც ირკვევა, დასახლების განვითარებაში დიდი როლი ითამაშა ერთად დასახლების ინსტინქტმა — ერთი გვარის (შეიძლება — „გორის"), ჯგუფებად დასახლებამ.

დასახლების პირველი ჩანასახები, შეიძლება ითქვას, წარმოადგენენ პირველყოფილი ხუროთმოძღვრული კატეგორიის უნიკალურ ნიმუშებს.

ერთი გვარის სამი ან ოთხი ოჯახისაგან შემდგარი დასახლებული ადგილი, რომელიც სხვა გვარის ასეთივე დასახლებისაგან 10—15 კილომეტრით იყო დაშორებული, წარმოადგენდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ საცხოვრებელ ერთეულებს (უჯრედებს). დასახლების ასეთ სახეს უძველეს ფორმად ვთვლით; ხოლო ერთი გვარის რამდენიმე ასეთი დასახლება, როგორც ქვემოთ დავინახავთ ქმნიდა დასახლების სხვა უფრო განვითარებულ სისტემას. დღემდე კიდევ კარგად არ არის ამოცნობილი, თუ რა სახელწოდება ჰქონდა ძველთაგან მინიჭებული ასეთ მცირერიცხოვან უძველეს დასახლებას. ქართული საისტორიო წერილობითი წყაროებიდან ვიცით, რომ „დასახლებულ ადგილს საზოგადოდ, თავდაპირველად, ქართულად „სოფელი" ეწოდებოდა; შემდეგ, VIII ს. მოყოლებული, თუმცა ამ სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა და დაბას უდრიდა, მაგრამ პირვანდელი მნიშვნელობა ზოგიერთ შემთხვევაში სიტყვას „სოფელი" მაინც შერჩა"[2].

ამრიგად, ტერმინ „სოფლის" ძველი მნიშვნელობა უფლებას გვაძლევს ორი ან სამი-ოთხი ოჯახისაგან შეჯგუფულ დასახლებულ ადგილს „სოფელი" ვუწოდოთ. ასეთი იზოლირებული, „მცირე სოფელი" დღეს იშვიათობაა; საკოლმეურნეო წყობილებამდე (1927—1928) მრავალი ასეთი „სოფელი" ყოფილა შემორჩენილი მაღალი მთის დასახლების ზონაში. ასეთი სახის მცირე დასახლებულ ადგილად ცნობილი იყო შემდეგი „სოფლები": ლინდაუ, ჩაპლარხა, ბირჯა, ჩადალი და სხვ.; ყოველ მათგანში ოთხზე მეტი მოსახლე არასოდეს ყოფილა[3].

დასახლების ეს ფორმა, რომელიც გადმონაშთების სახით ჩვენს დრომდე ყოფილა შემორჩენილი, სოფლის წარმოშობის პირველ ეტაპადა გვაქვს აღიარებული.

დასახლების განვითარების მომდევნო საფეხურზე უკვე ერთმანეთისაგან ორი-სამი კილომეტრით დაშორებულ ცალკეულ ბორცვებსა ან ფერდობებზე რამდენიმე ასეთი სახის განლაგება წარმოადგენდა ერთმანეთთან ურთიერთობაში მყოფ საგვარეულო დასახლების ერთ სისტემას. როგორც ეთნოგრაფები ვარაუდობენ, საგვარეულო დასახლების სისტემაში გაერთიანებულ დასახლებულ ადგილებს ეწოდებოდა (აფხაზურ დიალექტზე) „აცუტა", ხოლო რამდენიმე ასეთი „აცუტას" გაერთიანება ქმნიდა სათემო საზოგადოებას, ე. წ. „აქიტას"[4].

სათემო დასახლების ეს სისტემა, როგორც წესი, მოითხოვდა ვრცელ ტერიტორიას; ხშირად იგი ვრცელდებოდა ათეულ კილომეტრზე[5].

აფხაზეთის ძველი სოფლის დასახლების სისტემის ძირითად ბირთვს განვითარების ამ ეტაპზე წარმოადგენს საგვარეულო დასახლების ეს ფორმა, რომელიც ქმნის საცხოვრებელ უბნებს — საგვარეულო „დიდი ოჯახი" შემდეგ იშლება ცალკეულ ოჯახებად, კომლებად, ხდება მათი განსახლე-

---

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1950 წ., გვ. 213.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე. თბ., 1948 წ., გვ. 10.

[3] «Чадал от Сухума отстоит на 22 версты. население его состоит из 4-х абхазских домов. Немало интересного для историко-этнографического изучения представляют собою абхазцы Чадала и Бирджи» (С. П. Басария. დასახელებული ნაშრომი, გვ. 120).

[4] И. Аджинджал, Жилища абхазов, 1957 г., стр. 5.

[5] Н. Альбов, Этн. наблюдения в Абхазии, «Живая старина», СПБ, 1893г., ч. III, стр. 308.

ბა დიდ სივრცეზე და იქმნება უბნები[1]. სხვადასხვა გვარის რამდენიმე ასეთი საცხოვრებელი უბანი „ადმინისტრაციულად" გაერთიანებულია და წარმოადგენს სოფლის ერთ-ერთ მიკრორაიონს, რომელსაც თემი ეწოდება; რამდენიმე ასეთი თემის (2—4) გაერთიანების გზით წარმოიშვა აფხაზეთის ძველი სოფლის თავისებური დამახასიათებელი სახე (თანამედროვე გაგებით).

დასახლების განვითარების ამ ეტაპიდან მომიჯნავე სოფლებს შორის უკვე არსებობს გარკვეული სათემო-საგვარეულო საზღვრები, რომლის მანიშნებლად მიღებული იყო თვალსაჩინო ბორცვები, შეჯგუფული საკულტო ხეები (მუხები, რცხილები, ცაცხვები და ჰადრები), მდინარის გაღმა-გამოღმა ნაპირები ან კიდევ ცნობილი „წყურგილები" — წყაროები და სხვ.

საინტერესო ცნობას გვაწვდის ვინმე უსახელო ავტორი ერთი მეტად საგულისხმო ტრადიციის შესახებ — ხალხური ნაგებობები განლაგებულია შეჯგუფული ხეების საფარველ ქვეშ ისე, რომ შორიდან უცხო თვალისათვის სრულიად შეუმჩნეველი რჩება[2]. როგორც ჩანს, სათემო დასახლების დროს განაშენიანების შენიღბვა გარშემო შემოჯარული ტყის საფარველით სხვადასხვა ადგილობრივ ფაქტორთან ერთად თავდაცვის მიზნითაც აიხსნება. ამიტომაა, რომ ადგილობრივი ბინადარი უძველესი დროიდან დასახლების ხსენებულ ეტაპზე საკარმიდამო ფართობს ირჩევს ტყის მასივებს შორის[3] და ტრადიციულად ერიდება გაშიშვლებულ ადგილებზე დასახლებას. „უჩვევი კაცი თუ აქ ჩავარდა, ვეღარც კი იფიქრებს, თუ სოფელშია, წინ ტყეა, უკან კიდევ ტყე. ორივე მხარესაც იგივე ტყე გარტყიათ"[4]. „უცხო მგზავრი აქ მოსახლეობას ვერ შეამჩნევს, სახლები ულრან ტყეშია ჩამალული და ადამიანის ხმის ან კიდევ ძაღლების ყეფის გაგონებაზე თუ მიხვდება, რომ მის ირგვლივ (თითქმის 10 კმ მანძილზე) სოფელი იმყოფება"; ასე ახასიათებს ძველი სოფლის ტიპიური დასახლების საერთო ასახულობას ისტორიკოსი დ. ბაქრაძე.

23-ე სურათზე ასახულია სოფ. აბგარხუკის (გუდაუთის რაიონი) ერთ-ერთი საგვარეულო უბნის დასახლება, რომელიც უძველეს გვარს — შამბებს ეკუთვნის; შამბების ეს უბანი ამჟამად შედგება ამავე გვარის 8 ოჯახისაგან, მათი კარ-მიდამოების განაშენიანება საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობის სახით ოცდაათზე მეტია, მაგრამ ამათგან, როგორც სურათიდან ჩანს, ძლივს მოჩანს მხოლოდ სამი თუ ოთხი ნაგებობა. 24-ე სურათზე ნაჩვენებია სოფ. საკენის (სოხუმის რაიონი) საერთო ხედი, რომელიც შედგება ხუთი საგვარეულო უბნისაგან, მაგრამ მითითებულ სურათზე შესაძლებელია მხოლოდ ორის გარჩევა, სახელდობრ: რესესიძეებისა და ცანალანების[6] საგვარეულო უბნებისა; მათი კარ-მიდამოები თავისი განაშენიანებით ტყის მასივებში ალაგ-ალაგ ამოკაფულ ადგილებშია ჩამჯდარი, ისე რომ მომიჯნავე საგვარეულო უბნის დასახლება „მწვანე ფარდებს" იქით სრულიად უჩინარია. „აქა-იქ, ოაზისებივით, ტყე გაკაფულია და სიმინდის ყანაში ყავარული სახურავი მოჩანს სამურზაყანოელის სახლისა. იშვიათად ნახავთ ორ-სამ სახლს, რომ ერთმანეთისაგან ლობე ჰყოფდეს"[7].

ზემოგანხილული მასალების საფუძველზე უფლება გვაქვს გამოვთქვათ შემდეგი აზრი: ორი ან მეტი ოჯახის საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა განლაგება ერთმანეთს შორის ზღუდეგაუტარებელ ერთ ვრცელ საკარმიდამო ფართობის გარშემო დასახლების განვითარების პირველი ეტაპის მემკვიდრეობაა, რომელშიაც მოცემულია ტრადიციული კოლხური დიდი ეზოების წარმოშობის ჩანასახები.

საგვარეულო დასახლების სისტემას, რომელიც მოიცავს მისთვის დამახასიათებელ ვრცელ ტერიტორიას (დასახლების მეორე ეტაპზე) უკვე ჩამოყალიბებული აქვს გარკვეული ტიპიური სახე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს დასახლების ისტორიული განვითარების უძველეს ტრადიცათა სათავეების გამოსავლინებლად (ამ დროისათვის საქმე გვაქვს გაშლილი დასახლების ტიპთან).

ორი ან მეტი ოჯახისაგან შექმნილი ცალკეული საცხოვრებელი ერთეულები ტყის საფარველის ქვეშ, ერთმანეთისაგან დაშორებით, დიდ ტერიტორიაზეა თავისუფალი წესით განლაგებული და ჯერ კიდევ ვერ იძლევა ხალხურ ნაგებობათა ანსამბლურ დაკავშირებას, რის გამოც მოკლებულია მთლიანი ხუროთმოძღვრული აღქმის შესაძლებლობას.

სოფლის საგვარეულო დასახლების აღნიშნული სისტემა განაშენიანების დაბალი კოეფიციენტით ხასიათდება, მასში ჯერ კიდევ მკვეთრად გამოყოფილი არ არის დასახლების ცენტრალური ნაწილი.

დასახლების განვითარების რთულ სტადიაზე გადასვლას დიდად შეუწყო ხელი ანტიკური კოლონიზაციის პერიოდმა. ამ დროიდან მოყოლებული გაჩაღებული იყო უცხოელ კოლონისტებთან ვაჭრობა (გაჰქონდათ ბზა და სხვა ხე-ტყე, ცვილი, თაფლი, საქონელი და სხ.). ასეთმა ვითარებამ ქვეყნის შიგნითაც გამოიწვია სათანადო „ძვრები" და ხელი შეუწყო ახალი ურთიერთობის აღმოცენებას. ამ დროიდან იწყება ვაჭრობის მიზნით მონების „გაცვლა-გამოცვლა" და საქონლის დატაცება-გაყიდვა.

რაკი ახლომდებარე საძოვრები მიწათმოქმედებამ დაიკავა, საჭირო შეიქმნა სხვა ადგილების გამონახვა, რათა არ შეფერხებულიყო მესაქონლეობის განვითარება. ამიტომ ძველთაგანვე ყოველ სოფელს ჰქონდა სოფლიდან დაშორებული საყანე ადგილები ან კიდევ საქონლისათვის საკუთარი დროებითი სეზონური-სამყოფი ადგილები და იქვე დროებითი ბინებიც, რომლებიც, მათი სოფლების კვალობაზე, დროებითი ნაგებობების სახით ყოფილა განლაგებული. ეჭვი არ არის, ამ დროიდან უნდა იყოს წარმოშობილი დროებითი სეზონური დასახლებაც, რომელსაც მეგრულ და აფხაზურ დი-

[1] საყურადღებოა, რომ საგვარეულო დასახლების სისტემაში არსებული საცხოვრებელი უბანი — აფხაზური „აცუტა" თავისი შინაარსით შეესაბამება აჭარის ძველი დასახლების სისტემაში არსებულ „მეჰელეს"; სამეგრელოში ერთი გვარის ასეთ საცხ. უბანს „მუხური" ეწოდება. ასევე აღმ. საქართველოში საცხ. უბნები გვარებისა და ადგილის სახელწოდებას ატარებენ.

[2] «Абхазы и Пицунда» в журн. Домашняя беседа, СПБ, 1877г., вып. 33, стр. 929.

[3] Г. Ф. Чурсин, Материалы по этнографии Абхазии, Сухуми, 1957 г., стр. 7.

[4] თ. სახოკია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 264.

[5] Дм. Бакрадзе. Кавказ в древних памятниках христианства, Записки общества любителей Кавказской Археологии, книга I, Тифлис. 1875 г. стр. 102.

[6] რესესიძეები ჩამოსახლებული გვარი ყოფილა, სხვადასხვა მიზეზით სხვა გვარის უძველეს ნასახლარზე უნდა იყოს დამკვიდრებული. ასევე ითქმის ცანალანების სახელწოდებაზედაც, რომლის შესახებ ქვემოთ დაწვრილებით გვაქვს მოთხრობილი.

[7] თ. სახოკია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 264.



24. სოფ. საკენი. რეხეხიძეების საგვარეულო დასახლების ერთი უბანი, საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

ალექტზე საზოგადოდ „აგვარასაც" უწოდებენ (შემოზღუდულ დროებით ადგილს ნიშნავს საქონლისათვის ან კიდევ ყანებისათვის).

„აგვარა" საქართველოს საგეოგრაფიო ძველი სახელწოდების „აგარას" სინონიმი უნდა იყოს და ერთი და იმავე სიტყვის ფუძიდან უნდა მომდინარეობდნენ (შეიძლება „გორადან", რომელსაც წინ „ა" ნაწილაკი აქვს მიმატებული — ა+გორა).

საბას განმარტებით „აგარა" არის „სადგური საზაფხულო" ან კიდევ „აგარაკი" — „ეს არს ადგილი საყანური" (სიტყვის კონა).

სახნავი მიწების ფართობის გასადიდებლად ტყის საფარველს ქვეშ არსებული დასახლებული ადგილების გარშემო საჭირო გახდა ტყის მასივების ნაწილ-ნაწილად, თანმიმდევრულად გაკაფვა, ამრიგად, უჩინარი დასახლებული ადგილების გარშემო შეიქმნა გაშიშვლებული სახნავი ადგილები[1].

ამ გარემოებამ ტყის მასივის დასახლებული ნაწილი — ხალხური ნაგებობებით განაშენიანებული ადგილები — ალაგ-ალაგ მთლიანი მწვანე მასივების სახით გამოყო.

ამ დროიდან იწყება თავისუფალი დასახლების შეზღუდვის ნიშნები და ხალხური დასახლების სისტემაში საწესო ჩვეულებათა დამკვიდრება, რომელსაც თანდათანობით რეგულარული დასახლების ხასიათი ეძლევა. რეგულარული კანონზომიერება აისახა იმაში, რომ დასახლების სისტემაში შემავალი ყოველი კარ-მიდამო სოფლის გზასთან სპეციალური შუკებით არის დაკავშირებული და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, უშუალოდ გზის გასწვრივ კარ-მიდამოს დაგეგმვას მუდამ ერიდება.

დასახლების განვითარების ამ ეტაპიდან თანდათანობით მკაფიოდ ისახება სოფლებს შორის გარკვეული სასაზღვრო ნიშნები, აგრეთვე ცენტრალური ნაწილის გამოყოფისაკენ მისწრაფება, რაც, უმრავლეს შემთხვევაში უშუალოდ დაკავშირებულია საკულტო დანიშნულების ხეებთან. ეს ტრადიცია მომდინარეობს ქართული წარმართული სარწმუნოებიდან, რომელიც გარეგნულ ფორმებში გამოსახულია ხეთა მსახურების სახით. აფხაზეთის მკვიდრნი უხსოვარი დროიდან თაყვანს სცემდნენ მუხას, ცაცხვს, ჰადარს, საერთოდ ტყეს, აგრეთვე ტყეების ღმერთს „მიზიტხუს" და ხეთა ღმერთს — „ამშაპს"[2]; ცაცხვების, ჰადრებისა და მუხების თაყვანისცემა აფხაზეთის მთის სოფლებში თითქმის ჩვენს დრომდე ყოფილა შემორჩენილი[3].

ამ წმიდა ხეების გარშემო იმართებოდა ხალხური სადღესასწაულო ცერემონიალები, რომელსაც თან „მოსდევდა ჯირითობა და ყაბახი"[4].

ამრიგად, აფხაზეთის მთის სოფლების ცენტრში დღემდე

---

[1] გაკაფვა განსაკუთრებით მასიურ ხასიათს ღებულობს XVII საუკუნიდან, სიმინდის კულტურის ფართო გავრცელებასთან დაკავშირებით.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1960წ., გვ. 93—95.

[3] О положении Абхазии в религиозном отношении, «Кавказ», 1868 г., № 5.

[4] ივ. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 94.

შემორჩენილი უზარმაზარი ხეების გარშემო „მწვანე მოედნების“ წარმოშობას საფუძვლად უდევს ზემომოტანილი წარმართული სარწმუნოების ჩვევები.

აფხაზეთის უძველესი ტიპიური მთის დასახლების თვალსაჩინო ნიმუშებს წარმოადგენენ სოფლები: დურიპში, ლიხნი, აჭანდარა, ოთხარა და სხვ., რომლებშიაც დღემდე კარგად არის შემორჩენილი უძველესი სოფლის ცენტრალური ნაწილის იდენტური მოედნები. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან სოფ. ლიხნისა და აჭანდარის ვეებერთელა ისტორიული „მწვანე მოედნები“ თავიანთი საკულტო დანიშნულების უზარმაზარი „სათაყვანო ხეებით“, რომლებიც ზემოხსენებული უძველესი ტრადიციების გადმონაშთთა წყალობით, დღემდე კარგად არის დაცული.

აღნიშნული სოფლები დასახლებულია გვარებად (საგვარეულო უბნებად). სოფ. ლიხნი შედგება შემდეგი ტიპიური საცხოვრებელი საგვარეულო უბნებისაგან: მახარიების, ანშბების, ჯენიების, კაშლიების და სხვ.

სოფ. ლიხნისაკენ მიმავალი გზიდან გადაშლილ სანახაობას დ. ბაქრაძემ სამართლიანად უწოდა „ჭეშმარიტი პოეტური სურათი“[1]. ამ გზას ადამიანი პირველად შეჰყავს სოფლის ცენტრში — საზოგადოებრივი დანიშნულების ვეებერთელა „მწვანე მოედანზე“, სადაც დღემდე კარგად არის დაცული საკულტო დანიშნულების ათასწლოვანი სამი უზარმაზარი ცაცხვი; მათ ჩრდილქვეშ მდგარა აფხაზეთის ფეოდალთა ისტორიული ქვა-ტახტები, რომელთაგან დღემდე მხოლოდ ერთია გადარჩენილი.



25. სოფ. აჭანდარა. საკულტო დანიშნულების ისტორიული გიგანტური ჭადრის ხე

მნახველის ყურადღებას იზიდავს აგრეთვე სოფ. აჭანდარის უძველესი დასახლების სისტემის დამახასიათებელი ვეებერთელა ტიპიური „მწვანე მოედანი“ — საგვარეულო თემური საზოგადოების თავმოყრის ცენტრი, თავისი უძველესი რელიგიური დანიშნულების გიგანტური ხეებით.

ამ ვრცელ მწვანე მინდორზე დგას ათასწლოვანი სამი უზარმაზარი ჭადარი (სურ. 25); თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხსენებულ უზარმაზარ მწვანე ველზე ვერც ერთი მონუმენტი ან ობელისკი ვერ მოახდენს მნახველზე ისეთ დაუვიწყარ და ძლიერ შთაბეჭდილებას, როგორსაც ახდენს ამ სამი ჭადრის „ბუნებრივი კომპოზიცია“ შორიდან.

კავკასიის ცნობილ მკვლევარს გრაფ პ. უვაროვას არქეოლოგიური მიზნით დაუთვალიერებია სოფ. აჭანდარის მიდამოები და ამ ჭადრების ნახვით აღტაცებული 1891 წ. წერდა, სიზმარშიაც ძნელია ასეთი სიდიდის ხეების ხილვაო[2].

საგვარეულო სათემო დასახლების სისტემაში საკულტო ხეების გარშემო საზოგადოებრივი მოედნების წარმოშობა თავისთავად ნიშნავდა უძველესი სოფლის ცენტრალური ნაწილის გამოყოფას, რომელსაც გარკვეული საზოგადოებრივი დანიშნულება ჰქონდა მინიჭებული. უძველესი სოფლის ცენტრალური ნაწილის განვითარების ამ სახეს სოფლის განვითარების პირველ ეტაპად ვთვლით.

განვითარების ამ ეტაპზე „სოფელში მკვიდრდებოდა ქურუმთა კასტა; მთავარ ქურუმთა წოდება გადადიოდა გვარის უფროს წარმომადგენლებზე, ქურუმნი აწარმოებდნენ მსხვერპლშეწირვას წმიდა ხეებისადმი; ამ ხეებთან წარმოებდა ფიცის მიღება, ხალხის დაწყალობება და სხვ“[3].

საკულტო მოედნის განვითარების შემდგომ საფეხურზე მის გარშემო საფუძველი ეყრება გაბატონებული ფეოდალის რეზიდენციას; მოედნის რომელიმე მხარეზე იწყება სასახლის კომპლექსთა რეგულარული განაშენიანება.

ამრიგად, განვითარების ამ ეტაპზე უძველეს საკულტო დანიშნულების მოედანს ეძლევა სხვა ფუნქციებიც; როგორც ჩანს, იგი წარმოადგენს ერთგვარ ფორუმს სამთავროს საქმეთა გადასაწყვეტად; ჩვენი აზრით ეს უნდა იყოს ძველი სოფლის ცენტრალური ნაწილის განვითარების მეორე ეტაპი.

ქრისტიანულმა სარწმუნოებამ მკაცრად შეზღუდა და განდევნა წარმართული სარწმუნოების დრომოჭმული ჩვევები და მის ადგილზე თვითონ იწყებს გაბატონებას ზემოხსენებულ სათემო-საგვარეულო მოედნის სისტემაში, რაც მდგომარეობს იმაში, რომ მოედნის რეგულარულ განაშენიანების ანსამბლში თანდათანობით დომინირებული ხდება ახალი ტიპის ხუროთმოძღვრული ნაგებობები — ჯერ სასახლის ეზოს მცირე მოცულობის ეკლესიების, ხოლო შემდეგ, უფრო მოგვიანებით, მოედნის საუკეთესო, კომპოზიციურად მნიშვნელოვან ადგილებზე (მაღლობებზე), ე. წ. სამრევლო გუმბათოვანი ტაძრების სახით, რომლებმაც თანდათანობით მკვეთრად შეცვალა „წმიდა ტყეებისა და ხეების“ მსახურება.

ამის საუკეთესო მაგალითებს წარმოადგენენ ბიჭვინთის,

[1] Д. М. Бакрадзе. Кавказ в древних памятниках христианства... книга, I, Тифлис, 1875г., стр. 136.

[2] Граф. П. Уварова, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

[3] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954 წ. გვ. 171.

ლიხნის, მოქვის, ილორისა და სხვ. ქრისტიანული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლები, რომლებიც „ტყეებისა და ხეების მსახურების“ ადგილებზეა აგებული.

აღნიშნულ ეტაპზე სოფლის ცენტრალური ნაწილი სტაბილიზებული ხდება და ამ სახით, კონსერვაციულ მდგომარეობაში, განაგრძობს არსებობას თითქმის XX საუკუნემდე.

ძირითადად ჩვენ შევეხეთ მთის სოფლების უძველესი დასახლების მაგალითებს. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან უძველესი სოფლის დასახლების ტიპები გადმონაშთების სახით მხოლოდ მთის ზონაშია შემორჩენილი; რაც შეეხება დაბალ ზონას, აქ საქმე გვაქვს სწორხაზობრივად განვითარებულ დასახლებასთან.

დაბალ ზონაში სწორხაზობრივი დასახლების სისტემა არ შეიძლება მივაკუთვნოთ დასახლების უძველეს სისტემას. სწორხაზობრივი დასახლება დამახასიათებელია მხოლოდ იმ სოფლებისათვის, რომლებიც გვიან ჩამოსახლდნენ მთის ზონიდან ბარში. ბარის სოფლები დროებით დასახლებული ადგილის მუდმივ დასახლებულ სისტემად გარდაქმნის ნიადაგზეა წარმოშობილი.

კაპიტალისტური წყობილების ჩასახვის დღიდან, ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით, იწყება საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ზღვის სანაპირო ზოლში „სამოვრად“ ჩამოსვლა ან კიდევ სრული ჩამოსახლება. ამრიგად, ბარის დასახლების სწორხაზობრივი სისტემა ძირითადად მაინც მთის უძველესი დასახლების ტრადიციებზე იყო დამყარებული.

გვარებად დასახლების ტრადიცია, როგორც უძველესი წესი, სწორხაზობრივი დასახლების სისტემაშიაცაა შენარჩუნებული გარკვეული დროის მანძილზე. შემდეგ თანდათანობით ფეხს იკიდებს სხვადასხვა გვარით დასახლებული უბნები, რამაც სრულიად გამოაცალა საფუძველი ერთი გვარით დასახლების უძველეს ტრადიციას; კიდევ მეტი — გვიან პერიოდში, XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე, ბარის დასახლების სისტემაში (ნაწილობრივ მთის დასახლების სისტემაშიაც) თავი იჩინა აშკარა ეთნიკურმა სიჭრელემ.

## ძველი სოფლის ზოგიერთი სახელწოდების ეტიმოლოგია

აფხაზეთის ძველი სოფლების დასახლების სრულყოფილი შესწავლისათვის საჭიროა რამდენიმე სიტყვით შევეხოთ მათ ძველ სახელწოდებებსაც, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული რომელიმე გვარის, მთისა და მდინარის გეოგრაფიულ, ან უძველესი სარწმუნოების ნიადაგზე აღმოცენებულ სახელებთან (საღმრთო ტყეებისა და ხეების სახელები), ზოგჯერ კი უძველეს სატომო სახელწოდებასთან და სხვ.

სახელწოდება — „ბიჭვინთა“ („ბიჭვი“) ქართული წარმოშობისაა და „...ფიჭვის სახელთან არის დაკავშირებული. როგორც ცნობილია, ბიჭვინთაში მდებარეობს განთქმული ფიჭვის ტყე, რომელიც საღმრთო ტყედ ითვლებოდა“[1].

ფიჭვის ეს ჯიში ცნობილია, როგორც უნიკალური, და ხსენებულ ტყეს მეორე ადგილი უკავია მსოფლიოში. ხეთა მსახურების უძველესმა ტრადიციამ იგი გადაარჩინა განადგურებას და, როგორც „ხელუხლებელმა“ ჩვენს დრომდე მოაღწია. ამრიგად, ფიჭვის „წმიდა“ ტყისაგან ეწოდება ამ ადგილს ბიჭვინთა, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია თავისი ისტორიული წარსულით. სოფ. ბზიფი და მდ. ბზიფიც ბზის ტყეების გამო დაერქვა; ასევე ადგილმდებარეობის სახელწოდება სოჭი — მიღებულია აქ არსებული სოჭნარის გამო და სხვ[2].

სოფ. „აჭანდარა“ დაერქვა ამ სოფლის შუაგულში არსებული ზემოხსენებული ჭადრების გამო — „დასახელებული გრანდიოზული სანახაობის, არაჩვეულებრივი სიდიდის ჭანდარი წარსულში საკულტო მცენარე ყოფილა და ამის გამოა, რომ სოფელს ჭანდრისაგან მიუღია სახელწოდება“[3]. სოფლის სახელწოდება „ჭანდარი“ გვხვდება აგრეთვე გალის რაიონში, სოხუმის რაიონში, სამეგრელოში, კახეთში და სხვ.

სოფლის სახელწოდება „ლიხნი“ სიტყვა „ლიხისაგან“ უნდა იყოს წარმოქმნილი. საბას განმარტებით „ლიხი“ არის ფრიად მაღალი შამბი ან კიდევ სიტყვასიტყვით ნიშნავს მაღალ და მსხვილ ბალახს (სიტყვის კონა). ამრიგად, სოფლის ეს სახელწოდებაც მცენარესთან ყოფილა დაკავშირებული. ვახუშტი ბაგრატიონი მას „ლუხუნის“ სახელწოდებით იხსენიებს, საქართველოს ისტორიულ რუკაზე ასევე „ლუხუნია“ აღნიშნული (სურ. 1). ერთ დროს მას ზუფუსაც ეძახდნენ (ეს სახელწოდება ზოგჯერ მთელ აფხაზეთსაც კი გულისხმობდა). არსებობს სხვა ვერსიაც, თითქოს სახელწოდება ლიხნი სიტყვა „ლხინიდან“ მომდინარეობს[4].

საერთოდ ცნობილია, რომ სიტყვა „ლხინიდან“ წარმოშობილ სახელწოდების სოფლებს ხშირად ვხვდებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ე. წ. „სალხინოს“ სახით.

სოფლის სახელწოდება „წებელდა“ წარმოშობილია არქაული სიტყვის „წიბელისაგან“ — წიფელი[5]. სახელწოდებები: მოქვი, საკენი, ხოფი და სხვ. მიღებულია ამავე სახელწოდების მდინარეების გეოგრაფიული სახელებიდან.

ჩვენს ყურადღებას იზიდავს აგრეთვე სოფ. საკენის ერთ-ერთი დასახლებული ადგილის სახელწოდება — ცაბალანები,

---

[1] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954 წ., გვ. 147.

[2] იქვე, გვ. 148, 160.

[3] იქვე, გვ. 161.

[4] თ. სახოკია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 304. Д. М. Бакрадзе დასახელებული ნაშრომი, გვ. 136.

[5] პ. ინგოროყვა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 155.

რაც ჩვენი აზრით ორი უძველესი სატომო სახელის „ცანების“ და „ალანების“ ნაწარმოები უნდა იყოს.

ამრიგად, სოფლების სახელწოდებათა წარმოშობის უძველესი ფესვები მჭიდროდ არის დაკავშირებული ამა თუ იმ სოფლის უძველესი დასახლების წარმოშობასთან, რომელთა ძველისძველი ტრადიციები გადმონაშთების სახით ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ უძველესი დასახლების განვითარების ზოგიერთ ეტაპზე.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ გარემოებას, რომ ქართული წარმოშობის სახელწოდებების გარდა ვხვდებით აგრეთვე უცხოური წარმოშობის სახელწოდების სოფლებსა და ადგილებს; ამ მხრივ აღსანიშნავია თურქული, ბერძნული, რუსული, სომხური და სხვა წარმოშობის სახელწოდების სოფლები, რომლებიც აფხაზეთის ტერიტორიაზე ზემოაღნიშნული უცხო ტომების ჩამოსახლებასთან არის დაკავშირებული.

თურქული წარმოშობის სახელებიდან მაგალითისათვის მოვიყვანოთ იმავე სოფელ „ლიხნის“ თურქული სახელწოდება, ე. წ. „სოუქ-სუ“, რაც ცივ წყაროს ნიშნავს; „მართლაც, გარშემო მრავალ ალაგას ამოჩუხჩუხებს ცივი, ბროლივით ანკარა, მეტად საამო სასმელი წყაროები“[1]. ეს წყაროები აქ დღესაც კარგად არის დაცული.

სახელწოდება „ოჩამჩირე“ წარმოშობილია თურქული სიტყვა „ჩემჩირიდან“, რომელიც ნიშნავს ბზას — საბზე ადგილს[2]; — ამ ადგილიდან თურქებს და გენუელებს გაჰქონდათ საუკეთესო ჯიშის ბზა.

ბერძნები მოსახლეობენ აფხაზეთის შემდეგ სოფლებში: გუმა, ზედა ანუხვა, შუა ანუხვა, ხაპიუ, ბეშ-ყარდაში, ჰარნაუტი და სხვ. სულ 96 სოფელში.

„ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში არაფერია ნათქვამი საქართველოში ბერძნული მოსახლეობის არსებობის შესახებ.

ამიტომ ჩვენ არა გვაქვს არავითარი საბუთი ვიფიქროთ, რომ აწინდელ ბერძნულ მოსახლეობას საქართველოში რაიმე კავშირი ჰქონდეს იმ ძველ ბერძნულ მოსახლეობასთან, რომელიც ძვ. წ. VII საუკუნიდან გაჩნდა დასავლეთ საქართველოში“[3].

აწინდელი ბერძნების ჩამოსახლების მიზეზი იყო თურქეთ-საბერძნეთის ომი, რომლის შედეგად ლტოლვილ ბერძენთა და სხვა ტომების მასიური ჩამოსახლება იწყება XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან.

რუსი იმპერიალისტები უნდობლობით უყურებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, ყოველმხრივ აიძულებდნენ დაეტოვებინათ მშობლიური მიწა-წყალი და მათ ნასახლარზე დაესახლებიათ სხვა, „სანდო“ ტომები.

„ერთადერთ სანდო ელემენტად მიჩნეული იყო რუსობა. მაგრამ რუსობა პირველ ხანებში არც ისე ადვილად მოდიოდა აქ. ერთი მიზეზი იყო სიძნელე ჩვეული ადგილებიდან დაძვრისა, ხოლო აქ, აფხაზეთში, ჰავის საკითხიც აშინებდათ[4] ვინაიდან ზღვის სანაპირო ჭაობიან ადგილებში პირველად ჩამოყვანილი რუსობა უწყალოდ იხოცებოდა მალარიისაგან. თ. სახოკიას გადმოცემით, „აქ პირველად 1879 წ. გადმოსახლდა სტავროპოლის გუბერნიიდან 80 კომლი გლეხი. იმათგან თითქმის ყველანი ამოწყდნენ, ზოგიც იქით-აქეთ გაექცა უეპველ სიკვდილს“[5].

როგორც ირკვევა, მეფის რუსეთის მთავრობის მიერ „...განზრახული იყო შავი ზღვის მთელ აღმოსავლეთ სანაპიროზე რუსი მოსახლეობის გაჩენა“[6].

მეფის რუსეთის გეგმები აფხაზეთის ტერიტორიაზე მკვიდრი მოსახლეობის განდევნისა და რუსეთის ჩამოსახლების შესახებ მკაფიოდ არის მოცემული ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის მირსკის მიერ გენერალ კარცოვისადმი მიწერილ წერილში[7].

უცხო ტომთა მასობრივი ჩამოსახლების შესახებ საყურადღებო ცნობები აქვს მოცემული ა. რუნოვსკის, რომელთა მიხედვით ირკვევა, რომ მარტო 1868 წ. შავი ზღვის ოლქში ჩამოსახლებულ იქნა ლტოლვილ ბერძენთა და სხვა ტომთა 411 ოჯახი[8].

„ასეთ პირობებში სანდო ელემენტს წარმოადგენდა თურქეთის მოსისხლე მტერი, ბერძნობა. მასზე დაყრდნობა რუსეთის მთავრობას უფრო უშიშრად შეეძლო, ვიდრე ადგილობრივ მოსახლეობაზე... გენერალმა გეიმანმა 1869 წელს ბერძნები დაასახლა სამ სოფელში (ალექსანდროვკა, ოლგინსკოე, გეორგიევსკოე[9]).

გარდა ამისა ამ წლებში ქრისტოფოროვმა დიდძალი მიწები შეიძინა მდ. ფსოუს აუზში, ძალზე დიდი რაოდენობით შეისყიდეს მიწები გაგრის მიდამოებში პრინცმა ოლდენბურგმა, აუგერომმა და კოვალევსკიმ, და დაასახლეს დიდძალი რუსობა[10].

მდ. სანდრიპშის მიდამოებში გაჩნდა აგრეთვე მოლდაველთა დასახლება, რომელსაც შავი ზღვის ოლქის უფროსის დ. ვ. პილენკოს საპატივცემულოდ ეწეოდა სოფ. პილენკოვო[11].

ცარიზმის კოლონიურმა პოლიტიკამ თანდათანობით მიზანს მიაღწია, დღითიდღე ცარიელდებოდა აფხაზთა სოფლები, მკვიდრი ბინადარი ტოვებდა მამა-პაპათა ადგილებს და თავშესაფარს თურქეთის ტერიტორიაზე პოულობდა.

ასეთი ვითარება გამანადგურებელ გავლენას ახდენდა ძველი სოფლის დასახლებაზე; ნადგურდებოდა მამაპაპური ძველი კარ-მიდამოები და ხალხური ნაგებობები; უკაცრიელი ხდებოდა ერთ დროს აყვავებული სოფლები.

როგორც ირკვევა, აფხაზეთის უძველესი სოფლების ქარ-

---

[1] თ. სახოკია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 304.

[2] იქვე, გვ. 252.

[3] ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში 1942 წ., ტ. IV, გვ. 219.

[4] ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში (აფხაზეთის ბერძნები), 1946წ. ტ. VI, 135—136.

[5] თ. სახოკია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 302.

[6] ს. ჯანაშია, გიორგი შარვაშიძე, კულტურულ-ისტორიული ნარკვევი, 1946 წ., გვ. 8.

[7] «Владея пустыми пространствами по обоим берегам Бзыбы, можно будет положить там начало русского народонаселения в Абхазии... Если часть абхазцев возымеет намерение удалиться в Турцию, то полагаю, что этому препятствовать не следует. Приобрев частные имения владетеля, весьма обширные и значительные, мы бы могли сейчас приступить к колонизации предполагаемого Абхазского казачьего войска» (საქ. ცენტრ. არქივი: განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა ფონდი), საქმე № 48, ф. 72—77, 96, 100.

[8] А. Руновский, «Кавказ», 1869г. № 30.

[9] ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში (აფხაზეთის ბერძნები), 1946წ., VI, გვ. 135.

[10] А. Н. Дьячков-Тарасов, Гагры и их окрестности, Тифлис, 1903 г., стр. 85.

[11] იქვე, გვ. 85.

თელი წარმოშობის სახელწოდებები დროთა ვითარებაში, ქართველური ტომების გადახვეწასთან და უცხო ტომების ჩამოსახლებასთან ერთად, ხშირად უცხოური წარმოშობის სახელწოდებებით იცვლებოდა.

„მიხაილოვსკი აფხაზთა ადგილობრივი ენით „კუმა“, დასახლებულია 1880 წელს. ეს სოფელი უკაცური და დაუსახლებელი იყო, გარდა სამი ადგილობრივი, მღვიმეებში მცხოვრები, ერთმანეთს დაშორებული აფხაზისა. სახელი დაერქვა კავკასიის მეფისნაცვლის დიდი მთავრის მიხაილისაგან, რომლისგანაც ეს ადგილი მიეცა სოფლის წარმომადგენელსა და მეთაურს ევსტაფი პეკონს. თუ რამდენი მცხოვრებლისაგან შედგებოდა მაშინ სოფელი, ზუსტად ვერ განვსაზღვრავთ, რადგან სხვადასხვა დროს არიან მოსულნი მცხოვრებლები. მცხოვრებნი მოსულნი არიან: ტრაპიზონის, არგირუპოლის, სურმენის სანახებიდან, განსაკუთრებით კი სანდეს სხვადასხვა სოფლებიდან“[1].

როგორც ირკვევა, XIX საუკუნიდან აფხაზეთის ძველი დასახლების სისტემა განიცდის დაცემის ხანას. ეთნიკური სიჭრელე თანდათანობით საგრძნობი ხდება და ფართო გავრცელებას პოულობს მკვიდრი მოსახლეობის გადახვეწისა და გადაშენების ნიადაგზე. „შავი ზღვის სანაპირო ხაზზე აფხაზური მოსახლეობა განადგურებული იქნა, მისი მამაპაპეული მიწა-წყალი დაურიგდა რუს მსხვილსა და წვრილ მოხელეებს და ქვეყნის შუაგულ თემებშიც კი შეიქმნა მნიშვნელოვანი კომპაქტური მოსახლეობა უცხოელი კოლონისტებისა“[2].

რუსების პირველი გამოჩენა საქართველოს მიწა-წყალზე დამოწმებულია აფხაზეთის მეფეთა ქრონიკებში 991 წელს, სადაც ვკითხულობთ, რომ„ქორონიკონსა: სია: დასაბამიდგან: ხუფე: აქა რუსნი გამოვიდეს“. საქართველოს მატიანეთა ეს ცნობა დაწვრილებით აქვს გაშიფრული თ. ჟორდანიას[3]. ხოლო რუსების მასიური ჩამოსახლება შავი ზღვის სანაპირო ზოლში მეფის რუსეთის კოლონისტური პოლიტიკის შედეგად როგორც ირკვევა, იწყება XIX საუკუნიდან.

ამ გარემოებამ გამოიწვია ხალხური ეროვნული ხელოვნების მთელი რიგი დარგების დაქვეითება, განსაკუთრებით დაკნინდა ხალხური ხუროთმოძღვრება, მაგრამ ხალხის შემოქმედებითი შინაგანი ძალის მეოხებით დიდხანს ინერციით ინარჩუნებდა თავის ეროვნულ ტრადიციებს, რომელმაც გაუძლო ჟამთა ქარტეხილებს და დღესაც, როგორც გადარჩენილ ძეგლებს, არ დაუკარგავთ თავიანთი ეროვნული კულტურის ღირსება.

**მაგისტრალური შარაგზები და სოფლის ქუჩები.** უძველესი დასახლების სტრუქტურის სრული სურათის წარმოსადგენად დიდი მნიშვნელობა აქვს მთავარი შარაგზებისა და სოფლის შიგა სამიმოსვლო ქუჩების კლასიფიკაციის დადგენას.

ეჭვი არ არის, რომ უძველეს ხანაში აფხაზეთის ტერიტორია სხვადასხვა სახის მრავალი შარაგზით ყოფილა დაქსელილი. მაღალთაღოვანი ქვითკირის და მორელ-ძელური კონსტრუქციის უძველესი ტიპური ხის ხიდების დღემდე უხვად მოღწეული ნაშთები მრავალმხრივი შარაგზების არსებობაზე მეტყველებენ: ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას იზიდავს ბესლეთისა და ნასკალის უძველესი თაღოვანი ქვის ხიდების ნაშთები, რომლებზედაც, ცხადია, გადიოდა მთავარი მაგისტრალური გზები.

ბესლეთის მაღალთაღოვანი ქვის ხიდის მშენებლობას ადრე მიაწერდნენ ვენეციელებს, ხან კიდევ გენუელებს (დიუბუა, უვაროვა და სხვ.). მაგრამ 1936 წ. მოპხდარმა წყალდიდობამ ხიდის ფასადს ბზის ბუჩქებში ჩახვეული სურის მწვანე საფარველი ჩამოგლიჯა და ჩვენ თვალწინ ალაპარაკა ძველი ქართული სამშენებლო ხელოვნების — XI საუკუნის ბრწყინვალე ძეგლი, რომელსაც ამშვენებს ასომთავრული ძველი ქართული წარწერა „—+ ႸႠႭ... ႨႣႨ ႭႬႭႠႧႨ Ⴘ˜Ⴀ Ⴑ˜ႴႨႠႭႠ ႭႸ... Ⴂ(მეუფეო) Ⴘ(ყოველთ) აო... (ად)˜იდე ორთავე შინა სუფევეთა ოვ“...[4] ყველაფერი ეს მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ გზა, რომელიც ხსენებულ ხიდზე გადიოდა, XI საუკუნეს ან უფრო ადრინდელ ხანას უნდა ეკუთვნოდეს.

ცნობილია, რომ „ჩრდილოეთ კავკასიითგან იყო პირდაპირი გზა აფხაზეთში, რომელსაც რქმევია „გზაი აფხაზეთისაი“...

იოანე საბანის ძის თხზულებითგან ჩანს, რომ იმიერკავკასიითგან, ყაზახეთიითგან მერვე საუკუნეშიც არსებობდა გზა აფხაზეთში“[5].

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მოქვის, ბედიის, ლიხნისა და ბიჭვინთის ტაძრების მსგავსი ძეგლების აშენება მხოლოდ და მხოლოდ დიდი გზების მახლობლად უნდა ყოფილიყო აუცილებელი. შეიძლება ადამიანს ეუცხოვოს, მაგრამ უტყუარია, რომ აბორიგენული მოსახლეობა აქ დღევანდელთან შედარებით უფრო მჭიდრო ყოფილა, ამაზე მეტყველებს საუკეთესო თლილი ქვებისაგან აგებული ეკლესიების ნანგრევთა სიხშირე[6].

ცხადია, მთავარ გზებს განშტოებებიც უნდა ჰქონოდა ქვეყნის სიღრმეში, სხვადასხვა მიმართულებით დასახლებულ ადგილებამდე მისასვლელად. სადღეისოდ ძალზე ძნელია იმის თქმა, თუ რა სახის გზები აკავშირებდა მოსახლეობას მთავარ გზებთან, ვინაიდან აფხაზეთის დაცემის ხანიდან ყველა ეს გზა სრულიად მოიშალა და ნასახლარ ადგილებთან ერთად ტყით დაიფარა და გაუჩინარდა.

აფხაზეთის ძველი სოფლის დასახლების სისტემაში დღემდე შემორჩენილი ძველი შიგასამიმოსვლო გზების მიხედვით ჩვენ მიერ შესწავლილი სოფლების მაგალითებზე (დურიფში, ბლაბურხვა, ხაშია, ოთხარა, აჭანდარა და სხვ.), ვარჩევთ შემდეგი დანიშნულების გზებს: მთავარი მაგისტრალური გზა, — „სათემო შარა“ (თემშარა), რომელიც აკავშირებს რამდენიმე თემური საგვარეულო დასახლების ცენტრალურ ნაწილს ერთმანეთთან; თემშარიდან განშტოებულ გზებს საგვარეულო დასახლების უბნებამდე ეწოდება შიგა სასოფლო გზები, რომლებიც თავისთავად იყოფა ორ ჯგუფად: საცხოვ-

---

[1] მოტანილი ამონაწერი სოფ. მიხაილოვსკის დასახლების შესახებ ეკუთვნის ამავე სოფლის მასწავლებელს პ. პაპანდოპულოს, რომელსაც ს. ყაუხჩიშვილის დავალებით დაუწერია 1946 წ.

[2] ს. ჯანაშია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 9.

[3] «Грузины называют русских «Руси» (единственное число) или «Руски» (множ. число). Слово «вышли» употреблено в смысле нашествия или выступления в поход. Отсюда точный смысл текста нашей хроники таков: «В 991 году русские предприняли поход, без сомнения, на Грузию»... (Ф. Жордания. Хроника абхазских царей. Тифлис. 1902 г., стр. 6—7).

[4] კ. ბერულავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 22.

[5] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, 1948 წ. გვ. 66.

[6] Дм. Бакрадзе, Кавказ, 1860 г., № 48—49.

რებელი უბნების დამაკავშირებელი გზები და სამეურნეო დანიშნულების გზები (საყანე და სანახირე გზები); ქუჩაბანდებს, რომლებიც საცხოვრებელ უბნებს შორის დამაკავშირებელი გზიდანაა განშტოებული და ყოველ კარ-მიდამომდე სიღრმეში შეჭრილ დამოუკიდებელ საკუთარ მისასვლელს წარმოადგენს, მეგრულ დიალექტზე „შუკას“ ეძახიან. საყურადღებოა აგრეთვე კარ-მიდამოდან განშტოებული სამეურნეო დანიშნულების ბილიკები, რომლებიც სხვადასხვა მხრიდან გამოდის და კარ-მიდამოს ზღუდეებში მოწყობილი სპეციალური გადასასვლელებით („ოლაგე“ — „ალაგე“) უკავშირდება სხვადასხვა დანიშნულების ზემოხსენებულ გზებს; ბილიკებს, როგორც საშინაო, პრიმიტიულ მისასვლელებს, ფეხით მოსიარულეთათვის უაღრესად პრაქტიკული ყოველდღიური გამოყენება აქვს როგორც გზის შემოკლების, ისე მიწის ეკონომიის თვალსაზრისით, აგრეთვე თავდაცვის მიზნითაც კი, რადგან ეს ბილიკები უცხოთათვის „ლაბირინთს“ წარმოადგენს. ხშირად ასეთი „ლაბირინთული“ ბილიკები დაბურულ ტყესა ან გამოქვაბულებში შედის, ასე რომ გაქცეული მტრისათვის ძნელია გზის გაგნება და აქედან თავის დაღწევა.

აფხაზეთის ძველი დასახლების სისტემაში დღემდე შემორჩენილი შიგა სამიმოსვლო გზების მიხედვით ირკვევა, რომ ისტორიულ წარსულში აქ რთულ სამთო ტოპოგრაფიულ ვითარებაში გზების მრავალი სახეობა არსებობდა. ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით მტკიცდება, რომ ძველად საქართველოში გზები სხვადასხვა დანიშნულებისა და სახეობის ყოფილა; სულხან-საბა ორბელიანი გვაძლევს ასეთ განმარტებას: „გზა არს ზომიერი კაცთა სავალი, ხოლო შარა ვრცელი და ბილიკი ვიწრო, ხოლო ქაშანი შამბნართა ანუ თოვლთა ზედა გატკეცილი სავალი და წავარნა კლდეთა ზედა ვიწრო რამე ნადირთა წარსავალი“ (სიტყვის კონა).

„ქაშანის“ მსგავს დროებით ბილიკებს დღესაც ვხვდებით საკენისა და კოდორის ხეობათა მაღალმთიან ზონაში. ასევე ცნობილია ფრიალო ქარაფებში არსებული „საწრიაპო“ ბილიკები ან არჩვთა და ჯიხვთა „სანავარდო“ ვიწროები, რომელსაც საბას განმარტებით ეწოდება „წავარნა“. ასეთ „წავარნას“ წარმოადგენდა XIX ს. მეორე ნახევრამდე ცნობილ „ბაგადას“ ფრიალო კლდეთა სანახებში არსებული საწრიაპო ბილიკები (სურ. 26); მხოლოდ 1877 წლიდან გადაუქცევიათ ხსენებული ბილიკები მდ. საკენის ხეობისაკენ მიმავალ „ზომიერ სავალ გზად“[1].

უნდა აღინიშნოს, რომ ძველი დასახლების სისტემაზე დიდი გავლენა იქონია რელიეფმა; ეს გარემოება მკვეთრად არის გამოხატული ცალკეული საცხოვრებელი უბნების ხალხურ კარ-მიდამოთა გეგმების კომპოზიციებზე, რომელნიც ქვემოთ დაწვრილებით გვაქვს განხილული; რელიეფის გავლენას უნდა მივაწეროთ ის გარემოებაც, რომ შიგა სამიმოსვლო გზების უმრავლესობას რკალისებური ან მიხვეულ-მოხვეული მოხაზულობა ახასიათებს.

ძველი და ახალი დასახლების თანამედროვე ვითარება. აუცილებელია შევეხოთ აგრეთვე ძველი დასახლებისა და თანამედროვე დასახლების დღევანდელ ვითარებას.

ახალი დასახლების თანამედროვე განაშენიანება წინასწარ დასახული გენერალური გეგმის მიხედვით ჯერ კიდევ არ ხდება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე ახალი დასახლების მაგალითებს, ან კიდევ მაღალი მთის ზონის სხვადასხვა რაიონიდან მასობრივი გადმოსახლების შემთხვევას (მაგალითად, გადაუთის, გაგრის, ოჩამჩირის და გალის რაიონებში).



26. მდ. კოდორის ხეობა. ფრიალო კლდეებში — „ბაგადას“ ქარაფებში ჩამოკაფული გზის ხაერთო ხედი

ძველად დასახლებული სოფლები საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თანდათანობით მკვეთრად გარდაიქმნენ; იცვლება ძველი სოფლის დასახლების გეგმის კომპოზიცია.

ძველი სოფლის გეგმის კომპოზიციის კანონზომიერი გარდაქმნის პროცესი ჩვენი მასალების მიხედვით წარმოგვიდგება შემდეგი სახით: უპირველეს ყოვლისა საკოლმეურნეო წყობილებამ და მასთან დაკავშირებით მიწის შესახებ მიღებულმა დეკრეტმა გამოიწვია სოფლის შიგნით მოსახლეობის გადაადგილება. აშკარად შეიმჩნევა ძველი სოფლის ცენტრიდან საკმაოდ დაშორებული საგვარეულო საცხოვრებელი უბნების აყრისა და სოფლის ცენტრისაკენ გადმონაცვლება-ჩამოსახლების ტენდენცია, რამაც გამოიწვია ცენტრალური ნაწილის გარშემო კომპაქტურ მასებად დასახლების აუცილებლობა; ამ გარემოებამ ძველი სოფლის დასახლების სისტემაში საბოლოოდ ძირი გამოუთხარა გვარებად დასახლების

[1] „ბაგადას“ კლდეთა მასივებში ამ ადგილას დღეს 2 კილომეტრზე მეტი სიგრძის საავტომობილო გვირაბია გაყვანილი.

დაკანონებულ ტრადიციას, წარმოიშვა არა მარტო გვართა სიჭრელე, არამედ ეთნიკური სიჭრელეც.

ძველი სოფლის ცენტრალური ნაწილის ტერიტორიაზე, ახალი ცხოვრების მოთხოვნილების შესაბამისად წინა პლანზე გაჩნდა ახალი ტიპის ნაგებობები: ადმინისტრაციული, კულტსაყოფაცხოვრებო, საგანმანათლებლო და სამეურნეო-საწარმოო ხასიათის ნაგებობანი.

საკოლმეურნეო წყობილების ახალი მრავალდარგობრივი მეურნეობის განვითარების პერსპექტივები ძველი დასახლების პარალელურად იმთავითვე ქმნიდა საფუძველს ახალი დასახლების წარმოშობისათვის; საჭირო შეიქნა ძველი სოფლების ან მათ მომიჯნავე ტერიტორიაზე ახალი ადგილების არჩევა თანამედროვე გეგმიანი დასახლებისათვის.

საილუსტრაციოდ მოგვყავს სოფ. აჩადარის ძველი და ახალი დასახლების საერთო ხედები (სურ. 27). წინა პლანზე მოჩანს გეგმიანი დასახლების სწორხაზობრივი ქუჩის გასწვრივ ორმხრივი დასახლების ნიმუშები, ხოლო უკანა პლანზე— ძველი დასახლებული ბორცვების („გორების") სილუეტები და ალაგ-ალაგ მიტოვებული ძველი კარ-მიდამოების ნაშთები.

თუ შევადარებთ ძველი და ახალი დასახლების ნიმუშებს, ვერ ვიტყვით, რომ ჩვენ ვაჯობეთ წინაპრებს საცხოვრებელი ადგილების არჩევასა თუ კარ-მიდამოების მოწყობის საქმეში.

დასასრულს, ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ თანამედროვე საკოლმეურნეო ახალი სოფლების დაგეგმარებაში ჯერ კიდევ მრავალი ხარვეზები არსებობს: ადგილის არჩევისას ხშირად არ არის გათვალისწინებული გარემო, ბუნებრივ-კლიმატური და გეოგრაფიული პირობები, არც თვით ნაგებობათა განლაგება-განაშენიანების სტრუქტურაა სწორად არჩეული. გარდა ამისა ცალკეული კარ-მიდამოების გადაწყვეტა მოკლებულია საუკუნეთა მანძილზე დაკვირვებითა და გამოცდილებით მიღებული ხალხური დაგეგმარების კლასიკურ პრინციპებს, რაც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული თანამედროვე საკოლმეურნეო სოფლების დაგეგმარების დროს.



27. სოფ. აჩადარა. ახალი დასახლების საერთო ხედი აღმოსავლეთიდან

# კარ-მიდამოების დაგეგმვის უძველესი წესები და ტიპები

ვიდრე შევუდგებოდეთ ხალხური კარ-მიდამოების გრაფიკულ-დანაზომი მასალების განხილვას, საჭიროდ ვთვლით რამდენიმე სიტყვა დავუთმოთ ტერმინ „კარ-მიდამოს“ გაგების საკითხს.

დღევანდელი ტერმინი „კარ-მიდამო“ ქართულ ხალხურ მეტყველებაში უძველესი დროიდანაა გავრცელებული. ეს ტერმინი წერილობით წყაროებშიაც გვხვდება; იგი შედგება ორი სიტყვისაგან „კარი“ და „მიდამო“, მაგრამ ჯერ კიდევ კარგად არ არის გამორკვეული, თუ რა იგულისხმება თითოეული მათგანის სახით.

სიტყვა „კარი“ ხშირად ნახმარია „ეზოს“ სინონიმად; მაგალითად: „კარი-კარ“ ან კიდევ „კარდაკარ“ ნიშნავს ეზო-ეზოს (ქართულ სინონიმთა ლექსიკონი); „სახლ-კარი“ უნდა ნიშნავდეს აგრეთვე სახლსა და ეზოს; ცნობილია ისიც, რომ სიტყვა „კარი“ ძველად „სახლის“ ან კიდევ „სასახლის“ აღმნიშვნელ სიტყვადაც იხმარებოდა, ასე, რომ „კარი ამ შემთხვევაში გულისხმობს სახლს (დასახელებული ლექსიკონი) და ამიტომაც ტერმინ „კარ-მიდამოში“ სიტყვა „კარი“ თავშია მოქცეული და ნიშნავს სახლს და მის მიდამოს.

ასევე საჭიროა განვმარტოთ ეზოსა და მიდამოს მნიშვნელობა. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ეზო არის „გალავანი მოხრილი“, ხოლო მიდამო არის „აქეთ-იქით“ (ლექსიკონი); ჩვენი აზრით, „აქეთ-იქით“ ამ შემთხვევაში უნდა გავიგოთ, როგორც საცხოვრებლად არჩეული შემოგარენი.

აღსანიშნავია, რომ საცხოვრებელი ადგილის და ნაგებობის გამოსახატავად კოლხეთის მთელ ტერიტორიაზე ხალხურ წყაროებში ვხვდებით აგრეთვე ლაზურ-მეგრული წარმოშობის უძველეს ტერმინს, ე. წ. „ოხორის“; „ოხორე“ ან კიდევ „მახორობა“ (ოჯახი), თავისი შინაარსით შეესაბამება ზემოგანხილულ ტერმინს, ე. წ. „კარ-მიდამოს“, და როგორც ტერმინი გვხვდება არამარტო სამეგრელოში, არამედ მოქვისა და კოდორის ხეობათა ზოგიერთ მთის სოფელშიაც.

საგვარეულო დასახლების სისტემაში არსებული დიდი ოჯახების დიფერენციაციამ საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ საფეხურზე გამოიწვია აგრეთვე მიწების პარცელაცია — ოჯახის წევრებს შორის მიწების საკარმიდამო ნაკვეთებად დანაწილება.

ამ დროიდან იწყება საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე კერძო საკუთრების განმტკიცების პერიოდი, ე. წ. „ოხორეებად“[1] — ტიპიურ კარ-მიდამოებად ჩამოყალიბების პირველი ეტაპი, რომელსაც მემკვიდრეობით თან გადმოჰყვა საგვარეულო დასახლებას გეგმარების ზოგიერთი უძველესი ტრადიცია და, როგორც გადმონაშთები, დღემდე შემორჩა მთის სოფლების ხალხური კარ-მიდამოების გეგმების კომპოზიციებს.

ძველი ხალხური კარ-მიდამოები თითქმის უკანასკნელ დრომდე ინერციით ინარჩუნებენ თავიანთ ადრინდელ ხუროთმოძღვრულ სახეს.

ჩვენ მიერ შეგროვებული მასალების საფუძველზე დასტურდება, რომ ხალხური კარ-მიდამოები, ე. წ. „ოხორეები“, პირველად ჩასახული უნდა იყოს მეორე საცხოვრებელი ანუ მუდმივი საცხოვრებელი ზონის მთიან რაიონებში. ამიტომ ძველი ხალხური კარ-მიდამოები აფხაზეთის მთის სოფლების მაგალითებზე უნდა იქნეს შესწავლილი.

დაბალი ზონის სოფლების ხალხური კარ-მიდამოები გაცილებით გვიანაა წარმოშობილი დროებითი დასახლების ბაზაზე და იდენტურად განვითარდა თავის წინამორბედ, მთის ზონის დაკავებულ ადგილებზე არსებულ კარ-მიდამოთა ტრადიციების კვალობაზე.

მეორე საცხოვრებელ ზონაში შემავალი მთის სოფლების კარ-მიდამოები („ოხორეები“) შესწავლის თვალსაზრისით დაყოფილი გვაქვს ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფს ეკუთვნის რთული რელიეფის მიწის ნაკვეთებზე ჩამჯდარი, ხოლო მეორეს ხელმისაწვდომ მთის ან ბორცვების დავაკებულ ადგილებზე გამართული კარ-მიდამოები.

საილუსტრაციოდ მოტანილი გვაქვს მთის სოფლების ძველი ტიპიური კარ-მიდამოების დანაზომი მასალები; რთულ რელიეფზე მოწყობილი კარ-მიდამოები ნაჩვენებია ტაბ. 6, 10, 15, 16, 17, ხოლო დავაკებულ სწორ ადგილებზე მოწყობილი კარ-მიდამოები — ტაბ. 11, 12, 13 14, 18.

პირველი ჯგუფის — რთული რელიეფის მიწის ნაკვეთებზე გამართულ კარ-მიდამოებს უპირველეს ყოვლისა ახასიათებს არაწესიერი და რთული გეომეტრიული მოხაზულობა. ასეთი ტიპიური მოხაზულობა გამოწვეულია რელიეფით, რომელმაც თავისებური ზეგავლენა იქონია როგორც გეგმის კომპოზიციაზე, ისე მასზე განლაგებულ ნაგებობათა სივრცობრივ ფორმაზედაც.

მეორე ჯგუფის ბუნებრივად დავაკებულ სწორ ადგილებზე განფენილ კარ-მიდამოებს ახასიათებს სწორკუთხოვანი ან ტრაპეციული ფორმის კონტურები (ტაბ. 11, 12, 13, 14, 18).

გეგმარების პრინციპების თვალსაზრისით ზემოაღნიშნული კარ-მიდამოები არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მათ საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული აქვთ გეგმარების საერთო ელემენტები და მთის ზონის უძველესი კარ-მიდამოების („ოხორეების“) ერთსა და იმავე ტიპიურ სახეებს წარმოადგენენ.

მთის ზონის ორივე ჯგუფის კარ-მიდამოები დაყოფილია სხვადასხვა დანიშნულების ეზოებად: I — სუფთა-დეკორაციული ანუ საცხოვრებელი ეზო (სამეგრელოში მას „შუა ეზოსაც“ უწოდებენ — „შქა ეზო“); II — წინა ეზო (ავანეზო ანუ შუკა — ფოლორცი), III-სამეურნეო-საწარმოო ეზო და IV — საბაღო-საბაღჩე ეზო.

სუფთა — დეკორაციულ ანუ საცხოვრებელ ეზოს ყველაზე ვრცელი და ცენტრალური ადგილი უკავია; მას ფარავს უზარმაზარი მწვანე ხალიჩასავით სუფთა ხასხასა კოინდარი[2], რომელიც ამავე დროს საუკეთესო სანიტარულ-ჰიგიენურ ღონისძიებასაც წარმოადგენს.

ასეთი ტრადიციული საცხოვრებელი ეზოების დაგეგმარების ხუროთმოძღვრულ კომპოზიციურ ელემენტებს წარმოად-

---

[1] ოხორ–ოხორე (კარმიდამო) იხმარება სახლის სინონიმადაც.

[2] საგანგებოდ შერჩეული მწვანე ხავერდოვანი ბალახის ჯიში, რომელიც ქმნის მჭიდრო და თანაბარ მწვანე საფარველს.

გვნენ: უპირველეს ყოვლისა თვით კოინდარი, დიდტანიანი საჩრდილობელი ხეები, რომელთა ჩრდილის ქვეშ „მწვანე ხალიჩაზე“ გამართულია საჯდომი მერხები და მაგიდა; გარდა ამისა ეზოს ვრცელ ტერიტორიაზე მთავარი ადგილი უკავია საცხოვრებელ სახლს, რომელიც არა მარტო სუფთა ეზოს კომპოზიციის ცენტრს წარმოადგენს, არამედ მთლიანად კარ-მიდამოს გეგმის კომპოზიციის უმთავრეს ელემენტად ითვლება; იგი მუდამ საჩრდილოებელი ხეების ახლოს დგას ისე, რომ ჩრდილქვეშ მოქცეული ტერიტორია უშუალოდ დაკავშირებულია ღია აივანთან და პაპანაქება ზაფხულის პერიოდში გამოყენებულია როგორც დამატებითი საცხოვრებელი ფართი: აფხაზეთის თბილი ჰავა ხელს უწყობს მკვიდრ მოსახლეობას თითქმის მთელი წელიწადი იყვნენ გარეთ, სუფთა ჰაერზე (აფხაზეთში ხშირად შეხვდებით ხანდაზმულ ადამიანებს, რომლებსაც ზამთარ-ზაფხულ გარეთ სძინავთ).

ეზოში „...ხეებს სხვადასხვა რიგად რგავენ: ზოგიერთებს სიგრძეზე მწკრივად გაუყოლებენ, რათა დღის განმავლობაში კაცს შეეძლოს, როცა მოისურვებს, ჩრდილის ქვეშ გაისეირნოს; ზოგიერთებს კი ირგვლივ, წრესავით რგავენ, რათა მრავალ კაცს ერთად შეეძლოს ჩრდილის ქვეშ მოთავსდეს და პური ჭამოს, ან მოისვენოს“[1].

საცხოვრებელი ეზოს ტერიტორიაზე „ირგვლივ წრესავით“ დარგული საჩრდილობელი ხეები, როგორც გამწვანების უძველესი გადმონაშთი, დღემდე კარგად არის დაცული სოფ. დურიპშში ტ. გუნბას კარ-მიდამოს ტერიტორიაზე (სურ. 28). იმავე სოფელში შემორჩენილია აგრეთვე საჩრდილობელი ხეების „სიგრძეზე მწკრივად“ დარგვის სისტემა (ორი ძმის მინასი და მარტია თარქილების სუფთა დეკორაციული ეზოს ტერიტორიაზე) საცხოვრებელი სახლის გასწვრივ (სურ. 29).

მწვანე კოინდარის ვრცელ ფონზე საჩრდილობელი ხეების გარდა საცხოვრებელ ეზოს ამშვენებს აგრეთვე ცალცალკე, განმარტოებით მდგარი ისეთი მაღალი ხეები, რომლებიც ნაკლებ ჩრდილს იძლევიან მეჩხერი ფოთლიანობის გამო. ასეთ ჯიშად უძველეს დროიდან ცნობილია თხმელა, რომელიც აქ საოცრად მაღალი იზრდება და ამიტომაც ყოველ ხესთან მირგულია „მაღლარი“ ჯიშის ვაზი — ოჯალეში ან, უფრო ხშირად, იზაბელა.



28. სოფ. დურიპში. ტ. გუნბას კარ-მიდამოს გენ-გეგმა



29. სოფ. დურიპში. მინასი და მარტია თარქილების კარ-მიდამო

ვაზებჩახვეულ ასეთ გიგანტურ ხეებს დიდი სილამაზე შეაქვს სუფთა-დეკორაციული ეზოს საერთო შესახედაობაში; საცხოვრებელი ეზოს გამწვანების ეს უძველესი დაგეგმარების ხალხური ხერხები დიდი ცხოველხატულობით აქვს აღწერილი დიუბუა დე-მონპერეს[2]. საყურადღებო აღწერას გვაძლევს აგრეთვე ცნობილი ეთნოგრაფი თ. სახოკია ტიპიური „სუფთა ეზოს“ შესახებ: „სახლის წინ ეზო ჰიშკრამდე თავისუფლად არის გაშვებული, ქორფა ბალახს ხშირად ზედ დაჰყურებს ასწლოვანი კაკლის ხე, და მისი განზე გაშლილი ტოტების ხშირ ჩრდილს თავს აფარებენ სიცხეში.. ზოგან, კაკლის ხის გარდა, ნახავთ რომელსამე ხეხილს. სხვა ხეებში თხმელა ჭარბობს აქაურების ეზოში, ყველას სათითაოდ მირგული აქვს ვაზი“[3].

ძველი ხალხური კარ-მიდამოების გენერალურ გეგმაზე სუფთა ეზოს გარშემო დაგეგმილია სამეურნეო-საწარმოო ეზო, რომელიც თავისთავად დანაწილებულია შემდეგი დანიშნულების ეზოებად: ა) აგვარა ანუ ქართა (საჩეხი), ბ) საბაღო ანუ საბაღნარო.

აგვარა ანუ ქართა წარმოადგენს საქონლის სადგომ ეზოს, რომელსაც სრულიად დამოუკიდებელი მისასვლელი (შუკა) აქვს საქონლის შესადენად (ტაბ. 12, 13, 16, 17).

სუფთა-დეკორაციული ეზო „აგვარასთან“ დაკავშირებულია დაბალი გადასასვლელით (ალაგე-„აკიბა“).

დიდი ყურადღება ექცევა აგვარას სისუფთავეს. აქედან ტალახიანი ფეხით შესვლას სუფთა ეზოში ისე ერიდებიან, თითქოს საცხოვრებელი სახლი იყოს.

აგვარა, როგორც საქონლის სადგომი ეზო, განსაკუთრებით დაცულია მავნე ქარებისაგან ქარსაცავებით — მცენარეული მჭიდრო საფარველით. აგვარას მთელ ფართობზე მოწყობილი აქვს მიწისქვეშა ხელოვნური სარწყები, რათა საქონლის სადგომად მიჩნეულ ფართობზე არ დაგროვდეს

[1] არქანჯელო ლამბერტი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 35.

[2] «Между тем здесь виноградные лозы на своей истинной родине, где они процветают, не требуя ухода, будто в раю. Тот, кто желает окружить свое жилище виноградом, должен только позаботиться о том, чтобы возле дома находилось несколько уединенных деревьев, по которым виноградные лозы взбираются, образуя тысяча зеленых гирлянд, до тех пор, пока, наконец, их красные кисти не превратят всего дерева в одну сплошную громадную виноградную гроздь» (Дюбуа де Монпере, დასახელებული ნაშრომი, გვ. 134—135).

[3] თ. სახოკია, მოგზაურობანი, 1950 წ., გვ. 264.

წვიმის წყალი; საგულისხმოა ისიც, რომ აგვარას ტერიტორიაზე საგანგებოდ დარგულია საჩრდილობელი ხეები, სადაც საქონელს შეუძლია დროებით შეაფაროს თავი არახელსაყრელი ამინდის დროს.

სამეურნეო დანიშნულების ეზოს ეკუთვნის აგრეთვე ე. წ. „საბაღო“ ანუ „საბაღნარო“ ეზოც; როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, იგი წარმოადგენს ხეხილის გასაშენებელ ადგილს (ეზოს).

საერთოდ ცნობილია, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე ხეხილისა და ვენახის მოშენება, ე. წ. „საბაღო საქმე“, საყვარელ სახალხო საქმედ იყო აღიარებული; არა მარტო კარ-მიდამოების გარშემო, უღაბურ ტყეებშიაც კი ველურ ხეხილზე დამყნობა ტრადიციულ საქმედ იყო მიჩნეული.

ეს ჩვეულება დღემდე შემორჩენილია აფხაზეთის მკვიდრთა შორის[1].

დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე „ავანეზოს“ („წინკარი“) ე. წ. წინა ეზოს მოწყობის ტრადიცია; როგორც სახელწოდებიდან ჩანს, აღნიშნული ეზო ძველ ხალხურ კარ-მიდამოებში მუდამ საცხოვრებელი ანუ სუფთა ეზოს წინ მდებარეობს და დაკავშირებულია უშუალოდ სოფლის შიგა სამიმოსვლო ან მაგისტრალურ გზასთან. იგი თავისი დანიშნულებით და მდებარეობით „ვესტიბიულს“[2] მოგვაგონებს, ვინაიდან როგორც სუფთა ეზოში, ისე სხვა დანიშნულების ეზოებშიაც აქედან შედიან.

ძველ ტიპიურ კარ-მიდამოებში „წინა ეზო“ („წინკარი“) წაგრძელებული მოხაზულობისაა და აქვს ორი ჭიშკარი: ერთი თავშია, გზის პირზე. ხოლო მეორე ბოლოში — „სუფთა ეზოს“ შესავალში.

დეკორაციული ეზოს სისუფთავისა და ოჯახური მყუდროების დაცვის საქმეში დიდ როლს ასრულებს წინა ეზო. შარაგზიდან მოსული სტუმარი, ცხენით იქნება თუ ურმით, პირველად აუცილებლად წინა ეზოში უნდა შევიდეს; წინა ეზოში ტოვებენ ცხენებს ან ტრანსპორტის რომელიმე სახეობას (ურემი, ეტლი და სხვ.). ამიტომ მათთვის აქ მოწყობილია ცხენების მისაბმელები, აქ ნახავთ „...ტოტებიან სარს მიწაში ჩარჭობილს, ამ სარის დანიშნულება ის არის, რომ ზედ მოაბამენ ხოლმე სტუმრის ცხენებსა...“[3]

ძველი ხალხური კარ-მიდამოების შესწავლამ გვიჩვენა, რომ დროთა ვითარებაში წინა ეზოს სიგანე მცირდება, რაც მიწის სიმცირით იყო გამოწვეული; იგი თანდათანობით შარაგზისა და სუფთა ეზოს დამაკავშირებელ ვიწრო გასასვლელის სახეს ღებულობს. ხოლო უკანასკნელი 50 წლის მანძილზე წინა ეზოში თანდათან გაუქმდა ერთ-ერთი ჭიშკარი, რითაც წინა ეზომ დაკარგა ადრინდელი მნიშვნელობა. ერთ შემთხვევაში — გზის პირზე არსებული ჭიშკრის გაუქმებით— იგი გადაქცეულია შუკად (ფოლორცად) და ნამდვილ ჩიხს წარმოადგენს (ტაბ. 11), ხოლო მეორე შემთხვევაში წინა ეზოს ბოლოში არსებული ჭიშკარია აღებული და გაერთიანებულია სუფთა ეზოსთან (ტაბ. 13).

აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ძველი ხალხური კარ-მიდამოების კომპლექსში შემავალი ეზოების დანიშნულება და განლაგების სისტემა თავისი ხუროთმოძღვრული ხასიათით არაფრით არ განსხვავდება გურია-სამეგრელოსა და იმერეთის მთის რაიონებში დღემდე მოღწეული უძველესი ხალხური კარ-მიდამოების გეგმებისაგან — მათი კომპოზიციები, როგორც ქვემოთ დავინახავთ, საოცრად ჰგავს ერთმანეთს (ტაბ. 9 შეადარე ტაბ. 10, სურ. 46).

**საკარმიდამო ღობეები.** საცხოვრებელი ადგილის შეღობვა-შემოზღუდვა ცნობილია უძველესი დროიდან.

საცხოვრებელი ადგილის ეზოებად დაყოფისა და მათი ცალ-ცალკე შემოღობვის ტრადიცია, რაც ძველ ხალხურ კარმიდამოებზე შემორჩენილია ბოლო დრომდე, წარმოშობილია გვიან პერიოდში მესაქონლეობის პარალელურად მებაღეობა-მებოსტნეობის (მემინდვრეობის) განვითარების ნიადაგზე.

ძველი დროიდან საქართველოში ცნობილია, რომ ბაღწალკოტების, ვენახებისა და სხვა დანიშნულების ადგილ-მამულების დაცვა-პატრონობის ერთ-ერთი საშუალება შემოღობვა იყო. როგორც წერილობითი წყაროებიდან ჩანს, ყოველ ასეთ ეზოს თავ-თავის შესაფერი ღობე უნდა ჰქონოდა შემოვლებული, სხვანაირად ბაღ-წალკოტი თუ ვენახი განადგურდებოდა[4].

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით (ლექსიკონი) დასტურდება, აგრეთვე, რომ არსებობდა შემოღობვა-შემოზღუდვის სხვადასხვა სახეობა, ასე, მაგალითად: გალავანი, დურსო, მასარი, ხირხალი, ხიმი, ყერო, კაწანი, ძელყორე და სხვ, რომლებიც ერთმანეთისაგან განირჩევიან მასალის, დანიშნულების, კონსტრუქციული სტრუქტურის, ხანგრძლივობის, მდგრადობის და სხვ. ნიშნებით.

ხალხური ტრადიციის მიხედვით, თუ კარ-მიდამოს კარგი ღობე არა აქვს, ეზოში რაც არ უნდა კარგი სახლი იდგეს, შთაბეჭდილება მაინც ძალზე უფერული რჩება. არქანჯელო ლამბერტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ყოველი მოსახლე ცდილობს, რაც შეიძლება მშვენიერი ღობე გააკეთოს“[5].

როგორც ირკვევა, ძველ ხალხურ საკარმიდამო მშენებლობაში ღობეს მარტო უტილიტარული მნიშვნელობა როდი ჰქონია მიკუთვნებული, იგი წარმოადგენდა კარ-მიდამოს ერთ-ერთ დამამშვენებელ ხუროთმოძღვრულ ელემენტსაც.

ღობის ტიპების არჩევა დამოკიდებული იყო ზემოთ განხილული ეზოების დანიშნულებისა და მათი აგების უძველეს ტრადიციებზე.

ყველაზე გავრცელებული უძველესი სახეა წაბლისა და მუხის სარებს შორის თხმელის წკნელისაგან მეჩხრად მოწნული ღობეები (სურ. 30). ირიბული მეჩხერი წნული სტრუქტურა ამ ტიპის ღობეებში გამოწვეულია ნოტიო კლიმატური პირობებით. შემჩნეულია, რომ ასეთი ტიპის ღობეები სწრაფად იწრიტება და ჩქარა შრება; ამიტომაა, რომ აღნიშნული კონსტრუქციის წკნელის ღობე გაცილებით მეტ ხანს ძლებს, ვიდრე მჭიდროდ მოწნული[6].

ღობის ეს ტიპი, როგორც ჩანს, ძალზე მარტივია, მაგრამ თავისუფალი ირიბულ-მეჩხრული მოღობვით შექმნილი რომ-

[1] თ. სახოკია. დასახელებული ნაშრომი. გვ. 313.

[2] საგულისხმოა, რომ ძველ საბერძნეთსა და რომში სახლის წინ მდებარე ეზოს „ვესტიბიული“ ანუ „ვესტიბუმი“ ეწოდებოდა (ლათ.); შემდეგ ეს სახელი დაერქვა სადარბაზო დერეფანს ანუ ოთახს, რომლიდანაც კარი გადის შენობის სხვადასხვა სათავსოში.

[3] თ. სახოკია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 264.

[4] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე, 1935 წ., გვ. 116.

[5] არქანჯელო ლამბერტი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 35.

[6] ასეთი სახის წნული ღობეებისათვის საუკეთესოა შქერის წკნელი, რომელიც 100 წელზე მეტ ხანს ძლებს.



30. სოფ. აჭანდარა. წნულის ტიპური ღობე

ბული და ტრაპეციული ღიადებისაგან წარმოქმნილი აბსტრაქციული ფორმის შუქ-ჩრდილებს ერთგვარი ხუროთმოძღვრული სილამაზე და სიხალისე შეაქვს მის პრიმიტიულობაში.

აფხაზეთის ტერიტორიაზე საკარმიდამო ღობის უძველესი ტიპები შესწავლილი აქვს ა. მილერს, რომელმაც 50 წლის წინათ მოგვცა მეტად საყურადღებო ჩანახატები; მას არ გამორჩენია მხედველობიდან ჩვენ მიერ აღწერილი მეჩხერული წნული ღობის ტიპიც (სურ. 30 შეადარე სურ. 31), ასევე ჩახატული აქვს ძელური და მესერული ღობის ტიპები, რაც მოწმობს ამ ტიპის ღობის ფართო გავრცელებას.

ღობის უძველეს ტიპს მიეკუთვნება აგრეთვე ე. წ. ძელური ღობე (ხირხალი), რომელიც მეტწილად გავრცელებულია ხე-ტყით მდიდარი მაღალი მთის ზონის კარ-მიდამოებში. დღემდე ასეთი ტიპის ღობე, რომელსაც იყენებენ საქონლის სადგომი ეზოების და საყანე ადგილების შემოსაკავებლად შემორჩენილია საკენისა და კოდორის ხეობათა სოფლებში (სურ. 31).

„მასარი", საბას განმარტებით, „არს წვრილის ძელით ყურის მსგავსად შემოვლებული" (სიტყვის კონა). უნდა აღინიშნოს, რომ მეგრულ დიალექტზე „მასარი", აფხაზურად „ა-მასარ" და იმერული „მესერი" ერთი და იმავე ტიპის ღობის სახელწოდებაა (სურ. 32).



31. უძველესი ტიპური ღობეები (ა. მილერის მიხედვით)



32. სოფ. ლიხნი. დ. ჭანიას საცხ. სახლის და კარ-მიდამოს საერთო ხედი — სახალხო ეზო (მარცხნივ) გამოყოფილია „ხუთი ეზოსაგან" შეხრული ღობით

შემოზღუდვის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული უძველესი ტიპია აგრეთვე ქვის გალავანი. როგორც ზემოთ განხილული მასალებიდან ვიცით, აფხაზეთის ტერიტორიაზე ვხვდებით როგორც უხსნაროდ (მშრალი წყობით) აგებული ქვის გალავნებს, ისე კირის ხსნარზე აგებულ გალავნებსაც. ძველ საკარმიდამო მშენებლობაში მხოლოდ უხსნაროდ აგებული გალავნებია გამოყენებული.

ქვის გალავნების ტიპიურობის ნიშანდობლივი ელემენტია მთელ სიგრძეზე, გზის გაყოლებაზე, ზემოდან გადმოფენილი ხვიარა მცენარეებისაგან შექმნილი სხვადასხვა ფორმისა და ზომის მწვანე ფოთლოვანი „ფარდები", რომლებიც ერთგვარი ხუროთმოძღვრული სამკაულების მოვალეობას ასრულებენ და ცხოველხატული სილამაზე შეაქვთ ქვის მდაბიო წყობის მოსაწყენი კედლის სიბრტყეში (სურ. 33).

აფხაზეთის ტერიტორიაზე ყველაზე იაფფასიანი და გამძლე იყო ეკლიანი და ეკლიანი მცენარეების ღობის ტიპები, რომლებსაც ძველთაგანვე „ცოცხალ ღობეს" უწოდებდნენ.

„ცოცხალი ღობისთვის" გამოყენებული იყო მაყვალი,



33. უხსნაროდ აგებული ქვის გალავანი



34. სოფ. ბესლეთი, ცოცხალი ღობე (მწვანე გალავანი), საერთო ხედი გზიდან

ნარეკალა, ბროწეული, გარეული მანდარინი — „ტრიფოლიატი“ და ეკლიან მცენარეთა სხვა ჯიშები; დიდი უპირატესობა აქვს ბროწეულისა და ტრიფოლიატის მცენარეებისაგან შექმნილ ეკლიან „ცოცხალ ღობეს“ (სურ. 34, 35). ამ მარად „ცოცხალ გალავნებს“ თვალწარმტაც სილამაზეს ანიჭებს ბროწეულის ალისფერ ან ტრიფოლიატის თეთრწინწკლებიან ყვავილთა პაწაწინა თაიგულები.

ზემოაღწერილი ცოცხალი ღობე-გალავნები წარმოადგენენ საუცხოო მხატვრულ ნაწარმოებთ, რომლებიც შეუქმნიათ ხალხურ მშენებელ-ხუროთმოძღვრებს საუკუნეთა მანძილზე მემკვიდრეობით მიღებული ხუროთმოძღვრულ-მხატვრული ტრადიციების საფუძველზე.

ჭიშკრები. ძველი კარ-მიდამოების გეგმის გადაწყვეტაში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ჭიშკრების მოწყობის ტრადიციას. ჭიშკარი საერთოდ, აქაური კარ-მიდამოების ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია და გეგმის კომპოზიციაში ცენტრალური ადგილი უკავია.

დღემდე შემორჩენილი ძველი ტიპიური ჭიშკრების მიხედვით ირკვევა, რომ არსებობს მარტივი და რთული ჭიშკრები. მარტივი ჭიშკარი პატარაა, კომპოზიციურ-კონსტრუქციული სტრუქტურითაც პრიმიტიულია; რთული ჭიშკარი შედარებით დიდია და ხუროთმოძღვრულ ყაიდაზე შესრულებულ მცირე ფორმის ნაგებობას წარმოადგენს.

ტერმინი „ჭიშკარი“ გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთ საქართველოში მას ალაყაფს უწოდებენ. ჭიშკარი ორი სიტყვის ნაწარმოებია „ბჭე“+„კარი“— ბჭის კარი, რომლისგანაც შემდეგში ჭიშკარია წარმომდგარი. ბჭე და ბჭენი ძველ საქართველოში თავისთავად ნიშნავდა კარს და კარებს“[1].

საბას განმარტებით „ბჭე ეს არის სახლთა და ტაძართა შესავალი, ხოლო კარი, გასაღები და მისაგდებელი“ (სიტყვის კონა). დადასტურებულია, რომ „ბჭე დიდ კარს ნიშნავს, შემდეგში, რომ ალაყაფის კარი ეწოდება“[2].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველი ტიპიური კარ-მიდამოს დამახასიათებელ „წინა ეზოს“ აქვს ორი ჭიშკარი: თავში — გზის პირზე, და „წინა ეზოსა“ და „საცხოვრებელი ეზოს“ მიჯნაზე[3].

ამრიგად ჭიშკრები ერთმანეთისაგან განირჩევიან კარ-მიდამოზე მდებარეობის მიხედვითაც. გვიან პერიოდში, როგორც აღვნიშნეთ, „წინა ეზოს“ ფუნქციის თანდათან დაკარგვასთან ერთად კარ-მიდამოზე რჩება მხოლოდ ერთი —მთავარი, ე. წ. დიდი ჭიშკარი (იხ. ანოტაციები).

დიდი ან რთული ჭიშკრები გვხვდება ორი სახის: გადახურული და გადაუხურავი, ხოლო მარტივი — პრიმიტიული ჭიშკრები დღეს იშვიათია, შემორჩენილია მხოლოდ საყანე ადგილებში გამავალ გზებზე და „სიბას“ ან კიდევ „მეველეს ჭიშკარს“ უწოდებენ.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, გვ. 49.

[2] იქვე, გვ. 25, 50.

[3] საგულისხმოა, რომ მეგრულ დიალექტზე გზის პირზე მოთავსებულ ჭიშკარს ეწოდება „გალე (ნ) ჭიშკარი“ („გარეთა ჭიშკარი“), ხოლო „საცხოვრებელ ეზოსთან“ მდებარე ჭიშკარს—„დინოხო (ნ) ჭიშკარი“, („შიგნითა ჭიშკარი“).



85. სოფ. თამიში. მწვანე გალავანი, საერთო ხედი გზიდან



86. მარტივი ჭიშკრის უძველესი სახეები
(ა. მილერის მიხედვით)



87. საველე მარტივი ჭიშკარი თვითჩაკეტი მოწყობილობით
(ა. მილერის მიხედვით)

მარტივი ჭიშკრების ჩანახატები მოცემული აქვს ა. მილერს (სურ. 36). როგორც გამოირკვა, მარტივი ჭიშკრები არის ორი ტიპის: ერთია გადასასვლელის („ოლაგეს“) მაგვარი, ხოლო მეორე — ზღრუბლზე დაყენებული, ე. წ. „მისაგდები“ ანუ მისახური. (სურ. 37,3)

საგულისხმოა, რომ საყანე ადგილებისა და საძოვრების ზონაში არსებული ზღურბლიანი მარტივი ტიპის „საველე ჭიშკარი“ გაღების შემდეგ ზოგიერთი ავტომატურად იხურება.

ეს ამოცანა პრიმიტიული წესით ჩინებულად არის გადაწყვეტილი: თვითდამკეტი ავტომატის როლს ასრულებს მშვილდისებრი დრეკადი ბერკეტი — იქვე მოშორებით მიწაში ჩასობილი „ჭოლოკი“ (დრეკადი წვრილი ლატანი). ჭოლოკის წვერზე მიმაგრებულია გრძელი „წირეხი“, რომლის მეორე ბოლო მიბმულია ჭიშკრის ლატანზე ისე, რომ ყოველი გაღების შემდეგ თვითონვე იხურება (სურ. 37).

უნდა აღინიშნოს, რომ ხალხურ მშენებელ-ხუროთმოძღვართა წინაშე დასმული რთული ამოცანების პრიმიტიულ გადაწყვეტაში ხშირად მეტად გონებამახვილური ტექნიკური ხერხებია ჩაქსოვილი, და მათი პირველყოფილი-გამომგონებლური საკითხების შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამშენებლო ტექნიკის ისტორიისათვის.



88. სოფ. ლიხნი. გადახურული ტიპიური ჭიშკარი ორქანობიანი სახურავით



89. სოფ. აჭანდარა. გადახურული ორქანობიანი ჭიშკარი, საერთო ხედი

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ განხილული მარტივი ჭიშკრის ტიპები გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში: გურიაში, სამეგრელოში, იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში.

ჭიშკრების განვითარებული ფორმაა „რთული ჭიშკრები“. როგორც აღვნიშნეთ, „რთული ჭიშკრები“ არის გადახურული და გადაუხურავი ტიპის (სურ. 38, 39, ტაბ. 7, 8).

საგულისხმოა, რომ გადახურული ჭიშკრების უმრავლესობა ორქანობიანია და ყავრითაა დახურული.

ოთხქანობიან ჭიშკრებს აქ იშვიათად შეხვდება ადამიანი. ჩვენი მოგზაურობის მანძილზე დამოწმებული გვაქვს ერთადერთი შემთხვევა სოფ. წარჩეში (სურ. 40). თავისი პრიმიტიული კონსტრუქციული სტრუქტურითა და ტლანქი დამძიმებული ელემენტებით იგი მოგვაგონებს იმ „ალაყაფის კარებს, რომლებიც XVII ს. აღწერილი აქვს არქ. ლამბერტის (სურ. 41): „შესასვლელთან დგამენ დიდ ალაყაფის კარებს, რომელიც გამაგრებულია კოჭებით და დიდი ხეებით“[1].

ჭიშკრის სახურავებსა და ბოძებზე დღესაც გვხვდება ცხოველებისა და ფრინველების გამოსახულება; ხშირად გამოხატულია ცხენის, ხარის ან მტრედის სილუეტი (სურ. 114).

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ოთხქანობიანი „დიდი ჭიშკრების“ იდენტურ ძველ ტიპებს ვხვდებით ზემო სამეგრელო-

[1] არქანჯელო ლამბერტი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 35.



**40. სოფ. წარჩე. რთული ჭიშკარი ოთხქანობიანი სახურავით**

სა და საინგილოს სოფლებში, მათ ახასიათებს კონსტრუქციული მდგრადობის ზედმეტი მარაგი და დიდი მოცულობითი ფორმა (სურ. 42, 43).

გადახურული ჭიშკრის ტიპები გავრცელებულია არა მარტო აფხაზეთის ტერიტორიაზე, არამედ სამეგრელოში, გურიაში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში — აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალზე — საინგილოში და საქართველოს საზღვრებს იქით, შორეულ ქვეყნებშიაც, სინქრონული ტიპების სახით[1].

მკითხველის ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ჭიშკრის ერთ მეტად საყურადღებო ძველთაძველ ტიპზე. ის უშუალოდ გაერთიანებულია სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებთან. ეს ტრადიცია მჭიდროდ არის დაკავშირებული კარმიდამოების დაგეგმარების უძველეს ხერხებთან. როგორც ირკვევა, ჭიშკრის ნაგებობა ხშირად დაკავშირებულია გვერდზე არსებულ ბოსელთან ან სასიმინდესთან ერთი სახურავის ქვეშ გაერთიანების გზით (იხ. ანოტაციები და ტაბ. 8, 11).

ივ. ჯავახიშვილის მიერ ძველი ქართული წერილობითი წყაროებიდან მოტანილი ამონაწერების შინაარსი — „შევქმენ ჭიშკარი ბოსელ-ქორედიანი", „დავდგი ჭიშკარი ზემოქუემო", შეიძლება ითქვას, დღემდე ბუნდოვანი იყო სათანადო წარმოსადგენი ნივთიერი მასალების უქონლობის გამო: გაურკვეველი რჩებოდა, რა კავშირი უნდა ჰქონოდა ბოსელს ჭიშკართან; დიდი ქართველი მეცნიერი ინტუიციით განმარტავდა, რომ „ბოსელი უეჭველია ქვედა სართულში უნდა ყოფილიყო, რადგან კიბეზე ხომ ვერ აიყვანდნენ საქონელს, და ქორედი — კი უეჭველად მეორე სართულში უნდა ყოფილიყო. ამგვარად, ამ ჭიშკარს რთული დანიშნულება ჰქონია. მას თავისი გარკვეული გეგმა უნდა ჰქონოდა. მიზანშეწონილობის თვალსაზრისითაც რომ მივუდგეთ ამ საკითხს, ცხადია, ისე მოუფიქრებლივ ასეთი ნაგებობის გაკეთება არ შეიძლებოდა"[2].

დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე რთული ჭიშკრის ერთი მეტად ორიგინალური სახე, ე. წ. „ჭიშკარი სასიმინდეთი", რომელიც გავრცელებული ყოფილა მთის ზონის კარ-მიდამოებში; ჭიშკრის ეს ტიპი დამოწმებული გვაქვს შემდეგ სოფლებში: ლიხნში, ოთხარაში (აპენის უბანი), კულაშურსა და მოქვის ხეობაში. ეს ნაგებობა ერთდროულად ჭიშკარიც არის და სასიმინდეც. ჭიშკრის ბოძები საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ხალხური მშენებლის ფანტაზიას დაეგვირგვინებია იგი მასზე დაშენებული მცირე ფორმის ნაგებობით, რომელიც ვერტიკალურ განზომილებაშია, ერთი სახურავის ქვეშ მოქცეული. (სურ. 44). არა ნაკლებ ინტერესს იწვევს ჭიშკრის და სასიმინდის ერთი სახურავის ქვეშ გაერთიანების მაგალითები, რომლის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს სოფ. წარჩედან — ირ. აკირთავას ჭიშკარი-სასიმინდე (ტაბ. 8).

ასეთ ჭიშკრებს ვხვდებით აგრეთვე სამეგრელოსა და იმერეთის მთიან ზონაში. ასევე დამოწმებულია იგი სხვადასხვა ავტორის მიერ რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ჭიშკარზე, სასიმინდის დაშენება გამოწვეულია მთის ზონაში მიწის ეკონომიით[3]. მაგრამ საკითხავია, სასიმინდე მაინცდამაინც ჭიშკრის თავზე რატომ უნდა ყოფილიყო დაშენებული?

როგორც გამოირკვა ხანდაზმულ მოხუცთა გადმოცემით, სასიმინდის დაშენება მხოლოდ „შიგნითა ჭიშკარზე" ცოდნიათ, მასში ინახავდნენ საქონლის საკვებად მიჩნეულ სიმინდს და ამიტომაც ახლოს უნდა ყოფილიყო „აკვარასთან", ასე რომ სასიმინდის დაშენება ჭიშკარზე მარტო მიწის ნაკვეთის ეკონომიით არ ყოფილა გამოწვეული, მას სხვა წმინდა უტილიტარული მოსაზრებაც ჰქონია.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში მოხსენებულია „შევქმენ ჭიშკარი ბოსელ-ქორედიანი".



**41. გადახურული ჭიშკრის უძველესი სახე (ქრ. კახტელის ჩანახატი)**

---

[1] Е. Ащепков, Русское народное зодчество в западной Сибири, 1950 г. и Румынское народное искусство, Бухарест, 1955 г.

[2] ივ. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 25—26.

[3] Д. Мшвениерадзе, Строительное дело в древней Грузии, 1952 г., стр. 69; М. Гараканидзе, Грузинское деревянное зодчество, 1959 г., стр. 60—62.



42. სოფ. ქურჩუ (სამეგრელო) ტიპიური ჭიშკარი ოთხქანობიანი სახურავით

ქორედიანი ჭიშკარი ნიშნავს ჭიშკარზე ზემოდან დაშენებულ ნაგებობას (ზედა სართულს), ვინაიდან ტერმინი „ქორი“ ს. ორბელიანის მიხედვით ნიშნავს — „სახლზედ სახლი აგებული“. ამრიგად, „შევქმენ ჭიშკარი... ქორედიანი“ მიუთითებს იმაზე, რომ ჭიშკრებზე სასიმინდეების დაშენების ტრადიციას წინ უსწრებს სხვა დანიშნულების ნაგებობის დაშენება[1]. ამრიგად, აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სასიმინდიანი ჭიშკრები საქართველოში გავრცელებული უძველესი ქორედიანი ჭიშკრების გადმონაშთები უნდა იყოს.

**საკარმიდამო ღობეებში მოწყობილი გადასასვლელები** („ო ლ ა გ ე-ა კ ი ბ ა“). ძველი კარ-მიდამოების ეზოებად დაყოფის ტრადიცია მოითხოვდა ამ ეზოებს შორის კავშირის დამყარებას, რაც პრიმიტიული წესით ოლაგეების მეშვეობით არის განხორციელებული. ყოველ კარ-მიდამოს რამდენიმე ოლაგე აქვს ეზოებს შორის მოწყობილი.

საყურადღებოა, რომ 50 წლის მანძილზე ოლაგის ტიპებს თითქმის არავითარი ცვლილებები არ განუცდია, ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის ოლაგეების ჩანახატები, რომელიც ჯერ კიდევ ამ 50 წლის წინათ მოგვცა ა. მილერმა (სურ. 45).

ოლაგის შერჩევა იმაზეა დამოკიდებული, თუ რა სახის ღობეშია იგი მოწყობილი. თუ კარ-მიდამოს გარეთა ზღუდეშია, მაშინ აკეთებენ შედარებით მაღალ ოლაგეს, რომელიც სხვადასხვა სახის ორიგინალურად მოწყობილი საფეხურებისაგან შედგება (აფხაზურ დიალექტზე — „აკიბა“). გვხვდება აგრეთვე კარ-მიდამოს შიგნით ეზოების ზღუდეში პატარა წნულ კარებშებმული ოლაგეებიც, რომელიც კომბინირებული ოლაგის სახეს ეკუთვნის. ამრიგად, ხალხური ოლაგეების კონსტრუქციული აგებულება იმდენად მარტივი და გასაგებია ზემოთ წარმოდგენილი ნახაზებიდან, რომ მათ დაწვრილებით აღწერას საჭიროდ არ ვთვლით.

**კ ა რ-მ ი დ ა მ ო ს  გ ა ნ ა შ ე ნ ი ა ნ ე ბ ა.** ხალხური მშენებლის მთელი ყურადღება გადატანილია ცალკეულ ნაგებობათა მოხერხებულ განლაგებაზე და, მათი დანიშნულებისამებრ, ქვეყნის მხარეთა ორიენტაციის შერჩევაზე.

კარ-მიდამოს კომპოზიციის მთავარი ელემენტია საცხოვრებელი სახლი, რომელსაც გეგმაზე ყველაზე ვრცელი ადგილი უჭირავს. საცხოვრებელი სახლი მოთავსებულია საცხოვრებელი ეზოს (სუფთა ეზოს) ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე.

საყურადღებოა, რომ ძველი ტიპიური საცხოვრებელი ეზოს ცენტრალური ნაწილი არასოდეს არ არის განაშენიანებული; მისი ტიპიურობა სწორედ იმაში გამოიხატება, რომ საცხოვრებელი და სამეურნეო-საწარმოო ხასიათის ნაგებობები განლაგებულია საცხოვრებელი ეზოს გარშემო, მისი შემოზღუდვის პერიმეტრის ხაზზე და სათითაოდ დაკავშირებულია თავიანთ დამახასიათებელ ეზოებთან (იხ. ანოტაციები).

ხავერდოვანი კოინდრის ფონზე მწვანე ნარგავებით შექმნილ შუქ-ჩრდილის კონტრასტებთან კარგად შეხამებული ხალხური ნაგებობანი დასრულებულ ხუროთმოძღვრულ შთაბეჭდილებას ქმნის.

ძველი ხალხური კარ-მიდამოების სისტემაში განაშენიანების მთავარ ობიექტებს წარმოადგენს: ჭიშკარი, საცხოვრებელი სახლი, სამზარეულო, ამბარა — ახალ დაქორწინებულთა სახლი, ბოსელი, ტალავერი (აშაპა), სამეურნეო ფარდული, საღორე, საფრინველე და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ რთული რელიეფის კარ-მიდამოზე საცხოვრებელი სახლისათვის ყველაზე მაღლობი, ადგილია არჩეული. ამას კარნახობდა საქართველოს რთული რელიეფური და მრავალფეროვანი კლიმატური პირობები, რომლის შესახებ XVI ს. ქართულ წერილობით წყაროებშიც მითითებულია, რომ სახლი „... მაღალსა და შანდაკს ალაგს იყოს... და ასრე უნდა რომე თვითონ ეს სახლიცა მაღალი და დიდი იყოს“[2].



43. სოფ. კახ-ინგილო (ხაინგილო) ტიპიური ჭიშკარი (დარვაზი) ოთხქანობიანი სახურავით

---

[1] XVII საუკუნემდე აფხაზეთსა და სამეგრელოში სიმინდის მაგივრად მოჰყავდათ: ღომი (ღომისღომი) და ჭადისჭადი.

[2] იადიგარ დაუდი, მედიცინა ძველ საქართველოში, XVI-ს, თბ. 1938 წ.

საგულისხმოა, რომ ჩვენ მიერ შესწავლილ კარ-მიდამოებზე საცხოვრებელი სახლები თავიანთი ღია აივნებით მეტწილად სამხრეთ-აღმოსავლეთითაა მიმართული. ასეთი ორიენტაცია აქ მთისა და ზღვის შეზავებულ ჰავასთან ერთად საუკეთესოდ ითვლება.

დიდი ყურადღება აქვს დათმობილი არა მარტო საცხოვრებელი სახლის ორიენტაციას, არამედ ყოველი სამეურნეო ნაგებობისათვის საჭირო ორიენტაციის განსაზღვრასაც. ასე, მაგალითად: ბოსლის, სამზარეულოსა და მარნის ვიწრო განი მუდამ მიმართულია მზიანი მხრისკენ, ხოლო მათი გრძივი კედლები, რომლებიც მეტ ფართობს შეიცავს, ჩრდილოეთით არის მოქცეული; სასიმინდე ან ბელელი პირიქით — განიერი გვერდით მიმართულია მზისაკენ — სამხრეთით, რათა გამზევების აქტივობა რაც შეიძლება კედლის მეტ ფართობზე გავრცელდეს.

განაშენიანებაში პიშკარს თუ რა ადგილი უკავია, ეს ზემოგანხილულიდანაც აშკარად ჩანს, იგი წინა ეზოს განაშენიანების ობიექტად ითვლება; ამჰარა საცხოვრებელი ეზოს განაშენიანებაში შედის და ძველ საცხოვრებელ სახლთან ახლოს მდებარეობს. ბოსელი „აგვარას" განაშენიანებას ეკუთვნის. აქვე უნდა დავძინოთ, რომ საოჯახო სასაფლაოს ნაგებობას „საბაღო ეზოში" საუკეთესო ადგილი აქვს დათმობილი იხ. ანოტაციები, ტაბ. 13, 17.

დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე ისეთი კარ-მიდამოები, რომელთა განაშენიანების სისტემაში ერთი საცხოვრებლის ნაცვლად გვხვდება ორი ან სამი ცალ-ცალკე მდგომი საცხოვრებელი სახლები[1]. ასეთ კარ-მიდამოებს შეიძლება ვუწოდოთ ორ ან სამ ოჯახიანი კარ-მიდამოები (იმის მიხედვით, თუ რამდენი ოჯახია განლაგებული ერთი საცხოვრებელი ეზოს გარშემო).

აღნიშნული ტრადიცია, როგორც ძველისძველი გადმონაშთი, შეიძლება გამოვიყენოთ უძველესი, ე. წ. ჯგუფური დასახელების შესასწავლად.

ხალხური ხუროთმოძღვრების საგანძურში არის ბევრი ისეთი გამართლებული, საუკუნეების მანძილზე უკვდავი ტრადიცია, რომელიც, როგორც უძველესი კულტურის ნაწილი, არ იდევნება ერის მომდევნო განვითარებული კულტურიდან; ერთ-ერთ ასეთ ტრადიციას კოინდარით დაფარული ვრცელი მამაპაპური ეზოების (სუფთა ეზოების) დღემდე არსებობა და დაცვაა.

ცნობილია, რომ ოჯახის გამრავლება წარმოშობს საკარმიდამო მიწის სიმცირეს. მამაპაპისეული მიწების დაპარცელება იწვევს ტრადიციული ვრცელი ეზოების მოსპობას. „მაგალითად, დასავლეთ საქართველოში მიწის სიმცირის და სხვ. მეოხებით უკანასკნელი 60 წლის განმავლობაში თანდათანობით ისპობა კოინდრით დაფარული ფართო ეზოები, რაც სიმინდმა და მრავალწლიანმა ნარგავებმა დაიკავა და, რაც (უეზოობა) განსაკუთრებით ნესტიან ადგილებში უარყოფითად მოქმედებს ჯანმრთელობაზე, აფერხებს რა ჰაერის მოძრაობას საცხოვრებელი ბინის გარშემო და სხვ."[2].

[1] ეთნოგრაფების მიერ დამოწმებულია აფხაზეთსა და სამეგრელოში ერთი საცხოვრებელი ეზოს გარშემო 5—6—9 ოჯახის (32—70 კაცამდე) ერთად ცხოვრების მაგალითები.

[2] პ. გუგუშვილი, საქართველოს მოსახლეობა 160 წლის მანძილზე (1800—1959), მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII—XIII, 1963 წ., გვ. 79.



44. სოფ. ლიხნი. პიშკარზე დადგმული სასიმინდე, საერთო ხედი გზიდან



45. საკარმიდამო ღობეებში მოწყობილი გადასასვლელები (ა. მილერის მიხედვით)

როგორც ირკვევა, ხალხურ მშენებელ-ხუროთმოძღვართა ბრძნული შემოქმედებითი აზრი, უძველეს დროიდანვე ვერ ურიგდებოდა საცხოვრებელი ეზოების დაკნინების ფაქტებს; ტრადიციული ფართო სუფთა ეზოების შენარჩუნების ერთ-ერთი უძველესი ხალხური ღონისძიება იყო სუფთა ეზოს გარშემო რამდენიმე საცხოვრებელი სახლის განაშენიანების პრინციპი[1].

ასეთი წესით განაშენიანებული ტრადიციული ვრცელი ეზოების შენარჩუნება ხელს უწყობს კოლექტიურ ცხოვრებას. შემჩნეულია, რომ ტრადიციული ფართო ეზოების მრავალოჯახიანობას თან ახლავს მრავალშვილიანობა, რაც ქალაქად ამ უეზოობის შემთხვევაში იშვიათია. ეს იმითაც აიხსნება, რომ ვრცელი სუფთა ეზოები საუკეთესო პირობებს ქმნიან ბავშვთა აღზრდისა, შრომისა და დასვენებისათვის[2].




47. სოფ. არბოშიკი. ძმები ბაცაცაშვილების საერთო კარ-მიდამოს გეგ-გეგმა. 1—საცხ. სახლი, 2—მარანი, 3—საქათმე, 4—საპირფარეშო, 5—თონე




46. სოფ. სკურდი. სხვადასხვა გვარის სამოჯახიანი საცხ. ეზოს გეგ-გეგმა. 1,2,3—საცხოვრებელი სახლი სამეურნეო ნაგებობებით, 4 ჭა, 5 ბოსტანი

ამ გარემოებიდან უნდა გამომდინარეობდეს ცნობილი მოსაზრება, რომ „... ერის გამრავლების ძირითადი წყაროა სოფელი და არა ქალაქი"[3].

ყურადღების ღირსია ის გარემოებაც, რომ საერთო სარგებლობის საცხოვრებელ ეზოში ხშირად ერთად ცხოვრობს რამდენიმე ძმის ოჯახი. ამის საუკეთესო მაგალითია სამი ძმის ბარციცების კარ-მიდამო სოფ. ბლაბურხვაში, ორი ძმის თარქილების კარ-მიდამო სოფ. დურიპშში და სხვ. (ტაბ. 10... იხ. ანოტაციები და სურ. 29).

დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე ის ფაქტი, რომ ზუსტი იდენტური ტიპები დამოწმებული გვაქვს სამეგრელოს სოფ. სკურდში (გეგეჭკორის რაიონი), სადაც ერთი საცხოვრებელი ეზოს გარშემო ცხოვრობს სხვადასხვა გვარის სამი ოჯახი (სურ. 46); ზემო იმერეთის სოფ. სპეთში (საჩხერის რაიონი) ორი ძმის ბუწურაძეების კარ-მიდამო (ტაბ. 9); აღმოსავლეთ საქართველოში — წითელწყაროს რაიონის სოფ. არბოშიკში სამი ძმის ბაცაცაშვილების საერთო კარ-მიდამო (სურ. 47)[4] და სხვ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კარ-მიდამოს განაშენიანება განხორციელებულია ორნაირი წესით: 1. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაგებობები საცხოვრებელი ეზოს კონტურის გარშემოა განლაგებული (ტაბ. 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17); 2. ერთ სწორ ხაზზე ერთმანეთის მიმდევრობითაა განლაგებული ნაგებობები, რომელთა საერთო ხედი ერთ ფრონტალურ სიბრტყეზე ისახება (სურ. 29). თუ შევადარებთ სამი ძმის ბარციცების კარ-მიდამოს (ტაბ. 10) სოფ. სკურდში არსებული სხვადასხვა გვარისაგან შემდგარ სამოჯახიან კარ-მიდამოს (სურ. 46), თვალნათლივ დავინახავთ, რომ ორივე კარ-მიდამოში საცხოვრებელი ეზოს განაშენიანება განხორციელებულია ერთი და იმავე წესით. ასევე ორი ძმის თარქილების კარ-მიდამოებზე განაშენიანება განხორციელებულია სწორხაზობრივი განლაგების წესით; იდენტური ტიპები მოწმდება აღმოსავლეთ საქართველოშიაც — ზემოხსენებული სამი ძმის ბაცაცაშვილების კარ-მიდამოს მაგალითზე და სხვ.

როგორც ჩანს, ხალხური კარ-მიდამოების ამ ძველისძველი ტიპების გამოკვლევის კვალში ჩადგომამ მიგვიყვანა საქართველოს უძველესი კულტურის იმ სათავეებთან, რომლის წიაღშიაც იგი დროთა ვითარებაში წარმოშობილა და განვი-

---

[1] ხალხური ზეპირი გადმოცემიდან ირკვევა აგრეთვე, რომ კარ-მიდამოზე შეიძლება ყველაფერი დანაწილდეს — საბაღო ეზო, წინა ეზო, საქონლის სადგომი ეზოც კი, მაგრამ საცხოვრებელი ეზოს (სუფთა ეზოს) გაყოფა — მასში ზღუდის გატარება ოჯახის რომელიმე უფლებიანი წევრის დაყენებით ოდითგანვე სამარცხვინო და გასაკიცხ საქმედ ითვლებოდა.

[2] ხანდაზმულ (100, 120, 140 წლის) მოხუცთა სიჭარბე აფხაზეთში ამ ტრადიციული ეზოების წყალობით უნდა აიხსნას. ხალხური გადმოცემებიდან ირკვევა, რომ მათი უმრავლესობა ცხოვრობდა და ამჟამადაც ცხოვრობს ასეთ ეზოებში.

[3] პ. გუგუშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 79.

[4] ზ. ალუღიშვილი, საკოლმეურნეო სოფლის დაგეგმარებისა და კეთილმოწყობის საკითხები, თბ., 1959 წ., გვ. 22, ნახ. 13.

თარებულა ერთნაირი ისტორიული მიზეზობრივი კავშირისა, შრომა-საქმიანობისა და ეთნიკური პირობების ნიადაგზე. ამით უნდა აიხსნას აფხაზეთის ტერიტორიაზე ხალხური ხუროთმოძღვრების საგანძურში დღემდე შემორჩენილი კარ-მიდამოების გეგმის კომპოზიციური გადაწყვეტის სტრუქტურისა და განაშენიანების პეშმარიტი იდენტური ტიპების არსებობა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

აფხაზეთის ხალხური ხუროთმოძღვრება, როგორც შესწავლიდან ირკვევა, ქართულ მატერიალურ კულტურას, ე. წ. კოლხურ კულტურას არ ემიჯნება და იზოლირებულად არ განვითარებულა; იგი წარმოგვიდგება, როგორც ერთ მთლიან ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული საყურადღებო დარგი ხალხური ხელოვნებისა, რომლის გავრცელების არე საქართველოს საზღვრებს სცილდება; „... მით უფრო ვალდებული ვართ მეტი ინტერესით მოვეპყრათ იმ ძეგლებს, რომელნიც კოლხების წარსულს, მათ გავრცელებასა და ეთნიკურ ურთიერთობას მოწმობენ“[1].

ჩვენ ამით დავასრულეთ კოლხეთის ისტორიულ ტერიტორიაზე (აფხაზეთში) დღემდე გადმონაშთების სახით შემორჩენილი ზემომოტანილი უძველესი კარ-მიდამოების დანაზომგრაფიკული მასალების ანალიზი, რომლის საფუძველზე, ჩვენი აზრით, მათ კოლხური კარ-მიდამოები უნდა ვუწოდოთ.

დასასრულს, გვინდა რამდენიმე სიტყვა დავუთმოთ ტრადიციული კოლხური კარ-მიდამოების შენარჩუნებისა და მისი განახლების საკითხებს, თანამედროვე გეგმარებაში ხალხური დაგეგმარების სტრუქტურისა და ნორმების აღდგენის უფლებებს.

საკარმიდამო ნაკვეთის სიდიდეს თანამედროვე მასიური დასახლების სისტემაში (ნორმით) განსაზღვრავს საბჭოთა კავშირში არსებული მიწის საკოლმეურნეო კანონი.

ამ კანონის შესაბამისად დადგენილია საკარმიდამო ფართობის საშუალო ნორმები — 20×30 მ., მოცემულია აგრეთვე კარ-მიდამოს გეგმის გადაწყვეტის ტიპიური სქემა[2], რომელიც როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სამხრეთული პირობებისათვის არ არის შესაფერი (სურ. 48).

როგორც ზემომოტანილი სქემიდან ჩანს, საცხოვრებელი ანუ სუფთა-დეკორაციული ეზოს საგრძნობი სივიწროვის გამო ტრადიციულ ვრცელ საცხოვრებელ ეზოებს მიჩვეული მკვიდრი მცხოვრებლებისათვის იგი სრულიად არ არის მიმზიდველი და ხელსაყრელი. ამიტომ არსებული პარცელების დაგეგმარების ტიპიურ სქემაში შეტანილი უნდა იქნეს სტრუქტურული ხასიათის კორექტურული ცვლილებები.

პრაქტიკოსმა არქიტექტორებმა თავიანთ შემოქმედებით მუშაობაში უნდა გაითვალისწინონ ზემომოტანილ მასალათა გამოყენების საკითხი.



48. თანამედროვე დასახლების დაგეგმარების ტიპიური სქემა

იბადება კითხვა, ძველი ტიპიური კარ-მიდამოების ხალხური დაგეგმარების ხერხებიდან კონკრეტულად რა შეიძლება გამოვიყენოთ იმისათვის, რომ აღვადგინოთ ტრადიციული ვრცელი საცხოვრებელი ეზოების ხუროთმოძღვრული სახე?

პირველი — რამდენიმე ოჯახისათვის ერთი ვრცელი საცხოვრებელი ეზოს (დეკორაციული ეზოს) შექმნის იდეა, რომელიც შეიძლება შემოღებული იქნას თანამედროვე კარ-მიდამოების გეგმარებაში ზემოთ ნაჩვენები რამდენიმე პარცელის (იმავე ნორმებში) გაერთიანების გზით.

მეორე — წინა ეზოს ფუნქციის დაკარგვის ნიადაგზე წარმოქმნილი ჩიხის (შუკის) გამოყენების საკითხი, რასაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს ტრადიციული ვრცელი საცხოვრებელი ეზოების დაგეგმარების უფლებების აღდგენისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ კარ-მიდამოების ჩიხური ტიპის მისასვლელების სინქრონული სახეები არსებობს სხვა ქვეყნებშიაც. ცნობილია თანამედროვე გეგმარებაში მისი გამოყენების მაგალითებიც, არა მარტო ახალი სოფლების სისტემაში, არამედ ჩიხური ქუჩების დაგეგმარების მეთოდი კვარტალებისათვის ქალაქის გეგმარებაში ხალხურიდან უნდა იყოს შეტანილი.

ჩიხური დაგეგმარების მსგავსი სისტემა ახალი დასახლების გეგმარებაში პირველად გამოიყენა ცნობილმა ინგლისელმა არქიტექტორმა რ. ენუინმა და შემდეგ ბ. პარკერმა[3].

ახალი დასახლების სისტემაში კარ-მიდამოებისა და განაშენიანების ჩიხური გადაწყვეტის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს: გრინხილსის (აშშ), რედბრონისა და ხემპსტენის ახალ დასახლებათა გენერალური გეგმები[4].

ამრიგად, ზემომოტანილი ხალხური ხუროთმოძღვრების საუნჯიდან ძველი ტიპიური კარ-მიდამოების დაგეგმარების მივიწყებული პროგრესიული ელემენტების გაცოცხლება, წარსულ გამოცდილებათა მდიდარი მარაგის გადამუშავება თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილების დონემდე, აუცილებელ და გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

---

[1] პ. უშაკოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 247.
[2] Справочник архитектора, том II, Градостроительство, Москва, 1946 г., стр. 133.
[3] Справочник архитектора, დასახელებული ტომი, გვ. 176.
[4] იქვე, გვ. 136, 151, 179.

## დაზომილ კარ-მიდამოთა ანოტაციები[1]

ა. სოფ. ლიხნი — მდებარეობს გუდაუთის რაიონში, ქ. გუდაუთის ჩრდილოეთით სამი კილომეტრის მანძილზე.

აქ დღემდე შემორჩენილი ძველი ტიპიური კარ-მიდამოები ეკუთვნიან მთის სოფლების კარ-მიდამოთა იმ ჯგუფს, რომლებიც ბუნებრივად დავაკებულ ადგილებზეა გაშლილი.

დაზომილ კარ-მიდამოთა შორის ასეთ ძველ ტიპებს წარმოადგენენ: ო. ჯენიას, დ. ჯობუას, მ. ანშბას და კ. მახარიას ტრადიციული კარ-მიდამოები.

აღნიშნულ მკვიდრთა კარ-მიდამოების, ე. წ. „აშთას" გენგეგმაზე პირობითად დანომრილი გვაქვს რომაული ციფრებით: I — საცხოვრებელი ანუ სუფთა—დეკორაციული ეზო, II — წინა ეზო, III — აგვარა[2] და IV — საბაღო ეზო.

ზემომოტანილ კარ-მიდამოებს შემოვლებული აქვთ ძველი ტიპიური ღობეები — მესრული, წნული და „ცოცხალი-მწვანე"; ყოველი ეზო ერთმანეთისაგან გამოყოფილია შესაფერი ზღუდეებით, რომლებშიაც დატანებულია ტიპიური გადასასვლელები ე. წ. „ოლაგე" — „აკიბა" (ტაბ. 11, 12, 13, 14).

საცხოვრებელ ეზოებს საჩრდილობელი ხეები და ხასხასა ხავერდოვანი კოინდარი ამშვენებს; სახლები ჩაფლულია მწვანეში ისე, რომ ღია აივნები არსად ზედმეტად დაჩრდილული ან დახუთული არ არის.

უნდა აღინიშნოს, რომ დ. ჯობუას საცხოვრებელ ეზოში საჩრდილობელ ხეთა შორის მნახველის ყურადღებას იზიდავს უზარმაზარი ტრადიციული კაკლის ხე, რომელიც ნამდვილ დენდროლოგიურ ძეგლს წარმოადგენს. მისი ქოლგასავით გაშლილი ტოტები ზაფხულის პაპანაქებაში ოცი მეტრის რადიუსზე (დაახლოებით 300 კვ. მეტრი) ჩრდილავს კოინდარიან სუფთა ეზოს (ტაბ. 12).

ო. ჯენიას კარ-მიდამოზე წინა ეზო ამჟამად გაერთიანებულია აგვარასთან; წინა ეზოს მარცხნივ ჩამწკრივებულია ტანმორჩილი ხეები სტუმართა ცხენების მისაბმელად. გარეთა ჭიშკარი თავიდანვე გადაუხურავი და მარტივი ტიპის ყოფილა; შიგნითა ჭიშკარი კი ერთ დროს გადახურული იყო და იქვე მდგარი ბოსლის ორქანობიან სახურავთან ყოფილა გაერთიანებული (ტაბ. 11).

რაც შეეხება დ. ჯობუას კარ-მიდამოს, იგი ორი გზის შესაყართან მდებარეობს, ამიტომ აქ ერთი გზის მხარეს წინა ეზოში არის მხოლოდ აგვარა (ქართა), რომელსაც ტიპიური ჭიშკარი ამშვენებს, ხოლო მეორე გზის მხარეს დამოუკიდებელი ჭიშკარია აგრეთვე საცხოვრებელ ეზოში მოწყობილი; ორივე ჭიშკარი გადახურულია (ტაბ. 12).

სულ სხვა სურათი გვაქვს მ. ანშბას კარ-მიდამოზე — წინა ეზო ჩვეული წესით არ არის დაკავშირებული აგვარასთან. აგვარას აქ დამოუკიდებელი ვიწრო ჩიხისებური მისასვლელი აქვს გზის მხრიდან (ტაბ. 13).

წინა ეზოს adრე ორი ჭიშკარი ჰქონია — ერთი გზის პირზე, რთული ტიპის, გადაუხურავი, ხოლო მეორე შიგნითა — გადახურული (გეგმაზე წყვეტილითაა ნაჩვენები) (ტაბ. 13).

როგორც გეგმიდან ჩანს, შიგნითა ჭიშკრისა და მისი ზღუდის აღების შემდეგ წინა ეზო გაერთიანებულია საცხოვრებელ ეზოსთან. ხშირად ვხვდებით ისეთ შემთხვევასაც, როდესაც გარეთა ჭიშკარია თავის ზღუდესთან გაუქმებული და მაშინ წინა ეზოს ტიპიური შუკის სახე აქვს (ტაბ. 11).

ზემომოტანილ კარ-მიდამოებზე გაშენებულია შემდეგი ნაგებობები: საცხოვრებელი სახლი, ძველი სახლი — „ამაწურთა" (საჯალაბო), ამბარა, წნული სასიმინდე, საფრინველე, ბოსელი და საღორე („ოსქუ").

საგულისხმოა, რომ კ. მახარიას კარ-მიდამო ძველ ყაიდაზეა დაგეგმილი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ წინა ეზო და აგვარა, როგორც მესაქონლეობის აუცილებელი ელემენტები, არ არის ცალკე გამოყოფილი.

სუბტროპიკული ჰავის ზონაში მრავალდარგოვანი მეურნეობის წარმოების შესაძლებლობა ოჯახს საშუალებას აძლევდა მესაქონლეობიდან გადასულიყო მეურნეობის სხვა ფორმაზე — მებაღეობა-მევენახეობაზე, რის გამოც კარ-მიდამო თანდათანობით რეკონსტრუირებულ იქნა ამ ბოლო ოთხი ათეული წლის მანძილზე: აქ, განაშენიანებაში ვხვდებით მებაღეობა-მებოსტნეობისათვის დამახასიათებელ ნაგებობებს — ხილის დასახარისხებელ ღია ფარდულს, მარანს და სხვ. (ტაბ. 14).

დ. ჯობუას კარ-მიდამოზე ყურადღებას იქცევს განაშენიანების ერთი მეტად დამახასიათებელი ელემენტი: ხშირად ნაგებობები შეერთებულია ერთმანეთთან გადახურული ღია ფარდულით; მაგალითად, ძველი სახლი და საცხოვრებელი სახლი ერთმანეთთან დაკავშირებულია გარედან მიდგმული გადახურული კიბით (ტაბ. 28).

დ. ჯობუას კარ-მიდამოზე საბაღო ეზოს კუთხეში, გზის პირას მოთავსებულია საგვარეულო-საოჯახო სასაფლაო, რომელიც, როგორც ხალხური ხუროთმოძღვრული მცირე ფორმის ნაგებობა, განაშენიანების ერთ-ერთ ობიექტს წარმოადგენს.

ბ. სოფ. დურიპში — ეკუთვნის ძველი ტიპიური მთის სოფლების ჯგუფს და მდებარეობს გუდაუთიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 12 კილომეტრის დაშორებით. სოფ. დურიპშის გაფანტული დასახლების სისტემაში დღემდე შემორჩენილია გვარებად დასახლებული უბნების ნაშთები თავიანთი ტიპიური კარ-მიდამოებით. ძველი კარ-მიდამოები გვხვდება თარქილების, გუნბების, აგუმავების, კვარაცხელიების, თარბების და სხვ. გვარის უბნებში.

ს. თარბას კარ-მიდამო რთულ რელიეფშია ჩამჯდარი და შემდეგი სახის ეზოებად არის დაყოფილი: I — საცხოვრებელი ეზო, რომელსაც რთული მოხაზულობა აქვს; III — აგვარა, რომელიც დაკავშირებულია შუკასთან, და IV — საბაღო ეზო. რაც შეეხება II — წინა ეზოს მის მოვალეობას აქ ტიპიური შუკა ასრულებს (ტაბ. 15).

კარ-მიდამო ერთ მხარეს შემოზღუდულია მესრული ღობით, ხოლო დანარჩენი რთული მოხაზულობის გაყოლებაზე ყველგან წნული ღობითაა შემოკავებული. საცხოვრებელი ეზო ტრადიციული საჩრდილობელი ხეებითა და კოინდარით არის მორთული.

---

[1] ანოტაციები დართული აქვს მხოლოდ იმ კარ-მიდამოებს, რომლებიც დავზომეთ აფხაზეთის ტერიტორიაზე.

[2] კ. მახარიას კარ-მიდამო გამონაკლისს წარმოადგენს: II — წინა ეზო და III — აგვარა არა აქვს დაგეგმილი.

საცხოვრებელ ეზოს შუკიდან აქვს გადაუხურავი რთული ჭიშკარი, ხოლო აგვარას — მარტივი ტიპის ზღურბლიანი ჭიშკარი.

განაშენიანება აქ ტიპიური სქემით არის განხორციელებული და შეიცავს შემდეგ ნაგებობებს: 1 — საცხოვრებელი სახლი (ოდა), 2—ძველი სახლი (სამზადი) 3—საოჯახო სასაფლაო, 4—ამბარა, 5—ბოსელი, 6—საღორე (რომელსაც დამოუკიდებელი ჩიხური მისასვლელი აქვს შუკიდან) და 7 — კარ-მიდამოს გარეთ წვრილფეხა საქონლისათვის მაღალ ბოძებზე შედგმული სამი წნული „მარაკა“ — „აჯმაგვარა“ (იგივეა, რაც ფარეხი). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საფუტკრე და საბოსტნე ნაკვეთი მოქცეულია საბალო ეზოს ტერიტორიაზე.

გ. სოფ. ხაბიო — ტიპიური მთის სოფელია და მდებარეობს გუდაუთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 25 კილომეტრის მანძილზე. ამჟამად აქ მკვიდრი მცხოვრებლებიდან რამდენიმე ოჯახია დარჩენილი. როგორც ირკვევა, ხაბიო დასახლებული ყოფილა საგვარეულო უბნებად. ყველაზე გავრცელებული გვარი ყოფილა ახბა, რომელთა ტიპიური კარ-მიდამოების ნაშთები ჯერ კიდევ შემორჩენილია კანტიკუნტად.

ახბების საგვარეულო საცხოვრებელი უბნებიდან აქ მოტანილი გვაქვს ა. ახბას კარ-მიდამო, რომელიც ყურადღებას იპყრობს თავისი რთული რელიეფითა და მოხაზულობით (ტაბ. 16).

ეს კარ-მიდამო ზემოთ განხილული კოლხური კარ-მიდამოების კვალობაზე დაყოფილია საცხოვრებელ და სამეურნეო დანიშნულების ტიპიურ ეზოებად და თითქმის არაფრით განსხვავდება ზემოთ განხილული ს. თარბას კარ-მიდამოს გეგმარებისაგან (ტაბ. 15 შეადარე ტაბ. 16).

ა. ახბას კარ-მიდამოს განაშენიანებაში ვხვდებით ტიპიურ ძველ სახლს („ამაწურთას“), სასიმინდეს და აშაპას (თალარს), რომელიც მცირე ფორმის ხუროთმოძღვრულ ნაგებობას წარმოადგენს. თალარი ან ფანჩატური აქ ერთგვარ ხალხურ „საჰაერო-საბაგირო“ სადგურის მოვალეობასაც ასრულებს, ვინაიდან აქ დგას ე. წ. „ეჩერხი“, იგივე „მახარა“, რომელიც ქვემოთ დაწვრილებით გვაქვს განხილული.

დ. სოფ. ბლაბურხვა — მდებარეობს კურორტ გუდაუთის ჩრდილო-დასავლეთით რკინიგზის სადგურიდან დაახლოებით 30 კილომეტრის დაშორებით. სოფ. ბლაბურხვას დასახლების სტრუქტურა არაფრით განსხვავდება ზემოხსენებული მთის სოფლების დასახლებისაგან.

აქ ყურადღებას იქცევს ოდისეი ბარციცის[1] და მანუჩა ბარციცის კარ-მიდამოები (ტაბ. 10, 17).

ოდისეი ბარციცის და მანუჩა ბარციცის კარ-მიდამოები თავიანთი შემოგარენით, როგორც რთული რელიეფის მქონე ნაკვეთები, დაგეგმილია მთის კალთის ბორცვების შანდაკ ადგილებზე: მათი არქაული მოხაზულობა რელიეფის თავისებურებით არის ნაკარნახევი, ორივე კარ-მიდამო შემოკავებულია ძველი შერეული ტიპის ღობეებით.

ო. ბარციცის კარ-მიდამოზე დღემდე შემორჩენილია შემდეგი დანიშნულების ტიპიური ეზოები: I — საცხოვრებელი ეზო, II — წინა ეზო, აწ გარდაქმნილი ტიპიური შუკის სახით, და III — აგვარა: რაც შეეხება IV — საბალო ეზოს, იგი, როგორც ცალკე ეზო, სადღეისოდ არ არის შემორჩენილი.

იგივე ითქმის მანუჩა ბარციცის კარ-მიდამოს ტიპიური ეზოების შესახებაც: ეზო ცალკე გამოყოფილი არ არის, მაგრამ ხეხილი კარ-მიდამოზე ყველგან გვხვდება (ტაბ. 17).

ო. ბარციცის კარ-მიდამოს განაშენიანება საოჯახიანი კარ-მიდამოს ტიპიური სქემის შესაბამისად არის დაგეგმილი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ო. ბარციცის კარ-მიდამოს განაშენიანების კოეფიციენტი მანუჩას კარ-მიდამოს განაშენიანების კოეფიციენტთან შედარებით საგრძნობლად დიდია; ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ერთი კარ-მიდამოს გარშემო განლაგებულია საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების სამი კომპლექსი.

მ. სოფ. ხოფი — მდებარეობს მდ. ხაფსტის ხეობაში, სოფ. დურიპშის ჩრდილოეთით დაახლოებით 10 კილომეტრის მანძილზე. გვარებად დასახლებულ უბანთა შორის უძველესი კარ-მიდამოების ტიპები დაცულია ჯაკირბების საცხოვრებელ უბანში, რომელთაგან დიდ ინტერესს იწვევს მ. ჯაკირბას კარ-მიდამო (ტაბ. 6).

მ. ჯაკირბას კარ-მიდამოს სახით საქმე გვაქვს ერთ-ერთ უძველეს უნიკალურ ძეგლთან, რომელსაც თითქმის უცვლელად მოუღწევია ჩვენს დრომდე.

ყურადღებას იქცევს აღნიშნული კარ-მიდამოს მოხაზულობისა და შემოზღუდვის არქაულობა. გეგმის კომპოზიციის არქაულობას მისი ოვალური მოყვანილობა ადასტურებს; კარ-მიდამო შემოზღუდულია უხსნარო წყობის უძველესი ქვის გალავნით. აღნიშნული კარ-მიდამო „აცანგვარის“ გალავანშია მოთავსებული, როგორც გენ-გეგმიდან ჩანს, გალავნის ნაწილი მორღვეულია, მაგრამ ეს ადგილები ალაგალაგ შევსებულია მოწნული ღობით. ზემოაღნიშნულ „აცანგვარის“ გალავანში მოქცეული ვრცელი ტერიტორია (დაახლოებით 4000 კვ. მეტრი) მთლიანად საცხოვრებელ ეზოს აქვს დათმობილი. საცხოვრებელი ეზო კოინდრით და საჩრდილობელი ხეებით ისეა შემკობილი, რომ დასვენების პარკს უფრო წააგავს; დიდი საჩრდილობელი ხეების ქვეშ მაგიდა და მერხებია გამართული.

მთავარი შესასვლელი გალავანში შუკაპანდიდან არის მოწყობილი; შუკა აქ საყანე ადგილებს შორისაა შემოჭრილი და ამჟამად არავითარი ღობით არ არის შემოსაზღვრული. ეზოს გალავანთან შუკა ორ ნაწილად იყოფა: მარჯვნივ და მარცხნივ თითქმის ბილიკისებურად გარს უვლის გალავანს. სხვა დანიშნულების ცალკე გამოყოფილი ტიპიური ეზოები აღნიშნულ კარ-მიდამოს არა აქვს. როგორც გალავნის შიგნით, ისე გალავნის გარეთ უხვად არის ხეხილი და ვაზებჩახვეული მაღალი ხეები. გალავნის გარეთ არის მოქცეული აგრეთვე საფუტკრე და საბოსტნე ადგილები.

მ. ჯაკირბას კარ-მიდამოს განაშენიანებაში ვხვდებით უნიკალურ ნაგებობებს, როგორიცაა: სწორკუთხოვანი წნული საცხოვრებელი სახლი, წნული კოლხური ფაცხა — „აქვაჰაცი“, სასიმინდე მარნით, წვრილფეხა საქონლის სადგომი — „მარაკა“, რომელსაც „ხირხალი“[2] მიდგმული აქვს გალავნის გარედან, თამბაქოს საშრობი ფარდული და საქათმე; როგორც ჩანს, განაშენიანების კოეფიციენტი აქ ძალზე მცირეა, რაც აგრეთვე მის არქაულობაზე მეტყველებს.

---

[1] ტაბ. 10-ზე აღნიშნული კარ-მიდამო სამი ძმის ბარციცების საერთო კუთვნილებას წარმოადგენს, მაგრამ აქ პირობითად მოვიხსენიებთ მხოლოდ ერთ ძმას —ოდისეი ბარციცს; მანუჩა ბარციცის კარ-მიდამო ოდისეის კარ-მიდამოდან დაშორებულია დაახლოებით 4 კილომეტრით.

[2] კაპისებური ასასვლელი.

3. სოფ. აჩიგვარა — ეკუთვნის დაბალი ზონის იმ სოფლების ჯგუფს, რომელიც აღმოცენებული არის უძველესი დროეპითი საცხოვრებელი ადგილების თანდათანობით მუდმივ საცხოვრებლად გარდაქმნის ნიადაგზე.

სოფ. აჩიგვარა მდებარეობს გალის რაიონში, სადგურ გალიდან ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 7 კილომეტრის დაშორებით.

დასახლების სისტემა აქ სწორხაზობრივად არის განვითარებული, დღემდე შემორჩენილია ბარის კარ-მიდამოების ძველი ტიპიური ნიმუშები, რომელთა საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს დ. შონიას კარ-მიდამო[1].

ბარის კარ-მიდამოების დამახასიათებელი მოხაზულობის შესატყვისად დ. შონიას კარ-მიდამოს სწორკუთხედის მოხაზულობა აქვს (ტაბ. 18). საცხოვრებელი ანუ დეკორაციული სუფთა ეზო ძირითადად აქაც ინარჩუნებს თავის ტრადიციულ ფუნქციებს.

აღნიშნულ კარ-მიდამოს განაშენიანებაში ცენტრალური ადგილი საცხოვრებელ სახლს — ოდას უკავია. ოდის უკანაა სამზარეულო (ძველი სახლი). საბალო ეზოს შუაში თვალსაჩინო ადგილი დათმობილი აქვს ე. წ. „საძვალეს" — საოჯახო მავზოლეუმს, რომლის გარშემო ყვავილნარია მოწყობილი („საძვალეს" დაწვრილებით აღწერა იხ. ზემოთ). სამეურნეო ნაგებობებიდან ყურადღებას იპყრობს საღორე, რომელსაც გეგმაზე სამკუთხედის მოხაზულობა აქვს.

ამით ვამთავრებთ მთისა და ბარის სოფლების ძველი ტიპიური კოლხური კარ-მიდამოების აღწერას. აქვე მოგვყავს ცხრილი, სადაც ნაჩვენებია კარ-მიდამოს ხალხურ დაგეგმარებაში არსებული ტრადიციული ეზოების ფართობები და განაშენიანების კოეფიციენტები (იხ. დანართი № 1).

დანართი № 1

| №№ რიგ. | კარ-მიდამოს დასახელება | I საცხოვრებელი ეზო | II წინა ეზო | III საქონლის ეზო (აგვარა) | IV საბალო ეზო | სულ ფართი კვ. მეტრებში | განაშენიანობის ფართი | განაშენიანების % კოეფიც. K |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ო. ჯენიას კარ-მიდამო | 1330 | 320 | 40 | 600 | 2270 | 260 | 12 |
| 2 | დ. ჯობუას „ | 1820 | — | 130 | 2150 | 4100 | 290 | 8 |
| 3 | მ. ანშბას „ | 1500 | 360 | 250 | 2100 | 3210 | 190 | 6 |
| 4 | ქ. მახარიას „ | 1280 | — | — | 3700 | 4900 | 290 | 6 |
| 5 | ს. თარბას „ | 2000 | — | 80 | 400 | 2480 | 233 | 9 |
| 6 | ა. ახბას „ | 1850 | — | 270 | 350 | 2470 | 154 | 7 |
| 7 | ო. ბარციცის „ | 4200 | — | 250 | 600 | 5000 | 480 | 9 |
| 8 | მ. ბარციცის „ | 3000 | — | 370 | 300 | 3670 | 330 | 9 |
| 9 | მ. ჯაკირბას „ | 4700 | — | — | 200 | 4900 | 300 | 6 |
| 10 | დ. შონიას „ | 1400 | — | 140 | 600 | 2140 | 160 | 8 |

[1] როგორც გადმოცემიდან ირკვევა, შონიას ოჯახის წინაპრები აქ ჩამოსახლებული ყოფილან მთიდან — სოფ. ნარჩედან.

# თავი მეოთხე

## დასახლებული ადგილების წყალმომარაგების უძველესი ხერხები

საცხოვრებელი ადგილების არჩევას საქართველოს რთულ სამთო რელიეფურ პირობებში უძველესი დროიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა.

ძველი დასახლებული ადგილების შესწავლა გვიჩვენებს, რომ საცხოვრებელი ადგილის შერჩევისათვის სხვა ფაქტორთა შორის ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენდა სასმელი წყლით უზრუნველყოფის საკითხი.

უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურულ წყაროებში ეს საკითხი ჯერ კიდევ ღარიბად არის გაშუქებული.

როგორც ირკვევა ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების სამშენებლო ხელოვნების განვითარებასთან ერთად უძველესი დროიდანვე ვითარდება წყალმომარაგების ტექნიკაც, რომელმაც პარალელურად განვლო განვითარების გარკვეული ისტორიული გზა.

მთაგორიანი აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობა უძველესი დროიდან იყენებს მთის ბუნებრივ „წყაროს", ე. წ. „წყურგილს" (ჰა-ციჳი), რომელიც ცხადია, ძველი დასახლების სისტემაში ყველასთვის ხელმისაწვდომი ვერ იქნებოდა, — ზოგი ახლოს სახლობდა „სოფლის წყაროსთან" და ზოგიც შორს.

საგვარეულო დასახლების სისტემაში ხშირად ერთ საგვარეულო უბანს (რამდენიმე ოჯახს) ერთი „წყარო" ჰქონდა. დამოწმებულია ისეთი მაგალითებიც, როდესაც რამდენიმე საგვარეულო უბანს მხოლოდ ერთი „წყარო" ამარაგებდა.

აღსანიშნავია ისეთი მაგალითებიც, როდესაც უგზო, მიუვალ ადგილებში მდებარე საცხოვრებელ სახლამდე ქვევიდან ხევით წყლის ამოსატანად გამოყენებული იყო ორიგინალური მექანიზმი — საჰაერო-საბაგირო გზა, რომელსაც აფხაზურ დიალექტზე „აძუ ეჩერხი" (წყლის მოსატანი ჩარხი) ეწოდება.

დაბალი ზონის სოფლებში უმეტესად გავრცელებულია ხელოვნური ჭები, რომლიდანაც წყალს იღებენ პრიმიტიული ამწეებით — ჭოჭონაქ-ოწინარებით („წოწნარით"). ყოველ კარ-მიდამოს აქვს საკუთარი ხელოვნური ჭა, რომელსაც ხშირად ზემოდან მორგებული აქვს გამომწვარი თიხის ოდნავ კონუსურად მოყვანილი თორნის მაგვარი ჩუქურთმიანი თავსადგომი, ე. წ. „გვიმი"[1]; აქვე უნდა დავძინოთ, რომ ხშირად — საცხოვრებელი სახლის გვერდით გვხვდება ქვისაგან აგებული აუზებიც (რეზერვუარები), — ტექნიკური წყლის სათადარიგო მარაგის ხანგრძლივად შესანახი ნაგებობები (სურ. 85, ტაბ. 43).

ამრიგად, აფხაზეთის ტერიტორიაზე ძველი დასახლების სისტემაში წყალმომარაგება, როგორც დაგეგმარების ერთ-ერთი ელემენტი და უმთავრესი სასიცოცხლო კომპონენტი, განხორციელებულია შემდეგი ხერხით: ხელოვნური ჭებით („წყუ"—ჯურღმულის წყალი), წყალმომარაგება მილსადენით თვითდინების წესით და წყალმომარაგება ამწე მექანიზმებით (ხალხური „მახარა" ანუ „აძუ ეჩერხი").

წყალმომარაგების პირველი ხერხი — ხელოვნური ჭების საშუალებით იმდენად მარტივი და გასაგებია, რომ მის აღწერას საჭიროდ არ ვთვლით; ქვემოთ განვიხილავთ წყალმომარაგების მხოლოდ ორ დანარჩენ ხერხს.

---

[1] საბას განმარტებით გვიმი არის „ჯურღმულის თორნე წყალთათვის" (სიტყვის კონა).

## წყალმომარაგება მილსადენებით თვითდინების წესით

აფხაზეთის მთის სოფლების ზოგიერთი დასახლების სისტემაში დღემდე შემორჩენილია მაღლობ ადგილებში არსებული მთის „წყაროებიდან“ („წყურგილიდან“) სასმელი წყლის თვითდინების წესით თავლია ვიწრო არხებით ან ხის ღარებით ჩამოყვანის მაგალითები. წყალმომარაგების ეს ხერხი წყალსადენის ყველაზე ადრინდელი და უმარტივესი სახეა და გავრცელებული ყოფილა ძველთაგანვე საქართველოს ტიტქმის ყველა კუთხის მთა ადგილების დასახლებაში.

ამ საქმეში დახელოვნებული ხალხური მშენებელი ჯერ აუმჯობესებს პრიმიტიული წყალსადენის ამ სახეს და თავლია ვიწრო არხებს ბრტყლად ხურავს წინასწარ შერჩეული ბუნებრივი ფილაქვებით, ხოლო შემდეგ, თანდათანობით, თაღოვან გადახურვასაც აღწევს, რაც სანიტარული ტექნიკის თვალსაზრისით პირველ ტექნიკურ ღონისძიებას წარმოადგენს. გარდა ამისა, ამგვარი გადახურვა აუცილებელია იმისათვის, რომ წყალი ზამთარში არ გაიყინოს, ზაფხულში არ გათბეს და მტრისთვისაც უჩინარი იყოს.

თვითდინების მცირე წყალსადენის ასეთი სისტემა გამოყენებული ყოფილა არ მარტო ცალკეული კარ-მიდამოებისათვის ერთი ან ორი ოჯახის წყლით უზრუნველსაყოფად, არამედ საზოგადოებრივი დანიშნულების — შედარებით უფრო გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაც.

დ. ბაქრაძემ აფხაზეთში მოგზაურობის დროს სოფ. ბიჭვინთაში ყურადღება მიაქცია ტაძრის გალავანში იმხანად არსებული წყალმიმღები ჰის (აუზის) ნაგებობას, რომელიც, როგორც ირკვევა, მაშინ კიდევ მოქმედებდა და სუფთა წყაროს წყლით თვითდინებით ამარაგებდა XII ს. ბიჭვინთის ტაძრის მთელ კომპლექსს[1].

თვითდინების წყალსადენის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს სოფ. არასაძიხის ბუნებრივი გამოქვაბულიდან გამოყვანილი წყალსადენის კომპლექსი, რომელიც თავისი ორიგინალობითა და სიძველით — განსაკუთრებით სათავის წყალსაცავი ნაგებობა — დიდ ინტერესს იწვევს.

სოფ. არასაძიხი მდებარეობს კურორტ გაგრის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 25 კილომეტრის მანძილზე.

არასაძიხის „გამოქვაბულის წყალი“, ან როგორც მკვიდრი მოსახლეობა უწოდებს, „კლდის წყარო“, კარსტული წარმოშობისაა. ზეპირი გადმოცემებიდან ირკვევა, რომ ამ ბუნებრივ საოცარ ძეგლს უხსოვარი დროიდან თაყვანს სცემდნენ, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ აკრძალული იყო გამოქვაბულში ტანის ან პირის დაბანა. ეს იქნებოდა „წმიდა გაბრიელის“ შეურაცხყოფა, დაიწყებოდა საშინელი წარღვნა და „მთაში მწყემსებს არ დაედგომებოდათ“[2]. ასეთი რელიგიური შიში დაკავშირებული უნდა იყოს „გამოქვაბულის წყლის“ სანიტარულ-ჰიგიენური პირობების მტკიცე დაცვასთან. ამით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ გამოქვაბულის უზარმაზარი წინა ფასადის ღიადი-ხვრელი ძველთაგანვე ამოშენებული ყოფილა ქვითკირით, წინ მისასვლელი ადგილიც ქვისა და ძელის ღობეებით ჰქონია ეზოსავით შემოზღუდული.

„კლდის წყაროდან“ ძველად თიხის მილსადენებით გამოყვანილი იყო თვითდინების წესით ხალხური წყალსადენი, რომელიც ანკარა სასმელი წყლით ამარაგებდა ქვემო სოფლებს. მართალია, დღეს ეს კვალი წაშლილია, მაგრამ ამას მოწმობს გზადაგზა ძველი თიხის მილების უამრავი ნამსხვრევის არსებობა.

სოფ. არასაძიხის „კლდის წყაროს“ გამოქვაბული ნაგებობის იდენტური ტიპი თავისი დამახასიათებელი კარსტული წყლებით დამოწმებული გვაქვს აგრეთვე სამეგრელოს ტერიტორიაზე (ტაბ. 19), იგი ასევე გამოყენებული იყო ძველ დროში წყალსაცავ ბუნებრივ გამოქვაბულ სათავე ნაგებობად, რომლიდანაც თვითდინების წესით გამოყვანილი წყალსადენი უზრუნველყოფდა სოფ. ბალდას (გეგეჭკორის რაიონი)[3].

წყალსატევი ნაგებობის მოვალეობას დღესაც ზემოხსენებული „კლდის წყაროს“ ბუნებრივი გამოქვაბული ნაგებობა ასრულებს, რომლის წინ დღემდე კარგად არის დაცული წყლის გამანაწილებელი ქვისაგან ლამაზად აგებული კოშკი (ტაბ. 20).

## წყალმომარაგება ამწის საშუალებით

როგორც ირკვევა, მთის სოფლების დასახლების სისტემაში წყალმომარაგების თვითდინების ბუნებრივ კანონებზე აგებული ხალხური ხერხები საქართველოში უძველესი დროიდან იყო გავრცელებული.

თვითდინებით წყალსადენის განხორციელებისათვის აუცილებელია „წყარო“ მდებარეობდეს დასახლებულ ადგილებზე უფრო მაღლა; ცხადია, დაკმაყოფილება ყოველთვის არ იყო შესაძლებელი. ხშირად პირიქით იყო, დასახლებული ადგილი ან ციხე-ქალაქი თუ სხვა რომელიმე ობიექტი „წყაროზე“ უფრო მაღლა მდებარეობდა.

---

[1] Д. Бакрадзе. Кавказ в древних памятниках христианства. Записки Общества любителей Кавказской Археологии, книга. I, Тифлис, 1875 г.

[2] თ. სახოკია, მოგზაურობანი, გვ. 293.

[3] ი. ადამია, წყალმომარაგების უძველესი ნაგებობანი საქართველოში, „ცოდნა“, ქ. თბილისი, 1958წ., გვ. 64—66.

მაღლობ ადგილებზე „წყაროების“ არსებობის სიმცირის გამო მკვიდრი მოსახლეობა იძულებული იყო გამოეყენებინა ქვემოთ, ხრამებში — ძნელად მისასვლელ ადგილებში მდებარე „წყაროებიც“.

რთულ სამთო პირობებში შორი მანძილიდან აღმართზე ზურგით წყლით ამოზიდვის მძიმე ფიზიკური შრომა ხალხურმა გონებაგამჭრიახობამ შეცვალა მეტად საინტერესო მექანიზმით, რომლის შემწეობით ადვილად წარმოებს წყლის ამოტანა საჰაერო გზით.

ქვევიდან ზევით, დასახლებულ ადგილამდე წყლის ამოსაზიდად ასეთ დანადგარს აქ „აძუ-აჩერხი“ (წყლის ჩარხი) ანუ „აძუ-ააგაგა“ (წყლის მოსატანი) ეწოდება.

წყალმომარაგების ეს საინტერესო ხალხური ხერხი პირველად ჩვენ მიერ შესწავლილი იქნა აჭარის, გურიისა და სამეგრელოს ტერიტორიაზე, სადაც „მახარას“ სახელწოდებითაა ცნობილი[1].

აფხაზეთის ტერიტორიაზე „აძუ-აჩერხი“ ანუ „მახარა“ დამოწმებული გვაქვს შემდეგი მთის სოფლებში: ბლაბურხვაში, ოთხარაში, ღურიფში, ხაბიოში და სხვ.

ჩვენ მიერ შეგროვებული მასალებიდან „ქახრაკის“ ხერხით წყალმომარაგების საინტერესო მაგალითს წარმოადგენს სოფ. ხაბიოს მცხ. ა. ახბას კარ-მიდამოზე არსებული „მახარა“.

ამ კარ-მიდამოს ახლოს, ხელმისაწვდომ ადგილზე, „წყაროები“ არსად მოიპოვება. საუკეთესო ანკარა სასმელი წყლით უხვი „წყაროები“ მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთით, ქარაფოვან კლდეების ქვემოთ, ვიწრობილიკოვან ძნელად მისასვლელ ადგილებში მომწყვდეულ ხევებში; 300 მეტრის სიშორიდან 40 მეტრის სიმაღლეზე წყლის ამოზიდვა ზურგით ზღაპრულად ძნელი საქმეა.

ამ სიძნელის თავიდან ასაცილებლად ახბას კარ-მიდამოს კოინდრიანი საცხოვრებელი ეზოს ბოლოში, ჩრდილო-დასავლეთით, დგას ლამაზი, გადახურული თალარი (ფანჩატური — აშაპა), რომელშიც მოწყობილია წყლის ამოსაზიდი „ქახრაკი“, ე. წ. „მახარა“ (ტაბ. 21);

ამ ხალხური „მახარას“ კონსტრუქციული აგებულება და მოქმედება ასეთია: ბორბალი უძრავადაა მორგებული ხისავე ღერძზე, ხოლო ღერძის ორივე ბოლო ჩამაგრებულია ფანჩატურის შუაში დაყენებულ ორ დგარს შორის ისე, რომ ღერძის ერთ ბოლოში გაყრილი სახელურით თავისუფლად შეიძლება ვაბრუნოთ ბორბალი. დგარებს ზემოდან გადებულ ძელში, შუა ადგილას, ჩამაგრებულია ლითონის (5-6 მილიმეტრიანი განივი კვეთის) ბაგირი, რომელიც მიბმულია ფანჩატურის ბოძებზე ზემოთ განივად ჩაჭდობილ ძელზე. გაჭიმულია ჰაერში ქვემოთკენ და დამაგრებულია წყაროსთან ისე, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები (ტაბ. 21).

ბორბლის შუაში ერთი ბოლოთი მიმაგრებულია თოკი, ხოლო მეორე ბოლო შუაზე აქვს მიბმული საკიდს, რომელიც მიკრულია ბაგირზე მგორავი თვლის გვერდებზე; ამავე საკიდზეა მოთავსებული კასრის ჩამოსაკიდებელი კავი.

წყლის ამოტანისას კავზე ჰკიდებენ კასრს, კასრი თავისი



49. სოფ. ხაბიო. წყლით სავსე კასრი „მახარას“ შემწეობით დიდ სიმაღლეზე საჰაერო გზით მიემართება სახლისაკენ

სიმძიმით ეშვება თავქვე „წყაროსაკენ“. კასრისა და შკუთულზე მგორავი თვლის სიმძიმე ღოლზე დახვეულ თოკის ბოლოს ქვევით ეწევა; ამ დროს ბორბალი თავისთავად ბრუნავს საკუთარი ღერძის მოძრაობის საწინააღმდეგოდ და, თოკი იწყებს უკუგადახვევას — მისდევს კასრს და იჭიმება „წყარომდე“. კასრი ჩერდება „წყაროს“ ღართან. ეს პრიმიტიული „ავტომატი“ ისეა მოწყობილი, რომ ჩაშვებული კასრი ვერ ასცდება ღარიდან გადმონაჩქეფ წყალს. 14–15 ლიტრიანი კასრი სწრაფად ივსება და ბორბლის ბრუნვის შემწეობით სავსე ბრუნდება ზემოთ „წყალმომლები“ ფანჩატურისაკენ (ტაბ. 21. სურ. 49).

ასეთივე „მახარა“ ფიქსირებული გვაქვს სოფ. ღურიფშშიც (ტაბ. 22). ამ სოფლის ერთი უბანი, აგუმავების უბანი, წყლის დიდ ნაკლებობას განიცდის, რის გამოც დაახლოებით 10–12 ოჯახი იძულებულია ისარგებლოს კ. აგუმავას საბაღო ეზოს გარეთ მოწყობილი ერთი „მახარას“ დანადგარით.

დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე სოფ. ოთხარაში აბუბის საგვარეულო უბანში მიწის ქვეშ არსებული ბუნებრივი გამო-

---

[1] საბა ორბელიანის განმარტებით მახარა არის ყურჭი. საბას ლექსიკონში სიტყვა „მახარას“ ბოლოში უზის ნიშანი V, რაც მისი განმარტებით გულისხმობს იმას, რომ ეს სიტყვა ფრინველიდან, ფრენიდან არის წარმოშობილი. შესაძლებელია ამ ხალხურ უძველეს მექანიზმს მახარა იმიტომ უწოდეს, რომ მისი შემწეობით შესაძლებელია ტვირთის ჰაერში „გადაფრენა“ (საჰაერო გზით გადატანა).



50. სოფ. ბლაბურხვა. მახარას მეშვეობით შეშას ეზიდებიან სახლისაკენ

ქვაბული, რომლის სიღრმეში მიწანწკარებს კარსტული „წყარო“ და იქვე იკარგება ნაპრალებში. სასმელად გამოსადეგი ზედაპირული წყლების სიმცირის გამო აიბების საგვარეულო დასახლების რამდენიმე ოჯახი იძულებულია წყალი ზიდოს ამ მიწისქვეშა „ქვაბიდან“, რომლის სიღრმე „წყაროსთან“ 9,5 მეტრს არ აღემატება, ხოლო სიგრძე —25 მეტრს, მაგრამ რთული და ორიგინალური გეოლოგიური აგებულების გამო იქიდან წყლის გამოტანა მეტად ძნელია.

გამოქვაბულში ჩასვლა ძალზე რთულია, ვინაიდან იგი ერთგვარ წაქცეულ ჭას მოგვაგონებს, რომლის დახრა შიგნითა მხარეზე 25°-მდე აღწევს; გამოქვაბულის უსწორმასწორო (დახრამული) მოლიპული კლდოვანი ძირი კიდევ უფრო ართულებს ჩასვლა-ამოსვლის საკითხს (ტაბ. 23).

მიწისქვეშა გვირაბიდან წყლის ამოზიდვა განხორციელებულია სრულიად მარტივი წესით, ე. წ. მიწისქვეშა საბაგირო-საჰაერო გზით, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს ზემოგანხილულ „მახარას“ მოქმედებას.

დამოწმებული გვაქვს აგრეთვე „მახარას“ მეშვეობით არა მარტო მთის მდინარეებიდან და წყაროებიდან წყლის ამოტანის შემთხვევები, არამედ სხვა სახის ტვირთის გადაზიდვის მეტად საინტერესო შემთხვევები მთაგორიან ადგილებში — ციცაბო კლდეებსა და ძნელად ჩასასვლელი ხევების ფერდობებზე გამართული საჰაერო გზით; ასე, მაგალითად: სოფ. ბლაბურხვაში ფიქსირებული გვაქვს „მახარას“ მეშვეობით ერთი ფერდობიდან მეორეზე საჰაერო გზით ფიჩხისა და შეშის გადატანის საინტერესო შემთხვევა (სურ. 50), ასევე სოფ. ხაბიოში დიდი „საზურგე“ წნული გოდრით თამბაქოს ფოთლის გადაზიდვის პროცესი (სურ. 51); ასეთი გოდრით შეიძლება გადაიზიდოს აგრეთვე დაკრეფილი ხილი და რაიმე სხვა ტვირთი.

„მახარას“ იდენტური ტიპები დამოწმებული და შესწავლილი გვაქვს აგრეთვე სამეგრელოს ტერიტორიაზე — სოფ. თეკლათის (ცხაკაიას რაიონი) დედათა მონასტრის გალავანში არსებული დიდი ზომის „მახარას“ ნაგებობის კომპლექსის სახით (ტაბ. 24, 25); ასევე დიდ ინტერესს იწვევს აჭარის ტერიტორიაზე არსებული „მახარას“ მაგალითები, რომელთა შორის თავისი ორიგინალობით განსაკუთრებით გამოირჩევა სოფ. ხიხაძირში (ხულოს რაიონი) მ. გაბაიძის საცხოვრებელი სახლის შიგნით, დერეფნის კუთხეში დადგმული „მახარა“ (სურ. 52, 53).

„მახარას“ ზემომოტანილი იდენტური ტიპები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან დამაჯერებლად მეტყველებენ ძველთაგანვე მათ ფართო გავრცელებაზე.

საგულისხმოა, რომ „მახარა“, როგორც უძველესი „წყლის ამწი ბორბალის“ კონსტრუქციული აგებულების ჩანახატი, მოცემული აქვს ა. მილერს (სურ. 54)[1].

ძველი წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ 714



51. სოფ. ხაბიო. მახარას მეშვეობით თამბაქოს ფოთლით სავსე გოდორი გადააქვთ საჰაერო გზით

[1] А. Миллер. Материалы по этнографии России, том I, стр. 73.



52. სოფ. სიხაძირი. წყლით სავსე კასრი მახარას საშუალებით მიჰქრის საჰაერო გზით სახლისაკენ



53. სოფ. სიხაძირი. მახარას საშუალებით ჩაშვებული კასრი წყაროსთან ეხება ავტომატურად



54. მახარას კონსტრუქციული აგებულება (ა. მილერის მიხედვით)



**55. ბორბლის ბრუნებით წყალი აქვთ აღმართზე (ბორბალს აბრუნებს კამეჩი — ძველი ჩინური ჩანახატი)**

წელს (ძვ. წელთაღრიცხვით) ასურელებმა დალაშქრეს ურარტუს სამეფოში შემავალი ერთ-ერთი სამთავრო — მანა. ასურეთის მეფე სარგონი, რომელიც ამ ლაშქრობას ხელმძღვანელობდა, გაკვირვებული იყო მკვიდრი მოსახლეობის კულტურით და საქმიანობით. სარგონი თვითონვე დაწერილებით აღწერს ამ ლაშქრობას. მოგვაქვს ჩვენთვის საინტერესო ერთი ადგილი, სადაც აღნიშნულია, რომ „მანას“ ქვეყანა დაფარული ყოფილა დიდი და პატარა არხებით, რომელნიც რწყავდნენ ნოყიერ მინდვრებს. აღმართებში არხებიდან წყალი აჰყავდათ ბორბლებით, რომლებსაც აქლემები ატრიალებდნენ[1].

აღმართში ბორბლის ტრიალით წყლის აყვანის ტექნიკა უძველესი დროიდანაა ცნობილი საერთოდ აღმოსავლეთის ქვეყნებში; ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს ძველი ჩინური ნახატი. (სურ. 55). როგორც სურათიდან ჩანს, ბორბლის სატრიალებელ ბერკეტში (უღელში) გაბმულია კამეჩი[2].

დამოწმებულია, რომ პირველ ეტაპზე ბორბალს ადამიანი ატრიალებდა, შემდეგ გამოიყენეს ცხოველთა ძალა (გამწევი ძალა), ეს უკანასკნელი შეცვალა წყლის ძალამ წისქვილის ბორბლის ტრიალის პრინციპზე (სურ. 56). ამ დროიდან უკვე აღმართში „წყალი აჰყავს წყალს“[3].

უნდა აღინიშნოს, რომ ანტიკური ხანის (I საუკ. შუა წლები) რომაელმა არქიტექტორმა ვიტრუვიუსმა დაგვიტოვა აგრეთვე წყალამყვანი მანქანების საყურადღებო ნახაზები და მათი აღწერილობა[4]. გამოჩენილ არქიტექტორს ლეონ-ბატისტა ალბერტის განხილული აქვს თავისი შესანიშნავი ტრაქტატის X წიგნში წყლის მოპოვებისა და წყალგაყვანილობის ზოგიერთი საინტერესო საკითხი[5].

ზოგიერთი თავისებურების გამოვლინების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია ხალხური „მახარას“ მექანიზმი შევადაროთ ზემოაღნიშნული წყალამყვანი მანქანების სტრუქტურას.

ისეთი უძველესი წყალამყვანი მანქანები, როგორიცაა „ჩამჩიანი დოლურა“, „ჭიაჰრახნა“, „წყლის შვეულად ამტანი ჩამჩიანი მოწყობილობა“ და სხვ. წყალს ზიდავენ მხოლოდ 5-8 მეტრის სიმაღლეზე. გარდა ამისა, აღნიშნული მექანიზმები ძველ დროში გამოყენებული იყო მხოლოდ და მხოლოდ წყლის ამოსაზიდად, რადგან სხვა სახის ტვირთის გადასატანად, როგორც ირკვევა, მათი კონსტრუქციული სტრუქტურა გამოუსადეგია.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ ხალხური „მახარას“ შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო წყალმომარაგების ისტორიისათვის, არამედ საქართველოს სამშენებ-



**56. ბორბლის ბრუნებით წყალი აქვთ აღმართზე (ბორბალს აბრუნებს წყლის ძალა — ძველი ჩინური ჩანახატი)**

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1948, წ., გვ. 37—38.

[2] Н. Н. Листов, Б. Д. Васильев и др. История строительной техники, Ленинград, Москва, 1962 г., стр. 45.

[3] იქვე გვ. 52.

[4] Витрувий, Десять книг об архитектуре, перевод Ф. А. Петровского, том I, Москва, 1936 г., стр. 198—200.

[5] Леон-Батиста Альберти, Десять книг о зодчестве, перевод В. П. Зубова, Москва, 1936 г., стр. 343—362.

ლო წარმოების დღემდე ნაკლებად შესწავლილი უძველესი ტექნიკური ხერხების გამოვლინების თვალსაზრისითაც.

„მახარას“ დაწვრილებითი შესწავლა საფუძველს გვაძლევს გამოვთქვათ აზრი, რომ საქართველოს მაღალკლდოვან და მიუვალ ადგილებში აგებულ იმ უძველეს ციხე-სიმაგრეთა და სხვა სახის ნაგებობათათვის, რომელთა მშენებლობის ტექნიკის შესახებ მრავალი ლეგენდა არსებობს, ზოგიერთი სამშენი მასალა და წყალი უსათუოდ მიწოდებული უნდა ყოფილიყო „მახარას“ ან მისი მსგავსი მოწყობილობის შემწეობით, საჰაერო-საბაგირო გზით.



# თავი მეხუთე

## აფხაზეთის საბინაო ხუროთმოძღვრება

### საცხოვრებელი სახლების ძველი ტიპები

საქართველოს ცალკეულ მხარეთა ძველი ხალხური საცხოვრებელი სახლების შესწავლას უდიდესი მნიშნელობა აქვს ქართულ საცხოვრებელთა ძველი ტიპების განვითარების ეტაპების დასადგენად, საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ საცხოვრებელი ბინების დაზუსტებული კლასიფიკაცია და, ამის საფუძველზე, საქართველოს ზონალური ხასიათის სამშენებლო დარაიონება.

ძველი ხალხური საცხოვრებელი სახლების განვითარების ცალკეული საფეხურების სრული პოზიტიური სურათის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ დღემდე მეტნაკლებობით გადარჩენილი ძველი ხალხური ნაგებობების შესწავლით.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ძირითადად დღემდე შემორჩენილია XVIII საუკუნის მიწურულისა და მთელი XIX საუკუნის სხვადასხვა დანიშნულების ხალხური ნაგებობები, რომლებსაც ძველი ხალხური ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობა ახასიათებს.

გეოგრაფიულ-კლიმატური პირობების (მიკრო-ჰავის) შრომა-საქმიანობისა და სოციალ-ეთნიკური ფაქტორების ინტენსიური ზეგავლენით საუკუნეთა მანძილზე აფხაზეთის ტერიტორიაზე გამომუშავებულია და ტიპობრივად ჩამოყალიბებულია ძველი საცხოვრებელი სახლის მრავალი სახესხვაობა, რომლებიც შესწავლის თვალსაზრისით დაყოფილი გვაქვს ორ ჯგუფად: პირველია წნული საცხოვრებელი სახლები, ხოლო მეორე — ხის საცხოვრებელი სახლები.

პირველი ჯგუფი საცხოვრებლებისა წარმოადგენენ წნულკედლიან უძველეს საცხოვრებელთა ტიპებს. მათ შორის გეგმის მიხედვით ვარჩევთ შემდეგ ძირითად სახეებს: 1. წრიული მოხაზულობის წნულკედლიანი უძველესი საცხოვრებელი, ე. წ. „აქვჰაცი“; 2. წნული საცხოვრებელი „ამჰარა“; 3. ოთხკუთხოვანი მოყვანილობის უსაძირკვლო წნული საცხოვრებლები და 4. ხის საძირკვლებზე გამართული სწორკუთხოვანი წნული საცხოვრებლები.

ასევე მეორე ჯგუფიდან ვარჩევთ შემდეგ სახეებს: 1. მორული ანუ ე. წ. „ჯარგუალური“ სახლები; 2. მათი სახესხვაობა — აფხაზურ-სვანური, ე. წ. შერწყმული ტიპის საცხოვრებელი სახლები და 3. ფიცრული, ე. წ. ოდური ტიპის სახლები.

აღნიშნული საცხოვრებელი სახლების ამგვარ ტიპიზაციას საფუძვლად ვუდებთ შემდეგ ძირითად მოტივებს: 1. გეგმის გადაწყვეტის ტრადიციული წესები, რომლებიც უშუალოდ მჭიდროდ არის დაკავშირებული ხუროთმოძღვრულ-კონსტრუქციული სქემის სტრუქტურასთან; 2. კონსტრუქციულ-სივრცობრივი ფორმის მიღება; 3. ადგილობრივი ხელმისაწვდომი შერჩეული საკედლე საშენი მასალის დამუშავების ტექნიკა და სხვ.

### კოლხური წნული სახლები

Постройка хижины из древесных ветвей—еще не искусство, а лишь удовлетворение материальных потребностей.

Виолле ле Дюк

აფხაზეთის ტერიტორიაზე ხალხური ხუროთმოძღვრების საგანძურში ხელოვნური უძველესი საცხოვრებლების პირველყოფილ ფორმებს წარმოადგენს დღემდე შემორჩენილი სხვადასხვა დენდრონის წკნელებისაგან პრიმიტიულად მოწნულმოლობილი სახლები. ასეთი წნული სახლები პირობითად „კოლხურის“ სახელწოდებით გვაქვს მიღებული.

სახელწოდება „კოლხური“ იმითაც არის გამართლებული, რომ წნული სახლების წარმოშობა და განვითარება აფხაზე-



57. სოფ. ხოფი. მ. ჭაცრბას წნული საცხოვრებელი კოლხური ფაცხა-აქვპაცი

თის წარსული ცხოვრების მანძილზე არ იყო რაღაც კუთხურ-იზოლირებული მოვლენა, ისტორიული პროცესების ყველა ეტაპზე ის ორგანულად მჭიდრო კავშირში იყო დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, ძველი კოლხეთის მატერიალური კულტურის ცხოველმყოფელ მამოძრავებელ ძალასთან.

წნული სახლი სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით არის ფაცხა სახლი (იხ. სიტყვის კონა). ეს უძველესი სახელწოდება მას დღემდე შენარჩუნებული აქვს თითქმის საქართველოს ყველა კუთხეში, ამიტომ უმართებულო არ იქნება, თუ წნულ სახლებს, ქვემოთ განხილვის დროს, ფაცხების სახელწოდებითაც მოვიხსენიებთ. ასეთ საცხოვრებელ სახლს აფხაზურად „აფაცხა“ ეწოდება, სადაც „ა“ როგორც ცნობილია, არის აფხაზური დიალექტის წინა ნაწილაკი.

აფხაზეთის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილია კოლხური წნული სახლის, ე. წ. „აფაცხას“ რამდენიმე სახე: გეგმაზე წრიული მოყვანილობის, ე. წ. „აქვპაცი“[1] (რომლის ერთადერთ სახესხვაობას, როგორც საცხოვრებელი, წარმოადგენს „ამჰარა ფაცხა“), და გეგმაზე ოთხკუთხოვანი მოხაზულობის საცხოვრებლები, რომლებიც შედგება შემდეგი გარდამავალი სახეებისაგან: ა) ერთგანყოფილებიანი ოთხკუთხოვანი მოყვანილობის უსაძირკვლო საცხოვრებლები მომრგვალებული კუთხეებით, ე. წ. „აბიცათძი“; ბ) ხის საძირკვლებზე გამართული ერთგანყოფილებიანი საცხოვრებელი სწორი კუთხეებით, „ამასარ-თძი“ და გ) წაგრძელებული სახლი სწორი კუთხეებით, ე. წ. „აგან-ვნი“.

აღნიშნული ფაცხების დღემდე შემორჩენილი ეს სახესხვაობები საშუალებას გვაძლევს ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ დასავლეთ საქართველოს საცხოვრებელი ოდა-სახლის განვითარების წინა ეტაპებზე.

**წნული საცხოვრებელი-აქვპაცი** აფხაზეთის ტერიტორიაზე ტიპიური ხალხური წნული საცხოვრებელი სახლის უძველესი და უმარტივესი სახეობაა, გეგმაზე წრიული მოხაზულობის ერთგანყოფილებიანი მცირე მოცულობის ფაცხა.

გეგმის წრიულმა მოყვანილობამ განსაზღვრა მისი კონსტრუქციული სქემის, სივრცობრივი ფორმის ცილინდრული ზედაპირით შემოზღუდვის აუცილებლობა; ცილინდრული ტანი — კედელი ასეთი წნული საცხოვრებლისა ზემოდან გადადის კონუსურ ფორმაში და ამ სახით ღებულობს სახურავის უმარტივეს ფორმას, ე. წ. კონუსური მოყვანილობის სახურავს (ტაბ. 26, სურ. 57).

ასეთი ტექნიკური გადაწყვეტის არსი უშუალოდ დაკავშირებულია სამშენებლო ტექნიკის უმარტივეს და პრიმიტიულ საწყისებთან.

აფხაზურად ასეთ საცხოვრებელ ფაცხას აქვპაცს ეძახიან: იგი დღემდე შემორჩენილია გადმონაშთის სახით აფხაზეთის შემდეგ სოფლებში: ბალაბურხვა, ოთხარა, ლიხნი, ხოფი, დურიპში, აჭანდარა, ხაბიო და სხვ; აქვპაცს დღეს უკვე დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი ფუნქცია, ის აღარაა საცხოვრებელი ერთეული — თანამედროვე აფხაზეთის სოფლის



58. სოფ. ჭყარი (სამეგრელ). გეგმაზე წრიული მოყვანილობის კოლხური წნული ფაცხა

[1] სიტყვა „აქვპაცი“ აფხაზურად ნიშნავს წაწვეტებული დაბოლოების ცილინდრისებურ მოწნულს.



59. კოლხური საცხ. სახლების ძველი ტიპები სამეგრელოდან (ს. მაკალათიას მიხედვით)

ცხოვრებაში გამოყენებულია მხოლოდ როგორც იაფფასიანი დროებითი სადგომი სამეურნეო დანიშნულებისათვის.

წნული სახლის ამ სახეობის იდენტური ფორმები დამოწმებული გვაქვს აგრეთვე სამეგრელოში, იმერეთში და საქართველოს სხვა კუთხეებში (სურ. 58, 59).

საცხოვრებლის ასეთი ფორმების გავრცელების არე ჩვენი ქვეყნის საზღვრებსაც სცილდება. კონუსურ სახურავიანი, ცილინდრული მოყვანილობის პირველყოფილი საცხოვრებლებისა და ფაცხის სხვა სახეობათა სინქრონული პარალელები გავრცელებულია აგრეთვე აზიის ქვეყნებში, როგორც მიწაში, ისე მიწის ზემოთ, აფრიკის საცხოვრებელთა ტიპებში, ამერიკაში, ევროპაში და სხვ. (სურ. 60).

სხვადასხვა ქვეყნებს შორის პირველყოფილ საცხოვრებელთა ფორმების ასეთი ვრცელი მასშტაბის იდენტურობა, ცხადია, არ არის ერთიმეორის მიბაძვითა და გავლენით გამოწვეული. თავდაპირველად ეს აიხსნება იმით, რომ „ადამიანის რასის ისტორიას ერთი და იგივე საწყისები აქვს, ერთიანია იგი თავისი გამოცდილებითა და პროგრესით"[1].

წნული სახლის, ე. წ. მრგვალი ფაცხის ამ სახეობამ და, საერთოდ, საცხოვრებლის ასეთმა ფორმამ გარკვეული როლი შეასრულა არა მარტო აფხაზეთის წნული ხალხური საცხოვრებელი სახლების ტრანსფორმირების საქმეში, არამედ ყველა ერის საცხოვრებლებისა და მასთან დასავლეთ საქართველოს კოლხური ოდა-სახლის ჩამოყალიბების საქმეშიაც.

წნული საცხოვრებლების საყურადღებო აღწერა მოგვცა ი. პანტიუხოვმა, რომელმაც ჩაატარა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიური საცხოვრებლების ვრცელი კლასიფიკაცია. ეს მასალა საინტერესოა იმითაც, რომ საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ კავკასიური ხალხური საცხოვრებლების შედარება. პანტიუხოვი გადმოგვცემს, რომ „უმარტივესი სახის ეს მოწნული კარავი-ფარდული, უჭერო და უფანჯრო, მიწის იატაკით, ისლით დახურული, შუა ცეცხლით, სამეგრელოში ცნობილია ფაცხის სახელწოდებით"[2] (სურ. 61).

ფაცხის სხვადასხვა სახეობას პანტიუხოვი ანზოგადებს მთელი დასავლეთ საქართველოს საცხოვრებლის პირველყოფილ ფორმად და მიდის იმ დასკვნამდე, რომ „საერთოდ ასეთი საცხოვრებლის აგებულება ახლაც თითქმის იგივეა, როგორიც იყო ბრინჯაოს ხანის პერიოდში"[3].

აფხაზეთის წნული საცხოვრებელი სახლების დღემდე არსებულ აღწერილობათა შორის გამოირჩევა პ. გიორგაძის მიერ მოცემული ფაცხის აღწერილობა.

„სახლი-ფაცხა აფხაზისა ბევრს შესანიშნავს არაფრას წარმოადგენს. იგი ორგვარია გარეგანის შეხედულებით: მრგვალი და ოთხკუთხიანი. კედელი ფაცხისა გეზად ამაღლებულია და თხილის მოშსხო წნელები განით დაწნულია უფრო და უფრო მომწვრილო წნელით, სართულის კაკუტები ამ დაწნულის კედელზეა დაყრდნობილი, ხოლო ზევით თავები ერთი ერთმანეთზეა მიკრული ვენახით ანუ წირეხით; ლარძაყინებზე — კი განით კედლის შემწეობით დაკრულია აქა-იქ ლართხები (ფინები). ეს არახელოვნური შენობა დახურულია გვიმრით, ჩალით ანუ ისლით. აფხაზი, როდესაც საძოვარი საკმაოდ არ ეგულება, გადადის ერთი ალაგიდან მეორეზე. იმას ამ აყრა-გადასახლებას ისიც უადვილებს, რომ აფხაზებს არაფრად მიაჩნიათ ფაცხის დადგმა. ისიც მოხდება ხოლმე, რომ, როცა ახლო სოფელში გადასახლდება, თან მიაქვს დაურღვევლად ფაცხა სხვების შემწეობით"[4].

წნული სახლის ეს სახეობა აღწერილი აქვს აგრეთვე კ. ჰანს ხალხური საცხოვრებელი სახლების განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც ღარიბთა ფაცხების პარალელურად არსებობს აგრეთვე შეძლებულ აფხაზთა ფიცრული საცხოვრებლები, აგებული მეგრულ ან, უფრო სწორად, კოლხეთის ტერიტორიაზე გავრცელებული ფიცრული სახლების ყაიდაზე[5].



60. კოლხური ფაცხების სინქრონული ტიპები სხვადასხვა შორეულ ქვეყნებში

[1] Л. Г. Морган, Древнее общество, Ленинград, 1935г., стр. 3.

[2] И. И. Пантюхов, О пещерных и позднейших жилищах на Кавказе, Тифлис, 1896г. стр. 186—187.

[3] იქვე, გვ. 172.

[4] პ. გიორგაძე, ივერია, 1888წ., გვ. 169.

[5] К Ган. Поездка в Мингрелию, Самурз. и Абхаз. (летом 1902 г.) Кавказский Вестник № 5, 1902г., XII, стр. 41.




61. კოლხური საცხოვრებლების ძველი ტიპები (ი. პანტუხოვის მიხედვით)

მ. ჯანაშვილის მიერ აღწერილი ფაცხის სახეობა, რომელიც აქვპაცს შეესაბამება, თავისთავად საყურადღებო მასალას წარმოადგენს და მისი უგულვებელყოფა არ იქნებოდა მართებული[1].

ამ სახეობის წნული სახლის ანალოგიურ დახასიათებას იძლევა აგრეთვე ცნობილი ქართველი ეთნოგრაფი თ. სახოკია, რომლის მიხედვით „სახლი აფხაზისა, უმეტეს შემთხვევაში, წნული ფაცხაა, ისლით ან გვიმრით დახურული, გვიმრითვე გვერდებშებურდული სითბოსათვის, უიატაკო, უჭერო, უსარკმლო... სინათლე ასეთ ფაცხაში ჭუჭრუტანებიდან შედის"[2].

ცხადია, ასეთი სახლის აგება ყველაზე ხელმისაწვდომი იყო ღარიბ გლეხთა ფენებისათვის, მისი აშენება შეიძლება ყველგან სურვილისამებრ, არ მოითხოვს არც რთულ სახურო იარაღებს და არც დიდ დროს[3].

ქოხ-ფაცხები უძველესი დროიდან გადაიქცა ღარიბი ხალხის საცხოვრებელ ბინად. მაგალითად: ძველ საბერძნეთში, დაწყებული ჰომეროსის ეპოქიდან (IX საუკ. ჩ. წ. ა.) ციკლოპურ ნაგებობათა პარალელურად არსებობდა ღატაკი ხალხის მიერ ყოველგვარი მასალისაგან აშენებული ღარიბული ქოხ-ბინები[4].

ლ. სოლოვიოვმა და ივაშჩენკომ 1935 წელს ოჩამჩირის მახლობლად ჩაატარეს არქეოლოგიური გათხრები; აღმოჩენილი იქნა პირველყოფილი წნული საცხოვრებელი სახლების სანტერესო ფრაგმენტები, რომლებიც, როგორც გამოირკვა, მიეკუთვნება ენეოლითური ხანის პირველ ხელოვნურ საცხოვრებლებს.

ჭანჭრობით შემორკალული „საცხოვრებელი ბორცვების" ფერდობებზე აღმოჩენილი იქნა მიწაში ოდნავ დახრილად ჩასობილი სარები, რომელთა შორის მრავალ ადგილას აღბეჭდილი იყო წნულზე მიკრული გამომწვარი თიხის ნიშნები[5].

წნული სახლის ეს სახეობა ჩვენ მიერ ფიქსირებული იქნა პირველად 1945 -1947 წ. კოლხეთის ტერიტორიაზე სამეგრელოს შემდეგ სოფლებში: სორთაჩქონი (ცხაკაიას რაიონი), კახათი, კორცხელი (ზუგდიდის რაიონი)[6] და სხვ.

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, პრიმიტიული საცხოვრებელი ბინის ეს ტიპი დღემდე კიდევ შემორჩენილია აფხაზეთის ტერიტორიაზეც.

თავიანთი პირველყოფილი ფორმებით, სირთულითა და იდენტურობით გამოირჩევიან შემდეგი სოფლების - ლიხნის, პლაპურხვას, ხოფის, დურიპშის, ოთხარას და ხაპიოს წრიული მოხაზულობის წნული ფაცხები; კონსტრუქციული სტრუქტურის თვალსაზრისით მათ შორის თითქმის არავითარი განსხვავება არ შეინიშნება, ამიტომ საკმარისია აღვწეროთ მხოლოდ ერთი მათგანი.

კოლხური ფაცხის ეს პირველადი სახე, რომელსაც ადგილობრივ აქვპაცს ეძახიან, ერთადერთია სოფ. ხოფში (ქ. ჯაკირბას კუთვნილება); ასევე თითო-თითოდაა იგი შემორჩენილი ზემოაღნიშნულ სოფლებშიაც.

გეგმაზე იგი წარმოადგენს წრეხაზს - - წრიული მოყვანილობის ერთოთახიან საცხოვრებელს, რომელსაც სხვა დამხმარე სათავსო არ გააჩნია (ტაბ. 26, სურ. 57).

ამ პრიმიტიული ორიგინალური ფორმის საცხოვრებლის ინტერიერის მნახველი განცვიფრებული რჩება: მას არა აქვს ჭერი, „წოწოლა" სახურავის შიგა მხარე მოელვარე ძველი მქვარტლით დაფარული კონუსური ზედაპირი მთლიანად გუმბათივით მოჩანს, რის გამოც სათავსოს შიგა ასახულობა დიდი სიმაღლისა და მოცულობის ვრცელი დარბაზივით გამოიყურება.

ამრიგად, აღნიშნულ სახურავქვეშ არსებული მთელი არე ემატება საცხოვრებლის სასარგებლო მოცულობას და იქმნება ნაგებობის კონსტრუქციული მოცულობის მაქსიმალურად გამოყენების შესაძლებლობა.

თიხანატკეპნი სწორი ზედაპირის იატაკი დიდი ოსტატობით არის მოშანდაკებული, გაკრიალებულია და ძალზე სუფთად აქვთ დაცული.

აქვპაცის ცენტრში მოწყობილია ე. წ. „ახუშთაარა": ესაა თიხანატკეპნ იატაკში მჭიდროდ ჩამჯდარი თლილი ქვებისაგან შედგენილი ოდნავ ამაღლებული სწორკუთხოვანი ჩარჩო (70×95 სმ), რომლის შუაგული ჩაღრმავებულია ცეცხლის ჩასანთებად. საგულისხმოა, რომ ასეთნაირად მოწყობილ კერაში ცეცხლი დიდხანს ინახება ღადარში.

ხსენებულ აქვპაცს, მხოლოდ ერთი შესავალი აქვს, წინიდან: ამ შესავლის ხვრელის ჩარჩოს ცალ მხარეზე დაკიდებულია ორი კარი: ერთია მთავარი, რომელიც შიგნიდან იღება და დღისით ზამთარ-ზაფხულ თითქმის მუდამ ღიაა, ვინაიდან

---

[1] М. Джанашвили. Абхазия и абхазцы, 1893г., стр. 16.

[2] თ. სახოკია, მოგზაურობანი, გურია, აჭარა, სამურზაყანო. აფხაზეთი, 1950 წ., გვ. 311.

[3] А. В. Фадеев, Меч и золото на берегах Абхазии, 1933 г. стр. 32.

[4] Я. Фальк. Эллада и Рим. (Культурная история классической древности). С.-Петербург, 1881г. стр. 91.

[5] Л. Н. Соловьев, Энеолитическое селище у Очемчирского порта в Абхазии, Материалы по истории Абхазии, Сборник первый, выпуск XV, 1939 г.

[6] ი. ადამია, კოლხეთის საბინაო ხუროთმოძღვრება (სადისერტაციო შრომა), 1948 წ., იხ. კოლხური ფაცხები, გვ. 63, ტაბულა 24, სურ. 1.

სათავსო განათებას მხოლოდ აქედან ღებულობს. მეორე ე. წ. საზღურბლე კარი, რომელიც ლარტყებისაგანაა შეკრული (80—90 სმ. სიმაღლისა), იღება გარედან და თითქმის მუდამ დაკეტილია; მისი დანიშნულება ისაა, რომ დღისით, როცა ღიაა მთავარი კარი, არ შევიდეს ცხოველი ან ფრინველი[1] (სურ. 57).

მარჯვნივ და მარცხნივ კერის — „ახუშთაარას“ მოპირდაპირე კედლებში დატანებულია მცირე ზომის შეუმინავი და უალათო სასინათლო ხვრელები (30×40 სმ), რომლებიც იხურება შიგნიდან წნული დარაბებით.

აღნიშნული წრიული მოყვანილობის სათავსოს დიამეტრია 505 სმ, ე. ი. საცხოვრებელი ფართი 20 კვ მეტრამდე აღწევს; სიმაღლე სათავსოს ცენტრში შიგნიდან არის 580 სმ, გარედან — ზუსტად 680 სმ (მიწის დონიდან კონუსური სახურავის წვერამდე).

კედელი შქერის (рододендрон) წკნელისაგან არის მჭიდროდ მოწნული (მოლობილი) იატაკიდან 215 სმ სიმაღლემდე; თარაზულად მოშანდაკებულ მიწის ზედაპირზე, ზუსტად შემოხაზულ წრეხაზზე. 20 — 20 სმ დაშორებით და 25 — 30 სმ სიღრმეზე ჩასობილია 6 —7 დიამეტრის გაზრტყელებული (ორმხრივ ჩამოთლილი) მუხის სარები; სარებს შორის წკნელის ჩალობვა, ე. წ. სარების ჩაწვნა, იწყება უშუალოდ მიწის დონედან. როგორც აღვნიშნეთ წნულ კედელს არა აქვს საძირკველი, ვინაიდან მისი კონსტრუქცია, სიმსუბუქის გამო, არც საჭიროებს ამას.

ცილინდრული თხელი წნული კედელი გარედან გამაგრებულია 12—15 სმ დიამეტრის მუხის ბოძებით. როგორც გეგმიდან ჩანს (ტაბ. 26), წნული კედლის ირგვლივ გარედან ჩასობილია ხუთი ბოძი, რომლებიც პილიასტრებივით მიყრდნობილია კედლის ზედაპირს, აყვება მთელს სიმაღლეზე და მზიდავი სვეტების მოვალეობას ასრულებენ. ამ ბოძების ზედა ბოლოები ჩამოთლილია ბრტყლად 15—20 სმ სიგრძეზე და ძალზე მოხერხებულად ჩალობილია კედლის საერთო სისტემაში.

თხელკედლიან ნაგებობებში მდგომარეობის გაძლიერების მოსაზრებით ხის ბოძების ამ სახით გამოყენების კონსტრუქციული ხერხები საშუალებას გვაძლევს წარმოვდგენა ვიქონიოთ კედლის სიბრტყიდან გამოწეული სვეტების, ე. წ. პილიასტრების პროტოტიპებზე.

წნული კედლის ზედა ნაწილი შენობის კონტურის მთელ გაყოლებაზე მსხვილი წკნელის ღეროებით არის ჩაწნული, ზედ დაყრდნობილია და ჩალობილია კონუსური სახურავის საგანგებოდ შერჩეული კაუჭიანი ნივნივების ფეხები (ტაბ. 26, იხ. ჭრილი). კედლის დაბოლოებაზე, კერის თავის გასწვრივ გადებულია აგრეთვე ორი კოჭი, რომლებზედაც განივად დალაგებულია ძელაკები. ამ ძელაკებზე მოწყობილია რკინის ჯაჭვის (ნაჭის) დასაკიდებელი, საიდანაც კერის ცენტრამდე ჩამოშვებულია საჭმლის დასამზადებელი ქვაბების ჩამოსაკიდებელი „ნაჭა“ ან კბილანა კავი (სურ. 62).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კაუჭიანი ნივნივების ფეხები ჩალობილია წნული კედლის სისტემაში ისე, რომ კაუჭები სათავსოს შიგნით კედლებშია გამოსული 12 —15 სმ სიგრძეზე და გამოყენებულია საოჯახო ინვენტარის ან კიდევ სხვადასხვა ნივთების ჩამოსაკიდებლად (ტაბ. 26, იხ. ჭრილი); ასეთი ორიგინალური ნივნივების ბოლოები, რომელიც თანდათანობით შეწვრილებულია, აღმართულია მაღლა და ერთად არის თავმოყრილი. ნივნივების ბოლოების თავმოყრის ეს ადგილი შეკრულია გარეული ვაზის „წირეხით“ ისე, რომ იგი წარმოადგენს კონუსური ფორმის სახურავის წვეროსავის საინტერესო კონსრუტქციულ კვანძს[2].

ნივნივებს შორის მოქცეული ადგილი (საშუალოდ 20—25 სმ) მეჩხერად, ირიბული წესით ჩალობილია ხის მომსხო ღერებით ისე, რომ ერთგვარ კონსტრუქციულ ბადეს წარმოადგენს ისლისა და გვიმრის საბურველის დასაფენად[3].

ამრიგად მოწყობილი კონუსური სახურავის ჩონჩხზე დაფენილია ჯერ გვიმრის და შემდეგ ისლის საბურველი, სულ საშუალოდ 20 სმ სისქით; აღნიშნული საბურველი ამჟამად ერთ მთლიან მასას წარმოადგენს. საყურადღებოა, რომ დროთა ვითარებაში ნესტის გამო ასეთ საბურველზე წარმოიქმნება წებოსმაგვარი მოლურჯო-მოშავო აპკი (სოკო-პარაზიტების წარმონაქმნი) რომლის მეოხებითაც საბურველი წყალუეონადი ხდება. ამით უნდა აიხსნას, რომ ასეთი საბურველის გამძლეობის ხანგრძლივობა ზოგჯერ 20—30 წელსაც კი აღემატება.

კედლის ცილინდრული მოწნული ზედაპირი შიგნიდან შელესილია თიხის ხსნარით (დაახლოებით 2—3 სმ სისქით). საგულისხმოა, რომ შელესილია არა მარტო კედლის ზედაპირი, არამედ კონუსური სახურავის შიგნითა ზედაპირის ნაწილიც (კედლიდან 80 სმ სიმაღლემდე.) ამრიგად, არ ემჩნევა ცილინდრულიდან კონუსურ ზედაპირზე გადასვლის არავითარი ხაზი, ისე გლუვად გადადის შელესვა ერთი ზედაპირიდან მეორეზე.

120 და 130 წელს გადაცილებული მოხუცების გადმოცე-



62. კბილანა კავის ან ნაჭის ჩამოსაკიდებელი მოწყობილობის კონსტრუქცია კერის თავზე

[1] ასეთი შემთხვევები დამოწმებულია აგრეთვე სამეგრელოში, გურიაში, აჭარაში, საინგილოში და სხვ.

[2] ჩვენ მიერ ფიქსირებულია აგრეთვე ასეთი კვანძის გადაწყვეტის სხვა შემთხვევაც: ყოველი ნივნივი მისი მოპირდაპირე ნივნივის წვეროში შიგ-ჭდობით არის გამჭოლად გაყრილი და შემდეგ ყველას ერთად გარეული ვაზის დაგრეხილი რგოლი აქვს მჭიდროდ მოჭერილი.

[3] Посреди «акуацв» временно для поддержки крыши ставился столб, который снимался после окончания постройки» (И. Аджинджал. დასახ. ნაშრომი გვ. 37—38).






**68. ხოფ. ოთარა. ს. კვიწინიაძ „მარიკა“ — ფარეხი**

მით, ძველად ასეთ ფაცხებს არც შიგნიდან ლესავდნენ და არც გარედან. ზამთრის პირზე ფაცხას ირგვლივ შეფუთვნიდნენ — ორ ან სამ რიგად შემოაწყობდნენ გვიმრის, ლომის ან კიდევ სიმინდის ჩალის კონებს, რის წყალობითაც ფაცხაში სიცივე არ შედიოდა და კარგადაც თბილოდა.

ასეთ შეფუთვნას სამურზაყანოსა და სამეგრელოში „გულბანდის“ მოწყობას ეძახდნენ. გაზაფხულზე, როგორც კი დათბებოდა, „გულბანდს“ შემოაცლიდნენ და წნული კედელი გაშიშვლებული იყო მეორე ზამთრამდე.

ფაცხის შეფუთვნის ასეთი წესი საინტერესოდ აღწერილი აქვს თ. სახოკიას[1].

დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ამ სახეობის ფაცხებში იგრძნობა ავეჯის სიმცირე. აღნიშნულ „აქვაპცში“ კერის ერთ მხარეს დგას მთლიანი ხისაგან გამოთლილი ერთი სკამლოგინი, ე. წ. „აირიმცზ“, აგრეთვე რამდენიმე სამფეხა ან ოთხფეხა ხის პატარა საჯდომი სკამი, ე. წ. „აქუარდეყუა“; კარის მარჯვნივ, კედელთან, მოწყობილია წყლის კოკების ჩამოსადგმელი მერხი („საფოხალე“), ხოლო მარჯვნივ, ხის განივ ძელებზე დგას დაჩუქურთმებული ხის კიდობანი.

დანარჩენი ყველაფერი ჩამოკიდებულია მაღლა, ასე, მაგალითად: კედლის კარადა, ე. წ. „აჲაფა“, ხის მრგვალი მაგიდა — „აიშაგეჲა“, ხის გრძელი ტაბაკი, სხვადასხვა ზომის ხის კასრები, წნული კალათები, გიდელები, მოწნული საწოლი ლასტები და სხვ.

ამრიგად, სრულიად განთავისუფლებულია საცხოვრებლის ფართი, რის გამოც ამ მცირე ზომის სათავსოში მრავალრიცხოვანი ოჯახი თავისუფლად ცხოვრობს.

ლასტები, გიდელები და ზოგიერთი სხვა რამ მთელი ზაფხული გარედან არის ირგვლივ კედელზე ჩამოკიდებული და მხოლოდ საჭიროების მიხედვით შეაქვთ სათავსოში.

როგორც აღვნიშნეთ, ამ სათავსოში სავსებით გამორიცხულია საწოლი მერხები ან ტახტები — სათავსოს წრიული მოხაზულობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ კედლის გაყოლებაზე მოეწყოს მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრებისათვის უძრავად დამაგრებული გრძელი საწოლი მერხი.

ასეთმა ფაქტორებმა განსაზღვრეს საწოლების მოწყობის პრიმიტიული, მაგრამ ძალზე ორიგინალური წესი. საწოლებად გამოყენებული ჰქონდათ წვრილი წკნელისაგან მოწნული ლასტები, მოუხეშავი ნაბდის საფენი ან კიდევ ტყავმოკერებული ჰილოპები, რომლებიც დღისით ჩამოკიდებული ჰქონდათ შიგნითა ან გარეთა კედელზე. მოხუცების გადმოცემით, ასეთი სახის მსუბუქ წნულ საწოლებს პირდაპირ მიწურ იატაკზე დებდნენ, ზედ აფენდნენ შინაური საქონლის ან ნადირთა ტყავებს (დათვის, ჯიხვის, არჩვის და სხვათა), რომლითაც მაშინ მდიდარი იყო თითქმის ყველა ოჯახი. შუა-ცეცხლის (კერის) გარშემო შემოაწყობდნენ ამგვარ საწოლებს ისე, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები (ტაბ. 26) და ოჯახის წევრები წვებოდნენ შუა-ცეცხლისაკენ ფეხებმიშვერილი.

მიწურ იატაკზე ლოგინის დაგების მსგავსი წესი გავრცელებული იყო არა მარტო აფხაზეთში, არამედ კოლხეთის

[1] თ. სახოკია, დასახელებული ნაშრომი. გვ. 279.

მთელ ტერიტორიაზე: იგივეა დამოწმებული აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა მხარეშიც.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოს ისტორიული მხარის საინგილოს ეთნოგრაფიული ცხოვრებიდან აღებული მსგავსი მაგალითები, საინგილოშიაც საცხოვრებელ „სახლში ვერა ნახავთ ვერც ტახტს და ვერც ამის მსგავს რამეს. ინგილოები მიწაზე იშლიან ლოგინს და იძინებენ. მთელ აქაურ ლოგინს ჯეჯიმები შეადგენენ. ჯეჯიმი მრავლად მოიძებნება ყველა ოჯახში. ჯეჯიმს ქვეშ გამოკრული აქვს მოთელილი სქელი ნაბადი. ამგვარ ჯეჯიმს ინგილო ზოგს ქვეშ იგებს ლეიბის მაგიერად. ზოგს ზევიდან იხურავს“[1].

არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ აქვაცის ტიპის საცხოვრებელი დანიშნულების ერთი სახესხვაობა, რომელიც აფხაზეთის ხალხურ ძველ ნაგებობათა შორის ცნობილია ამჰარას სახელწოდებით.

**წნული საცხოვრებელი — ამჰარა.** წნული ამჰარა, როგორც საცხოვრებელი ფაცხის აქვაცის ერთ-ერთი სახეობა, არაფრით არ განსხვავდება ზემოაღწერილ აქვაცისაგან, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ამჰარა შედარებით მცირე ტევადობისაა.

ამჰარა ახლადდაქორწინებულთათვის სახელდახელოდ აგებული, ცალკე მდგომი საძინებელი სახლია.

ჩვენი აზრით ამჰარას წარმოშობის ძირითადი საფუძვლები დაკავშირებული უნდა იყოს მრავალრიცხოვანი ოჯახის საცხოვრებელ აქვაცში კერის გარშემო გამართულ საერთო საძინებელ სისტემასთან (ტაბ. 26 იხ. გეგმაზე საწოლების განლაგების სქემა) და არა საცხოვრებელი ფართის სიმცირესთან; როგორც საწოლების განლაგებიდან ჩანს, ასეთი სახის საერთო საძინებელში ახალ დაქორწინებულთა დაძინება შეუფერებელი ხდება; ამიტომ უძველესი წესჩვეულების თანახმად ვაჟი უნდა გასულიყო აქვაცის საძინებლიდან და სხვების დახმარებით ეზოში უნდა მოეწყოთ ცალკე საძინებელი სახლი — ამჰარა, სადაც დროებით გადადის ახალშერთული მეუღლითურთ.

საყურადღებოა აგრეთვე ძველ კარ-მიდამოზე ამჰარის ადგილის შერჩევის ტრადიცია: იგი აუცილებლად უნდა ყოფილიყო ძირითადი საცხოვრებელი სახლისაგან არა უმეტესი 8—10 მეტრის დაშორებით, მყუდრო ადგილზე, და მის ახლოს არ უნდა ყოფილიყო სხვა დანიშნულების რაიმე ნაგებობა. ასეთი ტრადიციული ადგილის შერჩევა დადასტურებული გვაქვს დურიპშის, აჰანდარის, ბლაბურხვის და სხვა სოფლების ძველი ხალხური კარ-მიდამოების შესწავლის დროს (ტაბ. 11, 15).

ყოფილა შემთხვევა, როდესაც ერთ ეზოში „დიდი სახლის“ — ძველი სახლის გვერდით სხვადასხვა დროს აგებული ყოფილა რამდენიმე ამჰარა — იმდენი, რამდენიც ახალდაქორწინებული ვაჟიშვილი იქნებოდა „დიდ სახლში“. რამდენიმე წლის შემდეგ, თანახმად ზნე-ჩვეულებისა შეიძლება ჩაითვალოს გაუქმებულად და გამოყენებული იქნას სხვა რაიმე სამეურნეო დანიშნულებისათვის, — ამიტომაც უნდა იყოს, რომ მას ძირითად საცხოვრებელ სახლთან ახლოს აშენებენ.

აქვაცისა და ამჰარას წრიული მოხაზულობა გეგმაზე ძირითადში ითვლება ძველი საცხოვრებელი სახლის გეგმის გადაწყვეტის უძველეს ფორმად. ამჰარის გეგმის განვითარებულ სახეს ამჟამად წარმოადგენს სწორკუთხოვანი ფორმა, ცილინდრული ამჰარები დღეს აფხაზეთის ტერიტორიაზე იშვიათია.

ეთნოგრაფიული ლიტერატურული წყაროებით დადასტურებულია ისეთი შემთხვევაც, როდესაც ამჰარას აგების ნაცვლად ახალდაქორწინებულთ უთმობდნენ მათთვის წინასწარ გაწყობილ ცალკე ოთახს.

„საქორწინო სახლის“ ან მის ნაცვლად იზოლირებული საძინებლის გამოყოფის ტრადიცია ძველთაგანვე გავრცელებული ყოფილა როგორც ქართველ, ისე მის მეზობელ ხალხთა მონათესავე ტომებში:

ჩერქეზები ახლადდაქორწინებულთათვის „საქორწინო სახლს“ ცალკე აშენებდნენ. ყაბარდოელთა ზნე-ჩვეულებაშიც დამოწმებულია მსგავსი მაგალითები, ოღონდ ისინი ასეთ სახლს ეძახიან „პატარძლის სახლს“, ან კიდევ „ლაგუნას“, რაც ადგილობრივ დიალექტზე ნიშნავს „ზედმეტ სახლს“, მისი დანიშნულება ზუსტად იგივეა, რაც ამჰარისა.

„საქორწინო სახლის“ აგების ტრადიცია გავრცელებული ყოფილა სამეგრელოშიაც, ოღონდ ხალხური გადმოცემით, „სიძე-პატარძლის“ საწოლს ეძახდნენ. აქ დღესაც შემორჩენილია ირგვლივ შემოყოლებული ღია აივნიანი, შედარებით განვითარებული ფაცხის ერთ-ერთი სახეობა, „ამჰარა“ — ფაცხა, რომლის მოკლე აღწერილობა და საერთო ასახულობა მოცემული აქვს სერგი მაკალათიას[2] (სურ. 59).

ცნობილია აჭარის სინამდვილეშიც „შიანე ოთახი“ — ცოლ-ქმრის ოთახი[3], იმერეთში ზოგი ძველი ოდა-სახლის სისტემაში ერთ-ერთი ოთახია ე. წ. „სანთიობო“ ოთახი (იგივეა, რაც ახალდაქორწინებულთა ოთახი), მესხეთ-ჯავახეთში — „ჰარამოდა“ და სხვ.

აფხაზეთის, სამეგრელოს, იმერეთის და სხვ. მიწა-წყალზე დღემდე მოღწეული უძველესი პრიმიტიული საცხოვრებლების ტიპიური გადმონაშთები, განსაკუთრებით აქვაცისა და ამჰარის მსგავსი საცხოვრებლების სახით, უაღრესად მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს ძველი კოლხური წნული საცხოვრებლების შესასწავლად.

---

[1] ე. [illegible], [illegible], 1947 წ., გვ. 130.

[2] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1941 წ., გვ. 245—248.

[3] ი. ადამია, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება (აჭარა), თბილისი, 1956 წ.

ადამიანის საცხოვრებელი ბინის ფორმა და მისი განვითარების ფაქტორები მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან, ეკონომიურ-კულტურულ დონესთან.

შრომის იარაღების გამოგონებამ და მისმა თანდათანობით გაუმჯობესებულმა სახეებმა შესაბამისად შეცვალა მშენებლობის ტექნიკა; პრიმიტიული სამშენებლო ხერხებიდან თანდათანობით შესაძლებელი ხდება უფრო განვითარებული ბინის შენების ტექნიკაზე გადასვლა.

აქვაცის კონსტრუქციული სტრუქტურა თავისი პრიმიტიული სამშენებლო ტექნიკით ვერ იძლეოდა წრიული მოყვანილობის უფრო დიდი ფართობის შემოზღუდვის საშუალებას; ძალზე მოუხერხებელი იყო აგრეთვე წრიული მოყვანილობის ფართობის გადატიხვრა შიგნიდან ორი ან მეტი განყოფილების მისაღებად; აქვაცის ცილინდრული კედელი არც გარედან იყო მოსახერხებელი დამატებითი განყოფილების მისაშენებლად.

ამიტომ, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მშენებელი ეძებს გეგმის გადაწყვეტის ახალ ხერხებს, ახალ სივრცობრივ ფორმას; წრიული ფორმიდან გადადის უფრო წაგრძელებულ ფორმაზე. ჩვენი აზრით აქვაცის გეგმის განვითარების ეს ძიებები ეხება დაწყებული წრეხაზიდან ოვალურ ფორმაზე გადასვლით, როცა ორი მოპირდაპირე რკალური კედელი თანდათანობით შეიცვალა სწორხაზოვანი ბრტყელი კედლით.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობებში გადმონაშთების სახით დღემდე მოღწეულია ოვალური ფორმის მოწნული სასიმინდეები „აცაა" და წკრილფეხა „საქონლის დასაბინავებელი. მაღალ ბოძებზე შეყენებული მოლობილი გრძელი ოვალური დაბოლოების ფარდულები, ე. წ. „აჯმართა" „აჭმაგვარა წარმოადგენდნენ (აქვაცის) თანმიმდევრული განვითარების დამამოწმებელ აშკარა პროტოტიპებს (სურ. 63).

მაგავსი პროტოტიპები — გეგმაზე ნახევარწრეხაზებით დაბოლოებული წაგრძელებული (ოვალისმაგვარი) მოწნული ბედლები დამოწმებული აქვს აგრეთვე ჩერქეზების ცხოვრებიდან არტ. ბიჰანს[2].

ამრიგად, აქვაცის გეგმის განვითარების ჩვენ მიერ წარმოდგენილი ევოლუციური სურათი მიგვანიშნა პირველ ეტაპად, რომელიც წინ უსწრებს ოთხკუთხოვანი მოყვანილობის, ე. წ. გარდამავალი ტიპის წნული სახლების მშენებლობას.

## ა. ოთხკუთხოვანი გეგმის უსაძირკვლო წნული საცხოვრებელი

გეგმაზე ოთხკუთხოვანი მოყვანილობის მოწნული საცხოვრებელი, რომელიც თავისი კონსტრუქციული სტრუქტურით არაფრით განსხვავდება აქვაცისაგან, აფხაზეთის ტერიტორიაზე ცნობილია „აბიცა-თძის" სახელწოდებით[1].

საცხოვრებლის ეს ტიპი გეგმის წრიული მოყვანილობიდან უშუალოდ ოთხკუთხოვან მოყვანილობაზე გადასვლის საუკეთესო ნიმუშია, ამიტომ საცხოვრებლის ეს სახე აღიარებული უნდა იქნას გარდამავალ ტიპად. ჩვენი აზრით, იგი მიეკუთვნება გეგმაზე წრიული მოყვანილობის (აქვაცის ტიპის) საცხოვრებელთა განვითარების მეორე ეტაპს.

სოფ. ლიხნში ე. ჯობუას კარ-მიდამოზე არსებული „აბიცა-თძი" თავის დამახასიათებელი მომრგვალებული კუთხეებით ნიმუშია გარდამავალი ტიპის წნული საცხოვრებლისა (ტაბ. 27, I), რომელსაც გეგმაზე ოთხკუთხოვანი მოყვანილობა აქვს (ზომით 380×520 სმ).

საგულისხმოა, რომ, აქვაცის მსგავსად, მას არავითარი საძირკველი არა აქვს, მოწნული კედლები პირდაპირ მიწიდან იწყება, ხოლო გარედან გამაგრებულია მეხის ბოძებით. მსგავსად აქვაცისა, მას არა აქვს ჭერი; მართალია, ამჟამად ეს არაა საცხოვრებელი და არც მის ახალგაზრდა პატრონს ე. ჯობუას უცხოვრია შიგ, მაგრამ მეკარტლისაგან შავად გარუჯული ნივნივები და „საზღურბლე კარის" არსებობის ნიშნება მოწმობენ, რომ ერთ დროს ეს იყო „დიდი სახლი" — ძირითადი ტიპიური საცხოვრებელი, რომლის შუაგულში მოწყობილი ყოფილა კერა, ე. წ. „ახუშთაარა".

როგორც ჩანს, პრიმიტიული წნული საცხოვრებლის მშენებელმა გამოყენებული ხერხებით აქვაცის მშენებლობისა-



61. სოფ. ოთხარა. კ. არიხთავას დგარულ-წნულკედლიანი სახ. ფაცხის საერთო ხედი (სოხუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მასალებიდან)

[1] «Абыца-тдзы» — означает жилище из прутьев и кольев-стояков. «Абыца» — прутья, ветви, хворост, «тдзы» — жилище» (Н. Аджинджал, დასახ. ნაშრომი, გვ. 46).

[2] Artur Byhan, Civilisation Caucasiene Poyt, Parisi 1936, გვ. 142—143 ის. ოვალური მოხაზულობის წნული ბედლის გეგმა.

თვის შემდეგ გეგმის წრიული მოყვანილობიდან გადასულიყო ოთხკუთხოვან მოყვანილობაზე; ამ გარემოებამ კი განაპირობა კიდევ ერთი კომპოზიციური სიახლე — სახურავის კონუსური ფორმა შესცვალა ქანობიანმა სახურავმა.

სოფ. ლიხნში (დ. ჯობუას კარ-მიდამო) დღემდე შემორჩენილია „აპიცა-თძის" კიდევ ერთი მეტად საყურადღებო გადაკეთებული ნიმუში, — იგი ადრე წარმოადგენდა ძირითად ტიპიურ საცხოვრებელს, ამჟამად კი გამოყენებულია სამზარეულოდ („ამაწურთადა"), რომელიც გადახურული კიბით დაკავშირებულია ოდა-სახლთან (ტაბ. 28).

დ. ჯობუას გარდამავალი ტიპის საცხოვრებლის გადაკეთება მდგომარეობს იმაში, რომ მას მარცხნივ, განივი კედლის გასწვრივ, მიშენებული აქვს კიდევ ერთი ფიცრული განყოფილება, ხოლო წინიდან ერთი მთლიანი ღია აივანი. ორქანობიანი სახურავი შეცვლილია ფიქვის ყავრით დახურული ოთხქანობიანი სახურავით.

ამ სახის საცხოვრებლებზე მეორე განყოფილების გრძივად მიშენების მიდრეკილება მრავალსათავსიან გაუმჯობესებული საცხოვრებლის ჩანასახს წარმოადგენს და უძველეს ტრადიციას უნდა მივაწეროთ.

ამრიგად, განხილული შემთხვევები მრავალსათავსიანი საცხოვრებელი სახლის წინამორბედ ნიმუშებს წარმოადგენენ.

გეგმაზე უსაძირკვლო წნული საცხოვრებლის ტიპიური მომრგვალებული კუთხეები სათავსოს მიშენებისა გამო კონსტრუქციულად არახელსაყრელ კვანძად იქცა. ამიტომაც გეგმის განვითარების ამ მომდევნო საფეხურზე წარმოიშვა 90° კუთხეების მქონე ერთგანყოფილებიანი, ხის საძირკვლებზე გამართული საცხოვრებლები — „ამასარ-თძი".

### ბ. ხის საძირკვლებზე გამართული სწორკუთხოვანი წნული საცხოვრებელი

საწარმოო იარაღების თანდათანობით განვითარებამ, კერძოდ, ხის დასამუშავებელი სახური იარაღების წარმოშობამ მკვეთრი გარდატეხა მოახდინა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ტექნიკაში;

ოთხკუთხოვანი მოყვანილობის უსაძირკვლო წნულ სახლებში დამახასიათებელი მომრგვალებული კუთხეების შეცვლას სწორკუთხათი მშენებელი ახერხებს ხის ძელებისაგან შეკრული საძირკვლების კუთხეებში ხის დგარების დაყენებით.

ხის საძირკვლებზე ჭდობით ჩამაგრებული დგარების ჩონჩხედური სისტემა, რომლებიც შევსებულია წნული კედლით, იძლევა სწორკუთხოვანი საცხოვრებლის გაუმჯობესებულ სახეს; ასეთნაირად აგებულ წნულ სახლს აფხაზეთში ეწოდება „ამასარ-თძი" (დგარულ-წნულკედლიანი საცხოვრებელი). ეს სახეობა შემორჩენილია დღემდე, როგორც აფხაზეთში, ისე სამეგრელოსა და ზემო იმერეთის ზოგიერთ რაიონში.

მდ. ხპაფსტას ხეობის მთის სოფ. ხოფის მკვიდრის მ. ჯაკირბას კარ-მიდამოზე განლაგებულ წნულ ნაგებობათა კომპლექსში ყურადღებას იპყრობს ორგანყოფილებიანი ტიპიური აივნიანი წნული საცხოვრებელი — „ამასარ-თძი". ეს სახეობა გვხვდება როგორც ერთგანყოფილებიანი, ისე ორგანყოფილებიანიც, აივნით ან უაივნოდ.

გეგმაზე იგი (აივნის ჩათვლით) კვადრატს უახლოვდება, ხოლო უაივნო შემთხვევაში სწორკუთხედს წარმოადგენს.

საკმარისად მიგვაჩნია განვიხილოთ ეს სახეობა ზემოხსენებული მ. ჯაკირბას წნული საცხოვრებლის მაგალითზე: იგი წარმოადგენს ამ სახეობის ორგანყოფილებიან, ღიააივნიან („აპარწიან") წნულ საცხოვრებელს, რომლის სიგრძეა 7,5, ხოლო განი —7.0 (ტაბ. 27, II).

კვადრატული კვეთის გათლილი ძელები შენობის კონტურის მოყვანილობის შესაბამისად ურთიერთთან ჭდობით არის შეკრული და გამართულია მიწაზე 30 სმ სიმაღლეზე ლენტურად დალაგებულ ქვის საყრდენ ფუძეზე. გრძივი და განივი ძელების ამგვარ შეკრულ სისტემას, რომელზედაც ამოყვანილია წნული კედელი, ხის საძირკვლებს ეძახიან. ასეთნაირად მოწყობილ ხის საძირკვლებზე — კუთხეებში და მის გასწვრივ ჭდობითვე ჩამაგრებულია მთავარი და დამხმარე ხის დგარები, რომელთა სიმაღლე 250 სმ არ აღემატება. დგარებს ზემოდან მორგებული აქვს აგრეთვე გრძივი და განივი ძელებისაგან ჭდობით შეკრული ე. წ. ხის ზედა სარტყელი. გათლილი ძელებისაგან ხის საძირკვლების, დგარებისა და ზედა სარტყლის ასეთი თანშეწყობილი კონსტრუქციული სტრუქტურის შექმნით მშენებელი ღებულობს ასაწყობ ჩონჩხედურ სისტემას. მთავარ დგარებად ითვლება შენობის კუთხეებში და კარის ხვრელებთან დაყენებული გაძლიერებული კვეთის დგარები. მთავარ დგარებს წნული კედლისკენ მიმართულ წახნაგებზე ამოღარული აქვთ ნარიმანდი, რომელშიაც ჩამაგრებულია წკნელის ბოლოები.

დამხმარე დგარები წარმოადგენენ 6—8 სმ და დიამეტრის ორმხრივ ჩამოთლილ-გაბრტყელებულ სარებს (ლატანი), რომლის ერთი ბოლო საგანგებო კილოებშია ჩამაგრებული ქვევით — ხის საძირკველზე, ხოლო მეორე ბოლო ზევით მორგებულ სარტყელშია ჩამაგრებული; მთავარ დგარებს შორის დაყენებულია დამხმარე დგარების მწკრივი (10 — 15 სმ დაშორებით) და ურთიერთ ჩაწნულია შქერის წკნელით. ამ სახით მიღებული წნული კედელი ზემოაღნიშნულ ასაწყობ ჩონჩხედურ სისტემაში შევსების მოვალეობას ასრულებს, ვინაიდან ამ შემთხვევაში არავითარ დატვირთვას არ ღებულობს ზემოდან.

წნული კედლები გარედან გამაგრებულია მუხის ხის გადაჯვარედინებული ირიბნებითა და ბოძებით, რომელთა ბოლოები მიმაგრებულია ხის საძირკველზე და სარტყელზე.

მსგავსი კონსტრუქციული სტრუქტურის საცხოვრებლის ტიპს წარმოადგენს აგრეთვე სოფ. ოთხარაში კ. არისთავას უძველესი საცხოვრებელი ფაცხა, რომელსაც დღემდე მცირედ გადაკეთებული სახით მოუღწევია და ამჟამად გამოყე-

ნებულია სამეურნეო დანიშნულებისათვის — მისი ღია აივნის წინ მოწყობილია თამბაქოს ფოთლის საშრობი ხარიხები (სურ. 64).

განსხვავება ამ ორ სახლს შორის ისაა, რომ ჭაკირბას ორგანყოფილებიან წნულ სახლს ღია აივანი მოწყობილი აქვს გრძივი კედლის გასწვრივ და ორივე განყოფილება დაკავშირებულია აივანთან, ხოლო არისთავას სახლს აივანი წინა განივი კედლის გასწვრივ აქვს და მხოლოდ ერთი სათავსო-მასთან დაკავშირებული; გარდა ამისა, არისთავას სახლს არა აქვს ჭერი, რაც საერთოდ დამახასიათებელია ამ ტიპის სახლებისათვის, ხოლო ჭაკირბას სახლს ამჟამად მოწყობილი აქვს სრულიად ახალი გარანდული ფიცრული ჭერი; როგორც გამოირკვა, ადრე მას ჰქონია ლამაზი სახეებით მოწნული ჭერი — „აჩალტ" (ცალკე მოწნული „ჩელტები" დიდი ლასტების მსგავსად სარტყლებზე განივად გადებულ ძელებზე ყოფილა დაფენილი). სამწუხაროდ, წნული ჭერის მსგავსი შემთხვევები აფხაზეთის ტერიტორიაზე თითქმის არსად არ არის შემორჩენილი.

ამ სახეობის მოწნული საცხოვრებელი სახლის სახურავის კონსტრუქციაში შეტანილია ერთგვარი სიახლე: ნაცვლად კავიანი, ე. წ. კაუჭიანი ნივნივებისა, რაც ახასიათებს მხოლოდ აქვჰაცს და ნაწილობრივ მის მომდევნო წნულ საცხოვრებლებს, გვიან პერიოდში უკვე უკეთებენ სწორ ნივნივებს; სწორი სანივნივე ძელები დაყრდნობილია შენობის კონტურის გაყოლებით მორგებულ ხის სარტყელზე. გარდა ამისა წნული კედლები შიგნიდან შელესილია ჩალის ნაწილაკებთან კარგად შეზავებული თიხის ხსნარით.

წნული საცხოვრებელი სახლის „ამასარ-თძის" ეს სახეობა გვხვდება ერთგანყოფილებიანიც და ორგანყოფილებიანიც; ორგანყოფილებიანში ხშირადაა ერთი განყოფილება მიწური იატაკით, რომლის შუაში მოწყობილია კერა, ე. წ. „ახუშარა", ხოლო მეორე განყოფილებაში არაა კერა, ხშირად აქვს ფიცრული იატაკი და სასტუმრო ოთახის მოვალეობას ასრულებს.

წნული საცხოვრებელი სახლის ეს სახეობა კოლხური საცხოვრებელი ოდა-სახლების გეგმის განვითარების ერთ-ერთ საფეხურად უნდა მივიჩნიოთ.

საძირკვლებზე გამართული სწორკუთხოვანი საცხოვრებელი სახლის გეგმა თანდათანობით იცვლება საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან ერთად და წნული სახლებიდან ფიცრულ ან ძელურ სახლებზე გადადის. ამრიგად, წნული საცხოვრებელი სახლების გეგმის განვითარების დასრულებულ სახეს წარმოადგენს წაგრძელებული წნული საცხოვრებლები, რომელსაც აფხაზურ დიალექტზე „აგან-ჟიის" ეძახიან.

## გ. წაგრძელებული წნული საცხოვრებელი სახლი

წნული კედლების აგების ტექნიკა განვითარების მაღალ საფეხურს აღწევს საცხოვრებელი ბინის გეგმის წრიული ფორმიდან ოთხკუთხოვან ფორმაზე გადასვლის პერიოდში. ფართო გავრცელებას პოულობს ე. წ. „ამასარ-თძის" სახეობის ნაგებობებში და შემორჩენილია დღემდე არა მარტო აფხაზეთის, არამედ კოლხეთის მთელ ტერიტორიაზე.

წნული საცხოვრებელი სახლის ეს სახეობა გეგმაზე წარმოადგენს წაგრძელებულ სწორკუთხედს, რომლის სიგრძისა და სიგანის დამოკიდებულება საშუალოდ შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: 1×3, 1×5 და ა. შ.

ასეთნაირი პროპორციის გეგმის სახლს აფხაზურად „აგანჟნის" ეძახიან, რაც ნიშნავს გრძელ სახლს. ზოგიერთი ავტორი ასეთ წაგრძელებულ საცხოვრებელ სახლს „აფსუაჟნის" უწოდებს, რაც აფხაზურად ნიშნავს „აფხაზურ სახლს". [1]

ასეთი წაგრძელებული საცხოვრებელი სახლების იდენ-



65. „გრძელი სახლი" — წნული საცხ. „აგან-ჟნი" — შუა დერეფნით, გეგმა



66. „გრძელი სახლი". — „აფსუა-ჟნი," წნული საცხოვრებელი საერთო გრძელი დერეფნით (გეგმა)

ტურობა დამოწმებულია კოლხეთის ტერიტორიაზეც — გეგეჭკორის, ზუგდიდის, ჩოხატაურის, წალენჯიხის, სამტრედიის და სხვა რაიონებში, ამიტომ ეთნოგრაფიული გავრცელების მიხედვით იგი აღიარებული უნდა იქნას „კოლხური წაგრძელებული სახლის" სახელწოდებით.

ჩვენს განკარგულებაში არსებული მასალა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ კოლხური წნული საცხოვრებელი სახლის გეგმის განვითარების სრული სურათი (ტაბ. 29).

გეგმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წაგრძელებული წნული საცხოვრებელი სახლები გვხვდება ორი სახეობის: ერთია „გრძელი სახლი", შუაში ღია ფარდულ-დერეფნებით, რომლებითაც დაკავშირებულია ორი ან მეტი ცალკე მდგომი სახლი; მეორეა „გრძელი სახლი" ერთიმეორის მიჯრით მიშენებული სათავსოებით, რომლის გრძივი კედლის გასწვრივ გამართულია ღია ფარდულ-დერეფანი.

წაგრძელებული სახლის პირველი სახეობა ერთსახურავ-

[1] И. Аджинджал, დასახელებული ნაშრომი, გვ. 64.



67. სოფ. ჭუბურხინჯი. ტიპიური „გრძელი სახლი" შუა ღია დერეფან-ფარდულით, საერთო ხედი

ქვეშ გაერთიანება, ორი ან მეტი ცალკე, ახლოს მდგომი ნაგებობებისა, რომელთა შორის წარმოქმნილია ტიპიური გადასასვლელი ღია ფარდულ-დერეფანი (სურ. 65); ხოლო მეორე სახეობა წარმოშობილია გეგმაზე ოთხკუთხოვანი მოყვანილობის ერთგანყოფილებიან საცხოვრებელზე რამდენიმე განყოფილების მიშენებით. ასეთ საცხოვრებელზე იმდენი განყოფილების (ოთახის) მიშენება შეიძლებოდა, რამდენიც პირდებოდა ოჯახს წევრთა რაოდენობის მიხედვით (სურ. 66).

საგვარეულო „დიდი ოჯახის" სტრუქტურა კარნახობდა ერთი გვარის სისხლით მონათესავე მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრთა ერთად ცხოვრებას ერთ სახლში, ერთ საცხოვრებელ ეზოში. ასეთი „დიდი ოჯახების" არსებობა დამოწმებულია აფხაზეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში.

მსგავსი გადმონაშთები დღესაც შემორჩენილია აფხაზეთის მთის სოფლებში: დურიპშში, ბლაბურხვაში, ხოფში და სხვ.

ასეთმა ტრადიციამ განაპირობა საცხოვრებელი სახლის კომპლექსური გეგმის გრძივი მიმართულებით განვითარება. ჩვენ მიერ დამოწმებულია აგრეთვე კოლხეთის ტერიტორიაზე ისეთი საყურადღებო შემთხვევა, როდესაც საცხოვრებელი ღია ფარდულ-დერეფნით ერთსახურავქვეშაა გაერთიანებული მარცხნივ — თავლასთან, ხოლო მარჯვნივ — სასტუმრო სათავსოსთან. ამრიგად, საცხოვრებელი სახლი მოქცეულია შუაში. ასეთ სახლს ზემო სამეგრელოში „შუაყუდეს" ეძახიან, რაც ნიშნავს „შუასახლს".

სახელწოდება „შუასახლი" ხშირად არის მოხსენებული საქართველოს ისტორიულ წყაროებში, მაგრამ დღემდე არ ყოფილა გარკვეული, თუ რას წარმოადგენდა იგი ფიზიკურად ან, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხუროთმოძღვრულ-კომპოზიციური თვალსაზრისით.

საბას განმარტებით, „სახლი ზოგადი სახელი არის ყოველთა სახლთა არამედ ყოველთა სხვადასხვა რიგთა სხვადასხვა სახელი სძეს"[1], როგორც ჩანს, ყოველ ნაგებობას თავისი სახელწოდება ჰქონია. „ერთ-ერთ ასეთ სახელად შინაგანი სახლი ყოფილა მიღებული; როგორც სახელიდანაც ჩანს, შინაგანი სახლი შუაგულში მოთავსებული უნდა იყოს... შინაგანი სახლის გარდა ჩვენ გვაქვს კიდევ სხვადასხვა სახლები: შუასახლი, ალაყაფის შუასახლი და სხვა ამის მსგავსი: ალაყაფის აივნის შუასახლი"[2] და ა. შ.

ერთ სახურავქვეშ გაერთიანებულ „სახლებს" — სათავსოებს შესავალი მუდამ დამაკავშირებელი შუა, ღია დერეფნიდან აქვთ. ყველაზე გავრცელებული ტიპი, რომელმაც გამართლება ჰპოვა საუკუნეების მანძილზე, არის წაგრძელებული სახლის ისეთი გეგმა, რომელსაც მხოლოდ ერთი შუა გადასასვლელი ღია დერეფანი აქვს (სურ. 67, 68, 69, 70. 71).

წაგრძელებული სახლის ამ სახეობის გეგმაზე ხშირად ვხვდებით აგრეთვე დერეფნის უკანა მხარეზე ამოყვანილ ყრუ ან კარდატანებულ კედელს, რის გამოც ტიპიური დერე-

---

[1] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, 1949, გვ. 312.

[2] ივ. ჯავახიშვილი, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბილისი, 1946 წ., გვ. 9—10.



68. სოფ. პირველი გალი. გ. ზუხბაიას ტიპიური „გრძელი სახლი“ ერთმხრივ ღია შუა დერეფან-ფარდულით (საერთო ხედი)



69. სოფ. წარჩე. ძ. ბენიას ტიპიური „გრძელი სახლი“ ერთმხრივ ღია შუა დერეფან-ფარდულით

ფანი მხოლოდ წინიდან არის ღია და ჩვეულებრივ ორ სათავსოს შორის ჩასმულ ლოჯიას მოგვაგონებს. ეს შემთხვევა გეგმის განვითარების ერთ-ერთ მომენტს წარმოადგენს.

ამ სახეობის სახლებისათვის დამახასიათებელია მხოლოდ ერთი კერა, ისიც ძირითად საცხოვრებელში, ტიპიური ღია დერეფანი ზაფხულში გამოყენებულია საზაფხულო სამზარეულოდ. ღია დერეფნის დანიშნულებაა ისიც, რომ უამინდობის დროს დააკავშიროს ერთმანეთთან ცალკე მდგომი ნაგებობა. ეს ტრადიცია დღემდე გავრცელებულია: ხშირად ოდა-სახლი („აკვასკა“) გადახურული ტრადიციული ღია გადასასვლელით დაკავშირებულია ცალკე მდგომ სამზარეულოსთან (ტაბ. 28, 34).

ამ სახეობის წაგრძელებული სახლის ტიპიურმა გეგმამ ფართო გავრცელება ჰპოვა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მისი გადმონაშთები ყველაზე უკეთ შემონარჩუნებულია აფხაზეთში (სურ. 67, 68, 69).

ამ სახეობის წაგრძელებულ საცხოვრებელს, როგორც გეგმაზე, ისე ფასადზე ახასიათებს მეტად მოხდენილი სიმეტრიულობა.

ორი ან მეტი ნაგებობის დაკავშირება ერთმანეთთან, სახელდობრ საცხოვრებელი სახლის სამეურნეო ნაგებობასთან, გავრცელებულია საქართველოს თითქმის ყველა მხარეში. ამის თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ მხოლოდ ორ ტიპიურ მაგალითს: აჭარიდან ცნობილია ტიპიური „ტალღიანი სახლი“[1], სადაც საცხოვრებელი სახლი ერთ სახურავქვეშ გაერთიანებულია სასიმინდესთან, და ხევსურეთიდან ორი საცხოვ-



70. ჩერქეზების „გრძელი სახლი“ — ბოხელი. გეგმა (მილერის მიხედვით)

[1] ი. ადამია, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, 1956, იხ. ტაბ. 4.



71. ჩერქეზების წნული „გრძელი სახლების“ საერთო ხედები (ფოტო ა. მილერის)



72. ინდიელთა „გრძელი სახლი“ ნჩერკოკოუში-გეგმა (მორგანის მიხედვით)



73. სენეკა-იროკოზების „გრძელი სახლი“ — გეგმა (მორგანის მიხედვით)

-რებელი მონუმენტური კოშკ-ციხე-სახლი[1]. ერთ კომპოზიციაში იმავე ხერხით გაერთიანებული ამ სახეობის მეტად დამახასიათებელი იდენტური ტიპები გავრცელებულია აგრეთვე აფხაზეთის მეზობელ ტომებში — ჩერქეზების ხალხურ ნაგებობებში (სურ. 71), რომელიც დაწვრილებით აქვს აღწერილი ა. მილერს[2].

წნული გრძელი სახლის მეორე სახეობა წარმოიშვა ერთგანყოფილებიან საცხოვრებელზე — „დიდ სახლზე“ რამდენიმე სათავსოს ერთმანეთზე მიშენებით, მთელ სიგრძეზე წინ შოწყობილი უმოაჯირო ფარდულ-აივნით (სურ. 66).

როგორც მითითებული ნახაზიდან ჩანს, აივნიდან შესასვლელი მხოლოდ „დიდი სახლის“ განყოფილებაშია მოწყობილი, დანარჩენი სათავსოები მხოლოდ შიგნითა კარებით უკავშირდებიან ერთმანეთს.

ცნობილია, რომ ადრინდელ პერიოდში ამ სახეობის „გრძელი სახლის“ სათავსოებს დამოუკიდებელი შესასვლელები ჰქონია აივნიდან და, როგორც ჩანს, თითოეული მათგანი წარმოადგენდა იზოლირებულ სათავსოს[3].

ამ სახეობის იდენტური ტიპები დღემდე შემორჩენილია ყაბარდოელთა ხალხურ ნაგებობებშიც. საყურადღებოა, რომ ერთმანეთის მიჯრით მიშენებულ სათავსოთა შორის, ყაბარდოელთა სახლებში, ერთ-ერთ განყოფილებას „დიდი სახლი“ ეწოდება, თვით სახლს კი — „გრძელი სახლი“[4].

საგულისხმოა, რომ ამ სახეობის წაგრძელებული წნულკედლებიანი სახლები დღეს აფხაზეთში იშვიათობას წარმოადგენენ.

ჩვენ მიერ განხილული „გრძელი სახლის“ ორივე სახეობა, როგორც ჩანს, ეკუთვნის გვაროვნული წყობილების პერიოდში წარმოშობილ საცხოვრებელთა ტიპებს; წარმოშობის საწყისებითა და განვითარების ფორმებით მათ მოეპოვებათ ამ პერიოდის დამახასიათებელი, მეტად საინტერესო სინქრონული პარალელები.

„გრძელი სახლის“ სინქრონულ ტიპიურ ძეგლებად ვთვლით, ლუისა და კლარკის მიერ შესწავლილ, ამერიკის მკვიდრი ტომების, ინდიელთა პირველყოფილი გაუმჯობესებული სახის საცხოვრებლებს.

ინდიელი ტომების საცხოვრებელი სახლებიც ნჩერკოკიუში გეგმაზე წარმოადგენენ ცალ-ცალკე, ახლო მდგომ ერთგანყოფილებიან ფიცრულ სახლებს[5], რომლებიც მოქცეულია ერთ სახურავქვეშ (სურ. 67, შეადარე სურ. 72).

„გრძელი სახლის“ მეორე სახეობის სინქრონულ პარალელს წარმოადგენს აგრეთვე სენეკა-იროკოზების გრძელი სახლი (სურ. 73), რომელშიაც სათავსოები ერთმანეთზეა მიჯრით მიშენებული მთელ სიგრძეზე და თითოეული ოთახი ერთიმეორეში გასასვლელს წარმოადგენს ისე, როგორც ეს „დიდ სახლზე“ მიშენებულ სათავსოებში იყო აფხაზეთში წესად შემოღებული (სურ. 66 შეადარე სურ. 73).

ამრიგად, როგორც მატერიალური კულტურის ფაქტიური მასალებიდან ირკვევა, წნული საცხოვრებელი სახლის გეგმის განვითარება მთავრდება წაგრძელებული სახლის გეგმის ჩამოყალიბებით.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ ხის მორებისა და გათლილი ფიცრების დამზადების წარმოშობამ განაპირობა — წნული კედლების ჯერ ნაწილობრივ და შემდეგ მთლიანად შეცვლა ხის კედლებით.

ასეთი საკედლე მასალის — მორების (ე. წ. „ჯარგუალი“) და გათლილი ფიცრების (ე. წ. „პიტაფიცარი“) გავრცელებამ შექმნა ხის სახლის გეგმის შემდგომი კანონზომიერი განვითარების საფუძველი.

---

[1] М. И. Джандиери, Г. Н. Лежава. Архитектура горных районов Грузии, Москва, 1940г., стр. 104. рис. 144.

[2] А. Миллер, Черкасския постройки. Матерналы по этнографии России, том II, 1914, стр. 74—76.

[3] И. Аджинджал. დასახელებული ნაშრომი, გვ. 65.

[4] Е. Н. Студенецкая, Современное кабардинское жилище. Советская этнография, 1948 г., № 4. стр. 108.

[5] Л. Морган, Дома и домашняя жизнь американских туземцев, Ленинград, 1934г., стр. 74.

[6] Л. Морган, დასახელებული ნაშრომი, გვ. 71, სურ. 4.

## ხის საცხოვრებელი სახლები

უძველესი წერილობითი წყაროები და არქეოლოგიის დარგში უკანასკნელი პერიოდის აღმოჩენები ერთხმად ადასტურებენ, რომ ისტორიული კოლხეთის მიწა-წყალზე და მასში შემავალ აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი საცხოვრებელი სახლები, ჯიხურები (კოშკები), ციხე-სიმაგრეები და ზოგიერთი სხვა სახის ნაგებობაც ხისგან ყოფილა აგებული. ჰიპოკრატეს (470—316 წ. ჩვ. წ. ა.-დე) ხაზგასმით აქვს აღნიშნული, რომ კოლხები, გარდა წნელისა, საცხოვრებელ სახლებს ხის მასალისაგან აშენებენ, საგულისხმოა ქსენოფონტეს (401 წ. ჩვ. წ. ა-მდე) ცნობები: „დრილების ტომი, რომელიც კოლხების მეზობლად ცხოვრობდა, საცხოვრებელ სახლებს და ციხეებს ხისგან აშენებდა და მთავარ სიმაგრეს ხის კოშკი ჰქონდა“, მისივე ცნობით, „მოსინიკების მეფე ცხოვრობდა მაღლობზე მდგარ ხის კოშკში“[1].

დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე ვიტრუვიუსის ცნობა კოლხური სახლის შესახებ: იგი დაწვრილებით აღწერს ხის მორებისაგან კედლებისა და სახურავის აგების უძველეს ხერხებსა და მის სივრცობრივ ფორმას[2]. საყურადღებო ცნობები აქვთ გადმოცემული კოლხეთის ტერიტორიაზე საშენი ხე-ტყის სიუხვისა და ხისგან აგებულ ზოგიერთ უძველეს სტრატეგიულ ნაგებობათა შესახებ სტრაბონს (63 წ. ჩვ. წ. ა.), არიანეს (134 წ. ჩვ. წ. ა),. საექსპორტო ხის დამუშავების შესახებ არქანჯელო ლამბერტის (XVII ს.) და სხვ.

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილია და შესწავლილი უძველესი ნაკვერი რკინის ცულები — „აფსუაიხა“ და „აკვალა“ (მეგრული „კვალა“), რომლებიც ბრინჯაოს კოლხური ცულების განვითარების გაგრძელებას წარმოადგენენ[3] და საკედლე მორების დასამუშავებლად ყოფილა განკუთვნილი.

ხე, როგორც სამშენებლო მასალა, პრიმიტიული სამშენებლო ტექნიკით შეიარაღებულ ადამიანს თავდაპირველად მორის სახით გამოუყენებია. ხის ტანი (ღერო), ანუ ე. წ. მორი, წარმოადგენდა ძირითად სამშენებლო ერთეულს — ერთგვარ „მოდულს“, რომლისაგან აგებული შენობა საჭიროებდა თავისებური კონსტრუქციული ხერხების შემუშავებას (მხედველობაში გვაქვს მორული კედლებისა და სახურავების სისტემაში კონსტრუქციული კვანძების ჭდობებით შეერთება, რისი მაგალითებიც ფრაგმენტების სახით დღემდე კიდევ არსებობს კოლხეთის ტერიტორიაზე). ზემოთქმულს უნდა დავსძინოთ, რომ ხის საშენი მასალის დამზადება-დამუშავება პრიმიტიული სამშენებლო ტექნიკის ამ საფეხურზე მხოლოდ ხის ღეროს, ე. წ. მორის საჭირო ზომაზე დაჭრასა და მის გაქერქვას გულისხმობდა.

ცხადია, საწარმოო იარაღების განვითარებასთან ერთად ხის დამუშავების ხელოვნებაც ვითარდება და ხით ხუროობაში იწყება ახალი სამშენებლო ეტაპი — ჯარგვალური მშენებლობიდან თანმიმდევრულად გადადის ნაჯახით გათლილ ფიცრულ (თხელკედლიან) მშენებლობაზე. დასასრულ, ხერხის გამოგონებას მოჰყვა დანახერხი ფიცრების გამოყენება.

საკვლევ რაიონში ხალხურ ნაგებობათა შესწავლამ გვიჩვენა, რომ წნულკედლიანი ნაგებობები თანდათანობით იდევნება და იცვლება უფრო მდგრადი მასიური სქელკედლიანი ჯარგვალური სისტემით; ეს უკანასკნელიც განვითარების შემდგომ ეტაპზე ადგილს უთმობს ფიცრული კედლის კონსტრუქციას.

როგორც ირკვევა, საშენმა მასალამ თავისებური გავლენა იქონია ხალხურ ნაგებობათა ხუროთმოძღვრულ კომპოზიციაზე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ხშირად გვხვდება ერთი და იგივე ტიპიური გეგმის ძველი ხალხური სახლები, როგორც ჯარგვალური, ისე გათლილი ფიცრებით აგებული.

## ჯარგვალური სახლები

ტერმინ ჯარგვალის წარმოშობის ფესვები შორეულ წარსულში იკარგება, მაგრამ საუკუნეების მანძილზე არ განდევნილა ქართული ხალხური სამშენებლო ტერმინოლოგიიდან. პირიქით, თანდათან უფრო დამკვიდრდა და დღემდე შემორჩა.

ს. ორბელიანის განმარტებით, ჯარგვალი „ეს არს ძელნი მოჭდობილნი სამ-ოთხკუთხედად, ვიეთნი კიდობანს უწოდებენ“, საბას იქვე მეორე ტერმინი ჯირგვალიც აქვს, ოღონდ ჯირგვალი არის მაღალი.

[1] В. В. Латышев, Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, том I, выпуск I-й, Санкт- Петербург, 1893г., стр. 77—78, 81.

[2] Витрувий, დასახელებული ნაშრომი, გვ. 41—42.

[3] ნ. რეხვიაშვილი, რკინის სამეურნეო იარაღები აფხაზეთიდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX და XXI, 1957 წ., გვ. 317—318.

ჯარგვალი ეწოდებოდა ისეთ ნაგებობას, რომელიც მრგვალი გაუჭრელი ხეებისაგან იყო აგებული. ეს სიტყვა მეგრულია: ჯირგუალი (ჯარგვალი — ი. ა.) მეგრულად მრგვალ ხეს ნიშნავს, ჯი (ჯა. — ი. ა.). ძელის შესატყვისობას წარმოადგენს, რგუალი კიდევ მრგვალ-ისას, ე. ი. მრგვალი ხისაგან აგებულს ნიშნავს“[4]. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ აფხაზურ ხალხურ მეტყველებაში გავრცელებული ტერმინი „ა-ჯარგუალ“ მეგრული დიალექტიდან არის შეთვისებული.

ჯარგვალურ მშენებლობაში ძირითად სახურო იარაღს წარმოადგენდა სხვადასხვა კოლხური ცული, რომელთა მეშვე-

[4] ივ. ჯავახიშვილი, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, 1 თბ., 1946 წ., გვ. 26.

ოპით შესაძლებელი იყო ზოგიერთი კონსტრუქციული კვანძის მარტივი ჭდობით შესრულება.

აფხაზეთის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილია ძველი ჯარგუალური მშენებლობის როგორც საცხოვრებელი, ისე სამეურნეო დანიშნულების საყურადღებო კონსტრუქციული სტრუქტურის ნაგებობები.

საცხოვრებელი დანიშნულების ჯარგუალურ ნაგებობებს გეგმაზე აქვთ ოთხკუთხოვანი მოხაზულობა — კვადრატული ან წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმა. კვადრატული გეგმის ჯარგუალური ძველი საცხოვრებლები გვხვდება შემდეგი სახის: 1. ერთსათავსიანი, ორქანობიანი სახურავით, არა აქვს ღია აივანი და ერთსართულიანი მარტივი ნაგებობაა. 2. აგრეთვე ერთსათავსიანი, მაგრამ ოთხქანობიანი სახურავი, წინ აქვს უმოაჯირო ღია აივანი (ფარდული) და 3. ორი ახლო მდებარე კვადრატული გეგმის ჯარგუალური ნაგებობა, კონსტრუქციულად დაკავშირებული ერთმანეთთან, ე. წ. გვირგვინული გადახურვით და ხუროთმოძღვრულ-კომპოზიციური თვალსაზრისითაც ერთ სახურავქვეშაა გაერთიანებული.

პირველი სახის ტიპიური ჯარგვალური ნაგებობის საუკეთესო ნიმუშია ნ. ზუხბაიას ერთსათავსიანი ჯარგუალი სოფ. ტკიპრაშელში (ტაბ. 30).

გეგმაზე ის კვადრატული მოხაზულობისაა, მხოლოდ ერთი შესავალი კარი აქვს დატანებული და სინათლე კარიდან შედის, ამიტომ კარი მუდამ ღიაა.

ეს ჯარგუალი არაა დიდი ღირებულების ხუროთმოძღვრული მონუმენტური ძეგლი, მაგრამ დიდ ინტერესს იწვევს კედლების ჯარგუალით (მორებით) ამოყვანის უძველესი ტექნიკა, მისი კონსტრუქციული სტრუქტურა, ხალხური მშენებლობის ბრძნული და გონებამახვილური ტექნიკური გადაწყვეტის უბადლო ნიმუშია.

მისი კედლები აგებულია მუხისა და წაბლის მრგვალი ხეებისაგან, რომელთა სიგრძე 500 სმ არ აღემატება, ხოლო დიამეტრი 22-25 სმ-მდე აღწევს.

მორების პირველი რიგი გამართულია გეგმის კონტურის ქვეშ წინასწარ განლაგებულ ქვებზე, ხოლო მეორე — განივად დალაგებული მორების რიგი, თითო მორის გამოტოვებით, ნაშთურადაა ჩაჭდარი მარცხნივ და მარჯვნივ ნაჯახით წინასწარ ამოჭრილ ღოჯებში (ტაბ. 30). ამრიგად, ყოველი მორის მხოლოდ ერთი ბოლოა მარცხნივ და მარჯვნივ ღოჯური ჭდობით ერთმანეთში ჩამაგრებული, ხოლო მეორე, თავისუფალი ბოლო, ასევე მარცხნივ და მარჯვნივ კოტებითაა შეერთებული იმ მორებთან, რომელთა თავები ღოჯებშია მოქცეული და თითოს გამოშვებით — მეჩხრად არის კედლის სიბრტყიდან გამოშვერილი.

მორული კედლების კუთხეთა შეერთების ასეთ კონსტრუქციას მეგრულ დიალექტზე „კორთხონჯული“ შეერთება ეწოდება, ხოლო თვით ასეთ ნაგებობას, რომელსაც აივანი (ღია ფარდული) არა აქვს, „გოდორა“ (გოდორი) სახლი ჰქვია (ტაბ. 30, იხ. დეტალი).

როგორც გრაფიკული მასალის ანალიზი გვიჩვენებს ხალხური მშენებლის მიერ ამ განუმეორებელ კონსტრუქციულ გადაწყვეტას ძალზედ მნიშვნელოვანი ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთება აქვს: ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, რომ საკედლე მორების სიგრძე აქ 500 სმ არ აღემატება. ამ ზომის მორებისაგან ნაშთური ჭდობით შეიძლება მიღებული იქნას სათავსოს მაქსიმალური ზომა მხოლოდ და მხოლოდ 350×350 სმ სიგრძე-სიგანის ფარგლებში — დაახლოებით 15 კვ მეტრამდე საცხოვრებელი ფართობი, ხოლო ხალხური მშენებლის ტექნიკურ შემოქმედებითს აზრს არ აკმაყოფილებს ეს მოძველებული ნორმები და ეძებს ახალ კონსტრუქციულ ხერხებს, რათა იმავე ზომის სამშენებლო მორებისაგან მიიღოს დიდი ეკონომიური ეფექტი; მართლაც „კორთხონჯული“ კონსტრუქციის შემუშავების გზით იგი აღწევს საცხოვრებელი სათავსოს სიგრძე-სიგანის გაზრდას 450×450 სმ-მდე და ფართიც 20 კვ. მეტრს აღემატება. როგორც ჩანს, იგი ამით ღებულობს 5 კვ. მეტ. საცხოვრებელ ფართობს. კონსტრუქციის გაუმჯობესების ხარჯზე ხალხური მშენებელი აღწევს ერთი კვ. მეტრი საცხ. ფართის შესატყვის გაიაფებას (ტაბ. 30).

ჩვენი აზრით, აღნიშნულ კონსტრუქციას სხვა გამართლება ან რაიმე უმჯობესი ტექნიკური დასაბუთება არა აქვს.

მეორე სახის გავრცელებულ ჯარგუალური ნაგებობის ტიპიურ მაგალითად მოტანილი გვაქვს ზ. კეხირბას „ჯარგუალი“ სოფ. გენწვიშიდან. მორული კედლები აქ როგორც ერთსათავსიანი ნაგებობა (წინიდან განიერ აივან-ფარდულით) აგებულია ჩვეულებრივი ნაშთიანი ჭდობისათვის დამახასიათებელი უბრალო ხერხით. უნდა აღინიშნოს, რომ იდენტური ტიპები შემორჩენილია დღემდე არა მარტო აფხაზეთში, არამედ კოლხეთის მთელ ტერიტორიაზე. შესადარებლად მოტანილი გვაქვს მხოლოდ ერთი მაგალითი სოფ. კახათიდან (ზუგდიდის რაიონი); მათი იდენტურობა ეჭვს არ იწვევს (სურ. 74 შეადარე სურ. 75), რაც მათ ფართო გავრცელებაზე მეტყველებს.

გეგმის მესამე სახე სივრცობრივ-კომპოზიციური თვალსაზრისით არაფრით განსხვავდება ასეთივე გეგმის ზემოგანხილული წნულკედლიანი, წაგრძელებული საცხოვრებელი სახლებისაგან.

აქ გვინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილოთ არა ორი, დამოუკიდებლად აგებული ჯარგუალის ერთ სახურავქვეშ გაერთიანების, არამედ მათ შორის არსებული სივრცის



74. სოფ. გენწვიში. ზ. კეხირბას ერთგანყოფილებიანი ღია დერეფნიანი ჯარგუალი



75. სოფ. კახათი (სამეგრელო) ერთგანყოფილებიანი ღია დერეფნიანი ჯარგვალი

(ღია ფარდულის) თავზე გამართული იმ გვირგვინული გადახურვის გადმონაშთის საკითხზე, რომელიც კონსტრუქციულად აკავშირებს ამ ორ ჯარგვალს (ტაბ. 31).

ამის საუკეთესო ინდივიდუალური მაგალითია სოფ. წებელდიდან ი. ლაკირბაიას „ორ-გოდორა“ ჯარგვალი (ტაბ. 31).

აღნიშნული ღია ფარდულის შუაში, იქ სადაც კერაა მოწყობილი, ჭერი აწეულია (ორქანობიან სახურავქვეშ მოქცეული მოცულობის ხარჯზე) ქართული დარბაზული საცხოვრებელი სახლის გვირგვინისებური გადახურვის კონსტრუქციული სტრუქტურის მსგავსად (იხ. ჭრილი მითითებულ ნახაზზე) მორები ერთმანეთზე დალაგებულია კედლების პარალელურად, გარდიგარდმო, ცენტრისაკენ კიბისებური გადაადგილებით; ამ წესით დალაგებულია მხოლოდ ხუთი რიგი, რომლის თავზე მიღებულ ცენტრალურ კვადრატში კერის გასწვრივ დაკიდებულია ჯაჭვი (ნაჭა). იდენტური შემთხვევა დამოწმებული გვაქვს აგრეთვე სამეგრელოს ტერიტორიაზე[1] — სოფ. ჯვარში (წალენჯიხის რაიონი). როგორც ნახაზიდან ჩანს (ტაბ. 31 შეადარე სურ. 76) 1948 წ. ჯვარში ფიქსირებული „ორ-გოდორა“ ჯარგვალის ღია ფარდულის გვირგვინული ჭერი, კონსტრუქციული აგებულებით, არაფრით განსხვავდება განხილული ჯარგვალის გვირგვინული ჭერისაგან.

ამ ორი უნიკალური უძველესი საცხოვრებლის სისტემაში არსებული გვირგვინული ჭერის იდენტურობა მეტყველებს კოლხეთის ტერიტორიაზე დარბაზული ანუ ე. წ. გვირგვინული გადახურვის ფართო გავრცელებაზე.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ ქანობებიან სახურავქვეშ (ნიენიევებიან სისტემაში) მოქცეული გვირგვინული ჭერის რუდიმენტული ფორმა თანდათანობით ღებულობს სხვა დანიშნულებას: განვითარებული ტიპის ოდა-სახლის ცენტრალურ სათავსოს — სადარბაზოს ჭერი სახურავის მოცულობის ხარჯზე აწეულია მაღლა, რაც ნაგებობის მოცულობის მაქსიმალურ გამოყენებაზე მეტყველებს.



76. სოფ. ჯვარი (სამეგრელო). ორგანყოფილებიანი ჯარგვალი ერთმხრივ ღია შუა დერეფან-ფარდულით

## აფხაზურ-სვანური ტიპის საცხოვრებელი სახლები

საცხოვრებელი სახლის ეს ტიპი ძველთაგანვე გავრცელებული ყოფილა აფხაზეთის ტერიტორიაზე, მეორე საცხ. ზონის ჩრდილო-აღმოსავლეთით — საკენის ხეობის სოფლებში. საგულისხმოა, რომ ამ ადგილებს დღესაც „აფხაზეთის სვანეთს“ უწოდებენ.

ამჟამად აქ ცხოვრობენ აფხაზები, სვანეთიდან ჩამოსახლებული სვანები, მეგრელები და სხვ., რომლებიც ძირითადად ხე-ტყის მასიურ დამუშავებას და მესაქონლეობას მისდევენ.

სახელწოდება „აფხაზურ-სვანური“ პირობითად გვაქვს აღებული, რადგან ასეთ სახლებში ძველად უცხოვრიათ როგორც სვანებს, ისე აფხაზებსაც; ამ ტიპის სახლის კონსტრუქციის ზოგიერთი ელემენტი და ხუროთმოძღვრულ-კონსტრუქციული სტრუქტურის განხორციელების ხერხები წარმოადგენენ აფხაზური და სვანური ხალხური საშენებლო მემკვიდრეობის უძველესი ტრადიციების შერწყმის მაგა-

[1] ი. ადამია, კოლხეთის საბინაო ხუროთმოძღვრება (სადისერტაციო შრომა), 1948 წ., გვ. 73.

ლით, რაც, სხვადასხვა ფაქტორთან ერთად, ძირითადად კლიმატურ-ბუნებრივი პირობებით არის ნაკარნახევი.

აფხაზურ-სვანური ტიპის საცხოვრებელი სახლების დღემდე მოღწეული ნაგებობათა მიხედვით დასტურდება, რომ ყველა სახლი აგებული ყოფილა მორებისაგან (ჯა-რგუალისაგან) ან კიდევ ძელებისაგან დამახასიათებელი ნაშთიანი ჭდობებით.

ამ ტიპის საცხოვრებელი სახლის თვალსაჩინო მაგალითია პეტრე გურჩიანის სახლი სოფ. საკენში (ტაბ. 32, 33). გეგმაზე მას წაგრძელებული სწორკუთხედის მოხაზულობა აქვს და მორებისაგან აგებული ორსართულიანი ნაგებობაა, მაგრამ რთული რელიეფის გამო შენობის ნაწილს ჩრდილო-დასავლეთით ამოყვანილი აქვს მესამე სართული, რომელიც ორმხრივ მიწაშია ჩამჯდარი და სარდაფის სართულს მოგვაგონებს (ტაბ. 33).

პირველი სართული შედგება ორი ნაწილისაგან: საცხოვრებელი და საქონლის სადგომისაგან — აგვარასაგან (სვანური გუალისაგან); საცხოვრებელი ნაწილი შეიცავს ორ განყოფილებას: 1. კვადრატული მოყვანილობის მთავარი და ვრცელი სათავსო — „შინა“ ოთახი (36 კვ. მ.), რომელიც თავისი დანიშნულებითა და გეგმარების ელემენტებით არაფრით განსხვავდება სვანური ტიპიური „მაჩუბისაგან“,[1] და 2. აგრეთვე საცხოვრებელი ოთახი, რომელიც 18 კვ. მ. აღწევს.

აღნიშნულ საცხოვრებელ სათავსოებს აქვთ მცირე ზომის ორ-ორი თაღურად გამოჭრილი სასინათლო ხვრელი (ლახურა) და დამოუკიდებელი შესასვლელები. მაჩუბს აქვს თიხატკეპნი იატაკი, ხოლო მეორე საცხოვრებელ (საძინებელ) ოთახს გათლილი ფიცრებისაგან დაგებული ხის იატაკი.

მაჩუბის შუაში მოთავსებულია კერა, რომლის ზემოთ მოწყობილია საინტერესო კონსტრუქციის დირეებზე ჩამოკიდებული მეორე ჭერი — აყარი (სვანურად — შგილ) „იგი ერთგვარ სახურავს წარმოადგენს კერისათვის“. ამ უკანასკნელს იცავს ჭერიდან ჩამოცვენილი მტვერისაგან, ხოლო ჭერს (სართულთა შორის გადახურვას, — ი. ა. ) — ცეცხლის ნაპერწკლებისაგან“[2].

„შინა“ ოთახის[3], ე. წ. მაჩუბის ორ მხარეზე ...ხური დერეფნის მსგავსად მოწყობილია აგვარა-გუალი (გომური) მსხვილფეხა საქონლისათვის, გომურს ცალკე შესასვლელი აქვს საქონლის შემოსარეკად.

მაჩუბი აგვარასაგან გამოყოფილია ორიგინალური ტიხრით, რომლის გაყოლებაზე მაჩუბის მხარეს მოწყობილია ბაგა. აგვარას ტიხარს ბაგაში საქონლის თავის გამოსაყოფად აქვს ლამაზად გამოჭრილი მშვილდისებური მოხაზულობის ხვრელები[4]. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ ტიხარში კარი არ არის დატანებული და მაჩუბიდან გუალში შესვლა შეუძლებელია. მაჩუბისა და გუალის (გომურის) ასეთი დაგეგმარების გამო ვერც საქონელი მოხვდება მაჩუბში. „ადამიანს კი შესაძლებლობა აქვს გომურში შეუსვლელად თავისი ბინიდან პირუტყვს მუდმივად თვალყური ადევნოს... წინ მოწყობილ ბაგაში საკვები ჩაუყაროს და სხვა“[5].

ქართული უძველესი ტიპიური საცხოვრებლების შესწავლა გვარწმუნებს, რომ ბოსელი, როგორც საქონლის დასაბინავებელი ადგილი, პირველად საცხოვრებელი სახლის სისტემაში უნდა იყოს ჩასახული განვითარების იმ უხსოვარი დროიდან, როდესაც ადამიანმა ხელი მოჰკიდა გარეული ცხოველების მოშინაურებას.

ეჭვი არ არის, ადამიანი გარეულ ცხოველს აშინაურებდა თავის სამყოფელ ბინაში და, ცხადია თავისუფლად ვერ ამყოფებდა. ამიტომ რაღაც შესამწყვდევი გალია უნდა ჰქონოდა. ასეთი გალიის დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო ბოსლის (აგვარას-გუალის) პირველი ჩანასახი ადამიანის სამყოფ სათავსოში.

ზემოაღნიშნული საცხოვრებელი სახლის გეგმა-განვითარების ეტაპის მიხედვით — უნდა მივაკუთვნოთ ადამიანის კულტურის იმ საფეხურს, „როდესაც მისი მსხვილფეხა ცხოველები ჯერ კიდევ სავსებით და საბოლოოდ მოშინაურებული არ იყვნენ“[6].

ახლა განვიხილოთ აფხაზურ-სვანური ტიპის საცხოვრებელი სახლის სხვა სათავსოები და ელემენტები.

როგორც ირკვევა, პირველი სართული ორგანყოფილებიან საზამთრო საცხოვრებელს წარმოადგენს. მაჩუბის გვერდით მდებარე საცხოვრებელი ოთახი ჩასაძრომი ხვრელით უკავშირდება სარდაფის სართულს, რომელიც გამოყენებულია სურსათ-სანოვაგის საზამთრო მარაგის შესანახად (ტაბ. 33. იხ. გრძივი ჭრილი).

სარდაფის სართულის კედლები ამოყვანილია მორებისაგან, საჰაერო ჭუჭრუტანების გარდა არც კარი აქვს და არც სარკმელი.

როგორც პირველი სართულის გეგმიდან ჩანს (ტაბ. 32), გუალის გაგრძელებაზე მოწყობილია სახბორე სათავსო, რომელშიც შედიან გუალიდან. სახბორეს აქვს აგრეთვე ერთი სასინათლო სარკმელი, ე. წ. ლეხურა.

მეორე სართული წარმოადგენს ერთ ვრცელ დარბაზს, რომლის ფართი 100 კვ. მ. აღწევს. იგი ზაფხულის პერიოდში გამოყენებულია საცხოვრებლად, ხოლო ზამთარში — საქონლის საკვების შესანახად.

დარბაზის მთელ სიგრძეზე მოწყობილია კონსოლებზე გამართული ღია აივანი, რომელიც დარბაზს მხოლოდ ერთი კარით უკავშირდება. დარბაზი პირველ სართულთან დაკავშირებულია ჩასაძრომი ხვრელით, რომელიც გამიზნულია თივის ჩასაყრელად; იქვეა მიდგმული დაკიბული მორი, ე. წ. ტკვაჯა.

დარბაზი დიდძალ თივასა და ჩალას იტევს; თივა მეორე სართულზე შეაქვთ მთის ურმებით, რისთვისაც მეორე სართულს გარედან მიდგმული აქვს მორული კონსტრუქციის დიდი პანდუსი. მსგავსი შემთხვევა დამოწმებული გვაქვს აგრეთვე აჭარის სინამდვილეში[7].

რამდენიმე სიტყვით საჭიროა აღვნიშნოთ აფხაზურ-სვა-

---

[1] მაჩუბის შესახებ დაწვრილებითი ცნობები იხ. Г. Лежава и М. Джандиери, Архитектура Сванетии, 1938 г.

[2] გ. ჩართოლანი, სვანური სახლის აცერი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX-A და XXI-B ტ., 1957 წ., გვ. 203.

[3] ასეთი დანიშნულების სათავსოს აჭარაში „შიანე“ — ოთახს უწოდებენ.

[4] საქონლის თავგამოსაყოფი ხვრელები სხვადასხვა ზომისაა: ერთ მხარეზეა თანაბარი ზომის 6 ხვრელი, ხოლო მეორე მხარეზე შედარებით დიდი 6 თანაბარი ხვრელი; დიდი ხვრელებისაკენ აბამენ ხარებს, ხოლო მცირე ზომის ხვრელებისაკენ ძროხებსა და მოზარდ საქონელს (ტაბ. 35, იხ. ჭრილი და გეგმა).

[5] ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბ., 1953წ., გვ. 151.

[6] ვ. ბარდაველიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 151.

[7] ი. ადამია, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, თბ., 1956 წ.

ნური საცხოვრებელი სახლისა და სვანეთის ტერიტორიაზე გავრცელებული სვანური ძველი საცხოვრებელი სახლის თავისებურებანი: სვანური სახლის კედლები ამოყვანილია ქვისაგან. აფხაზურ-სვანური სახლის მაჩუბი სამჯერ უფრო მცირეა (40 კვ. მ) სვანური სახლის მაჩუბთან შედარებით (საშუალოდ 120 კვ. მ); დგამ-მორთულობით აფხაზურ-სვანური სახლის მაჩუბის ინტერიერი შედარებით უფრო ღარიბია, ვიდრე სვანური სახლის მაჩუბის ინტერიერი, აქვე უნდა დავსძინოთ, რომ აფხაზურ-სვანურ სახლში ლელგუნის (უძრავი ტახტები) გარდა საწოლებად გამოყენებულია აგრეთვე მთლიანი ხისაგან გამოთლილი ორიგინალური სკამ-ლოგინები. აქვე საგულისხმოა, რომ ნადირის (ჯიხვის, არჩვის და სხვ.) რქები და ხის ბუნებრივი ტოტებისაგან შერჩეული საინტერესო აბსტრაქტული მზა ფორმები გამოყენებულია კედლებზე ტანსაცმელისა და ნივთების საკიდებად.

## ოდა-სახლის ტიპის საცხოვრებელი სახლები

აფხაზეთის ტერიტორიაზე (ისტორიულ კოლხეთის მიწა-წყალზე) საცხოვრებელი სახლის ყველაზე განვითარებული ტიპია ე. წ. ოდა-სახლი.

როგორც ირკვევა, ზემოგანხილული ძველკოლხური საცხოვრებლები—წნული საცხოვრებლებიდან დაწყებული, ჯარგვალური სახლების ჩათვლით წარმოადგენენ კოლხური ოდა-სახლის განვითარებული ტიპის წინამორბედ კომპოზიციებს, რომელთა განვითარების ემბრიონალური პერიოდი გრძელდება ნეოლითური ხანიდან მოყოლებული ვიდრე XVII ს. დასასრულამდე.

ვიდრე შევუდგებოდეთ ოდური ტიპის ხალხური საცხოვრებელი სახლების ხუროთმოძღვრულ ანალიზს, შევეხოთ ტერმინ „ოდას“ წარმოშობისა და გავრცელების საკითხს.

საბას განმარტებით „ოდა თურქთა ენაა, სენაკსა ჰქვიან“ (სიტყვის კონა). როგორც ჩანს, საქართველოში „ოდის სინონიმად ადრე ტერმინი „სენაკი“ და შემდეგ „სასახლე“ იხმარებოდა.

ეჭვი არ არის, ისტორიული კოლხეთის მიწა-წყალზე დიდი ხნით ადრე არსებობდა ხალხური საცხოვრებელი სახლების ის ტიპები, რომლებიც მხოლოდ XVIII საუკუნიდან ღებულობენ „ოდას“ სახელწოდებას.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ხალხური საცხოვრებელი სახლის გენეზისი და მისი გეგმის კომპოზიციის კანონზომიერი განვითარების სრული სურათის აღდგენა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ტერმინ „ოდას“ გავრცელებამდე არსებობდა ისეთი დანიშნულების საცხოვრებელი სახლები, რომლებსაც სასტუმრო სახლის დანიშნულება ჰქონდა.

არქანჯელო ლამბერტის (XVII ს.) ცნობიდანაც ირკვევა, რომ ასეთი სასტუმრო სახლი იდგა ცალკე და სხვა დანიშნულების ნაგებობებთან შედარებით იყო „...დიდი შენობა, რომელსაც ოხორო (ochoro) ჰქვიან და რომელიც სტუმრების მისაღებად არის დანიშნული“[1]. მაგალითად, გეგეჭკორის რაიონის მთის სოფლებში ოდა-სახლს დღესაც „სასტუმროყუდეს“ — „ოხოროს“ ან კიდევ „ახალ სახლს“ ეძახიან. ივ. ჯავახიშვილის აზრით, “...ასეთივე ვითარება ყოფილა საქართველოში XI საუკუნეშიც“[2]. აქვე უნდა შევნიშნოთ შემდეგი: სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ დასავლეთ საქართველოში ხალხური საცხოვრებელი სახლის გავრცელებულ ტიპს წარმოადგენს ოდა-სახლი; ამ აზრის შესახებ არ შეიძლება არსებობდეს რაიმე პრეტენზია, მაგრამ ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარის მიერ ხმარებული ტერმინები — „იმერული ოდა“, „გურული ოდა“ და „მეგრული ოდა“ ყოველგვარ რეალობას და საფუძველს მოკლებულია. ხალხურ მეტყველებაში ყველგან გავრცელებულია და იხმარება ტერმინი „ოდა“ ანუ „ოდა-სახლი“, რის გამოც ყოველგვარი კუთხური „ინდექსი“ — მეგრული, იმერული, გურული და აფხაზური სრულიად გაუმართლებლად მიგვაჩნია. მისი გავრცელების გეოგრაფიული არეს შესაბამისად, როგორც ერთი სახის ხალხური საცხოვრებლის ადგილობრივ გავრცელებულ ტიპს — მას უნდა ეწოდოს „კოლხური ოდა“ ანუ „კოლხური ოდა-სახლი“. ეს სახელწოდება გამართლებული იქნება იმითაც, რომ მისი გავრცელების არე შორს ცილდება კოლხეთის ტერიტორიას და, როგორც კოლხური მატერიალური კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, ყოველთვის კოლხურის სახელწოდებით უნდა იქნეს მოხსენებული.

როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, ტერმინ „ოდას“ გავრცელება იწყება XVIII საუკუნიდან, რის გამოც ზოგიერთი ავტორი ოდა-სახლის წარმოშობასაც ამ პერიოდიდან ვარაუდობდა, მაგრამ ოდა-სახლის თანდათანობით შესწავლამ და თან ძველი და ახალი მასალების გამოვლინებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ თანამედროვე ხალხური ტიპიური ოდა-სახლის იდენტური გეგმის საცხოვრებლის ზოგიერთი სახე კოლხეთის მიწა-წყალზე გავრცელებული იყო ჯერ კიდევ XII — XIII საუკუნიდან და უფრო ადრეც.

აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ზოგიერთი ისეთი არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც უძველეს საცხოვრებელ ნაგებობათა უნიკალურ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. ერთ-ერთი ასეთი საყურადღებო ძეგლია ბესლეთის სასახლის ნანგრევები (სოხუმიდან 6 კმ. დაშორებით).

---

[1] არქანჯელო ლამბერტი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 35.

[2] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ. 1946 წ., გვ. 21.



77. ბესლეთის სასახლის გეგმა გრაფ. პ. უვაროვას მიხედვით

გრაფ. უვაროვამ მდ. ბესლეთის თაღოვანი ისტორიული ქვახიდის (XII ს.) ფიქსირების დროს (1892 წ.) ყურადღება მიაქცია აგრეთვე მის მახლობლად მდებარე მცირე ეკლესიას და მისგან „ასი ნაბიჯით დაშორებულ" ქვის შენობის ნანგრევებს, რომელმაც დაადასტურა ბესლეთის სასახლის არსებობა.

ბესლეთის სასახლის მასალები გრაფ. ა. უვაროვამ გამოაქვეყნა 1894 წელს.

მის მიერ დაზომილი ბესლეთის სასახლე, როგორც ნახაზიდან ჩანს (სურ. 77), გეგმაზე წარმოადგენს სამი განყოფილებისაგან შემდგარ წაგრძელებულ სწორკუთხედს[1].

აღნიშნული სასახლის გეგმის კომპოზიციაში აშკარად იკითხება ხალხური ტიპიური ოდა-სახლის გეგმის გადაწყვეტის ტრადიციული სქემის იდენტურობა.

ბესლეთის სასახლის დათარიღებისათვის გრაფ. პ. უვაროვა მიმართავს სამშენებლო ტექნიკის საერთო დამახასიათებელ ისეთ მონაცემებს, რომლის მიხედვით ბესლეთის XII საუკუნის თაღოვანი ქვახიდი, ეკლესია და აღნიშნული სასახლე ერთ სამშენებლო პერიოდს განეკუთვნება. გრ. უვაროვას აზრით, მათი მშენებლობის ხერხები, საშენი მასალა და კედლის ქვის წყობის სისტემა მსგავსია და უეჭველად ანსამბლურ კავშირშიაც უნდა ყოფილიყვნენ.

ამრიგად, გრაფ. უვაროვას ამ აზრს თუ გავიზიარებთ, ბესლეთის სასახლის სახით საქმე გვაქვს საცხოვრებელი სახლის გეგმის ისეთ უძველეს კომპოზიციასთან, რომლის მშენებლობის პერიოდი დაახლოებით XII—XIII საუკუნეთა მიჯნებს არ სცილდება. აქვე უნდა დავძინოთ, რომ მისი სახით ჩვენ მივაკვლიეთ ძველი კოლხური ოდა-სახლის შორეული შემკვიდრეობის იმ ფესვებს, რომლებმაც ეროვნულ წიაღში საუკუნეთა მანძილზე ფართოდ მოიკიდეს ფეხი და ხალხური გამტკიცებული ტრადიციების სახით შთამომავლობით გადმოეცემოდა თაობიდან თაობას.

ჩვენ დრომდე მოუღწევია ძველი კოლხური ოდა-სახლის ურყევ სტანდარტებად ჩამოყალიბებულ რამდენიმე განვითარებულ ტიპს, რომელთა შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

ახლა გამოვარკვიოთ, თუ რა საფუძველზე უწოდა გრაფ. უვაროვამ ბესლეთში აღმოჩენილ ამ უძველეს საცხოვრებელ ნაგებობას „სასახლე".

არც გეგმის მარტივი კომპოზიცია და არც ნაგებობის სათავსოთა შემადგენლობა არ იძლევა იმის შთაბეჭდილებას, რომ ის ყოფილიყო „სასახლე" დღევანდელი გაგებით.

სულხან-საბას განმარტებით სასახლე „არის სახლთა ადგილი, გინა სახლები" (სიტყვის კონა). ამ განმარტებაში გარკვევით არ არის მოხსენებული, „სასახლე" სამეფო სახლს ნიშნავს თუ რომელიმე სხვა დანიშნულების ნაგებობასაც. საერთოდ ცნობილია, რომ ტერმინი „სასახლე" ქართულია და საქართველოში XV—XVI საუკუნიდან შემოდის ხმარებაში, ხოლო უცხოური ტრანსკრიპციის ადრინდელი ტერმინები: „ტაძარი", „დარბაზი" და „პალატი" ისეთივე სინონიმებია, როგორც სასახლე[2].

ჯერ კიდევ XVII ს. პირველ ნახევარში არქანჯელო ლამბერტის გადმოცემით კოლხეთის ტერიტორიაზე სამეგრელოს მთავარს სხვადასხვა ადგილას ორმოცდაათზე მეტი სასახლე ჰქონია[3].

უკვე ცხადი ხდება, რომ ტერმინ „ოდას" გავრცელებამდე კარგა ხნით ადრე ტერმინი „სასახლე" ყოფილა მიღებული. ამიტომ ლამბერტის ცნობაში „სასახლე" სახლის სინონიმად უნდა იყოს ნახმარი. აღსანიშნავია, რომ ლამბერტი, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა სამეგრელოში, „ოდას" არსად არ იხსენიებს, მაგრამ „სასახლე" კი ხშირად აქვს მოხსენებული.

„შესაძლებელია ადამიანს ეფიქრა, რომ მარტო დიდგვარიან აზნაურებს ჰქონდათ სასახლეები, მაგრამ სასახლე ყოველ გლეხსაც ჰქონია. ასეთი შემთხვევების გამო სასახლეს რაღაც განსხვავებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. რით განსხვავდება ის ნაგებობის მიხედვით, ნათელი არაა. როდესაც საბუთებში საგლეხო სასახლეზეა ლაპარაკი, ცხადია, სამეფო დარბაზის მსგავსი არ იქნებოდა, მაგრამ რაიმე განსხვავება უნდა ყოფილიყო სასახლესა და სახლს შორის. ზოგ საბუთში სიტყვა სასახლე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ეს სიტყვა აღმნიშვნელი იყოს ადგილისა, სადაც



78. ლიხნის სასახლის ნანგრევები. საერთო ასახულობა სამხრეთ—დასავლეთიდან

[1] Граф. П. Уварова, Матерналы по археологии Кавказа, вып. IV. Москва, 1894 г., стр. 18). როგორც გეგმიდან ჩანს, ტიპიური ვრცელი დარბაზი კარით დაკავშირებულია სათავსოსთან, ხოლო ეს უკანასკნელი უკავშირდება ოდა- სახლისათვის დამახასიათებელ ტიპიურ — ლოჯიას მაგვარ ბაბარწასა ერთი მხრივ ღია ტალანს რომლიდანაც შედიოდნენ საუნჯეში (სანოვაგის შესანახი მცირე სათავსო); საუნჯის კედლის სიღრმეში მოწყობილია ორი თახჩა ასეთივე თახჩებია ჩატანებული დარბაზის უკანა კედელშიც, რომლის გვერდით ოვალურად მოხაზული ტრადიციული დიდი ბუხრის კონტურია დარჩენილი.

[2] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, 1946 წ., გვ. 15.

[3] არქანჯელო ლამბერტი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 32.

შეეძლოთ სახლი აეგოთ, მაგრამ სხვაგან ასეთი გაგება შეუძლებელია და მომავალში შესაძლებელია გაირკვეს"[1].

კოლხეთის ტერიტორიაზე ბოლო ხანებში შეკრებილი ფოლკლორული მასალა აგრეთვე მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავს ტერმინ „სასახლესა" და „ოდას" განმასხვავებელი ნიშნების დასადგენად.

ხალხური გადმოცემით აფხაზეთსა და სამეგრელოში ფეოდალთა საცხოვრებელ სახლებს მათი სიდიდისა და საშენი მასალის მიუხედავად „დოხორეს" („სასახლეს") უწოდებდნენ.

აფხაზეთის ფეოდალებს ჰქონდათ როგორც საზამთრო, ისე საზაფხულო დოხორეები.

როგორც მატერიალური ძეგლებიდან, ისე წერილობითი და ზეპირი წყაროებიდანაც ირკვევა, რომ აფხაზეთის ფეოდალებს, ისევე როგორც კოლხეთის სამთავროს სხვა ფეოდალებს, მუდმივსამყოფელი საცხოვრებელი სახლები „დოხორეები" ძველთაგანვე მეტწილად ქვისაგან ჰქონდათ აგებული.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ფეოდალის „დოხორე" და გლეხის მუდმივსაცხოვრებელი ქოხი დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან, ვინაიდან გლეხის საცხოვრებელი სახლი ძირითადად პრიმიტიული წნულკედლიანი ნაშენი იყო.

საგულისხმოა, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე — სამეგრელოში XIX საუკუნის 70-იან წლებამდე და შემდეგშიაც ზოგიერთი დიდგვაროვანი მებატონის ძირითადი საცხოვრებელიც არაფრით განსხვავდებოდა გლეხის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ფაცხისაგან[3]. ამრიგად, მიუხედავად დიდგვაროვანი წოდებისა, მის ასეთ საცხოვრებელს სასახლე არ ჰქვია, ეს არის ისეთი მებატონე, რომელსაც არა აქვს ცალკე დოხორე (სასახლე). შეძლებული ფენა სააგარაკო წნულკედლიან სახლებს ცვლის გაუმჯობესებული ოდის ტიპის ფიცრული სახლებით, რომელსაც „საზაფხულო დოხორე" ეწოდება. აგრეთვე შეძლებული გლეხებიც იშენებენ თავიანთ კარმიდამოზე ერთ ან ორ ფიცრულ სახლებს, ე. წ. სასტუმრო სახლებს, რომელსაც „ოხორი" ჰქვია, ხოლო უფრო დიდი ტევადობისას კი „დოხორეს" უწოდებენ. ასეთივე დანიშნულების მცირე ზომის ცალკე მდგომი ფიცრული სახლები აფხაზეთში „ასასაირთას" ან „ხოჩაშის" სახელწოდებით არის ცნობილი[4].

ამრიგად, ტერმინები — „სენაკი", „ოხორი" და „სასახლე" (იგივე „დოხორე") წარმოადგენენ ტერმინ „ოდას" სინონიმებს, რომელთაგან ზოგს დღეს სხვა შინაარსი აქვს მიკუთვნებული.

## ოდა-სახლის ხუროთმოძღვრულ-კონსტრუქციული თავისებურებანი

ტერმინ „ოდას" გავრცელებასთან დაკავშირებული საკითხების ისტორიულ ფონზე მოკლედ გაშუქების შემდეგ შესაძლებლად მიგვაჩნია უფრო ახლო გავეცნოთ ოდა-სახლის ზოგიერთ დამახასიათებელ კუთხურ ინდივიდუალურ თავისებურებას.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ოდა-სახლმა თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია XVIII—XIX საუკუნეებში და მათი ხალხურ-კლასიკური გადაწყვეტის საუკეთესო დაკრისტალებული ნიმუშები დღესაც იმსახურებენ დიდ მოწონებას.

ოდა-სახლის ზოგიერთი თავისებურების გამოსარკვევად უნდა განვიხილოთ გეგმარების ის ელემენტები, რომლებმაც საუკუნეთა მანძილზე განიცადეს ევოლუცია. ამათგან მთავარი და მნიშვნელოვანი ელემენტებია: ა) გეგმის კომპოზიცია; ბ) სივრცობრივი კომპოზიცია და გ) კონსტრუქციული სტრუქტურა. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

**ა. გეგმის კომპოზიცია.** თანამედროვე მკვლევარების მიერ აღიარებულია, რომ ოდა-სახლის მოხაზულობა გეგმაზე წარმოადგენს წაგრძელებულ სწორკუთხედს, რომელიც დერეფანთან ერთად უახლოვდება კვადრატს, ხშირად ზუსტი კვადრატია[2].

ლიტერატურული წყაროები და მატერიალური კულტურის დღემდე მოღწეული ნაშთები ერთხმად მოწმობენ, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე უძველეს საცხოვრებელ ნაგებობათა ძირითადი განვითარებული ფორმა გეგმაზე კვადრატული იყო. ვიტრუვიუსეული კოლხური საცხოვრებელი სახლისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე დღემდე მოღწეულ ჯიხა-ოხორის (ციხე-სახლის) გეგმის კვადრატული მოხაზულობა სწორედ ამ უძველეს დამახასიათებელ თავისებურებაზე მიუთითებენ.

ქართული საცხოვრებელი სახლის გეგმის კვადრატული მოხაზულობის ტიპიურობა მოწმდება ანტიკური ხანის ძეგლებითაც — ჯერ კიდევ 1886 წ. ე. სიზოვისა და ნიკიტინის მიერ ძველი ცხუმის (სოხუმის) გათხრების დროს ზღვის სანაპიროზე აღმოჩენილი იქნა უძველესი საცხოვრებელი სახლების კედლის ნაშთები, რომლებსაც მიწის ზედაპირზე შემორჩენილი ჰქონდა გეგმის კვადრატული მოხაზულობა[5].

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, 1946 წ., გვ. 15.

[2] В плане общая фигура дома (Ода-Сахли. — ი. ა.) вместе с балконом — прямоугольник, близкий к квадрату, часто — точный квадрат» (Н. П. Северов, Памятники грузинского зодчества, Москва, 1947г., стр. 210—211).

[3] „აქაური მებატონე სარეცლებიან, ბუხრიან ოდის მაგიერ ვრცელ ქოხში დგას, სადაც ზამთრობით შუაგულ ალაგას, კერაზე, გაუქრობელი ცეცხლი ანთია. კ. ბოროზდინი, ბატონყმობა სამეგრელოში, ტფ., 1927 წ., გვ. 41.

[4] «Многие князья и дворяне строили специальные дома для гостей; на существование таких помещений указывают и абхазские термины «аса-саирта» — «Хочаш» (И. А. Аджинджал, автореферат, 1950г., стр. 10).

[5] «Не доходя до ворот крепости, на одной линии с ней находятся на берегу древние стены домов; части стены уже свалились в воду, а другие еще сохраняют на поверхности земли квадратное очертание жилищ, заплывших совершенно землею» (В. Сизов, Восточное побережье Черного моря, археологические экскурсии. Материалы по археологии Кавказа, вып. II, Москва, 1888г., стр. 18).



79. ძველი ხოხუმის (ცხუმის-აკუას) ტერიტორიაზე გათხრების დროს აღმოჩენილი ქვის გალავანი და ქვის საცხ. სახლის ნაშთები, გეგმა (ვ. სიზოვის მიხედვით)

არანაკლებ საყურადღებოა ქრონოლოგიურად ახლო მდგომი მეორე ძეგლიც, რომელიც სწორკუთხოვანი მოხაზულობის ქვის დიდი გალავნის შუაშია მოთავსებული. როგორც ნახაზიდან ჩანს (სურ. 79), ნაგებობის მოხაზულობა აქაც კვადრატს უახლოვდება; აქვე უნდა დავძინოთ, რომ ვ. სიზოვისა და ნიკიტინის გადმოცემით აღნიშნული ნაგებობის კედლის წყობა შესრულებულია უბრალო წესით რიყის ქვისაგან[1].

აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები (უძველესი ნაგებობები) და მრავალი სხვადასხვა სახის ნივთები (კერამიკულ ნაკეთობათა ნაშთები და სამკაულები), რომლებიც ასახავენ უძველესი ცხოვრების ნამდვილ სურათს, ვ. სიზოვის აზრით, უმთავრესად ქართული კულტურის ნიშანს ატარებენ[2].

ზემომოტანილი მასალების განხილვისა და გადაჭინჯვის შემდეგ უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ოდა-სახლის გეგმის კვადრატული ან კვადრატთან მიახლოებული მოხაზულობა უძველესი დროიდან მომდინარეობს და ქართული საცხოვრებელი სახლის განვითარებული გეგმის კომპოზიციის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურების მაჩვენებელია.

საკითხის სრული გაშუქებისათვის მოკლედ მაინც შევეხოთ ოდა-სახლის გეგმის ძირითად სქემას, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან: კედლებით შემოსაზღვრული საცხოვრებელი სადგომებისა და დერეფნისაგან.

ხალხური ოდა-სახლის გეგმის კომპოზიციაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია დერეფანს, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ოდა-სახლის გეგმის განვითარებაში. ჩვენ აქ მკითხველის ყურადღება გვინდა გავამახვილოთ გეგმის მხოლოდ მეორე ნაწილზე, სახელდობრ — ოდა-სახლის სისტემაში ტრადიციული დერეფნის წარმოშობის საკითხზე.

საბას განმარტებით დერეფანი არის „ფარლია სახლი“, იგივე აივანი (სიტყვის კონა); ამ განმარტების მიხედვით ირკვევა, რომ „დერეფანი“ უნდა ყოფილიყო სრულიად დამოუკიდებელი ცალკე მდგომი ნაგებობა, რომელსაც საზაფხულო სამყოფად აშენებდნენ.

ზეპირი წყაროებითაც მოწმდება, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლის ახლოს აშენებდნენ სხვადასხვა ფორმის სვეტებიან ფარდულს, რომელსაც უმეტესად ზაფხულში სტუმრების მისაღებად იყენებდნენ.

ასეთივე მაგალითები დამოწმებულია აფხაზეთშიაც (აფხაზურ დიალექტზე „აშაპას“ სახელწოდებითაა ცნობილი).

უკანასკნელი პერიოდის გამოკვლევებში მოცემულია, რომ აშაპა არის ეზოში აგებული სტუმართმისაღები დროებითი ღია ფარდული[3].

ზემომოტანილი ცნობების გარდა აშაპას ნაგებობა აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩვენ მიერ ფიქსირებულია შემდეგ სოფლებში: ბლაბურხვა, ხაბიო, ლიხნი და სხვ., საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს სოფ. ლიხნში კ. მახარიას კარმიდამოზე არსებული აშაპა, რომელიც ახლა ხილის საშრობ ფარდულად აქვთ; საინტერესოა სოფ. ბლაბურხვას მცხ. მ. ბარციცის ოდა-სახლსა და „ძველ-სახლს“ შორის მოქცეული აშაპა — დერეფანიც, რომელიც აკავშირებს ამ ორ ნაგებობას (ტაბ. 34).

დერეფნის — აივნის (იგივე აშაპას) როგორც ცალკე მდგომი ნაგებობის წარმოშობა კოლხურ კარ-მიდამოებზე განაპირობა კლიმატური პირობების თავისებურებამ.

ამრიგად, სასტუმრო სახლის, ე. წ. ოდას, წარმოშობამდე დიდი ხნით ადრე, როგორც ცალკე ნაგებობა, არსებობდა დერეფანი (აივანი).

მრავალრიცხოვანი რამდენიმე ოჯახის (საგვარეულო დიდი ოჯახის) ერთად ცხოვრება მოითხოვდა საცხოვრებელი ფართის გაზრდას („დიდი სახლის“ აგებას.) გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ კვადრატული მოხაზულობის საცხოვრებელი ტიპი არის პროტოტიპი ერთგანყოფილებიანი ოდა-სახლისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ გააჩნია დერეფანი.

ერთი საცხოვრებელი ერთეულის — კვადრატის კომპოზიცია მეორე კვადრატის მიშენებით ღებულობს წაგრძელებული სწორკუთხედის მოხაზულობას. ფართის გადიდების ასეთი სქემა გვაძლევს „გრძელი სახლის“ გეგმის კომპოზიციას.

გრძელი სახლის გეგმის საუკეთესო პროპორციას წარმოადგენს სამი კვადრატისაგან (განყოფილებისაგან) შედგენილი კომპოზიცია, რომელსაც მტკიცე სტანდარტად აქვს გამომუშავებული საცხოვრებელი სექციის ხუროთმოძღვრული კლასიკური სახე (სურ. 67, 68, 69, 76, ტაბ. 31).

სამშენებლო ტექნიკის განვითარების შემდეგ საფეხურზე, წხულკედლიანი სისტემიდან მორულ-ჯარგვალურ სისტემაზე გადასვლა თავისთავად კვადრატული გეგმის გაფართოების საშუალებას იძლეოდა.

სამგანყოფილებიანი საცხოვრებელი სექციის გასწვრივ ერთმანეთზე მიშენება (ზედმეტი წაგრძელების გამო) რთული რელიეფის მთის დასახლების სისტემისათვის არ იყო ხელსაყრელი, ამიტომ ეჭვი არ არის, გრძელი სახლის გეგმის განვითარება უნდა მომხდარიყო ორი „საცხოვრებელი სექციის“ — სამგანყოფილებიანი „გრძელი სახლის“ ერთმანეთთან შეწყვილებით, რაც გეგმაზე ცენტრული გადაწყვეტის ხუთგანყოფილებიანი გეგმის სიმეტრიულ კომპოზიციას გვაძლევს. ეს სქემა, სამეცნიერო ლიტერატურაში სასახლის ტიპის

---

[1] В. Сизов დასახ. ნაშრომი, გვ. 22, 23.

[2] «Признавая, что следы открытой мной древней жизни носят, главным образом, печать грузинской культуры...» (В. Сизов, დასახ. ნაშრომი, გვ. 35).

[3] «В хорошие летние дни гостей принимали, угощали во дворе под временными навесами — ашапа» (И. А. Аджинджал, автореферат, 1950 г., стр. 10).

ოდა-სახლის გეგმის კომპოზიციად არის აღიარებული და ფართოდაა გავრცელებული კოლხეთის ტერიტორიაზე და მის გარეთ (ტაბ. 29-III).

აღნიშნული სქემის თანმიმდევრული განვითარების საფუძველზე ჩამოყალიბდა სასახლის ტიპის რვაოთახიანი და სხვა სახეობათა გეგმების სიმეტრიული გადაწყვეტის კომპოზიციები.

რვაოთახიანი ოდა-სახლის გეგმის კომპოზიციაზე აშკარად იკითხება სამსექციანი ერთმანეთთან შეტკუპებული სისტემა. ეს არის ოდა-სახლის გეგმის განვითარების უკანასკნელი ეტაპი — ხალხური კლასიკური გადაწყვეტის დასრულებული კომპოზიციის ის სახე, რომლის შემდეგ ოდა-სახლის გეგმის კომპოზიცია სტაბილური ხდება.

დავუბრუნდეთ ოდა-სახლის სისტემაში დერეფნის წარმოშობის მეტად საინტერესო საკითხს:

როგორც ირკვევა, პირველი ოდა უნდა ყოფილიყო ცალკე მდგომი ერთოთახიანი ნაგებობა, ანუ სასტუმრო სენაკი, რომელსაც ჯერ კიდევ არ გააჩნდა დერეფანი. ჩვენს განკარგულებაში არსებული ვრცელი მასალა უფლებას გვაძლევს გამოვთქვათ შემდეგი მოსაზრება: საცხოვრებელ სახლში პირველი დერეფანი ჩაისახა „გრძელი სახლის" სისტემაში — ორი ცალკე მდგომი ნაგებობა გაერთიანდა ერთ სახურავქვეშ, რომელიც აკავშირებდა სასტუმრო ოთახს ოხარისთან (საჯალაბოსთან), ეს არის ოდა-სახლთან „დერეფნის" (ღია ფარდულის) ე. წ. „აშაპას" დაკავშირების პირველი ჩანასახი.

კოლხურ საცხოვრებელ სახლთან დერეფნის მიშენების თვალსაჩინო ნიმუშებს (გადმონაშთების სახით) წარმოადგენენ: შუა დერეფნიანი, ერთდერეფნიანი, ორდერეფნიანი (რომელსაც კუთხური გადაწყვეტაც აქვს), სამმხრივ დერეფნიანი და ირგვლივ დერეფნებით შემკობილი საცხოვრებლები.

**ბ. სივრცობრივი კომპოზიცია.** ოდა-სახლის ფასადის სიმეტრიული გადაწყვეტის კომპოზიციის საფუძველია ფარდია შუადერეფნიანი „გრძელი სახლის" სივრცობრივი ფორმის უმარტივესი სქემა, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება გეგმის ხალხური კლასიკური კომპოზიციის პირველყოფილ გადაწყვეტას.

როგორც ირკვევა დერეფანი წარმოიშვა ადგილობრივი კლიმატური პირობებისა და ზოგიერთი ეთნიკური (სტუმართმოყვარეობის) ტრადიციების ზეგავლენით ჯერ კარ-მიდამოზე, როგორც ცალკე მდგომი ნაგებობა — აშაპა (დერეფანი) და შემდეგ სასტუმრო სახლთან ოდასთან მიშენების გზით. იგი გახდა ოდა-სახლის კომპოზიციის ხუროთმოძღვრულ-დეკორაციული გადაწყვეტის ერთ-ერთი საუკეთესო ელემენტი.

საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული ოდა-სახლის ფასადის კომპოზიცია ძირითადში არის დერეფნის ხუროთმოძღვრული კომპოზიცია, — „ხალხური ორდერის" — არქიტრაეული ან თაღედური სისტემის მაღალმხატვრული გამოვლენებით დამუშავებული ხუროთმოძღვრული ნაწარმოები.

**გ. კონსტრუქციული სტრუქტურა.** ოდა-სახლის კონსტრუქციული გადაწყვეტის უმარტივეს სქემას საფუძვლად უდევს სამი კვადრატისაგან შედგენილი „გრძელი სახლის" თავისუფალი უნიფიცირების შესაძლებლობა, რაც თარაზულ და შვეულ განზომილებაში (გეგმაზე და განივჭრილში) ქმნის სამნავიანი (ნეფისებური) ცენტრული გადაწყვეტის სივრცობრივ სისტემას.

ხის დამუშავების მაღალმა კულტურამ (ფიცრული საკედლე მასალის შემოღებამ) განაპირობა ოდა-სახლისთვის ორიგინალური კონსტრუქციის მსუბუქი ასაწყობი ელემენტების შექმნა.

ასაწყობი კონსტრუქციული სტრუქტურის მდგრადობის მთავარ ჩონჩხს წარმოადგენს ბოყვებზე მორგებული სარტყლურ-კოჭოვანი სისტემა.

ოდა-სახლის ხუროთმოძღვრულ-კონსტრუქციული ელემენტების აწყობა-დაშლის ტექნიკამ ერთი ადგილიდან სხვა ადგილზე (ერთი სოფლიდან მეორე სოფელში) ადვილად გადატანის პრაქტიკამ დიდად შეუწყო ხელი მის ფართო გავრცელებას. ასეთი „მოძრავი" თვისებისა გამო იგი ძველი დროიდან აღიარებულია „მოძრავ ქონებად". რის გამოც XVIII—XIX საუკუნიდან თითქმის ღირებული ყიდვა-გაყიდვის ობიექტს წარმოადგენს; ერთ და იმავე ოდა-სახლის დაშლისა და გადატანა-აწყობის შემთხვევები ხშირად ორ-სამჯერ და მეტჯერაც არის დამოწმებული.

„გრძელი სახლისა" და ოდა-სახლის კედლის „პიტა" ფიცრებსა და ბოყვებზე ხშირად ვხვდებით რომაულ, არაბულ, ქართულ ანბანურ ან კიდევ ხაზოვან ნიშნაკებს, ასევე ზედა და ქვედა სარტყლების ერთმანეთისაგან გასარჩევ ხაზოვან ნიშნებს, ზოგიერთი ჭდობის მორგების ადგილებზე მინიშნებულ სხვადასხვა სახის ადვილად მისაგნებ ხაზებს, რომლებიც გამიზნულია დაშლის შემდეგ შენობათა ელემენტების მოსაძებნად და თავ-თავიანთ ადგილებზე აწყობის გასაადვილებლად.

განვითარებული ტიპის ძველი კოლხური ოდა-სახლის საერთო ასახულობა წარმოგვიდგება, როგორც ერთსართულიანი ფიცრული ხის ნაგებობა, შედგმული ხის ან ქვის დაბალ ბოძებზე (არა უმეტეს ერთი მეტრისა), რომლის ფარდია არე გააზრებულია ინტენსიური განიავებისათვის.

ოდა-სახლის ხალხური მშენებელი მარტივი კონტრუქციების შემუშავებასთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობს გამძლე-მაგარი ხის ჯიშების შერჩევას. უპირველეს ყოვლისა გამოყენებულია ხის ისეთი ჯიშები, რომლებიც კარგად უძლებენ ზღვისპირა ნოტიო ჰავის ხანგრძლივ აგრესიულ ზემოქმედებას; განსაკუთრებით გამოყენებული იყო მუხის, წაბლის, თელის, ურთხმელის (უთხოვარის) და სხვ. ხის ჯიშები, რომელთაგან დამზადებული ასაწყობი კონსტრუქციული კვანძები დაშლა-გადატანის პროცესში უდეფორმაციოდ ინარჩუნებენ თავიანთ კონსტრუქციულ ტექნიკურ ღირსებას.

ორსართულიანი ოდა-სახლის კონსტრუქციული ჩონჩხის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია მთა ადგილებში რთული რელიეფის გამოყენების ტრადიციამაც, რომლის მეოხებითაც შექმნილი ოდა-სახლის ქვედა ღრკელი არე (პალატი) გამოყენებული იყო სამეურნეო დანიშნულებისათვის ან საზამთრო საცხოვრებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებული ოდა-სახლის ტიპი შედეგია გრძელი სახლის გეგმისა და დარბაზულ-გვირგვინული გადახურვის სივრცობრივი კონსტრუქციული სტრუქტურის შერწყმისა და შემოქმედებითი გადამუშავებისა.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ზემოგანხილული მასალა საშუალებას გვაძლევს შევადგინოთ კოლხური ოდა-სახლის თანმიმდევრული განვითარების ეტაპების სქემა (ტაბ. 29), რომელიც ხალხურ ხუროთმოძღვარ-მშენებლის ფანტაზიასა და გამოგონებას, შემოქმედებითს ნიჭს საუკუნეების მანძილზე ტიპობრივად ჩამოუყალიბებია.

აფხაზეთის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილია კოლხური ოდა-სახლის ხუთი ძირითადი ტიპი: ერთოთახიანი, ოროთახიანი, სამოთახიანი, ოთხოთახიანი და რვაოთახიანი, რაც შეეხება ხუთოთახიან ძველ ტიპიურ ოდებს, რომლებიც საერთოდ ფართოდაა გავრცელებული კოლხეთის მთელ ტერიტორიაზე და მის საზღვრებს გარეთ, აფხაზეთში ისინი ამჟამად იშვიათად მოიპოვება.

**ერთოთახიანი ტიპი.** ოდა-სახლის ეს ტიპი ფართოდაა გავრცელებული როგორც მთის, ისე ბარის ზონაში. ერთოთახიანი ტიპიური ოდის საუკეთესო მაგალითია სოფ. წარჩედან ვ. ბენიას და სოფ. ლიხნიდან ნ. ქოსუას ერთოთახიანი მცირე მოცულობის ოდები, რომლებსაც აქ „აკვასკას“ უწოდებენ (ტაბ. 35).

როგორც შესწავლილი მასალებიდან ირკვევა, ერთოთახიანი აკვასკის გეგმის კომპოზიცია არაფრით განსხვავდება მის წინამორბედ სწორკუთხოვანი მოყვანილობის ზოგიერთი წნული საცხოვრებლებისაგან.

ვ. ბენიას ოდის ერთადერთი განყოფილება, რომლის ფართი 20 კვ. მ. უდრის (4×5), ხოლო სიმაღლე —3,0 მ., სტუმართა მისაღები და საძინებელი დარბაზია; იგი უშუალოდ დაკავშირებულია წინა და უკანა დერეფნებთან (აბარწათან): ნ. ქოსუას ოდას, რომელიც ვ. ბენიას ოდა-სახლის სახესხვაობაა, მხოლოდ ერთი ღია დერეფანი აქვს წინიდან მოწყობილი[2].

საყურადღებოა, რომ 70 სმ. სიმაღლის ქვის ბოძები (ბოკონი), რომლებზედაც დადგმულია ოდა, მიწაში კი არ არის ჩამაგრებული, არამედ პირდაპირ შანდაკ მიწაზეა დაყენებული.

კედლები ამოყვანილია 5 სმ. სისქის წაბლის ფიცრებისაგან, რომლებიც „დედალ-მამალი“ ნარიმანდებით მჭიდროდაა ჩამჯდარი ერთმანეთში. კედლის ფიცრებზე კუთხეებთან შეინიშნება ამოკვეთილი ხაზოვანი ნიშნები, რომლებიც ხსენებული ოდის გადატანასა და მის დაშლა-აწყობაზე მეტყველებს..

დასასრულ უნდა შევნიშნოთ, რომ მოჩუქურთმებული დერეფნის სიმეტრიული გადაწყვეტა, რომელიც ოდა-სახლის ფასადის კომპოზიციის ძირითად საფუძველს წარმოადგენს, ჰარმონიულად შეხამებულია იმ ჰაეროვან ხუროთმოძღვრულ სამკაულებთან, რომლებსაც ოდა-სახლის დეკორაციულ-მხატვრულ მორთულობაში საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ერთგვარი ხალხური ხუროთმოძღვრული ორდენის მომხიბლავი სახე აქვთ.



80. ა. შერვაშიძის (ალიბეის) ერთოთახიანი პალატიანი ოდა-სახლი მდ. თამიშის ნაპირზე. საერთო ახახულობა
(დიუბუას ჩანახატი)

---

[1] ანოტაციებში მოცემულია დაზომილი ძეგლების ხუროთმოძღვრულ-კონსტრუქციული გეგმარების მხოლოდ ძირითადი ელემენტების მოკლე ანალიზი.

[2] საინტერესოა ვიცოდეთ, რომ აფხაზეთის სამთავროს მემკვიდრეს ა. შარვაშიძეს მდ. თამიშის პირას იდგა ერთოთახიანი უფანჯრო პალატიანი ოდა ღია დერეფნი, რომლის ჩანახატი მოცემული აქვს დიუბუა დე მონპერეს (სურ. 80).

**ოროთახიანი ტიპი.** ოროთახიანი ძველი ოდების საინტერესო ნიმუშებს წარმოადგენენ მანუჩა ბარციცის, ოდისეი, ალი და პეტრე ბარციცების (სამი ძმის) ერთ კარ-მიდამოზე არსებული ცალ-ცალკე მდგომი პალატიანი ოდები სოფ. ბლაბურხვიდან, ს. თარბას პალატიანი ოდა სოფ. დურიფშიდან, ს. კვარჭალიას პალატიანი ოდა სოფ. აჭანდარიდან და ქრ. ჩახურის ოდა სოფ. ყუმიდან.

მანუჩა ბარციცის პალატიანი ოდა (ზეპირი) გადმოცემით აგებულია 1920—1924 წლებში (ტაბ. 34). პირველი სართული (პალატი) შედგება ორი განყოფილებისაგან — მარანისა და საჯალაბოსაგან. პალატის 50 სმ სისქის კედლები ამოყვანილია ადგილობრივი ფლეთილი ქვისაგან. მეორე სართულიც შედგება ორი განყოფილებისაგან: სტუმართ მისაღები — სასტუმრო დარბაზი (26 კვ. მ.) და მეორე საცხოვრებელი (15 კვ. მ.).

ჩვენს ყურადღებას იქცევს დასაშლელ-ასაწყობი ტიხრის მარტივი და მსუბუქი კონსტრუქცია, რომელიც საჭიროების შემთხვევაში („ლხინსა და ჭირში") შეიძლება დაიშალოს და ორი განყოფილების ნაცვლად მივიღოთ ერთი მთლიანი, 40 კვ. მ. მეტი დიდი დარბაზი.

პალატის სათავსოების სიმაღლე 2,5 მ. აღწევს, ზედა სართულის — კი 3,0 მ., ორივე სართულის სათავსოები საკმაოდ განიერი ფანჯრებით არის განათებული. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ოროთახიანი ტიპის ოდებში იშვიათად ვხვდებით ტრადიციულ ბუხრებს.

პალატის საცხოვრებელ განყოფილებაში ბუხრის ნაცვლად დგას საჭმლის დასამზადებელი ქურა, რომლის საკვამლე არხი (აგურისაგანაა შეკრული) ორი მეტრის მანძილზე გაყვანილია გარეთ თარაზულად და შეერთებულია შეეულად ამოყვანილ აგურის საკვამლე მილთან (ტაბ. 34).

მ. ბარციცის ოდის კედლები წაბლისაა და 5 სმ სისქის. ცალფა ნარიმანდით ერთმანეთზე მჭიდროდ მიჯრილი თლის ფიცრებისაგანაა აგებული. ფიცრის ბოლოები ჩვეულებრივი წესითაა ჩამაგრებული ღარულ ნარიმანდში, ხოლო კუთხეებში ნაცვლად ნაშთიანი ქდობისა, დაყენებულია კუთხური ბოყვები, რომლებშიაც მაგრდება კუთხის შემხვედრი ფიცრები. კუთხის კონსტრუქციული დაგეგმარების ასეთი ვარიანტი საკედლე ფიცრების სიგრძის მაქსიმალური გამოყენების მიზნითაა შექმნილი.

ზედა სართულის წინა კედელი პალატის წინა კედელზე კი არ არის დადგმული, არამედ 2,2 მეტრით უკანაა გადაადგილებული, ხოლო წინ, მთელს სიგრძეზე — პალატის თავზე მოწყობილია მხატვრულად დამუშავებული ღია დერეფანი.

მ. ბარციცის ოდის სათავსოები სიგრძეზეა განლაგებული ერთ მწკრივად და შესასვლელი ღია დერეფნიდან აქვს მოწყობილი. საერთოდ, ამ ტიპის ოდებს უკან დამატებითი გასასვლელი კარი ან აივანი არა აქვთ. ხსენებულ ოდას გარედან მიდგმული აქვს ერთმარშიანი გადახურული კიბე, რომელსაც ავყავართ ზემოთ — ღია დერეფანში.

დასასრულს საჭიროა რამდენიმე სიტყვით შევეხოთ ძველი და ახალი საცხოვრებელი კომპლექსის კომპოზიციურად დაკავშირების ტრადიციას — მ. ბარციცის პალატიანი ოდა დაკავშირებულია კარ-მიდამოზე არსებულ ძველი ტიპის საცხოვრებელ კომპლექსთან (ტაბ. 34). აღნიშნულ ტაბულაზე მკაფიოდ გამოირჩევა ორი სამშენებლო პერიოდი — ერთია ძველი სამშენებლო ტექნიკით აგებული ორგანყოფილებიანი



81. სოფ. ბლაბურხვა. ო. ბარციცის პალატიანი ოდა
სახლის საერთო ასახულობა

წნული საცხოვრებელი, რომლის გვერდით ცალკე ნაგებობად დგას სტუმართმისაღები ტრადიციული ფარლია დერეფანი (აშაპა), მეორე — ახალი სამშენებლო ტექნიკით აგებული პალატიანი ფიცრული ოდა, რომლის ღია დერეფანი ერთმარშიანი კიბით დაკავშირებულია ეზოში არსებულ დერეფანთან (აშაპასთან).

ძველი და ახალი საცხოვრებელი კომპლექსის ერთმანეთთან დაკავშირების ტრადიცია სხვადასხვა ვარიანტით მოწმდება აგრეთვე ლიხნში, დურიფშსა და აჭანდარაში, აგრეთვე სამეგრელოში, გურიასა და იმერეთში (ტაბ. 34 შეადარე ტაბ. 28, 36).

ოდისეი ბარციცის პალატიანი ოდა მისი ძმის ალი ბარციცის ოდა-სახლის გვერდით დგას ზურგშექცევით (სურ. 81). ოდისეის გადმოცემით, ორივე ოდა 1900 –1908 წლებშია აშენებული.

ეს ოდები გეგმის გადაწყვეტისა და სივრცობრივი კომპოზიციების მხრივ არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამიტომ მოკლედ შევეხოთ ერთ-ერთ მათგანს — სახელდობრ, ო. ბარციცის ოდა-სახლის ხუროთმოძღვრულ-კონსტრუქციული გეგმარების ზოგიერთ ისეთ ელემენტს, რომელსაც ოროთახიანი ოდების ხალხურ გეგმარებაში ტიპიური სახე აქვთ მიღებული. ოდა-სახლის საერთო ასახულობაში ასეთი მოწონებული კომპოზიციური ელემენტია ღია დერეფნის ცენტრში წინ გამოწეული „აბარწა"-წინკარი, რომელიც ფართოდაა გავრცელებული აფხაზეთის ტერიტორიაზე (სურ. 82, 83). აბარწა წარმოგვიდგება არა როგორც ებრალო, ხელოვნურად მიდგმული ელემენტი, არამედ როგორც ერთ კომპოზიციაში გაერთიანებული ორიგინალური მთლიანი დერეფნის განუყოფელი ნაწილი. ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებს დერეფნისა და წინკარის ხის ნაწილების ხუროთმოძღვრულ-მხატვრული დამუშავების ერთნაირი მოტივებით აქცენტირება[1].

წინკარის მდებარეობას ოდა-სახლის კომპოზიციაში განსაზღვრავს კიბის ხუროთმოძღვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტის სხვადასხვა ვარიანტი. ივი იმდენად ტრადიციული და პრაქტიკული ჩანს, რომ ძველებური ფორმით და ახალი სამ-

[1] აქ სახურავის არშიებს, სვეტის ბრტყელი თავების და მოაჯირის ფიცრებში გამოჭრილი ამოხვრეტის სახით არის გამოყენებული მზისა და მთვარის ხალხური ემბლემები, მათი შერწყმა მცენარეულ მოტივებთან.



82. სოფ. აჯანდარა. პალატიანი ოდა-სახლი წინკარიანი და დერეფნით (საერთო ახახულობა)

შენებლო ტექნიკით დღესაც მასიურად მეორდება (სურ. 84, 85, 86, 87, 88)

ოდისეი და ალი ბარციცების ოდებს მხოლოდ პალატები აქვთ განსხვავებული: ა. ბარციცის ორგანყოფილებიანი პალატი ფლეთილი ქვისაგან არის ნაგები, ხოლო ო. ბარციცის ერთგანყოფილებიანი ვრცელი პალატის სუფთად გათლილი ქვებისაგან ამოყვანილ სვეტებს შორის არეები ფიცრებითაა შევსებული ისე, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები (ტაბ.37, იხ. გეგმა და სურ. 81).



88. სოფ. წებელდა. „ქვა-წყნელისაგან" აგებული თხელკედლიანი ორსართულიანი სახლი, წინკარიანი და დერეფნით (საერთო ახახულობა)

ოდისეი ბარციცს ოდა-სახლის სათავსოთა დანიშნულებისა და კონსტრუქციული სტრუქტურის შესახებ არაფერს ვიტყვით, ვინაიდან მანუჩა ბარციცის ზემოგანხილული ოდის აშკარა განმეორებას წარმოადგენს (ტაბ. 34. შეადარე ტაბ. 37).

პეტრე ბარციცის ორსართულიანი ოდა უფრო გვიან არის აგებული (ტაბ. 38). ხალხური მშენებელი აქ უცვლელად იმეორებს ოროთახიანი გეგმის კომპოზიციას, მაგრამ მთელ ყურადღება გამახვილებულია ფასადის ახალი კომპოზიციის ძიებისაკენ. ძველი და ახალი სამშენებლო ტექნიკის შერწყმის გზით იგი ახერხებს ოდა-სახლის ფასადის მოდერნიზებას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ძველი და ახალი ხუროთმოძღვრულ-კონსტრუქციული მსუბუქი ელემენტების მექანიკური გამოყენება ოდის საერთო ხედს რამდენადმე ეკლექტიკურ იერს აძლევს. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ფასადის გადაწყვეტის ეს სიახლე თანდათანობით იწყებს გავრცელებას და



84. სოფ. დურიფში. ი. გოგონავას ოდური ტიპის ახალი საცხოვრებელი სახლის საერთო ხედი

დახვეწილი, სრულფასოვანი ხუროთმოძღვრულ-მხატვრული წარმოების სახეს ღებულობს.

პ. ბარციცის ოდა-სახლი დადგმულია მუხისა და წაბლის მაღალ ბოძებზე (2-3 მ). „გოდორი სახლის" ქვეშ ბოძები მუხის ხისაგან შეკრულ სარტყელზეა ჭდობით ჩამაგრებული, ხოლო პალატის დერეფნის ბოძები ბრტყელი ქვის ბაზისებზეა დაყენებული და ზემოდან წაბლის ხისაგან შეკრული სარტყელი აქვთ მორგებული. დგარებს შორის არეებ შევსებულია წნული კედლებით, რომელთა ნაწილი შელესილია, ხოლო ნაწილი შეულესავი. ზედა სართული, ზემოგანხილული ოდა-სახლების კონსტრუქციული ხერხების ანალოგიურად 5 სმ სისქის წაბლისა და თელის ფიცრებისაგან არის აგებული.

პ. ბარციცის ოდა-„სახლზედ სახლი აგებული" (ქორედი) საბას განმარტების დადასტურებას იძლევა. აღნიშნული ოდის სახურავზე მართლაც მოხდენილად არის ერთოთახიანი ორქანობიანი სახურავით „სახლი შედგმული" თავისი პატარა ღია დერეფნით. როგორც ირკვევა, ძველად არა მარტო კოლხეთის ტერიტორიაზე, არამედ მთელ საქართველოში ფართოდ ყოფილა გამოყენებული საცხოვრებელი სახლის თავანი სხვადასხვა დანიშნულების სადგომებისათვის (მოსასვენებელი, სალხინობელი, ბეღელი, სასიმინდე და სხვ.).

პ. ბარციცის ოდა-სახლის ღია დერეფნების ხუროთმოძღვ-



85. სოფ. ლიხნი. ო. ქუნიას ოდური ტიპის საცხ. სახლის საერთო ხედი

რულ-მხატვრული დამუშავების თემატიკა და ხერხები თავისი სიუჟეტით დიდად განსხვავდება ზემოგანხილული ოდების მხატვრული დამუშავებისაგან: ფიცრებზე გამოჭრილი ჩუქურთმოვანი ამოხერხვის წესი შეცვლილია ლარტყოვანი რიკულებისაგან ერთმანეთში ჩაჭდობილი ბადისებური მორთულობით, რომელშიაც გამოყვანილია ჩაქუჩ-ნამგლისა და შუბის წვეროსებური სილუეტური მკვეთრი პროფილები.

სეით თარბას (სოფ. დურიფში) და სიმონ კვარჭალიას (სოფ. აჰანდარა) პალატიანი ოდა-სახლების ხუროთმოძღვრულ-კონსტრუქციული გეგმარება და სამშენებლო მასალა თითქმის არაფრით განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ ინდივიდუალური ხასიათის შემოქმედებით გადახვევებს.

ფასადის კომპოზიციის მთავარ აქცენტად ორივე შემთხვევაში გამოყენებულია წინკარი-აბარწა.

ს. თარბას ოდის მშენებელი ორმარშიან სიმეტრიულად განშლად დიდ კიბეს მოხდენილად აკავშირებს წინკართან და ათავსებს მას ოდა-სახლის სიმეტრიის ღერძზე (ტაბ. 39), რაც ერთიორად აძლიერებს ოდა-სახლის კომპოზიციის სიმეტრიულობას, ხოლო ს. კვარჭალიას ოდის მშენებელი გვერდს უხვევს ფასადის სიმეტრიული გადაწყვეტის ტრადიციას და ეძებს კიბისა და წინწკარის ორიგინალური დაკავ-



86. სოფ. დურიფში. ა. არძინბას ოდური ტიპის ახალი საცხ. სახლის საერთო ხედი

შირების ისეთ ტიპიურ ფორმას, რომლის მეშვეობით ახერხებს კიდეც ასიმეტრიული გადაწყვეტის კომპოზიციის მიღებას (ტაბ. 39 შეად. ტაბ. 40); ს. კვარჭალიას ოდის პალატი უდერეფნო პალატების რიგზეა აგებული, ხოლო თარბას ოდის პალატს მოაჯირიანი ღია დერეფანი აქვს მოწყობილი; ს. კვარჭალიას ოდის კიბის ქვეშ მოწყობილია ე. წ. „მაცივარი", რომელმაც ამ ბოლო ხანებში ფართო გავრცელება ჰპოვა აფხაზეთის ოდა-სახლებში (ტაბ. 40. იხ. პალატის გეგმა); ღია დერეფნების — მოაჯირების სვეტის პროფილური თავებისა და არშიების ხუროთმოძღვრულ-მხატვრულ დამუშავებაში გამოყენებულია როგორც დანახერხი ლარტყებისაგან ერთმანეთში ჩაჭდობის წესით მიღებული რელიეფური ბადე, ისე ფიცრებზე გამოჭრილი ამოხერხვით მიღებული ტრადიციული ჰაეროვანი ჩუქურთმები, რომელთა შექმნილის თარგები ხუროთმოძღვრულ იერს ანიჭებენ აღნიშნულ ოდა-სახლების საერთო ასახულობას.

ქრისტეფორე ჩახურის ოროთახიანი ერთსართულიანი ოდა აგებულია ქვისაგან, შესავალი კარის თავზე ლამაზად



87. სოფ. ლიხნი. კ. მახარიას ოდური ტიპის ახალი საცხ. სახლის საერთო ასახულობის ფრაგმენტი

გათლილ ზოლურებიან ჩარჩოში ჩასმულ ქვაზე (32×25 სმ) ასომთავრულით ამოკვეთილია ბერძნული წარწერა, რომელშიაც გადმოცემულია ამ სახლის აგების ისტორია (ტაბ. 41, I).

ქრ. ჩახურმა საცხოვრებლად აარჩია აფხაზეთში ფართოდ გავრცელებული ოროთახიანი ოდის გეგმის კომპოზიცია და თავისი ხელით ააგო იგი. ამ დროს ფასადის კომპოზიცია კოლხეთის ტერიტორიაზე გავრცელებული ერთი და ოროთახიანი ოდის დამახასიათებელი ფასადის ხალხური გადაწყვეტის ქარგაზეა აგებული.

რა დაუმატა ადგილობრივ ხუროთმოძღვრულ სამშენებლო ტრადიციებს ჩამოსახლებულმა ბერძენმა ოსტატმა თავისი ოდა-სახლის მშენებლობისას? ხის სვეტები შეცვალა ლამაზად გათლილი ქვის სვეტებით, რომელიც ოთხი ნაჭრისაგან შედგება და დიდი სიზუსტით არის ადგილზე აწყობილი და დაყენებული (ტაბ. 41, I იხ. სვეტის დეტალი); ქვის სვეტებიანი დერეფანი უმოაჯიროა; დერეფნის იატაკი კათლილი თეთრი ქვის ფილებით არის მოზაიკური წყობის მსგავსად ლამაზად დაგებული.

ქრ. ჩახურის მცირე მოცულობის ოდა-სახლი, რომელიც



88. სოფ. ღურიპში. ზ. არძინბას ოდური ტიპის ახალი საცხ. სახლის საერთო ხედი ეზოდან

მკაცრ მხატვრულ ფორმებშია დამუშავებული, ერთ-ერთ საინტერესო ხუროთმოძღვრული კომპოზიციაა, რომელშიაც დომინირებულია კოლხური ოდა-სახლის ხალხურ-ხუროთმოძღვრული კოლორიტული ფორმა და შინაარსი.

**სამოთახიანი ტიპი.** გეგმის კომპოზიციის მიხედვით სამოთახიანი ოდის რამდენიმე სახე არსებობს, მათ შორის მკვეთრად გამოირჩევა ორი სახე: 1. წინა დერეფნის გასწვრივ ერთი ოთახით და 2. წინა დერეფნის გასწვრივ ორი ოთახით.

პირველი სქემის საუკეთესო ნიმუშია მ. მახარიას უპალატო ოდა (ტაბ. 41, 11): წინა ოთახი სასტუმრო დარბაზია, ხოლო უკანა, ერთმანეთის გვერდით მდებარე ოთახები საცხოვრებელია, რომლებსაც შესასვლელი სასტუმრო დარბაზიდან აქვს. მ. მახარიას სამოთახიანი ოდის ფასადის ხუროთმოძღვრული კომპოზიცია ერთოთახიანი ოდის ფასადის კომპოზიციური სქემის განმეორებაა. უნდა აღვნიშნოთ, რომ დერეფნის ელემენტების აჟურული დამუშავების ტექნიკა სითხუროობის საქმეში ზედმიწევნით დახელოვნებული ხალხური მშენებლის საუკეთესო ნახელავს წარმოადგენს.

სამოთახიანი ოდის მეორე სახესხვაობას ეკუთვნის მ. ჩამაგუას პალატიანი ოდა სოფ. აჩანდარიდან, რომელიც ზემოგანხილული სამოთახიანი ოდის გეგმის განვითარებულ სქემას გვაძლევს. (ტაბ. 41, შეადარე 42).

მ. ჩამაგუას ოდა-სახლის ორგანყოფილებიანი პალატის კედლები (60 სმ სისქის) ამოყვანილია ქვიტკირისაგან. პალატის წინ მთელ სიგრძეზე, ანტებს შორის, ჩაშენებულია ლოჯიისებური ღია დერეფანი, რომელსაც ხის სვეტებს შორის ყრუდ ამოყვანილი ქვის მოაჯირი აქვს.

პალატი აქ გამოყენებულია საზამთრო საცხოვრებლად, მის ერთ-ერთ სათავსოს აქვს ტრადიციული დიდი ბუხარი, ხოლო მეორე სათავსოში საშხაროელო ქურაა მოწყობილი[1] მაღალი და განიერი ფანჯრების მეშვეობით. ორივე სართულის სათავსოები უზრუნველყოფილია დღის განათებით.

მ. ჩამაგუას სახლს წინიდან მიდგმული ტრადიციული დიდი კიბის ნაცვლად აქვს დერეფანში შეტანილი ორმარშიანი კიბე, რომელშიაც, ფართის მომჭირნეობის მიზნით, შუაბაქნის ადგილი დათმობილი აქვს ე. წ. „სასარბენო" კიბის საფეხურებს, ხოლო გარედან მიდგმული ერთმარშიანი კიბე თავისი წინკარით უკანა მხარეზე აქვს (ტაბ. 42). ოდის კედლები 5 სმ სისქის წაბლისა და მუხის ფიცრებისაგან არის 270 სმ სიმაღლეზე აყვანილი; კონსტრუქციული სტრუქტურის თვალსაზრისით იგი არაფრით განსხვავდება პარციცების ზემოაღწერილ ოდა-სახლებისაგან, ამიტომ მისი აღწერა ზედმეტად მიგვაჩნია.

ფასადის სიმეტრიული გადაწყვეტის ხუროთმოძღვრულ კომპოზიციაში ყურადღებას იქცევს სვეტებისა და მოაჯირის



89. ქვაწნულის კედლის ფრაგმენტი სოფ. ყუმიდან



90. ქვა-ლარტყის კედლის ფრაგმენტი სოფ. წებელდიდან

[1] მეორე სართულზე პალატის ერთგანყოფილებიანი ბუხრის თავზე, გამართულია სამგანყოფილებიანი ტიპიური ბუხარი. (ტაბ. 42).

ხის მსუბუქი ელემენტების დამუშავების სიფაქიზე და ტექნიკა.

პალატის დერეფნის არქიტრაველი გადაწყვეტის მხატვრული დამუშავების ერთადერთი ელემენტია ჩუქურთმოვანი ამონახერხი პაეროვანი არშიები, რომელიც არქიტრავს ორმაგად გასდევს მთელ სიგრძეზე სხვადასხვა სიბრტყეში.

პალატის დერეფნის სისადავე უფრო აძლიერებს ფასადის საერთო კომპოზიციის ხუროთმოძღვრულ შთაბეჭდილებას.

**ოთხოთახიანი ტიპი.** აფხაზეთის ტერიტორიაზე ოთხოთახიანი ოდების უმრავლესობა ოროთახიანი ძველი ტიპიური ოდების გადაკეთებით არის მიღებული. ამ სახის ტიპიურ მაგალითებად შეიძლება მოტანილი იქნას ო. ჯენიას და მ. ანშბას პალატიანი ოდები სოფ. ლიხნიდან (ტაბ. 43, 44). ზეპირი გადმოცემით ერთი აშენებულია 1920 წ., ხოლო მეორე 1900 — 1902 წლებში; ორივე ოდა თავიდანვე ძველი პალატიანი ოდების რიგზე ყოფილა აგებული და რეკონსტრუირებული იქნა დაახლოებით ერთსა და იმავე პერიოდში (1925 — 1928 წ.წ.).

ზემოხსენებულ ოდებზე უკან, მთელ სიგრძეზე, მიშენებულია ვიწრო ორ-ორი ოთახი, რის გამოც ისინი ოთხოთახიან საცხოვრებელს წარმოადგენენ.

ო. ჯენიას და მ. ანშბას რეკონსტრუირებული ოდების ქვითკირული პალატები წარმოადგენენ ვრცელ მარნებს (ტაბ. 43, 44 იხ. პალატების გეგმები).

პალატების ზედა სართულის კედლები კომბინირებული მასალისგანაა აგებული.

მ. ანშბას ოდის კედლები დგარულ-სარტყელურ, „ქვაწნელის" თხელკედლიან კონსტრუქციულ სისტემას ეკუთვნის (ტაბ. 44, სურ. 89, 90); ასეთი კედლის სისქე 12 — 15 სმ არ აღემატება, შიგნიდან და გარედან შელესილია თიხის საგანგებო ხსნარით.

ო. ჯენიას სახლის ზედა სართულის კედლებიც წარმოადგენს დგარულ-სარტყლურ სისტემას, სადაც სხვა კომბინირებულ მასალებთან ერთად ფახვერკის სისტემის მსგავსად გამოყენებულია ნახევარაგურიანი კედლები.

დასასრულ უნდა შევნიშნოთ, რომ ო. ჯენიას და მ. ანშბას ოდა-სახლების ხუროთმოძღვრულ-კომპოზიციური გადაწყვეტის ტრადიციული ხალხური ხერხები და ხის ელემენტების მხატვრული დამუშავების ხალხური ტექნიკა იმეორებენ ზემოგანხილული ოდა-სახლების ხუროთმოძღვრული გადაწყვეტის ტრადიციებს.

**რვაოთახიანი ტიპი.** ჯერ რამდენიმე სიტყვით შევეხოთ მის წინამორბედ ხუთოთახიანი ოდა-სახლის გეგმის კომპოზიციის ტიპიურ სქემას (ტაბ. 29, III). როგორც აღვნიშნეთ, ხუთოთახიანი ტიპიური ოდა-სახლები დღემდე ფართოდ არის გავრცელებული კოლხეთის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა;

ხუთოთახიანი გეგმის კომპოზიციის სქემაზე აშკარად იკითხება: ერთოთახიანი, ოროთახიანი და სამოთახიანი ოდა-სახლების ის საცხოვრებელი უჯრედები, რომლებსაც დიფერენციაციის შემდეგ უმნიშვნელო ვარიაციებით შენარჩუნებული აქვთ ცალკეული ოდების სახით თავიანთი სქემის ტიპიურობა (ტაბ. 29, III).

ზეპირი წყაროებით მოწმდება, რომ აფხაზეთის უკანასკნელ მთავარს მ. შარვაშიძეს სოფ. კელასურში ჰქონია ხუთ-



91. ირგვლივ ღია დერეფნიანი ოდა-სახლის საერთო შეხედულება (ფო. [illegible])

ოთახიანი ირგვლივ დერეფნიანი პალატიანი ოდა, რომელიც ლაზ ოსტატებს აუგიათ. ეს ოდა დაწვრილებით აღწერილი აქვს დიუბუას[1].

როგორც დიუბუას აღწერით ირკვევა, მ. შარვაშიძის სახლის ექსტერიერი, აშკარად იდენტურია თავად ო. ერისთავის ირგვლივ ღიადერეფნიანი ოდა-სახლისა (გურიაში), რომლის ჩანახატი მოცემული აქვს თვით დიუბუას (სურ. 91).

დავუბრუნდეთ რვაოთახიან ტიპიურ ოდას, რომლის თვალსაჩინო ილუსტრაციაა კონსტანტინე დადეშქელიანის სასახლის ტიპის ოდა-სახლი სოფ. ოტობაიდან (გალის რაიონი). საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი გადაუტანიათ სოფ. ორსანტიაში (ზუგდიდის რაიონი), იმავე სახით აუწყვიათ და კარგა ხანს სასოფლო საბჭო ყოფილა მოთავსებული (ტაბ. 45).

ჩვენ მიერ ჯერ კიდევ 1945 წ. დაზომილი ამ ოდის გეგმის კომპოზიციას კვადრატთან მიახლოებული მოხაზულობა აქვს.

უპირველეს ყოვლისა მნახველის ყურადღებას იპყრობს გრძელი და განიერი, მხატვრულად დამუშავებული დეკორაციული ღია დერეფანი (17,20×4,20), რომლის ფართი 72 კვ. მეტრს აღემატება. ღია დერეფნიდან აქვს მხოლოდ ერთი შესავალი — სადარბაზო კარი, რომელსაც შევყავართ ტრადიციულ ვრცელ სასტუმრო დარბაზში (7,40×7,40), რომლის ფართი 55 კვ. მეტრს აღწევს.

დარბაზში შემსვლელის ყურადღებას იტაცებს კონუსურად აწეული გუმბათური, ე. წ. „გვირგვინული", ჭერის სიმშვენიერე, რის გამოც პირველი შთაბეჭდილება ძალზე ძლიერი და დაუვიწყარია (ტაბ. 45, იხ. ჭრილი).

აღნიშნული ოდის ხალხურ ხუროთმოძღვარ-მშენებელს კონსტრუქციული ტრადიციები შემოქმედებითად გამოუყენებია და დიდი ოსტატობით მოუძებნია სასტუმრო დარბაზის ზედა სივრცის ჭერის აღქმის ხელოვნება.

სასტუმრო დარბაზის გუმბათური გადახურვის ფუძე წარმოადგენს კვადრატს, რომლის პერიმეტრი შემკობილია მცენარეული მოტივის კვეთილჩუქურთმოვანი არშიებით, ხოლო გუმბათის ზედაპირზე ცენტრიდან გამოსხივების სახით აკრულია სექტორული მოხაზულობის ფიცრები, ცენტრში კი ხის მოჩუქურთმებული ვარდულია ჩამჯდარი (იხ. გუმბათის გეგმა და ჭრილი).

დარბაზის სიმაღლე იატაკიდან გუმბათურ ჭერამდე 510 სმ აღწევს, რაც დარბაზის ინტერიერს გრანდიოზულ და ძლიერულ სახეს ანიჭებს, დანარჩენი სათავსოები 310 სმ სიმაღლისაა.

სასტუმრო დარბაზის უკანა კედელი დასაშლელ-ასაწყობი კონსტრუქციის ტიხარს წარმოადგენს, რის მეოხებითაც შესაძლო ხდება სასტუმრო დარბაზისა და სასადილო დარბაზის გაერთიანება 90 კვ. მეტრზე მეტ საზეიმო დარბაზად.

გასახსნელ ტიხრებს შორის დატანებულია სასტუმრო დარბაზიდან სასადილო დარბაზში (7,20×5) გამავალი კარი. ბოლო სასადილო დაკავშირებულია უკან ლოჯიის ტიპის ღია აივანთან. ცენტრალური ადგილი უჭირავს სასტუმრო დარბაზს, რომლის მარჯვნივ და მარცხნივ აპარტამენტის მსგავსად სამ-სამი ოთახია ჩამწკრივებული.

გეგმის კომპოზიციის სიმეტრიულობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ ოდა-სახლის სივრცობრივი კომპოზიციის სიმეტრიულ გადაწყვეტასა და მის არქიტექტონიკურ სტრუქტურასთანაც.

საყურადღებოა, რომ ოდა-სახლის კომპლექსში არსებულ სათავსოებს სხვადასხვა სიმაღლე აქვთ, მათი ფართის სიდიდისა და დანიშნულების პროპორციულად.

ვრცელი სასტუმრო დარბაზის (55 კვ მ) ჭერი უფრო მაღალია (510 სმ), ვიდრე მის ირგვლივ განლაგებული ოთახებისა (20—25 კვ. მ., სიმაღლე 310 სმ) (ტაბ. 45, იხ. ჭრილი).

სათავსოთა ფართის შესაბამისად სიმაღლეების მოხდენილი შერჩევა და მათი გარკვეულ კანონებზე დამყარებული ვარიაციები მიღწეულია სახურავსქვეშ არსებული სივრცის (თავანის) გამოყენების გზით, რაც სამშენებლო მოცულობის მაქსიმალურ გამოყენებასა და ფართის და სიმაღლის (მოცულობის) „პროპორციულობის კანონების" ცოდნაზე მეტყველებს. ეს არის ხალხურ-ხუროთმოძღვარ-მშენებლის მიერ მემკვიდრეობით მიღებული ხუროთმოძღვრულ-სამშენებლო ხალხური ტრადიციების სინთეზური გადამუშავების ვირტუოზული გადაწყვეტა, რაც კოლხური კულტურის ერთ-ერთ საყურადღებო შენაძენად უნდა ჩაითვალოს.

კონსტრუქციული სტრუქტურისა და სივრცობრივი კომპოზიციის შესახებ არაფერს ვიტყვით, ვინაიდან იგი არაფრით განსხვავდება ნაშთური ჭდობით აგებული ზემოგანხილული ფიცრული ოდებისაგან. აღნიშნული ოდა-სახლი აგებულია წაბლისა და თელის ხისაგან. ზეპირი გადმოცემით იგი აუგიათ ლაზ ხელოსნებს დაახლოებით 1870-72 წ. წ. აქვე უნდა დავძინოთ, რომ კოლხური ოდა-სახლის ამ სახის იდენტური ტიპები დამოწმებული გვაქვს აგრეთვე სამეგრელოში, გურიაში, იმერეთში, კახეთსა და საინგილოში.

[1] „Дом деревянный и совершенно одинакового типа с теми, которые строят себе самые богатые и могущественные князья в Мингрелии, Имеретии и Гурии.

Дом поддерживается на высоте первого этажа деревянными сплошными стенами или столбами с врубленными в них перекладинами; внизу находится конюшня; вокруг дома проходит галлерея, выступающая над нижней частью строения.

Внутри дом состоит из нескольких довольно больших комнат." (Ф. Дюбуа, დასახელებული ნაშრომი, გვ. 116—117).

# თანამედროვე ხალხური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დღევანდელი ვითარება

ამ საკითხის ვრცლად გაშუქება ჩვენ აქ მიზნად არ გვაქვს დასახული, ვინაიდან იგი ცალკე შესწავლის საგანია[1].

საჭიროდ ვთვლით რამდენიმე სიტყვით შევეხოთ ხალხური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დღევანდელ ვითარებას. ახალ სახლებზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად აქ მოტანილი გვაქვს ხუთი თვალსაჩინო მაგალითი (სურ. 84, 85, 86, 87, 88).

თანამედროვე ხალხური საცხოვრებელი სახლების მასობრივი მშენებლობა ძირითადად ხალხური ძველი ხუროთმოძღვრული ტრადიციების გამოყენებით მიმდინარეობს.

აფხაზეთის ტერიტორიაზე დღეისათვის მასობრივი მშენებლობა მიმდინარეობს სამი და ოთხოთახიანი ტრადიციული ოდა-სახლების გეგმის კომპოზიციის მიხედვით, ცვლილებები მეტად უმნიშვნელოა, ზოგჯერ გაუმჯობესებულად გამოიყურება, ზოგჯერაც ძველ ტრადიციებზე უფრო მდარეა.

საგულისხმოა, რომ ახალ სახლებში თითქმის ყველგან შენარჩუნებულია ძველი ოდა-სახლის დამახასიათებელი ელემენტი „აბარწა“ და „პალატი“ — ახალი სახლები ყველა ორსართულიანია (სურ. 84, 85, 86, 87, 88). ტრადიციული პალატის სართული მეტწილად გამოყენებულია საცხოვრებლადაც და სამეურნეო დანიშნულებისთვისაც.

ახალ მშენებლობაში ოდის საკედლე მასალად არსად არაა გამოყენებული ხე, ის უკვე განდევნა აგურმა და ადგილზე პრიმიტიულად (ხელით) დამზადებულმა მცირე მოცულობის ბლოკებმა (ბრიკეტმა). ასეთი ბლოკებისაგან აგებული სახლები მეტწილად შელესილია ცემენტის ხსნარით.

ჩვენ მიერ ფიქსირებული ახალი სახლები აგებულია ერთი ან ნახევარი აგურის სისქის კედლებისაგან[2]. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ხალხური სახლების ახალ მშენებლობაში ვხვდებით რკინისა და ბეტონის დაუზოგავი ხარჯვის შემთხვევებს ყოველგვარი კონსტრუქციული გაანგარიშების გარეშე.

სახლის კომპოზიციაში მთავარი ყურადღება ეთმობა გარედან მიდგმული კიბის არქიტექტურას, რომელიც ხშირად გადაჭარბებული სიდიდითა და ხელოვნურად კართულებული — „გრანდიოზული“ ფორმით ხასიათდება (სურ. 87, 88).

დამოწმებულია აგრეთვე ისეთი უჩვეულო შემთხვევები, როდესაც მეორე სართულზე ასასვლელი გარედან მიდგმული კიბე, როგორც „დამოუკიდებელი“ ნაგებობა, სახლის აშენებამდეა აგებული, თითქოს კიბე კი არ ედგმის სახლს, არამედ სახლი უნდა მიედგას შემდეგ კიბეს. ცხადია, დაცული აღარაა არც მასშტაბი, არც სახლის ხუროთმოძღვრულ-მხატვრულ დამუშავებასთან საერთო კავშირი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ხალხური სახლების ახალი მშენებლობა სოფლად ქალაქის მშენებლობის აშკარა გავლენას განიცდის. ეს განსაკუთრებით იგრძნობა სივრცობრივი კომპოზიციების მხატვრულ დამუშავებაში, სადაც შეხვდებით ქალაქის (საკურორტო) მშენებლობიდან მექანიკურად შემოტანილი, ოდა-სახლებისათვის შეუფერებელი დამძიმებული, ტლანქი ელემენტების გამოყენების შემთხვევებს. ასე, მაგალითად, ქალაქის დიდი მოცულობის შენობათა მონუმენტური არქიტექტურიდან გადმოღებულია სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის ბალიასინები (რიკულები), რკინა-ბეტონის არქივოლტიანი თაღედები, ვარდულები, პილონები და სხვ.

აღნიშნული ხუროთმოძღვრული სამკაულების ამ სახით ამოკრეფილი ელემენტები ტრადიციული ოდა-სახლის კომპოზიციური სქემისათვის სრულიად შეუფერებელ სამოსელს წარმოადგენს და სრულ ეკლექტიზმამდე მიჰყავართ.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველი ხალხური ხუროთმოძღვრული ტრადიციების შესწავლისა და სათანადო მეცნიერული დასკვნების საფუძველზე საჭიროა შეიქმნას საკოლმეურნეო სახალხო მშენებლობისათვის ხუროთმოძღვრულ-მხატვრული ღირებულების სრულყოფილი ტიპიური პროექტები, რათა თავიდან ავიცილოთ ზემოაღნიშნული ყოველგვარი უხამსობანი თანამედროვე სოფლის სახალხო მშენებლობაში.

---

[1] სწორედ ამ საკითხების შესწავლას ეძღვნება რ. მეფისაშვილის შრომა — «საქართველოში კოლმეურნეთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საკითხი», თბ., 1959 წ.

[2] აღნიშნული სახლების მშენებლობას 15—20 წლის ისტორია აქვს.

# თავი მეექვსე

## სამეურნეო ნაგებობანი

აფხაზეთის ჰავა და ადგილობრივი ბუნებრივი ფაქტორები ხელს უწყობდა მეურნეობის მრავალფეროვანი დარგების განვითარებას. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მკვიდრი მოსახლეობა უძველეს დროიდან მისდევდა როგორც მესაქონლეობას, ისე სხვადასხვა მარცვლეული კულტურისა და მებაღეობა-მევენახეობის განვითარებას.

ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემით დასტურდება, რომ „ესე აფხაზეთი შემკული არის ყოვლითა ნაყოფიერებითა და ჰავითა, რამეთუ ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი. ხილნი, ვენახნი, პირუტყვნი და ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი“[1].

ეჭვი არ არის, პირველი სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა, ცხოველის მოშინაურების დღიდან, თვით საცხოვრებელი სახლის სისტემაში ჩაისახა.

ასევე საცხოვრებელი სახლის სისტემაში ჩაისახა სხვადასხვა მარცვლეულის დასაუნჯებელი დიდი კიდობნები და შიგ სახლში „შედგმული მცირე ბეღლები“.

წინაკლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი საცხოვრებელი სახლის რთული კომპლექსი, რომლის ერთსახურავქვეშ გაერთიანებულია საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების სათავსოები, მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებასთან ერთად, დიფერენციაციას განიცდის; ვინაიდან „ოჯახის რიცხობრივი ზრდა და ქონების დაგროვება მოითხოვს ბინის გაფართოებას და სამეურნეო ხასიათის სხვა ნაგებობათა აშენებას, ამ მიზნით ჩნდება ახალი ტიპის ნაგებობანი: ბეღელი, ბოსელი და სხვა“[2].

აფხაზეთის ტერიტორიაზე დღემდე მოღწეულია მეცხოველეობის წარმოებასთან დაკავშირებული უძველეს ყაიდაზე აგებული სხვადასხვა დანიშნულების სამეურნეო ნაგებობები, ასე, მაგალითად, ბოსელი — „აგვარა“ (მსხვილფეხა საქონლის სადგომი), „მარაკა“ — „აჳმაგვარა“ იგივე ფარეხი (წვრილფეხა საქონლის სადგომი), საღორე — „ოსქუ“ და სხვა.

სათანადო კლიმატურმა პირობებმა ხელი შეუწყო აგრეთვე მიწათმოქმედებისა და მებაღეობა-მევენახეობის განვითარებას. ამასთან დაკავშირებით წარმოიშვა სხვადასხვა სახის სამეურნეო ნაგებობები, რომლებსაც დღემდე შემორჩენიათ ადრინდელი სახე. როგორც შეგროვებული მასალებიდან ირკვევა, ადგილობრივ მოსახლეობაში ძველთაგანვე გავრცელებული ყოფილა ბეღელი, მარანი, სასიმინდე, საოჯახო წყლის წისქვილები, თამბაქოს საშრობი ფარდულები და სხვ.

ქვემოთ განვიხილავთ სამეურნეო ნაგებობის იმ ტიპებს, რომელთა ნაწილობრივი შეკრება მოვახერხეთ საკვლევი რაიონის ტერიტორიაზე.

## საქონლის სადგომები

**ბოსელი.** აფხაზეთის ტერიტორიაზე სამეურნეო ნაგებობათა შორის ბოსელი — „აგვარა“ ყველაზე უძველეს ნაგებობად ითვლება. ბოსელი გვხვდება ორი სახის: ერთია საზამთრო, ეზოში მოთავსებული, ხოლო მეორე—საზაფხულო, ე. წ. სეზონური, ალპური საძოვრების ზონაში განლაგებული.

[1] ვახუშტი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 171.

[2] ს. მაკალათია, საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში, თბ., 1945 წ., გვ. 8.



92. სოფ. ჭგერდი. ხის ტოტზე ჩამოკიდებული „მარაკა"

ალპურ ზონაში ნანგრევების სახით დღემდე შემორჩენილია ქვისაგან აგებულ საქონლის სადგომთა — „აგვარების" უძველესი ნაშთები, რომლებიც „აცანგვარების" სახელწოდებითაა ცნობილი (მათ შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი); რაც შეეხება საკარმიდამო ბოსლებს — გეგმაზე ესაა სწორკუთხა მოყვანილობის ერთგანყოფილებიანი სათავსო. აღნიშნული ბოსლები გვხვდება წნულკედლიანი, ჯარგვალური ან ფიცრული, სახურავი უმთავრესად ორქანობიანი აქვთ და იმდენად პრიმიტიულია, რომ სადღეისოდ მათ არავითარი ხუროთმოძღვრული ღირებულება არა აქვთ. შედარებით მეტ ინტერესს იწვევს წვრილფეხა საქონლის სადგომები. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ბოლო ხანებში ბოსლებად გადაკეთებულია წნული საცხოვრებლების ძველი ტიპები — ამჰარა ფაცხები და სხვ. დამოწმებულია აგრეთვე პალატის ერთ-ერთი განყოფილების ან კიდევ სასიმინდის ქვედა სივრცის (სართულის) ბოსლად გამოყენების მაგალითები.

აფხაზეთის ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლის სის-



93. სოფ. ხოფი. ხეზე შედგმული წნული „მარაკა"

ტემაში ბოსლის დაგეგმარების თვალსაჩინო ილუსტრაციას წარმოადგენს ჩვენ მიერ ზემოაღნიშნული აფხაზურ-სვანური ტიპის საცხოვრებელ სახლში არსებული ბოსელი სოფ. საკენიდან (ტაბ. 32, 33).

**მარაკა.** სამეურნეო ნაგებობის ეს ტიპი, რომელიც ბოსლის კერძო სახეობას წარმოადგენს, ფართოდაა გავრცელებული აფხაზეთის მთის სოფლებში. ესაა წვრილფეხა საქონლის, მეტწილად თხების სადგომი (მას „აძკვარასაც" უწოდებენ, რაც აფხაზურ დიალექტზე „თხების სადგომს" ნიშნავს).

გეგმის კომპოზიციის მიხედვით მარაკები გვხვდება წრიული, ოვალური და სწორკუთხოვანი მოყვანილობისა. მათი სივრცობრივი კომპოზიციები გეგმების შესაბამისად წარმოადგენენ კონუსურ, ცილინდრულ და წახნაგოვან წნულკედლიან პრიმიტიულ, მაღალ ბოძზე შედგმულ მცენარეულ ნაგებობებს. როგორც გეგმის, ისე სივრცობრივი კომპოზიციები მჭიდროდ არის დაკავშირებული ნაგებობის ტექტონიკასთან.



94. სოფ. დურიფში. ბოძებზე შედგმული წვრილფეხა საქონლის სადგომი — „მარაკა" (სეროვ ხელ. სოხუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მასალებიდან)

მცირე ზომის მარაკების უმრავლესობა გეგმაზე წრიული მოხაზულობისაა და ხშირად ორიგინალურადაა შედგმული ხეებზე; სახურავი ისლით ან ჩალით დახურული კონუსური მოყვანილობისაა (სურ. 92, 93).

მარაკებზე ასასვლელად გამოყენებულია მისადგმელი დაკიბული მორები („ტკვაჯა"), ან კიდევ დახრილად მიბჯენილ რამდენიმე ძელზე ზემოდან წნული ლასტებია დაფენილი. მისი ბინადარი ისეა გაწვრთნილი, რომ ასეთ ასასვლელებზე სწრაფად ადის და ჩამოდის.

დიდი ტევადობის მარაკების მაგალითებად გამოგვადგება ხ. კვიწინიას მარაკა სოფ. ოთარადან (ოჩამჩირის რაიონი), ე. თარბას მაღალ ბოძებზე შედგმული მარაკა სოფ. დურიფშიდან (სურ. 63. 94).

მკითხველს არ უნდა ეუცხოვოს ასეთ პრიმიტიულ ნაგებობებზე ყურადღების გამახვილება. ვინაიდან ასეთი სახის ნაგებობებში ხშირად გადმონაშთების სახით მოცემულია ხელოვნური ნაგებობების ხუროთმოძღვრული და კონსტრუქციული სტრუქტურის პირველყოფილი საწყისი ელემენტები, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული საც-

ხოვრებელი სახლების წარმოშობისა და განვითარების შესასწავლად[1].

სალორე — „ოხჭუ". დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე ჯარგვალური კონსტრუქციის სამეურნეო დანიშნულების მცირე მოცულობის ზოგიერთი ნაგებობის არქაული ფორმა, რომელსაც გეგმაზე უჩვეულო მოხაზულობა აქვს. ასეთ ნაგებობათა ინდივიდუალურ მაგალითებს წარმოადგენენ ჯარგვალისაგან (მორული კედლებისაგან) აგებული სალორეები.

სოფ. აჩიგვარაში დ. შონიას კარ-მიდამოს განაშენიანებაში მდებარე სალორეს გეგმაზე სამკუთხედის მოხაზულობა აქვს (ტაბ. 46). კედლები ამოყვანილია მორებისაგან ჩვეულებრივი ნაშთიანი ჭდობით და საქონლის სადგომი ეზოს ასეთივე მოხაზულობის ერთ-ერთ კუთხეშია მოხდენილად ჩადგმული (ტაბ. 18).

საინტერესოა აგრეთვე სოფ. წარჩეში მ. აკირთავას ჯარგვალური ტიპის სალორე, რომელსაც გეგმაზე აგრეთვე სამკუთხედის მოხაზულობა აქვს. აქ ყურადღებას იქცევა ნაგებობის სამკუთხოვანი ფორმიდან ტრაპეციულ ფორმაზე გადასვლის ერთ-ერთი კერძო შემთხვევა (ტაბ. 46, II). როგორც აღნიშნული ნახაზიდან ჩანს, პირველი ოთხი რიგი მორებისა შეკრულია სამ წახნაგად, ხოლო მორების შემდეგი რიგი ტრაპეციულადაა აყვანილი.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სამეურნეო ნაგებობათა შესწავლა საყურადღებოა სხვა მხრივაც. ესაა ისეთი პრიმიტიული ნაგებობები, რომლებშიაც დამალულია ხის უძველესი კონსტრუქციული კვანძების ორიგინალური სახეები. ამრიგად, როგორც ირკვევა აღნიშნულ ნაგებობებში გადმონაშთების სახით დღესაც ვხვდებით უნიკალური ფორმებისა და კონსტრუქციული სტრუქტურის უძველესი ხერხების განმეორებას[2].

## ბეღელი და სასიმინდე

ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლის პერიოდიდან მოყოლებული ადამიანი მესაქონლეობასთან ერთად მიწათმოქმედებასაც ჰკიდებს ხელს, „საველე მეურნეობა ადამიანს სასოფლო მეურნეობის მთავარ დარგად ექცა, რომელზედაც მისი კეთილდღეობა უმჭიდროესად იყო დამოკიდებული"[3].

საველე მეურნეობის განვითარებასთან ერთად საჭირო გახდა მარცვლეულის შესანახის შექმნა. პირველ ხანებში იყენებდნენ ჩვენ დრომდე შემორჩენილ კიდობნებს ან დიდი მორებისაგან გამოღარულ კასრისმაგვარ ე. წ. „ბუყუნებს" (კასრ-ბეღელი).

მარცვლეულისა და ფქვილის შესანახი კიდობნებისა და დიდი ტევადობის უძველესი „ბუყუნების" არსებობა დამოწმებულია როგორც აფხაზეთში, ისე კოლხეთის სხვადასხვა კუთხეში[4].

უკანასკნელი პერიოდის გამოკვლევებმა დაგვიდასტურეს, რომ საქართველოში მარცვლეულს ინახავდნენ აგრეთვე მიწაში, რასაც ხორბლის ან ფქვილის დამარხვას უწოდებდნენ.

სამეურნეო ნაგებობების ასეთ უძველეს სახეებს ეკუთვნის ე. წ. „ხარო"[5] და „ღუი"[6] — მიწისქვეშა ორიგინალური ქვიტკირის ნაგებობები.

საბას განმარტებით ბეღელი არის „ფქვილისა და ხვარბლის დასამარხავი. უმცროსს ეწოდება ხალამბარი და მის უმცროსს „ჯიროლა" (სიტყვის კონა). ეჭვი არ არის სიტყვა „დასამარხავი" (დამარხვა) მიწაში ჩაფვლას — მიწის ქვეშ მოწყობილ საგანგებო ნაგებობებში მარცვლეულის ჩაყრას ან დამარხვას ნიშნავს. სიტყვა „დასამარხავი" აქ მიუთითებს ბეღლის, როგორც უძველესი სამეურნეო ნაგებობის, მიწისქვეშ მოთავსების ტრადიციაზე. როგორც ჩანს, სახელწოდება „ბეღელი" განვითარების შემდეგ საფეხურზე ამ დანიშნულების მიწისზედა სამეურნეო ნაგებობებსაც შემორჩა დღემდე.

ძველი ბეღლის ნიმუშები ადრინდელი სახით თითქმის არსად შემორჩენილა. ყველა გადაკეთებულია ან კიდევ ბეღლებად გამოყენებულია დაბალ ბოძებზე შედგმული ყოფილი ამბარები, რომლებიც გეგმაზე ერთოთახიან ღია დერეფნიან პატარა ოდებს მოგვაგონებს.

მარცვლეულის შესანახი ნაგებობაა სასიმინდეც, — ბეღლის სახესხვაობა. აღსანიშნავია, რომ სასიმინდის ტიპის ნაგებობები მათი დამახასიათებელი ხუროთმოძღვრული ფორმებით კოლხეთის ტერიტორიაზე არსებობდა ჯერ კიდევ

---

[1] შეიძლება ვიფიქროთ, რომ პირველყოფილ ადამიანს თავდაცვის მიზნით პირველი ხელოვნური ბინა «მარაკას» მსგავსად ხეებზე ჰქონდა მოწყობილი. ჩვენი აზრით «მარაკა» წნული ხალხური ფაცხის (აქვაცის) აშკარა პროტოტიპია. ამის საფუძველს იძლევა აქვაცის გეგმის წრიული მოხაზულობა და სახურავის პრიმიტიული კონუსური ფორმა, რომელიც მისი წინამორბედიდან მემკვიდრეობით უნდა ჰქონდეს მიღებული.

[2] სულხან საბა ორბელიანს ჯარგვალის (ჯირგვალის) განმარტებაში მოხსენებული აქვს ნაგებობის როგორც სამკუთხედად, ისე ოთხკუთხედად აგება «ძელნი მოჭდობილნი სამოთხ კუთხედად» (ლექსიკონი).

[3] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, ტფილისი, 1930 წ., გვ. 149.

[4] აღსანიშნავია, რომ გელათის მონასტრის ეზოში დღემდე დაცულია თხილის ხისაგან გამოთლილი უზარმაზარი «ბუყუნი» კასრ-ბეღელი), რომელიც 70 ფუთ მარცვლეულს იტევს. მორის მოყვანილობა ოვალურია, მისი დიდი დიამეტრი 171 სმ., სიმაღლე—225სმ., ხოლო კედლის სისქე — 8სმ. იდენტური «ბუყუნები» («ტახკა») დამოწმებული გვაქვს აგრეთვე საინგილოს ტერიტორიაზე და სამეგრელოში.

[5] თ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური საცხოვრებელი, თბ.,1960 წ., გვ. 44.

[6] ნ. რეხვიაშვილი, სამეურნეო ნაგებობა «ღუი» სამხრეთ საქართველოში, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1954 წ., XVIII, გვ. 255—268.



95. სოფ. ლიხნი. ორსართულიანი წნული სასიმინდე („აცა")

სიმინდის კულტურის შემოტანამდე[1]; აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების 1621 წ. გადაწერილი დიდ დავთარში, გლეხებზე დაწერილი ნატურგადასახადის სიაში სიმინდი არსადაა მოხსენებული[2]. სიმინდი არ ჩანს არც არქანჯელო ლამბერტის სამეგრელოში მოღვაწეობის პერიოდში (1633—1649),



96. სოფ. ლიხნი. ვ. კამლიას წნული სასიმინდე და კარ-მიდამოს საერთო ხედი

იგი აღნიშნავს, რომ „მეგრელებს დიდი გულმოდგინეობით მოჰყავთ ღომი (ჩვენებურად Panigo)"[3].

ლამბერტის ზემოდასახელებულ ნაშრომში მოტანილია იმავე პერიოდის ჩანახატები (კასტელისა), სადაც კოლხური კარ-მიდამოს საერთო ასახულობაში სხვა ნაგებობათა შორის აშკარად გამოირჩევა სასიმინდის ფორმის ტიპიური ნაგებობა, მაღალ ბოძებზე (გუხუებზე) შედგმული და ზედ მიყუდებული მისადგმელი კიბით. ეს ადასტურებს იმას, რომ დღევანდელი სასიმინდის ფორმის ნაგებობები არსებობდა ძველთაგანვე, როგორც სხვა სახის სურსათ-სანოვაგის შესანახი ნაგებობა და არა სასიმინდე; აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ტერმინები: „აცა" (აფხაზეთი). „ნალია" (გურია, იმერეთი), „ნანია" და „მალაზა" (სამეგრელო). რომლებიც დღეს ტიპიური სასიმინდეების აღმნიშვნელ ტერმინებად იხმარება, ძველად სხვადასხვა სახის მარცვლეულთა (ღომის—ჩხვერის და ფეტვის) საშრობ და დასაბინავებელ ნაგებობათა სახელწოდებები უნდა იყოს[4].

აფხაზეთის ტერიტორიაზე დღემდეა შემორჩენილი ძველი ტიპიური სასიმინდეების გარდა, უფრო მეტი სახესხვაობა, ვიდრე სხვა დანიშნულების სამეურნეო ნაგებობები.

მასალის მიხედვით გვხვდება: წნული. მესრული (ლარტ-

---

[1] სიმინდის კულტურა დასავლეთ საქართველოში პირველად შემოტანილი იქნა XVII ს. მეორე ნახევრიდან.

[2] სარგის კაკაბაძე, აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი, ტფ., 1914 წ.

[3] არქანჯელო ლამბერტი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 51.

[4] ახომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ნალის, როგორც სამეურნეო დანიშნულების ნაგებობის კონსტრუქცია მაშინ უნდა შეცვლილიყო, როდესაც ჩვენში სიმინდის კულტურა დამკვიდრდა, დაახლოებით XVI—XVII საუკუნეში. (ჯ. რუხაძე, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში, თბ., 1963 წ., გვ. 107).



97. სოფ. აჭანდარა. წნული სახიჭინდის ცალფა წნულით ჩაღობილი კედლის ფრაგმენტი



100. სოფ. ხალიფაური (ზემო იმერეთი). სახიჭინდის ჩუქურთმულად ჩაღობილი კედლის ფრაგმენტი



98. სოფ. ხანაპირი. წნული სახიმინდის ჩუქურთმულად ჩაღობილი კედლის ფრაგმენტი



101. სოფ. წირქვალი (ზემო იმერეთი) წნული სახიმინდის ჩუქურთმულად ჩაღობილი კედლის ფრაგმენტი



99. სოფ. კლასური. წნული სახიმინდის ჩუქურთჭულად ჩაღობილი კედლის ფრაგმენტი



102. სოფ. წარჩე. („კარაჩხული" წნულის ფრაგმენტი)

ყებისაგან შედგენილი), ფიცრული და ჯარგვალურკედლებია-
ნი სასიმინდეები.

უძველესი ტიპური სახეა წნულკედლიანი სასიმინდეები, რომელთა უნიკალური ნიმუშები დღემდე შემორჩენილია გუდაუთის, ოჩამჩირისა და სოხუმის რაიონებში (სურ. 95, 96, ტაბ. 47). წკნელისაგან დაწნული სასიმინდის კედლები გვხვდება ორი სახის: მარტივი-ლოპური წესით, ცალუა წკნელით ჩალობვა (სურ. 97) და რთული — სამი წკნელის ერთდროული ჩალობვა სხვადასხვა ჩუქურთმის გამოსაყვანად (სურ. 98, 99).

საყურადღებოა, რომ ზემოთაღნიშნული დაჩუქურთმებულ-სახიანი წნულის სტრუქტურული სქემა და მოწვნის ტექნიკა ჩოწმდება კოლხეთის სხვა კუთხეებშიც — სამეგრელოში, იმერეთში (სურ. 98, 99 შეადარე სურ. 100, 101). მათი აშკარა იდენტურობა აიხსნება, ე. წ. კოლხური კულტურის მემკვიდრეობით.

წნულის ორიგინალური სახეა აგრეთვე თხილის ან წაბლის ხის მსხვილი ღეროებისაგან თხლად „დახსნილი" (3 — 4 მმ სისქის) გაბრტყელებული (30 მმ სიგანის) „ტკეცებისაგან" ირიბად დაწნული ე. წ. „კარაჩხული" წნული, რომელსაც, როგორც ზეპირი წყაროებიდან ირკვევა, ხმარობდნენ როგორც სასიმინდეების, ისე წნული საცხოვრებელი სახლების კარისათვის. ასეთი წნულის ერთ-ერთი დღემდე გადარჩენილ ფრაგმენტი მოტანილი გვაქვს სოფ. წარჩედან (სურ. 102). აქვე უნდა დავსძინოთ, რომ თავისი სახეობით „კარაჩხული"



101. სოფ. აჭანდარა. მესრულ-კედლებიანი ტიპური სასიმინდე



102. სოფ. დურიფში. მესრულ-კედლებიანი ტიპური სასიმინდე

წნულის სწორხაზოვანი გეომეტრიული მოტივის კომპოზიციური სტრუქტურა ძალზე ფართოდაა კოლხეთის ტერიტორიაზე (სამეგრელოში) აღმოჩენილ და შესწავლილ უძველეს კარის „გეღელში" — ხეზე კვეთილი ორნამენტის ხალხურ კომპოზიციაში (საქართველოს სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილება). მსგავსი მაგალითები დამოწმებულია აგრეთვე აჭარაში, სვანეთში, ქართლში და სხვ. ამიტომ მას კოლხური წნულის (ქართული ჩუქურთმის) ძველეს სახედ ვთვლით.

ცხოველ ინტერესს იწვევს აგრეთვე დღემდე შემორჩენილი ოდითგან [illegible] სასიმინდის ტიპი, რომელსაც, სიმინდის თუ ღომის [illegible] გამოიყენებენ [illegible], სრულიად არა აქვს სახურავი. [illegible] ბოძებზე შედგმულ [illegible] წნულ გოდორს [illegible] ან „კოლოფს"[1] ეწოდება. აღსანიშნავია, რომ იმერეთსა და ქართლშიც სასიმინდეს, რომელიც წნელისაგან არის მოწნული, [illegible] ეწოდება. ა. მილერს[2] ჩერქეზების არქიტექტურიდან დამოწმებული აქვს ასეთი სასიმინდის იდენტური მაგალითები, რომლებიც სასიმინდეთა და ბეღლის ნაგებობათა პროტოტიპებად მიგვაჩნია.

საინტერესოა აგრეთვე გაგრის, გუდაუთის და ოჩამჩირის რაიონებში გავრცელებული ლარტყებისაგან აგებული ე. წ.

---

[1] ზუგდიდის, გალის და ოჩამჩირის რაიონებში სასიმინდეს [illegible] ეძახიან.

[2] А. Миллер. Черкесские постройки. Материалы по этнографии России, т. II, 1914г., стр. 74.

მესრულკედლებიანი სასიმინდეები. მსგავსი მაგალითები მოწმდება აგრეთვე სამეგრელოში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში და სხვ. მესრული კედლების ასაგებად გამოყენებულია თლილი ან ხერხული ბრტყელი რიკულებისმაგვარი მოკლე ლარტყები, შვეული ან ირიბული წესით მიკრული ხის ჩონჩხედურ სისტემაზე (სურ. 44, 103, 104, ტაბ. 48). კედლების ასეთი აგებულება ხელს უწყობს განიავებას, რაც აუცილებელია ზღვისპირა ჭარბი ნოტიო კლიმატის პირობებში.

ფიცრული და ჯარგვალურ-ძელური სასიმინდეები გვხვდება გალისა და ოჩამჩირის რაიონებში როგორც მთის, ისე ბარის ზონის სოფლებში.

საკვლევ ტერიტორიაზე დღემდე მოღწეული ძველი სასიმინდეები გვხვდება ერთგანყოფილებიანი და ორგანყოფილებიანი, დერეფნიანი და უდერეფნო. აღსანიშნავია, რომ მათი გეგმების კომპოზიციები არაფრით განსხვავდებიან ერთ და ოროთახიანი ტიპიური დერეფნიანი ოდების გეგმების კომპოზიციებისაგან. (ტაბ. 47. 48 შეადარე ტაბ. 34, 37, 38, 39, 40, იხ. გეგმები).

სასიმინდეების მთავარ ხუროთმოძღვრულ დამახასიათებელ კომპოზიციურ ელემენტს წარმოადგენს მხატვრულად დამუშავებული პატარა დერეფანი, რომლის მოაჯირეებისა და არშიების დამუშავების ტექნიკა და ხუროთმოძღვრული მოტივები იმეორებენ ოდა-სახლების ტრადიციული დერეფნების მხატვრულ დამუშავებას (ტაბ. 40, შეადარე ტაბ. 48).

როგორც აღვნიშნეთ, სასიმინდე აუცილებლად მაღალ ბოძებზე უნდა იყოს შედგმული, ამიტომ იგი ორსართულიან ნაგებობად ითვლება, — პირველი სართული ბოძებს შორის შექმნილი ფარღია გადახურული სივრცეა (ღია ფარდული) და გამოყენებულია სხვადასხვა დანიშნულების სამეურნეო პროცესისათვის (სიმინდის დასაფშვნელად, თამბაქოს საშრობად, შეშის შესანახად, სხვადასხვა ინვენტარის დასაწყობად, საზაფხულო ბოსლად და სხვ.).

ტიპიური სასიმინდის ადრინდელ ნაგებობათა უმრავლესობა მცირე ტევადობისაა (10—12 კუბ. მ.), ხოლო გვიან პერიოდში აგებული სასიმინდეები საგრძნობლად დიდია (20 — 30 კუბ. მ.). ეს გამოწვეული იყო სიმინდის ნათესების გადიდებით, განსაკუთრებით XIX ს. მეორე ნახევრიდან, როდესაც დაიწყო სიმინდის მასიური გაყიდვა უცხოეთში[1].

საყურადღებოა აგრეთვე ისეთი ტრადიციული მაგალითები, როდესაც სასიმინდის ქვედა სართული წარმოადგენს წნულკედლიან, ფიცრულ ან ქვიტკირისაგან ამოყვანილ-დახურულ სათავსოს და გამოყენებულია სხვადასხვა სახის სამეურნეო დანიშნულების სათავსოებად (ბეღელი, მარანი საბძელი, ბოსელი და სხვ.).

ასევე ყურადღებას იქცევს ტრადიციული ერთსახურავქვეშ გაერთიანება ცალ-ცალკე მდგომი ორი ან სამი სასიმინდისა, რომლებიც ერთმანეთთან შუა ღია დერეფნითაა დაკავშირებული (ტაბ. 49). გეგმისა და სივრცობრივი კომპოზიციის თვალსაზრისით ისინი არაფრით განსხვავდებიან ტიპიური წაგრძელებული საცხოვრებელი სახლისაგან (ტაბ. 31 შეადარე ტაბ. 49, სურ. 67. 68, 69).

ორიგინალური ხუროთმოძღვრული კონსტრუქციული გადაწყვეტის თვალსაზრისით საყურადღებოა აგრეთვე ჭიშკრის ბოძებზე შედგმული მცირე ტევადობის სასიმინდეები (სურ. 44).

დასასრულ უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებული ძველი სასიმინდეების იდენტური ტიპები დამოწმებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და მის საზღვრებს გარეთაც.

## მ ა რ ა ნ ი

სამეურნეო ნაგებობათა შორის თავისი წარმოშობისა და დანიშნულების თვალსაზრისით საქართველოში ერთ-ერთი უძველესი ნაგებობაა მარანი, რომელშიაც წარმოებს ღვინის დაყენების ტრადიციული პროცესი. იგი განკუთვნილია აგრეთვე ღვინის შესანახად. აქვე ინახება ღვინის დაყენებისა და შენახვისათვის საჭირო ყველა ჭურჭელი და მოწყობილობა.

მარნის წარმოშობის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული მევენახეობის ისტორიასთან — ვაზის კულტურის განვითარებასთან.

აფხაზეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური ფაქტორები საუკეთესო პირობებს ქმნიდა ვაზის კულტურის განვითარებისათვის, ამიტომ აბორიგენული მოსახლეობა მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად უხსოვარი დროიდან მისდევდა ვაზის მოშენებას. ძველთაგან აქ გავრცელებული იყო მხოლოდ მაღლარი — „ხეზე გაბმული“ ჯიშები, რომლებიც არ მოითხოვდა განსაკუთრებულ მოვლას[2].

საბას განმარტებით მარანი ნიშნავს „საღვინე სახლს“, რომელშიაც ინახავდნენ ღვინოს. ამ განმარტების მიხედვით მარანი წარმოგვიდგება, როგორც ცალკე მდგომი ნაგებობა, ცალკე „სახლი“ ან კიდევ ცალკე სართული. წერილობით წყაროებში მარანი მოხსენებულია როგორც ცალკე მდგომი, ისე საცხოვრებელ ან სხვა დანიშნულების სამეურნეო ნაგებობასთან ერთ სახურავქვეშ გაერთიანებული ნაგებობა.

ივ. ჯავახიშვილს მოტანილი აქვს ამ სახის XI საუკუნის წერილობითი ცნობები, სადაც ნათქვამია: „ნიკოლას წმიდას შევქმენ... მარანი ქვითკირი და დავფალ შიგან ჭური ნავარძიელი“, „შევქმენ საწირეს მარანი მუხისა და დავფალ შიგან ჭური და დავდგი ზედა ბეღელი ხერხული“[3]; ასეთი ცნობების მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ზემოთქმულის დასამოწმებლად ესეც საკმარისად მიგვაჩნია.

---

[1] პ. გუგუშვილი, სიმინდის მეურნეობა ამიერკავკასიაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VII, № 4. 1946 წ.

[2] ასეთ ჯიშებს ეკუთვნოდა: ოჯალეში, კაბისონი, ხარდანი, კამური, იზაბელა და სხვა.

[3] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1946 წ., გვ. 60.

აფხაზეთში მარანი — „ოლაგვანე“ — ყოველგვარი ნაგებობის გარეშე საჩრდილობელ ხეებს შორის, ღია ცისქვეშ მიწაში ჩამარხული ქვევრების (ლაგვანების) ადგილს ეწოდება. აქვე იცოდნენ (გალისა და ოჩამჩირის რაიონებში) ყურძნით სავსე — „დერგების“ ჩამარხვაც (საბას განმარტებით დერგი არის „ჭური უმცირესი“).

ღვინის შენახვის ასეთი ტრადიცია კარგად აქვს აღწერილი თავის დროზე დიუბუა დე მონპერეს[1]; არა მარტო აფხაზეთში, არამედ კოლხეთის მთელ ტერიტორიაზე ღვინის შენახვის ასეთი ტრადიციის უპირატესობა, ხალხური დაკვირვებით, ძველთაგანვე იყო შემჩნეული[2]; ამიტომ „აფხაზეთში ღვინის ქვევრები ღია ცის ქვეშ იყო მოთავსებული[3];

ამრიგად, საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა მარანი ხის ძირას მიწაში ჩაფლული ქვევრების (ლაგვანების) სახით, ყოველგვარი ნაგებობის გარეშე, ეს იყო ე. წ. „ღია მარანი“ (დასავლეთ საქართველო). ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ მარანი თავდაპირველად ამ სახითაა წარმოშობილი და უნდა იყოს არა ნაგებობის სახელწოდება, არამედ ღვინის ხანგრძლივად შესანახი დიდი თიხის ჭურჭლის სახელწოდება[4], ხოლო შემდეგ ამ დანიშნულების ნაგებობებსაც შერქმევია.

ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად კლიმატურ-ბუნებრივი პირობების ზეგავლენის შესაბამისად სხვადასხვა მხარეში საჭირო გახდა ამ დანიშნულების (მარანის) ცალკე ნაგებობა, სადაც ქვევრების ჩამარხვა წარმოებს შიგ, დახურულ შენობაში. ამ სახით წარმოიშვა ქართული მარანი, როგორც ღვინის დასაყენებელი და შესანახი დახურული ნაგებობა, ე. წ. „დახურული მარანი“ (აღმოსავლეთ საქართველო).

ღვინის დასაყენებლად ყურძნის დასაწნეხი ინვენტარია საყოველთაოდ ცნობილი საწნახელი, რომელსაც აქ ოჭინახე ეწოდება. ტერმინი ოჭინახე (მეგრული დიალექტია) გავრცელებულია გალის, ოჩამჩირის, სოხუმის, გაგრის და ნაწილობრივ გუდაუთის რაიონებში. როგორც ცნობილია, საქართველოში საწნახელი (ოჭინახე) კეთდება ცაცხვის ხის მთლიანი მორისაგან, რომელიც ნავისებურადაა ამოღარული. დამოწმებული გვაქვს აგრეთვე ქვიტკირის, ცემენტისა და ერთი მთლიანი ქვის ლოდისაგან (გრანიტისაგან — იმერეთში) დამზადებული საწნახლები. მაგრამ მათ შორის თავისი ორიგინალობითა და პირველყოფილი ფორმით ყველაზე საინტერესოა აფხაზეთში არსებული წნული ოჭინახეს დამზადების უძველესი ტრადიცია, რომლის ნაშთები დღესაც შემორჩენილია ძველ ნამოსახლარ ადგილებში[5]. ოჭინახეს დამზადების ასეთი წესი დაწვრილებით აქვს აღწერილი აფხაზეთის მკვლევარს ტორნაუსაც[6].

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთში პალატიანი ოდების გავრცელების პერიოდიდან მარანი, როგორც ძველი ქართული საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთი შემადგენელი ტიპიური სათავსო, უკვე ორსართულიანი პალატიანი ოდასახლის სისტემაში გადააქვთ. ამრიგად, აფხაზეთის სინამდვილეში ოდა-სახლის პალატის ორი განყოფილებიდან ხშირად ერთი განყოფილება მარანს აქვს დათმობილი (ტაბ. 28, 37, 43, 44 იხ. პალატის გეგმები).

## წყლის წისქვილები

საქართველოს რთული ტოპოგრაფიული რელიეფისა და მთის ჩქარი მდინარეების (წყლის ენერგიის) სიუხვის გამო წყლის წისქვილი ძველთაგანვე ფართოდ იყო გავრცელებული ყველა კუთხეში. არ მოიძებნება საქართველოში არც ერთი კუთხე, რომ მგზავრი არ შეხვდეს სადმე ღელეში ჩადგმულ პატარა ტიპიურ წისქვილს-ბუჭულას[7].

წისქვილის გამოგონების ისტორია წყვდიადითაა მოცული; რიგი მეცნიერები წყლის წისქვილის პირვანდელ გამოყენებას მხოლოდ რომაელებს მიაწერენ, რიგი კი შესაძლებლად

---

[1] „Абхазцы сохраняют свое вино в больших кувшинах и зарывают их в землю... где-нибудь под деревом близ дома» (Дюбуа де Монпере, Путешествие вокруг Кавказа, том I Сухум. 1937г., стр. 135)

[2] ხალხური დაკვირვებით აი, რა უპირატესობა აქვს «ღია» მარანს» «ღია ადგილზე ჭური ჰაერს პოულობს, ღამის ჰაერის სიგრილე ხვდება» «ჭურს თუ არ აწვიმს, არ ვარგა, ჭურის გვერდი არ უნდა გაშრეს, გრილი და ნოტიო უნდა იყვეს». ზაფხულში ჭურის თავი ჩრდილში უნდა იყოს, ამიტომ იგი მუდამ «შემორაგულია ხეებით, მზე არ აჭერს» (ნ. თოფურია, ქართული მარანი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VII, თბ. 1955 წ., გვ. 146).

[3] იქვე, გვ. 135.

[4] ტერმინ «მარანის» შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს ნ. ბერძენიშვილს — მას დასაბუთებული აქვს, რომ «მარ» არის დიდი თიხის ჭურჭელი; ხოლო იმ ადგილს, სადაც იმარხებოდა მარები, სა-მარე ეწოდებოდა. «ამრიგად, მარანი ის ადგილია, სადაც მარები, ქვევრები იმარხებოდა» (ნ. თოფურია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 132).

[5] ზეპირი გადმოცემით, ძველად ოჭინახეს აკეთებდნენ კარ-მიდამოზე წინასწარ არჩეულ მაღლობ ადგილას ოვალურად ამოთხრილ ორმოს, რომელსაც ძირიდან ამოლობავდნენ «ძარასაეთი», ან კიდევ პირდაპირ ამოულობავად, ორმოს კედლებს შელესავდნენ «საგკიმეჲ» თიხით (4—5 სმ. სისქით, შემდეგ ფრთხილად ჩააწყობდნენ შიგ შეშას და ნელ ცეცხლს ჩაანთებდნენ. მეორე დღეს ზემოდან დააყრიდნენ დიდძალ შეშას, რომელსაც უმატებდნენ ყოველდღე, და ასე იწვოდა 5—6 დღე. რამდენიმე დღის შემდეგ ამოასუფთავებდნენ და უკვე მზად იყო თიხისაგან გამომწვარი (კერამიკული) ოჭინახე, რომელიც ახლანდელ ყოველნაირ საწნახელს სჯობდა. ოჭინახეს ზემოდან დახურავდნენ ისლით, ჩალით ან გვიმრით კედლები არ პირდებოდა (ზეპირი გადმოცემა ეკუთვნის სოფ. არასაძიხის მცხ. 110 წლის მოხუც დომენტი ძაძბას).

[6] ტორნაუ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 37.

[7] საბას განმარტებით ბუჭულა არის «პატარა წისქვილი», ხოლო წისქვილი «დიდი საფქველი» (სიტყვის კონა).

მიიჩნევს მცირე აზიასა და კავკასიაში[1]. მეორე მოსაზრება ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოა, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ძველი ურარტუს სახელმწიფოს მიწა-წყალზე კლდეში გამოკვეთილ გამოქვაბულებში, აღმოჩენილია წყლის წისქვილების ყველაზე ადრინდელი ნაშთები, რომლებსაც ურარტუს კულტურას აკუთვნებენ[2]. ეს აზრი კიდევ უფრო განამტკიცა და სხვადასხვა წყაროებით დაასაბუთა აკად. გ. წერეთელმა; მისი აზრით, წყლის წისქვილები ანტიკურ რომზე ადრე ურარტუსა და საქართველოში უნდა ყოფილიყო გამოყენებული[3].

ცნობილია, რომ მარცვლეული კულტურების საკვებად გამოყენებას ადამიანმა უხსოვარი დროიდან მიმართა, ამიტომ მარცვლეულის მექანიკური დამუშავების ტექნიკაც მაშინ უნდა დაწყებულიყო: ჯერ პრიმიტიულად — ქვით ნაყავდა მარცვლეულს, ხოლო შემდეგ გაუმჯობესებული ტექნიკური საშუალებით ახერხებს ფქვილის მიღებას.

ამრიგად, ადამიანი პირველ ხანებში ქვისაგან გაკეთებული ხელსაწყოს ანუ „ხელქვის" მეშვეობით ფქვავდა მარცვლეულს. ამ ხელსაწყოს ხელით ამოძრავებდა; უთუოდ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ თითქმის ყველგან დღემდე შემორჩენილია სახელწოდება „ხელსაფქველი". ეს არის თანამედროვე წისქვილის წინაპარი, ხორბლის პირველყოფილი საფქველი მანქანა, რომელიც სამეგრელოსა და აფხაზეთის რაიონებში (გალის, ოჩამჩირის და სოხუმის რაიონებში) „სქიბუს" სახელწოდებითაა ცნობილი. „ხეშ სქიბე" — დღევანდელი გაგებით — არის ადამიანის ხელით მომქმედი საოჯახო პატარა წისქვილი, რომელსაც წყლის ძალის გამოყენების შემდეგ დაერქვა „წისქვილი"[4].

ასეთი „ხელწისქვილების — სქიბუს" ქვები დღესაც შემორჩენილია აფხაზეთის ზოგიერთ სოფელში.

XIX ს. მიწურულამდე „ხელწისქვილები" თითქმის ყველა ოჯახში ჰქონდათ გამართული"; აფხაზეთის ეთნოგრაფი პ. გიორგაძე გადმოგვცემს, რომ „ზოგიერთ ადგილას აფხაზი ქალი დღესაც თავისი ხელით ყოველ დილა-საღამოზე ატრიალებს პატარა ხელის წისქვილს და ამით კვებავს მთელს სახლობას"[5]:

ძველ ქართულ წერილობით წყაროებში ტერმინი „წისქვილი" ხშირად არის მოხსენებული[6]. მაგრამ თვით წისქვილის, როგორც ნაგებობის აღწერა ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. საქართველოში ტერმინული წყლის წისქვილის შე-



105. ხოფ. ტვიბრაშელი. ჯარგუალური ტიპიური ხაგვარიული წისქვილი

სახებ ცნობები მოცემული აქვთ აგრეთვე უცხოელ მოგზაურებს და მკვლევარებს[7].

„ერთადერთი, რაც შეიძლება ითქვას, ისაა, რომ წისქვილი სხვადასხვა სიდიდისა არსებობდა, სიდიდის საზომად თუალი იყო ძველადაც მიღებული[8].

წისქვილს უწოდებენ (მხედველობაშია წყლის წისქვილები) მარცვლეულის საფქვავ მანქანას, და ამისაგან ეწოდა იმ ნაგებობასაც, რომელშიაც ეს მანქანაა დადგმული. პირველი საინტერესოა მანქანების წარმოშობის ტექნიკის ისტორიის თვალსაზრისით, ვინაიდან „მანქანების განვითარების მთელი ისტორია შეიძლება განხილულ იქნას ხორბალსაფქვავი წისქვილების ისტორიის მაგალითზე"[9], მეორე — საინტერესოა ძველი სამშენებლო ტექნიკის თვალსაზრისით.

---

[1] ს. ბედუკაძე, წყლით მბრუნავი წისქვილები არაგვის ხეობაში. თბ. 1960 წ., გვ. 08.

[2] Belk — Lehmann. Forschugsreise der arueenichen Expedition, Vehandlungen d. Berl. anthrop Gesell, 1896.

[3] გ. წერეთელი, საქართველოს მუზეუმის ურარტული ძეგლები, თბილისი, 1939 წ.

[4] ტერმინი «წისქვილი» (წყლით დაფქვა — «წყლის ფქვილი») წყლისა და ფქვილისაგან ნაწარმოები სიტყვისაგან უნდა იყოს მიღებული.

[5] პ. გიორგაძე, აფხაზეთი და აფხაზი (საეთნოგრაფიო აღწერა), «ივერია» 1888წ., № 167.

[6] «წისქვილის» შესახებ ცნობები მოცემულია შემდეგ წყაროებში: ბასილ ზარზმელი, ცხოვრება და მოქალაქეობა სერაპიონ ზარზმელისა, თბილისი, 1935 წ., გვ. 159; ათონ: კრებ. 234, § 70; თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა და «ძეგლი» ვაჰხანის ქვაბთა, თბ., 1896 წ., გვ. 64 და სხვ.

[7] მ. ლორთქიფანიძე, ჰაბიბ იბნ მასალამას დაცვის სიგელი, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 29, თბ. 1951; A. Гастгаузен, Путевые впечатления и воспоминания, Закавказский край, I, Петербург. 1857;

I. Mourier, l'art au Caucase, Bruxells, 1912;

I. Klaprothe, voyage en mont Caucase et en Géorgie.

თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, II თბ., 1897, გვ. 17 და სხვ.

[8] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, თბ., 1946 წ., გვ. 68—69.

[9] კ. მარქსი, კაპიტალი, 1, თბილისი, 1954 წ. გვ. 442.

ჩვენი განხილვის საგანია მეორე — ე. წ. წისქვილის შენობები. წისქვილისათვის აგებულ შენობას ეწოდება „წისქვილის ქოხი-ფაცხა“, „წისქვილის სახლი“ ან კიდევ „წისქვილის ჯარგვალი“ და სხვ.

საშენი მასალის მიხედვით სადღეისოდ შემორჩენილია ფიცრული და ჯარგვალურკედლებიანი წისქვილები.

აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებული ტიპური საოჯახო წისქვილის ნაგებობას გეგმაზე კვადრატის მოხაზულობა აქვს. მისი სივრცობრივი კომპოზიცია ორქანობიანი დამახასიათებელი სახურავით ძალიან ჰგავს პატარა ბელელს — ხულას ან კიდევ, თუ წარმოვიდგენთ, დაბლა დადგმული სასიმინდის კომპოზიციას.

აღნიშნული წისქვილების მცირე მოცულობის ნაგებობანი თავისთავად არავითარ ხუროთმოძღვრულ შთაბეჭდილებას არ ახდენენ მნახველზე, რადგან მოკლებული არიან ყოველგვარ მხატვრულ დამუშავებას, მაგრამ ადგილმდებარეობის შერჩევისა და რელიეფთან შეხამებული ტრადიციული გადაწყვეტის წყალობით ჭეშმარიტად პოეტურ სანახაობას ქმნიან (სურ. 105, 106).

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ საოჯახო „ერთთვალიანი წისქვილები“ (ბუკულები) შეძლებულ ფენას შიგ კარ-მიდამოს ტერიტორიაზე ან, უფრო ხშირად, კარ-მიდამოს გარეთ, იქვე, ახლოს ჰქონდა მოწყობილი. ამისათვის საჭირო იყო კარ-მიდამომდე „ჩქარი“ რუს გადმოგდება, ან კიდევ „რუსხმულით“[1] წყლის გადმოყვანა. ასეთი ტიპური საოჯახო წისქვილები ჩვენ მიერ შესწავლილ ძველ კარ-მიდამოებზე



106. სოფ. ტვიბრაშელი. ჯარგვალური ტიპური „ბუკული“

სადღეისოდ თითქმის არსად შემორჩენილა: მოიპოვება მხოლოდ საზოგადოებრივი სარგებლობის პატარა წისქვილები, რომლებიც ჯგუფ-ჯგუფადაა განლაგებული საწისქვილედ არჩეულ რომელიმე მთის მდინარის ტერასებზე ან რუზე. რამდენიმე ასეთი წისქვილი (სამი-ოთხი) ეკუთვნის ერთ რომელიმე დასახლებულ უბანს ან გვარს, ამიტომ მათ საგვარეულო დანიშნულების წისქვილებს უწოდებენ. ამის თვალსაჩინო მაგალითია სოფ. ტვიბრაშელის საგვარეულო წისქვილების რამდენიმე ჯგუფი ამავე სახელწოდების მთის პატარა მდინარეზე საკენის ხეობიდან (სურ. 105, 106).

[1] საბას განმარტებით რუსხმული არის „მაღლა შეშენებული რუ“.

# თავი მეშვიდე

## ხალხური ჩუქურთმა და სხვადასხვა ნაკეთობანი

### ჩუქურთმა ხიზე

ქართული ხალხური საცხოვრებლის ინტერიერისა და ექსტერიერის ხუროთმოძღვრულ-მხატვრული დამუშავების ერთ-ერთი უძველესი ხერხია ხეზე კვეთილი ნაირსახეობა.

შენობის საყურადღებო ნაწილებისა და ავეჯის ჩუქურთმებით შემკობის ტრადიცია უძველესი დროიდან მომდინარეობს. „ორნამენტებს ხეზე საცხოვრებელი ნაგებობის კონსტრუქციაში საპატიო ადგილი ჰქონია განკუთვნეილი და გარკვეული ფუნქცია უტარებია"[1].

აფხაზეთის ტერიტორიაზე დღემდე კიდევ შემორჩენილია ძველი ხალხური ჩუქურთმების მრავალი საინტერესო ფრაგმენტი, რომელიც მეტყველებს უძველესი დროიდან მხატვრული დეკორის ტრადიციულ გამოყენებაზე.

ჩუქურთმული დეკორის ელემენტების ჩანასახი უნდა ვეძებოთ პრიმიტიული საცხოვრებლის წკნელისაგან დაწნული კედლის სიბრტყეში, რაც უძველესი დროიდან ფართოდ ყოფილა გავრცელებული კოლხეთის მთელ ტერიტორიაზე. როგორც ირკვევა წკნელებისაგან ფიგურული ღობვის ტექნიკა ჯერ კიდევ უძველეს ხანაში აღწევს სიბრტყის მხატვრული დამუშავების დონეს; ამის განუმეორებელი ნიმუშები დღესაც არსებობს (სურ. 98, 99, 100, 101).

განვითარების შემდეგ ეტაპზე ხით ხუროობაში დახელოვნებულ ხალხურ ხუროთმოძღვარს წნული ელემენტების ზოგიერთი მარტივი მხატვრული სახე ამოკვეთის წესით გადააქვს უკვე ჯერ ხეზე, შემდეგ ქვაზე.

საქართველოს ამ მხარეში სხვადასხვა დამპყრობთა, განსაკუთრებით რუსეთის ცარიზმის ბატონობის პერიოდში (XIX საუკუნის მანძილზე) მკვიდრი მოსახლეობის ეროვნულ დევნასთან ერთად დაქვეითდა ეკონომიური ძლიერება, ხოლო ამას მოჰყვა ხალხური ხელოვნების მთელი რიგი დარგების დაცემა და დაკნინება. ასეთმა ვითარებამ აფხაზეთის ტერიტორიაზე გაანადგურა ძველი ხალხური ხუროთმოძღვრული ძეგლების მრავალი საყურადღებო ნიმუში; განსაკუთრებით გაპარტახდა ჩუქურთმული დეკორი, იგი უკვე აღარ იყო ადრინდელი მოწოდებისა და მოთხოვნილების სიმაღლეზე — ამისათვის არავის ეცალა.

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ხალხური ორნამენტური დეკორი ეროვნული შემოქმედების დიდი სიყვარულისა და შინაგანი კულტურის ძალის მეოხებით კვლავ დიდხანს განაგრძობს არსებობას ინერციითა და თვითდინებით, რის გამოც ქართულმა ჩუქურთმამ თავისი მხატვრული ტაქტით წკნელისაგან მოწნულ კედლებში თუ ხეზე და ქვაზე კვეთილი სახით უნიკალურ ფრაგმენტებად მოაღწია ჩვენ დრომდე.

აფხაზეთის ტერიტორიაზე (ისევე როგორც კოლხეთის სხვა კუთხეებში ხის ჩუქურთმა დამუშავების ტექნიკის მიხედვით გვხვდება ორი სახის: 1. „გამოჭრილი", ე. წ. ამოხერხვის წესით მიღებული გამჭოლი „ჰაეროვანი ჩუქურთმები" და 2. ხის „ყრუ ფონზე" ამოკვეთილი რელიეფური ჩუქურთმები. პირველი ფართოდაა გამოყენებული ხალხურ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ექსტერიერებში ღია დერეფნების ხუროთმოძღვრულ-მხატვრულ დამუშავებაში (ტაბ. 50).

წინასწარ შერჩეული ჩუქურთმის მოხაზულობა ფიცარზე ამოიხერხება, მიღებული ჰაეროვანი ადგილები ქმნიან შერ-



107. ბიჭვინთა. საკურთხევლის იატაკის მოზაიკური მხატვრობის ფრაგმენტი

---

[1] გ. ჩიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე X, თბ., 1941 წ., გვ. 303.

ჩეული ჩუქურთმის თარგების ასლებს, რომელთაგან შექმნილი შუქ-ჩრდილის მრავალფეროვანი მხატვრული სახეები შენობის საერთო ასახულობას მაღალმხატვრულ-ხუროთმოძღვრულ იერსა და სიმსუბუქეს ანიჭებს.

მეორე — „ყრუ ფონზე" ამოკვეთის წესით მიღებული რელიეფური ჩუქურთმა — გამოყენებულია ინტერიერში ვრცელი ზედაპირების, საპირეების მოსართავად, ნაწილობრივ გამოყენებულია აგრეთვე ზოგიერთი არქიტრაული გადაწყვეტის ღია დერეფნის სვეტების მხატვრულ დამუშავებაში და სხვ. (ტაბ. 50). ჩუქურთმის ეს სახე ფართოდაა გამოყენებული ავეჯისა და სხვადასხვა ნივთის მხატვრულ დამუშავებაშიც.

ხალხურ ორნამენტულ დეკორში ყურადღებას იპყრობს ცალკეული სახოვანი ელემენტების — ემბლემური ფორმების თემატიკა, ე. წ. ჩუქურთმის კომპოზიციის სიუჟეტი. რომელშიაც გამოსახულია მთვარე, მზე, ფრინველი (მტრედი, ხოხობი, მამალი და სხვ.) ცხოველი (ირემი, შველი. ცხვარი, ხარი და სხვ.), გეომეტრიული და სტილიზებული მცენარეული მოტივები, მეანდრი (ტეხილი და მრუდხაზოვანი ლენტური ორნამენტი). ასევე გამოყენებულია „სიცოცხლის ხის" სიუჟეტები[1], რომელიც მრავალფეროვანი მოტივებისაგან შედგება, საერთოდ ლაზური ჩუქურთმის მოტივებად არის აღიარებული, გავრცელებულია მთელ საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ[2]. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ოდასახლის ღია დერეფნის სვეტის ბრტყელი კაპიტელების ამონახერხ ჩუქურთმებში გვხვდება გამრავლების ღმერთის „მაკე-მაკეს" სიუჟეტიც, რომელიც აბორიგენული მოსახლეობის უძველეს სარწმუნოებრივ-რიტუალურ ტრადიციებთან არის დაკავშირებული და სხვ. (ტაბ. 45)[3].

ამოხერხვის წესით მიღებული „ჰაეროვანი ჩუქურთმის" ფრიად საყურადღებო მაგალითს გვაძლევს ლეკალური მეანდრის მოტივით დამუშავებული სახურავის არშიები (ლენტური ორნამენტი); ამავე არშიების ქარგაზე დამზადებულია მხატვრული მოაჯირებიც, რაც იძლევა სხვადასხვა ვარიაციის შესაძლებლობას; იმავე ხასიათის მეანდრული ელემენტებითაა შესრულებული სვეტის ბრტყელი თავების პროფილირებაც (ტაბ. 35, 50).

როგორც ვხედავთ, ხუროთმოძღვრული ერთი ელემენტი (მეანდრი) აქ ასრულებს სხვადასხვა ფუნქციას: ერთ შემთხვევაში იგი სახურავის არშიაა, მეორე შემთხვევაში გამოყენებულია მოაჯირისათვის, ხოლო მესამე შემთხვევაში ბრტყელი კაპიტელების მოსამართავად გამოიყენება და სხვ. ცხადია, ეს ფაქტი მეტყველებს ხის მხატვრული დამუშავების მაღალ კულტურაზე, რომლის იდენტური მაგალითები დამოწმებული გვაქვს აგრეთვე სამეგრელოში, გურიაში, იმერეთში და სხვ.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ შენობის ერთი ელემენტის ასეთი ფართო მასშტაბით უნიფიცირების უძველესი ტრადიცია, რომელიც გამომგონებლური ხასიათისაა, შეიძლება გადამუშავებულ იქნას დღევანდელი მოთხოვნილების შესაბამისად და დაინერგოს თანამედროვე მშენებლობაში.

აღსანიშნავია. რომ ზემომოტანილი ლეკალური მეანდრის მოტივი თავისი მოხაზულობის ხასიათითა და ფუნქციური სახის ნიშნით ზუსტად იდენტურია ბიჭვინთაში აღმოჩენილი სამნავიანი ბაზილიკის (IV ს.) იატაკის მოზაიკის ჩარჩოში გამოყენებული მეანდრის მოტივისა (ტაბ. 50) მეანდრის მოტივი შეადარე (სურ. 107)[4].

ბიჭვინთის ხსენებული მოზაიკური მხატვრობის კომპოზიცია მეანდრის არშიაშია ჩასმული (სურ. 107), ხოლო ხალხური ოდა-სახლის ორნამენტულ დეკორში მეანდრი გამოყენებულია აგრეთვე. როგორც არშია[5], ოღონდ სივრცეში სახურავის კონტურის გარშემო კიდეებზე შემოვლების სახით (ტაბ. 50). აქვე უნდა დავძინოთ, რომ ბიჭვინთის მოზაიკური მხატვრობისა და ჩვენი ხალხური ორნამენტული დეკორის ნათესაური კავშირი მარტო მეანდრების იდენტურობაში როდი ჩანს.



108. ხოფ. მოქვ. გამჭოლი ამოხერხვით მიღებული მოჩუქურთმებული ხის ჯვარი

[1] „სიცოცხლის ხის" სიუჟეტი ამოცნობილი და შესწავლილია ქართველი მეცნიერის გ. ჩიტაიას მიერ (იხ. ზემოთ დასახელებული ნაშრომი).

[2] „ერთ დროს იმერეთს, რაჭას, ქართლსა და კახეთშიაც კი ხელოსნებად და სახლების მკეთებლებად სულ ლაზები იყვნენ. მთელს იმერეთში ხის და ქვის სახლებს მხოლოდ ლაზი ხელოსნები აკეთებდნენ, ამათ მეტი სხვა არავინ (ზ. ჭიჭინაძე, ოსმალეთის ყოფილი საქართველო და ქართველ მაჰმადიანთა ნაწილი ლაზისთანი, თბ., 1927 წ., გვ. 36).

[3] ი. ადამია, კოლხეთის საბინაო ხუროთმოძღვრება (სადისერტაციო ნაშრომი თბ., 1948 წ., გვ. 115—116.

[4] შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961წ., გვ. 115.

[5] საყურადღებოა, რომ ერთ შემთხვევაში მოცემული ბრტყელი გამოსახულება, მეორე შემთხვევაში გამოყენებულია ე. წ. სივრცობრივ, ფორმაში.

თგი ხალხურ-მხატვრული დეკორის უძველეს სიუჟეტებსაც ენათესავება. ასე, მაგალითად, ხსენებულ მოზაიკურ მხატვრობაში წარმოდგენილია ნაყოფით დახუნძული სიცოცხლის ხე, რომლის მარჯვნივ გამოსახულია კოლხური ხოხობი, ხოლო მარცხნივ შველი და ა. შ.; აღნიშნული ემბლემური გამოსახულებანი ხშირად გვხვდება ხალხური საცხოვრებელი სახლების მხატვრული დეკორის სიუჟეტებშიაც.

ამოხერხვით მიღებული ორნამენტული დეკორის გამოყენება მარტო ხალხური ნაგებობების ექსტერიერების დამუშავებით არ ამოიწურება. იგი გამოყენებულია აგრეთვე როგორც საერთო, ისე რელიგიური ხასიათის ზოგიერთი ნივთის მხატვრულ დამუშავებაში.

ამის საილუსტრაციოდ მოტანილი გვაქვს ხის ჯვრის მხატვრული დამუშავების საუკეთესო მაგალითი სოფ. მოქვის მკვიდრის ათანასე ჭანტურიას ნახელავი[1] (სურ. 108).

ჯვარი გამოჭრილია მოხარშული მსხლის ხისაგან, რომლის მკვეთრად პროფილირებული მკლავები მთლიანად დამუშავებულია ამოხერხვის წესით მიღებული ლამაზი აჟურული



109. სოფ. ბლაბურხვა. კედელზე ჩამოსაკიდებელი ბრტყელი კარადა („ადაფა")



110. სოფ. ბლაბურხვა. კედელზე ჩამოსაკიდებელი კარადა („ადაფა")

ხელოვნებით. ხსენებული ჯვარის მკლავების გადაკვეთის ცენტრსა და ბოლოებში ამოხერხილია წრეში ჩასმული მზის სიმბოლური ტრადიციული გამოსახულებები, რომლებიც შემდეგ გადადის მცენარეულ მოტივებში: მზის გამოსახულებები და მცენარეული მოტივები დიდი მხატვრული ოსტატობით ეხამებიან ერთმანეთს. მცენარეული მოტივიდან აქ გამოყენებულია ვაზი, რომლის ფოთლის კონტურები მკაფიოდ იკითხება ჰაეროვან ფონზე (სურ. 108).

ამოხერხვის წესით მიღებული ჩუქურთმები გვხვდება აგრეთვე ზოგიერთი მცირე მოცულობის ავეჯის მხატვრულ დამუშავებაში, — ამისი საუკეთესო მაგალითია ორიგინალური ფორმის, მცირე მოცულობის, კედელზე დასაკიდებელი „ბრტყელი" კარადა, ე. წ. ტიპიური „ადაფა" (სურ. 109).

„ადაფას" კარის ფიცარზე ამოკვეთილია ჯვრის მოყვანილობის სადად დამუშავებული რელიეფი; ჩარჩოს ზემოდან, დეკორაციული დანიშნულების დასაკიდებელი ყელის ზედა-

[1] აღნიშნული ჯვარი ათონის მონასტრის ბერს მოქველ ათანასეს მღვიმეის დედათა მონასტრისათვის შეუწირავს დაახლოებით 1910—1913წ.; ჯვარი დღემდე დაცულია აქვე. მისი ოსტატის ვინაობა მოგვაწოდა მღვიმეის მონასტრის ბერმა თომა გაჩეჩილაძემ.

პირზე, ამოხერხვით მიღებულ ჰაეროვან ფონზე გამოკვეთილია ნახევარ მთვარისა და ვარსკვლავების ხალხური ემბლემები, რომლებიც საერთოდ გავრცელებულია არა მარტო აფხაზეთში, არამედ მთელი კოლხეთის ტერიტორიაზე.

ჩუქურთმის დამუშავების მეორე ხერხი, ე. წ. „ყრუ ფონზე“ კვეთილი რელიეფური ჩუქურთმა, როგორც დეკორატიული ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი დარგი, ხალხური შემოქმედების სათავეებიდან მომდინარეობს.

რელიეფური ჩუქურთმის ძირითად სიუჟეტს შეადგენს გეომეტრიული და მცენარეული მოტივები, რომლებშიაც ხშირად ჩართულია აგრეთვე უძველესი თემატიკის ზოგიერთი მხატვრული ელემენტი: მზის, მთვარის, ცხოველისა და სხვ. სიმბოლური გამოსახულებანი.

როგორც გამოირკვა, „ყრუ ფონზე“ კვეთილი რელიეფური ჩუქურთმებიდან აფხაზეთში მეტწილად გავრცელებულია გეომეტრიული მოტივებით შესრულებული ჩუქურთმები; მათ შორის ყველაზე მეტად გამოყენებულია ე. წ. ტოლფერდა სამკუთხედის მოტივი.

სამკუთხედის მოტივებისაგან შედგენილი კომპოზიციები ძალზე მრავალფეროვანია, ხალხური ოსტატის ფანტაზიას ამ სახის ჩუქურთმის დამუშავებაში საზღვარი არა აქვს. დეკორატიული ხელოვნებით გატაცებულ ხალხურ ხელოვანს მხედველობიდან არ გამორჩენია სამკუთხედის მოტივის განუსაზღვრელი უნიფიკაციის თვისება, რომლის მეოხებითაც იგი ქმნის სრულიად ახალ-ახალ კომპოზიციებს.

სამკუთხედის მოტივით შესრულებული რელიეფურ-კვეთილი ჩუქურთმის საუკეთესო ნიმუშია „ადაფა“ სოფ. ბლაბურხვადან; იგი შეუსრულებია ფაფო ბარციცს XIX ს. 80-იან წლებში (სურ. 110).

აღნიშნული კარადის ჩარჩოს ირგვლივ ირიბად ამოკვეთილი აქვს პარალელური ხაზოვანი ელემენტები, რომელშიაც მორგებულია მხატვრულად დამუშავებული ჩასადგმელი კარი. კარის მორთულობის კომპოზიციის ცენტრში ამოკვეთილია ოთხი წრე — მზისა და ვარსკვლავების გამოსახულებით. ჩარჩოს ზემოდან დადგმულია რელიეფურად დამუშავებული წრეებისაგან შედგენილი ჯვარი, რომელიც ასრულებს საკიდის მოვალეობას და თან ერთგვარ დამაგვირგვინებელ კომპოზიციურ ელემენტს წარმოადგენს.

ასეთივე ჩამოსაკიდებელი ტიპიური კარადა დამოწმებული გვაქვს სოფ. ოთხარადან (სურ. 111).

სამკუთხედის მოტივებით მხატვრულად დამუშავებული ნივთებიდან ყურადღებას იქცევს დიდი სათუთუნე ყუთი სოფ. ეშერიდან. სურ [illegible] —ა, ასევე საინტერესოა მოჩუქურთმ[illegible] საკიდარი [illegible]ჰედან (სურ. 112—ბ) და სხვ.

ცნობილია, რომ გეომეტრიული ნაკვთებით (სამკუთხედის მოტივით) ხეზე კვეთილი რელიეფური ჩუქურთმა, როგორც დეკორატიული ხელოვნების ერთ-ერთი დარგი, უძველესი დროიდან გავრცელებული იყო საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. შესადარებლად მოტანილი გვაქვს სვანური სკივრები (სურ. 113)[1].

საკითხის ახლოს შესწავლა გვარწმუნებს, რომ სვანური, ფშავ-ხევსურული, აჭარული, ქართლ-კახური და სხვ. სკივრკიდობნებისა და ზემოგანხილული „ადაფას“ (აფხაზეთიდან) მხატვრული დამუშავების ელემენტები — სამკუთხედებისა და პარალელური სწორი ხაზების ირიბი კვეთის ტექნიკა, ასევე მზისა და ვარსკვლავების უძველესი სიუჟეტის სიმბოლური გამოსახულებანი — იმდენად იდენტურია, თითქოს ერთი და იმავე ავტორის ნახელავი იყოს.

დასასრულ რამდენიმე სიტყვით გვინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა სამკუთხედის მოტივის უნიფიკაციის ზოგიერთი საინტერესო ტექნიკური თვისებების გამოყენება თანამედროვე მშენებლობაში.

ქვემოთ მოტანილი გვაქვს სამკუთხედის მოტივით შედგენილი ყველაზე გავრცელებული ხალხური კომპოზიციების უნიფიცირებული წყობის რამდენიმე სქემა (ტაბ. 51), — საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული ხალხური შემოქმედების ფანტაზიის ნაყოფი[2].

აღსანიშნავია, რომ სამკუთხედის მოტივების განლაგების უნივერსალური თვისებები შეიძლება გამოყენებულ იქნას სივრცობრივ ფორმებში სამკუთხედში ჩახაზული ფიგურული ბლოკების სახით.

სამკუთხედი A, B, C, როგორც ნაკვთი (გეომეტრიული მოტივი) სიბრტყეზე A, B, C წვეროებით (წერტილებით) ეხება ერთმანეთს (ტაბ. 51), მაგრამ სივრცეში მოცულობით კონსტრუქციულ ფორმებში გამოყენებისათვის საჭიროა წვეროების გადაჭრა (კონსტრუქციული მოსაზრებით), რათა შესაძლებელი იყოს ერთმანეთზე დაწყობა; ეს სრულიად არ ცვლის მის განუსაზღვრელი უნიფიკაციის ტექნიკურ თვისებებს.

ამრიგად, სამკუთხედში ჩახაზული ასეთი A, B, C, ბლოკისაგან შეიძლება მივიღოთ არქიტექტურული გემოვნებით შესრულებული სხვადასხვა სახის მხატვრულად დამუშავებული, განუსაზღვრელი პროფილირების ფიგურული ბლოკები (ტაბ. 51). თუ ამ სახით დამუშავებულ ბლოკებს ავაწყობთ ზემომოტანილი სამკუთხედის მოტივებით შედგენილი სქემების მიხედვით, მივიღებთ სხვადასხვა სახეობის მხატვრულად დამუშავებულ ღობეებს, მოაჯირებს, სვეტებს და ხუროთმოძღვრულ სამკაულებს (ტაბ. 52), რომლებმაც ფართო გამოყენება უნდა ჰპოვონ განსაკუთრებით თანამედროვე სასოფლო მშენებლობაში.

---

[1] ამოღებულია ნ. ჩუბინაშვილის შრომიდან Грузинская средневековая художественная резьба по дереву, Тб., 1958 г.

[2] სამკუთხედის მოტივით შედგენილი წყობები მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება, მისგან შეიძლება მიღებულ იქნას n რაოდენობის სხვადასხვა სახის განუმეორებელი წყობები.



111. სოფ. ოთხარა. კედელზე ჩამოსაკიდებელი მოჩუქურთმებული კარადა („ადაფა")



112—ბ. სოფ. წარჩე. მოჩუქურთმებული სკივრი







112—ა. სათუთუნე ყუთი ეშერიდან



113. მხატვრულად დამუშავებული სვანური კიდობნები — სკივრები (ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით)

ბზიფის, წებელდის, მოქვისა და ილორის სანახებში, ძველი ეკლესიების ნანგრევებსა და ნამოსახლარებში მიმოფანტული და დაკარგულია უამრავი ჩუქურთმიანი და სხვადასხვა ამოკვეთილგამოხატულებიანი ქვები.

ნაწილი ასეთი ქვებისა ძველ ნაგებობათა ნანგრევების დარჩენილ კედლებშია შემთხვევით ადგილას ჩაშენებული, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საშენად იყენებდნენ ამ ნაგებობათა ახლოს მდებარე, ადრე არსებულ ნაგებობათა ნანგრევების ქვებს, რაც ხშირი მოვლენა იყო საქართველოს უძველესი მშენებლობის ისტორიაში.

სამწუხაროდ, ასეთი ქვები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ დაძებნილი და ერთ ადგილას თავმოყრილი, რომ შესაძლებელი იყოს მათი კლასიფიკაცია და მეცნიერული შესწავლა, რაც შუქს მოჰფენდა მრავალ საინტერესო საკითხს. მართალია, ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა აქვს ჩატარებული სოხუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, მაგრამ იგი ჯერ კიდევ საწყის სტადიას არ გასცილებია და მეტწილად შემთხვევით მოპოვებული თითო-ოროლა ფრაგმენტით განისაზღვრება[1].

აფხაზეთის ზღვის სანაპიროზე — ანტიკური კოლონიების ისტორიულ-ტერიტორიაზე—„დიოსკურიაში (ცხუმი), „ტრიგლიტში" (გაგრა), „პიტიუსში" (ბიჭვინთა) შემთხვევით სხვადასხვა დროს აღმოჩენილია თეთრი მარმარილოსაგან დამუშავებული ანტიკურ ნაგებობათა ფრაგმენტები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს 1953 წ. სოხუმის აღმოსავლეთით ახალი ნავსადგურის მშენებლობისას ზღვაში 12 მ სიღრმეზე შემთხვევით აღმოჩენილი იონური ორდერის კაპიტელი[2], რომელიც თეთრი მარმარილოს მთლიანი ლოდისაგან გამოკვეთილი (ტაბ. 53). კაპიტელის ზომების მიხედვით ირკვევა, რომ სვეტის ზედა დიამეტრია 50 სმ. ცხადია, ასეთი პროპორციის სვეტები ანტიკურ ხანაში მხოლოდ დიდი სასახლის ტიპის ნაგებობებს შეესაბამებოდა; შესაძლებელია, კაპიტელის აღმოჩენის მიდამოებში მომავალში აღმოჩნდეს ზღვაში ჩაძირული ანტიკური ნაგებობის კედლები და სხვა ნაშთებიც.

იონური ორდერის სვეტნარით დამშვენებული ანტიკური სასახლის მშენებლობას, რომლის სიდიდეზე თვით კაპიტელის მასშტაბი მეტყველებს, ცხადია, დიდი რაოდენობის კარგი ხარისხის თეთრი მარმარილო დასჭირდებოდა. აქ ჩვენთვის საყურადღებოა არა მარტო კაპიტელი, არამედ თვით მარმარილოს სადაურობის საკითხი; ხომ არ შეიძლება იგი მოტანილი იყოს აქატის მიდამოებიდან, სადაც მკვიდრი მოსახლეობა, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, საზაფხულო საძოვრებზე ბოსლებს თეთრი მარმარილოს ლოდებისაგან აშენებდა? გამორიცხული არ არის, რომ ხსენებული კაპიტელის მარმარილოს მარაგი — ანტიკური ხანის კარიერი, — სადმე აქატის სანახებში იყოს ჩამარხული.

აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმოფანტული ჩუქურთმიანი ქვების (არქიტექტურული ნატეხების) სიუხვე მეტყველებს ქვის მხატვრული დამუშავების ფართო გავრცელებაზე თვალს თუ გადავავლებთ ჩვენ ხელთ არსებულ ქვაზე მხატვრული დამუშავების ტექნიკასა და თემატიკას, აშკარად დავრწმუნდებით, რომ ხის მხატვრული დამუშავების ზემოგანხილული ტრადიციები საუკუნეთა მანძილზე მთელი სისრულით გადატანილია ქვაზე. ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს პიშკრის ქვის სვეტი, რომლის თავზე ხშირადაა დადგმული მტრედის ქანდაკება (სურ. 114).

სოფ. მოქვისა და სოფ. ილორის სანახებიდან მოტანილი გვაქვს ქვაზე ამოკვეთილი ხალხური ჩუქურთმის ორი საყურადღებო ნიმუში, რომელიც მცენარეული მოტივებითაა დამუშავებული და განსაკუთრებით საინტერესოა შესრულების ტექნიკისა და სიუჟეტის ორიგინალობით.

ერთ-ერთი მათგანის კომპოზიციის ცენტრში სიმინდის მცენარეულ მოტივებს შორის პარელიეფურადაა გამოსახული თვით ნაყოფი — სიმინდის ტარო დამახასიათებელი სავსე მარცვლებით (სურ. 116, ა. ბ). აღსანიშნავია რომ აქ ხელოვანი მიმართავს ჩუქურთმის ხეზე ამოხერხვის წესით მიღებული შთაბეჭდილების გადმოცემას, იმეორებს ხის დამუშავების ეფექტებს, რასაც აღწევს ყრუ ფონზე პირდაპირი ღრმა ჩაჭრის წესით; ამის შედეგად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ჩუქურთმა ჯერ ხეზე ამოუხერხავთ და მერე მიუკრავთ ყრუ ფონზე (სურ. 115. ა) ა.ს.შ. როგორც ეს გვხვდება აჭარაში ლაზური ნამუშევრების შორთულობაში ჩასაყენებელი ასაწყობი ხის ჩუქურთმების სახით[3].

ხალხური ჩუქურთმა ქვაზე საკმაოდ მდიდარია რთული სახის არშიებითაც, რომელიც შემსრულებლისაგან მოითხოვს ფაქიზ დამუშავებას და ნებისყოფას. ასეთია სოფ. აჭანდარიდან საფლავის ქვის გალავნის „საპკლავეებზე" ამოკვეთილი რელიეფური წნული (სურ. 116). — აქ მცენარეული მოტივები წარმოდგენილია გეომეტრიული ხაზებით, ხოლო ფოთლოვანი ელემენტები კოვზისებური ჩაღრმავებებითაა დამუშავებული[4].

აფხაზეთის ტერიტორიაზე დღემდე მოღწეულ ძველი საეკლესიო ეკლესიების ნანგრევებსა (ნაოხვამუს) და ძველ ნამოსახლარ ადგილებში (მიწის ზედაპირზე) დღესაც ხშირად პოულობენ ქვებზე გამოკვეთილ სხვადასხვა ცხოველის გამოსახულებათა ფრაგმენტებს. როგორც ცნობილია, ცხოველის სიუჟეტი ქართულ ხალხურ ხელოვნებაში უძველესი დროიდან მომდინარეობს და უშუალო კავშირი აქვს ეროვნულ-ხალხურ ზნე-ჩვეულებებთან, მის რელიგიასთან და სხვ.

აფხაზეთის მიწა-წყალზე სხვადასხვა ადგილას ნაპოვნია ქვაში გამოკვეთილი ცხვრისა და ხარის მრავალი მასკარონი, — ხალხური პლასტიკური ხელოვნების საყურადღებო ნიმუშები.

სოხუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია ცხვრის თავის ორი ქანდაკება, ქვაში დამუშავებული; ერთი ნაპოვნია სოფ. ლიხნში, ხოლო მეორე წებელდის სანახებში (სურ. 117, 118).

---

[1] სოხუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციებში ცალკეული ფრაგმენტების სახით დაცულია ქვის მხატვრული დამუშავების ზოგიერთი საინტერესო კოლექცია.

[2] ამჟამად სოხუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება.

[3] ი. ადამია. ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება აჭარა, თბ., 1956 წ. ტაბ. 50.

[4] აღნიშნული გალავანი იმითაც საინტერესოა, რომ ტრადიციის მიხედვით საფლავის გალავნის ქვის სვეტების (რიყელების) ფორმა გადმოღებულია მიცვალებულის ოდა-სახლის ღია ფანჯრის მოაჯირის ხის რიყულების ფორმის მიხედვით, ამრიგად, იგი შეიძლება გამოყენებული იქნას აგრეთვე ძველი ოდა-სახლების მოაჯირის შესასწავლადაც.

სიკრცობრივ-კომპოზიციური სტრუქტურითა და პლასტიკური მოძრაობით ეს ქანდაკებები არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ერთი და იგივე კომპოზიციური სქემითაა ორივე დამუშავებული, მაგრამ დიდი განსხვავებაა პროპორციებსა და ქვის დამუშავებაში, რის გამოც ისინი დიდად შორდებიან ერთმანეთს დათარიღების თვალსაზრისითაც (სურ. 117 შედარე სურ. 118). წებელდის ვერძის თავი თავისი არქაულობით უფრო შორეულ წარსულს მიეკუთვნება, ვიდრე ლიხნის ვერძის თავი.

საქართველოში ვერძის სიუჟეტი გავრცელებულია არა მარტო ხალხურ პლასტიკურ ხელოვნებაში, არამედ უძველეს ხალხურ ფოლკლორშიც. „არგონავტიკის" მთავარი სიუჟეტი „ოქროს ვერძის ტყავია"[1].

ამ ხანიდან მოყოლებული ქვისაგან ვერძის — ყოჩის გამოქანდაკების ტრადიცია ცნობილია მთელ საქართველოში, სახელდობრ: სამეგრელოში, იმერეთში, მესხეთ-ჯავახეთში[2], ხევში[3] და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ვერძის თავის ქანდაკება სოფ. ლიხნიდან (სურ. 118), რომლის იდენტური მაგალითები დამოწმებული გვაქვს ზემო იმერეთის ტერიტორიაზე — მდ. ყვირილის ხეობის ზემო წელში მღვიმევის დედათა მონასტრის მცირე სალოცავისა და სოფ. ჭალის (აბაშეთის) წმ. გიორგის ბაზილიკური ტიპის მცირე ეკლესიების ფრონტონებზე[4].

შედარება გვიჩვენებს, რომ ორივე შემთხვევაში ვერძის სკულპტურული კომპოზიცია, ცხოველის პლასტიკური გამომეტყველება და მოძრაობა, ყელსაბამისა და რქების მოყვანილობა, მათი გრეხილი ხაზების მაღალი რელიეფით მხატვრული დამუშავების ტექნიკა ისე საოცრად ჰგავს ერთმანეთს თითქოს ერთი ავტორისა იყოს და ავტორს პირველის ასლით შეექმნას მეორე (სურ. 118 შეადარე სურ. 119).

როგორც ირკვევა, ქართულ ხალხურ პლასტიკურ ხელოვნებაში ცხვრის ქანდაკება ძველი დროიდანვე იყო გავრცელებული — საფლავის ქვებზე (მატურა-ყოჩი), სალოცავი ყოჩი და სხვ.

დასასრულ უფლება გვაქვს გამოვთქვათ ვარაუდი, რომ სოფ. ლიხნის სანახებში ნაპოვნი ზემოგანხილული ვერძის ქანდაკება, როგორც ხალხური პლასტიკური ხელოვნების უძველესი ნახელავი, უთუოდ ამშვენებდა ამ მხარეში მდგარი რომელიმე ბაზილიკური ნაგებობის ფრონტონის კომპოზიციას.

არანაკლებ საინტერესოა ხარის თავის რელიეფური ქანდაკება სოფ. ილორიდან (სურ. 120), ხარის სიუჟეტი დეკორატიულ ხელოვნებაში უძველესი დროიდანაა გავრცელებული არა მარტო კოლხეთის ტერიტორიაზე, არამედ მთელ საქართველოში.

ხარის თავის რელიეფურ გამოსახულებას ვხვდებით კოლხურ ფულებზედაც, რაც „ქვეყნის მეურნეობის მთავარი დარგის, მესაქონლეობის მაჩვენებელია და თვით ფულის პირვანდელი სახელწოდებაც ამ სავაჭრო (სავალუტო) საქონლის ექვივალენტი იყო"[5]. ამიტომაც საქართველოში ძველთაგანვე ტერმინი „ხვასტაგი" ნიშნავდა ფულსაც და ოთხფეხა საქონელსაც.

ხარის გამოსახულება ძველ საქართველოში იმდენად პოპულარული იყო, რომ იგი გვხვდება საიუველირო ხელოვნებაშიაც — ოქროს ბეჭდების შესამკობად ძვირფასი ქვების მხატვრულ დამუშავებაში. ამ თვალსაზრისით დიდად საყურადღებოა სამთავროს სამაროვანში ნაპოვნი ინტალიოს ზედაპირზე მთელი ტანით გამოსახული ხარის რელიეფი, რომელიც მინიატურულ მასშტაბშია დამუშავებული რელიეფური ქანდაკების სახით[6].

სოფ. ილორში ნაპოვნი ხარის თავის რელიეფური ქანდაკების გადარჩენილ ფრაგმენტზე მკაფიოდაა გამოკვეთილი შუბლზე ჩამოშვებული გრძელი ქოჩორი და ოდნავ გამოყოფილი ენა; თავს ჩამოტეხილი აქვს ქვედა ყბის ნაწილი, ასევე რქებისა და ყურის რელიეფური დამუშავება.

ცხვირის, ნესტოების, შუბლისა და თვალის ბუდის რელიეფური დამუშავება აშკარად მეტყველებს პლასტიკური ხელოვნების მაღალ დონეზე. თუმცა, მრავალი ელემენტი ასლია, მაგრამ აშკარად იკითხება მკაცრი დრაკონული გამომეტყველება და ძლიერი პლასტიკური დინამიურობა. იგი ისე გვესახება, თითქოს უძველესი კოლხეთის მეფის აეტის



114. ჭიშკრის ქვის ხვეტი

---

1 აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, თბ., 1948წ.
2 ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 1938წ., გვ. 153.
3 ს. მაკალათია, ხევი, თბ., 1934წ., გვ. 246—247.
4 მღვიმევის დედათა მონასტრის ბაზილიკური ნაგებობის პირდაპირ მდებარე გამოქვაბული-სალოცავი, რომლის ფრონტონზედაც გამოქანდაკებულია ზემოხსენებული ვერძი, დათარიღებულია VIII—IXს.
5 ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941 წ. გვ. 9.
6 მ. ნ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, თბ., 1954წ., ტაბ. III, სურ. 27.

მხატვრული დამუშავების მოტივები აღებულია ქართული ხალხური ხელოვნების ეროვნული თემატიკის არსენალიდან, რომლის მასაზრდოებელი წყაროა ძველ ქართულ ნიადაგზე წარმოქმნილი ეროვნული ტრადიციების მარაგი.



ა)



ბ)

115. ა) ხიმინდის მცენარეული მოტივებით დამუშავებული ქვის სვეტი და ბ) ქვაზე ამოკვეთილი ხიმინდის ტაროს ბარელიეფი (სოხუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მასალებიდან)

მითიური „ცეცხლოვანი“ კოლხური ხარის თავი იყოს გამოსახული.

ხარის თავის რელიეფური გამოსახვის ანალოგიური მაგალითები მოტანილი გვაქვს ბოლნისის ტაძრის სვეტის კაპიტელის მასკარონის სახით, აგრეთვე სვეტიცხოვლის ტაძრის კედლებზე ამოკვეთილი ხარის თავის ორი რელიეფით (სურ. 121), რომელთა შედარება გვიჩვენებს, რომ ეს ორი უკანასკნელი პლასტიკური დამუშავების თვალსაზრისით უფრო ბუტაფორული და სტილიზებული ხასიათისაა, ვიდრე ზემოგანხილული ხარის თავის რელიეფური ქანდაკება სოფ. ილორიდან (სურ. 120 შეადარე სურ. 121).

ამრიგად, აფხაზეთის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილი ძველი ხალხური დეკორატიული და პლასტიკური ხელოვნების ნიმუშებით ირკვევა, რომ მათი სიუჟეტები და



116. სოფ. აჩანდარა. სალოცავის ქვის რიკულებიანი გალავანი მხატვრულად დამუშავებული „სამკლავებით“



117. სოფ. წებელდა. ქვისაგან გამოქანდაკებული ვერძისთავი (სოხუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მასალებიდან)



118. სოფ. ლიხნი. ქვისაგან გამოქანდაკებული ვერძისთავი (სოხუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მასალებიდან)



119. მღვიმევის მონასტრის (ჭიათურის რ.) მცირე სალოცავის ფრონტონზე ვერძის ქანდაკება



120. ხარის თავის რელიეფური ქანდაკება სოფ. ილორიდან (სოხუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მასალებიდან)



121. ხარის თავის რელიეფური ქანდაკებები მცხეთიდან (სვეტი-ცხოველი)

## ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲜᲐᲙᲔᲗᲝᲑᲐᲜᲘ

ხალხური ხელოვნების ერთ-ერთი საინტერესო და ნაკლებად შესწავლილი დარგია ხალხური საცხოვრებელი სახლის შინაგანი (ინტერიერის) მორთულობა — დღენიადაგ სახმარი საოჯახო ნივთების ხალხური დამუშავების უძველესი ხელოვნება.

აფხაზეთის ტერიტორიაზე უხვად არის შემორჩენილი ისეთი ორიგინალური ფორმის საოჯახო ნივთები, რომლებიც თავიანთი პირველყოფილი უმარტივესი ფორმებით დღესაც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ.

ხისაგან დამზადებული დგამ-ჭურჭლიდან თავისი ორიგინალური (მოდერნიზებული) ფორმებით გამოირჩევა: ტიპიური ტაბლები, ე. წ. „აიშაგეჟა" (სურ. 122), სკამლოგინები, სამფეხა დაბალი სკამები, მთლიანი მორისაგან გამოთლილი ჯირკოები („კველა"), სკივრები, ჩამოსაკიდებელი სხვადასხვა წვრილმანი საგნები და სხვ. (ტაბ. 54).

ხის ჭურჭლიდან ჩვენს ყურადღებას იქცევს რძის გრძელტარიანი ჩამჩები, ე. წ. „ჩენგი", მაწვნის მოზრდილი სახაპელები — აფშირყა", ღვინის თასები — კათხები ანუ „აფათხი", რძის მცირე კასრები, ე. წ. „ნიგა", სხვადასხვა ზომის ხის ჯამები, უამრავი სახის ხის კოვზები და სხვ. (სურ. 123, 124, 125, 126, ტაბ. 54).

დიდ ინტერესს იწვევს ის ტრადიცია, რომ ზემოაღნიშნულ ხის ნაკეთობათა ზოგიერთი ფორმა აღებულია ბუნებაში მიგნებული მზა ფორმებიდან და შემდეგ დამუშავებულშევსებულია ხალხური ხელოვანის მხატვრული ფანტაზიით: ამრიგად, ბუნებისა და ხალხური ხელოვანის ფანტაზია ერთმანეთს ავსებს და ისეა შეხამებული, რომ ერთ მთლიან, განუყოფელ ნახელავად წარმოგვიდგება.

ამის მაგალითად შეიძლება გამოგვადგეს სამფეხა სკამი, რომლის ფორმა ხალხურ ხელოვანს მხატვრული ორიგინალობით დაუმუშავებია ჯირკის ბუნებრივი ფორმიდან. სკამის საჯდომი მრგვალი ფორმა და აბსტრაქტული მოყვანილობის ორტოტიანი საზურგე ერთი მთლიანი ხშირკორძიანი ჯირკოსაგანაა გამოთლილი (ტაბ. 54). ასევე ერთმანეთს შეზრდილი სამტოტიანი ხის მთლიანი „პორჯღალია" მოძებნილი ზემოაღნიშნული „აიშაგეჯას" (ტაბლას) ორიგინალური ფეხების გამოსაყვანად (სურ. 122). არანაკლებ საინტერესოა „ნიგა" (ხის მომცრო კასრი), რომელიც ერთი მთლიანი მორისგანაა გამოთლილი. სახელურად გამოყენებული აქვს ერთ მხარეზე ზედმეტოვებული ტოტი, რომელშიაც რაღაც ცხოველის სახეა გამოყვანილი. ასევე საინტერესოა მწყემსების მიერ მხატვრულად დამუშავებული ხის საბიჯგი ჯოხები (ტაბ. 54) და სხვ.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე დღემდე გავრცელებულია ძველი ფორმის მოწნული ჭურჭელი, სახელდობრ: მაღალ ხეზე ყურძნის საკრეფი სხვადასხვა



122. სოფ. აჭანდარა. მრგვალი მაგიდა (ტაბლა)



123. გრძელტარიანი ხარძევე ხის ჩამჩები — „ჩენგი“
(ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მასალებიდან)



**124. ხის ხახაპელები — „აფშირყა" მაწვნისათვის**



**125. ხის თასი — „აჟათხი" სოფ. ლიხნიდან (სოხუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მასალებიდან)**



**126. ხის თასი-კათხა სოფ. წირქვალიდან (ქიათურის რ.)**

ზომის „გიდელები", საზურგე (სამთო) კალათები, თამბაქოსა და სიმინდის სხვადასხვა მოყვანილობისა და სიდიდის გოდრები და სხვ. (ტაბ. 54).

როგორც შესწავლილი მასალებიდან ირკვევა, აფხაზეთში უძველესი დროიდან ფართოდ ყოფილა გავრცელებული აგრეთვე წითელი თიხისაგან ნაკეთები სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭელი, დაკავშირებული მეურნეობის სხვადასხვა დარგთან: მევენახეობა-მეღვინეობისათვის სხვადასხვა ზომის ქვევრები („ლაგვანები"), კოკები („ფოხალები"), სუფრის დოქები, ორყურა სურები, სასმისი თასები და სხვ. (სურ. 127, 128, 129, 130). მემინდვრეობა-მესაქონლეობისათვის—სხვადასხვა ზომის დერგები და ამფორები; მეფუტკრეობისათვის — წელში გამოყვანილი უნიკალური ფორმის ორყურა ამფორები, რომლებიც თავიანთი უძველესი ფორმებითა და დანიშნულებით დიდ ინტერესს იწვევენ (სურ. 130).

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აგრეთვე ის, რომ ზემოაღნიშნული ხისა და თიხის ნაკეთობანი თავისი დანიშნულებით, მხატვრული დამუშავების მოტივებით, უნიკალური ფორმებითა და შესრულების ტექნიკით აშკარად იდენტურია კოლხეთის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილი





127. თიხის ორყურა ჭურჭელი (ანტიკური სურა) სოხუმის მხარეთ-მცოდნეობის მუზეუმის მასალებიდან

128. კოლხური ამფორის ფრაგმენტი (სოხუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მასალებიდან)





129. ორიგინალური კერამიკული „ამფორა" (სოხუმის მხარეთ-მცოდნეობის მუზეუმის მასალებიდან)

130. წელში გამოყვანილი „ამფორა" ოჩამჩირედან (სოხუმის მხა-რეთმცოდნეობის მუზეუმის მასალებიდან)

უძველესი დგამჭურჭლეულისა, რომელთა შორის არავითარი არსებითი განსხვავება არ შეინიშნება.

მაგალითისათვის შევადაროთ ღვინის ხის თასი, ე. წ. „აფათხი“ (სოფ. ლიხნიდან, რაშიდ ლომიას ნახელავი. (სურ. 125). მის ანალოგიურ ღვინის თასს, ე. წ. „კათხას“ (მეწისქვილე ლევან ხუციშვილის ნახელავი სოფ. წირქვალიდან, პიათურის რაიონი, სურ. 126); აგრეთვე გუდაუთის რაიონში ზღვის სანაპიროზე მეთევზეების მიერ ნაპოვნი წელში გამოყვანილი თიხის ამფორა სოფ. ურეყსა და სოფ. ნოსირში[1] აღმოჩენილ ამფორებს. აშკარაა, რომ მათი წარმოშობის ფესვები მჭიდროდაა დაკავშირებული უძველესი კოლხური კულტურის ღრმა ტრადიციებთან.



[1] Н. В. Хоштария, Археологическое исследование Уреки. Тб., 1955 г., стр. 58—59, таб. XVIII.

КНИГА ВТОРАЯ

# РЕЗЮМЕ

## ГЛАВА ПЕРВАЯ

### I. Общий обзор изучения народного зодчества Абхазии

Монография посвящена изучению народного зодчества Абхазии — одного из красивейших уголков исторической Колхети (Западной Грузии). В Абхазии сохранились уникальные памятники народного зодчества второй половины XVIII и XIX веков, не ставшие до последнего времени предметом систематического изучения.

Границы Абхазии на протяжении истории претерпевали довольно частые изменения в результате постоянных вторжений иноземных полчищ в Грузию. На современной карте Абхазии указаны уже исследованные деревни, а также схема географического расположения распространенных типов старых жилых домов (см. историческую карту Вахушти Багратиони. Рис. 1; современную карту. Рис. 2).

## ГЛАВА ВТОРАЯ

### II. Остатки древнейших сооружений и краткие сведения о них

В Абхазии обнаружены естественные пещеры — жилища человека эпохи палеолита, а также различный инвентарь этих жилищ (рис. 2, 3). До сегодняшних дней сохранились в скалах также искусственные пещеры. В этом отношении интересен пещерный ансамбль монастыря в Мчиши (рис. 5).

Рассмотрены дольмены, относящиеся к категории первобытной архитектуры, элементы планировки которой и сегодня повторяются в народных постройках (рис. 6,7,8,9, таб. 1, 2, 3).

Достойны внимания остатки каменных хозяйственных построек, возведенных древнейшими (цанскими) племенами, так называемые «ацангвары» (рис. 10, 11) и развалины дома-крепости «джихаохори» (рис. 12, 13, табл. 4).

Не лишены интереса случайно обнаруженные в Сакенском ущелье фрагменты бревенчатых конструкций, идентичные элементы которых повторяются и сегодня в конструкциях висячих деревянных мостов, а также в конструкциях народных построек. Эти памятники имеют немаловажное значение в изучении конструктивной структуры древней колхидской джаргуали (рис. 15, 16, 17).

Интересно также и древнейшее фортификационное сооружение, так называемая «Большая ограда Абхазии», сведения о которой дошли до наших дней. В монографии дана и характеристика входящих в это сооружение некоторых построек башенного типа (рис. 18, 19, табл. 5).

Изучение названных древнейших сооружений, выяснение зоны их распространений дает нам возможность установить древнейшие жилые зоны. Как выяснено, Абхазия состоит из трех жилых зон: I—временная жилая зона, II — постоянная жилая зона, и III — временная жилая зона (рис. 2).

## ГЛАВА ТРЕТЬЯ

### III. Некоторые вопросы планировки и застройки старых абхазских деревень

В постоянной жилой зоне (II жилая зона) первобытные поселения создавались на возвышенностях (в горах) и с целью защиты были ограждены рвом и дамбой (рис. 20). Остатки временных — сезонных поселений встречаются в I и III жилых зонах. Особенно интересна традиция возведения в Колхети искусственных домов для временных поселений в приморских болотистых местностях (I жилая зона). С целью защиты холмы эти были опоясаны каналами с водой (рис. 21).

В обоих случаях формы поселений носят групповой характер, для их сравнения приводятся некоторые синхронные примеры (рис. 22).

Отдельные групповые формы поселений, застройка так называемой первобытной «деревни», с целью защиты располагались под «зеленым укрытием» (лесные массивы, рис. 23); в дальнейшем постепенно вырубка леса обнажила некоторые участки заселений (рис. 24).

Первичным элементом зарождения «центральной части» деревни, по-видимому, являются культовые деревья (рис. 25). Со временем вокруг них развивается так называемая «зеленая площадь» родового назначения, упрочение которой связано с сословным разделением. Сравнение старых и новых поселений показывает, что в планировке современных деревень необходимо использовать прогрессивные элементы народной планировки (рис. 27).

Дошедшие до нашего времени памятники древнейших каменных и деревянных арочных мостов и своеобразные формы поселений фамильных племен свидетельствуют о существовании дорог различных назначений. Одним из таких видов дорог является вырубленный на отвесной скале Багада, древнейший тропиночный путь (рис. 26).

Старые усадьбы делятся на две группы: выстроенные в горах и на равнинах. Большинство усадеб горных деревень расположено на сложном рельефе и не имеет четких очертаний (табл. 6, 10, 15, 16, 17).

Усадьбы в деревнях на равнине распланированы на ровных местах и имеют четкие очертания прямоугольника или трапеции (табл. 12, 13, 14, 18). В обоих случаях усадьба разделена на участки с различным назначением. Идентичные примеры встречаются и в других уголках Грузии (табл. 9, рис. 47, 48 ср. с табл. 10, рис. 29, 30).

Рассмотрены разные типы изгородей и выстроенные в них переходы — «акиба» (30, 31, 32, 33, 34, 35, 45).

Одним из примечательных элементов усадеб являются ворота, простые и сложные по своей конструкции. Простые ворота маленькие и примитивной конструкции (рис. 36, 37).

Сложные ворота были крытыми и иногда вместе с другими постройками перекрыты одной кровлей (рис. 38, 39, 40, 42, 43). Так же часто столбы, на которых крепились ворота, служили опорами для кукурузников (рис. 44).

Обмеры старых усадеб, произведенные автором, сопровождаются аннотациями и таблицей общей площади традиционных дворов и коэффициента застроек. Приложение № 1.

## ГЛАВА ЧЕТВЕРТАЯ

### IV. Древнейшие способы водоснабжения поселений

В системе древнейших поселений водоснабжение, как один из важнейших компонентов жизни, осуществлено следующим путем: искусственные колодцы, водопровод самотеком и воздушно-канатными дорогами-подъемниками.

Интересна также традиция использования естественных пещер под сооружения для водохранилища. Идентичные примеры встречаются и в Мингрелии (табл. 19).

Водоснабжение с помощью воздушно-канатных подъемников издавна было распространено в горных районах Грузии, оно известно как «махара» («адзу-эчерхи», табл. 21, 22, 24, 25, рис. 49, 52, 53, 54).

Небезынтересны случаи использования подземных карстовых вод с помощью тех же воздушно-канатных подъемников «махара» (табл. 23).

Как известно, с помощью «махара» воздушно-канатным путем можно переносить не только воду, но и различный твердый груз (рис. 50, 51). «Махара» сравнивается с механизмами для поднятия воды в странах Запада и Востока античного периода (рис. 55, 56. Ср. табл. 21, 22, 23, 24, рис. 49,50,51,52,53).

## ГЛАВА ПЯТАЯ

### V. Жилище Абхазии

Глава посвящена разбору старых колхетских типов плетеных жилищ, а также жилых и хозяйственных построек из дерева.

Простейшим типом колхетских плетеных домов являются так называемые «акваци», которые в плане имеют очертания круга (рис. 57, табл. 26).

На территории Абхазии до наших дней сохранились плетеные жилища, свидетельствующие о дальнейшем развитии домов «акваци», в которых наблюдается тенденция перехода от круглой формы сначала к овальной, а потом — к прямоугольной (табл. 27,28. См. в плане старый дом. рис. 64 и др.).

Завершающим типом плетеных жилых домов является дом несколько удлиненной формы, стены которого на последующих этапах развития сменились деревянными (рис. 65, 66, 67, 68, 69). Идентичные типы «длинных домов» засвидетельствованы в различных уголках Грузии, синхронные типы встречаются и в других странах (рис. 70, 71, 72, 73).

В соответствии с жилыми зонами распространены также хозяйственные постройки (табл. 30,31,32, 33, рис. 74,75,76).

Распространенным типом жилого дома на территории Абхазии являются так называемые дома типа «ода-сахли», «акваска». Дана этимология термина «ода» и его синонимы — «охори», «дворец» и другие.

Как выяснено, до XVIII века дома типа ода-сахли назывались «дворцами», или «охори». Беслетский дворец, датированный XII—XIII в., считается одним из видов типичного трехкомнатного ода-сахли (рис. 77).

Дворцы были различных назначений — летние и зимние. На территории Абхазии из всех дворцов сохранились лишь развалины лихнского зимнего дворца (рис. 78).

Рассмотрены архитектурно-конструктивные особенности ода-сахли. План типичного ода-сахли, включая и открытые балконы, приближается к квадрату. Такой план дома, представляющий собой один из этапов развития строительства домов типа ода-сахли, подтверждается и археологическими памятниками античного периода (рис. 79).

Высокая культура обработки дерева (введение дощатых стен) предопределила необходимость создания оригинальных конструктивных узлов из несложных сборных элементов зданий конструктивной структуры ода-сахли.

Сборные архитектурно-конструктивные элементы ода-сахли, техника разбора таких домов и практика перенесения с одного участка на другой способствовали их широкому распространению.

В Абхазии до наших дней сохранились пять основных типов ода-сахли: однокомнатная (табл. 35), двухкомнатная (табл. 34, 37, 38, 39, 40, 41), трехкомнатная (табл. 41, 42), четырехкомнатная (табл. 33, 47) и восьмикомнатная (табл. 45). Что касается пяти и шестикомнатных типовых ода-сахли, которые широко распространены на территории Колхети и за ее пределами, то они в настоящее время очень редки в Абхазии.

Идентичные типы рассмотренных нами домов ти-

па ода-сахли встречаются и в других уголках Грузии (рис. 35).

Интересны примеры объединения ода-сахли и самзади — старого дома («амацурта») с открытыми балконами-переходами («ашана» табл. 28, 34, 35).

Народные постройки чаще всего выстроены из щебня и прутьев (ква-цкнели) и щебня и реек (квалартки).

Фактический материал дает возможность восстановить полную картину этапов развития жилых домов (табл. 29). В конце этой главы говорится о сегодняшнем положении строительства народных жилых домов, которое, в основном, ведется по традиции народного зодчества. Несмотря на это встречаются случаи использования механически перенесенных из городов громоздких грубых элементов (рис. 84, 86, 87, 88). Чтобы изжить подобное явление, необходимо следовать старым традициям народного зодчества и на основе соответствующих научных заключений создать полноценные типовые проекты для строительства современных жилых домов и различных хозяйственных построек.

## ГЛАВА ШЕСТАЯ

### VI. Хозяйственные постройки

Среди хозяйственных построек особенно интересны помещения для мелкого скота, так называемые «марака», которые довольно часто бывают оригинально поставлены на дереве (рис. 92,93). «Марака» большего размера помещается на столбах (рис. 63, 64).

Небезынтересны также небольшие по величине постройки, так называемый «оску» (свинарник). Как выясняется, в указанных постройках встречаются элементы уникальных архаических форм и древнейших конструктивных узлов (табл. 46).

Постройки типа кукурузников с характерными композиционными формами существовали на территории Колхети еще до внедрения культуры кукурузы. В зависимости от стройматериала встречаются кукурузники плетеные, бревенчатые, состоящие из реек, дощатые и джаргвалури (брусчатые) (рис. 44, 95, 96, 97, 103, 104, табл. 47, 48, 49).

Плетеные кукурузники встречаются двух видов: простые, выполненные по принципу плетня (рис. 97), и сложные, выполненные с орнаментированными плетнями (рис. 98, 99). Идентичные примеры засвидетельствованы в разных уголках Грузии (рис. 100, 101).

Кукурузники бывают с открытыми балконами и без балконов. Примечательно, что композиции плана кукурузников ничем не отличаются от композиций однокомнатных и двухкомнатных ода-сахли (табл. 47, 48 и табл. 37, 38, 39, 40, 41. См. планы).

Марани («олагвание») — это затененные деревьями участки, на которых, вне зависимости от каких-либо застроек, хранятся квеври (лагвани) — зарытые в землю большие кувшины для вина.

Встречаются и крытые марани, которые в основном расположены в нижних этажах ода-сахли или кукурузников (табл. 28, 84, 47).

В конце главы рассмотрены водяные мельницы, даны исторические сведения о них и этимология термина «мельница» (рис. 105, 106).

## ГЛАВА СЕДЬМАЯ

### VII. Народный орнамент и различные изделия

Привлекает внимание сюжет композиции некоторых орнаментов, в которых отображены луна, солнце, птицы, геометрические и стилизованные мотивы растений, меандры и др. (табл. 35, 50, рис. 108, 109, 110, 111, 112а, б,114, 115, 116 и др.).

В рельефном орнаменте в основном распространены мотивы равносторонних треугольников (рис. 110,111,112,113,114). Здесь же рассмотрены созданная на мотивы треугольников наиболее распространенная унифицированная схема народных композиций (табл. 5) и вопрос ее использования в современном строительстве (табл. 52).

Интересна скульптура головы барана из Цебелды (рис. 116, 117); идентичные примеры встречаются и на территории Имеретии (рис. 117, ср. с рис. 120). Интересно также изображение головы быка, аналогии которого встречаются в Восточной Грузии (рис. 120 ср. с рис. 121).

В монографии дано внутреннее убранство старых жилых домов, предметов домашнего обихода (народного творчества, табл. 54). Заслуживают внимания своими оригинальными формами выделанная из дерева посуда (рис. 122, 109, 110 и др.), изделия из глины и др. (рис. 127, 128, 129, 130).

К монографии прилагаются 54 таблицы, а также в текст включены 130 фотоиллюстраций, выполненных автором.

## J. ADAMIA
# GEORGIAN FOLK ARCHITECTURE

**Book second**


**Summary**

### Chapter I

**General review of Abkhasian folk architecture.**

This work is dedicated to the study of folk architecture in Abkhasia — one of the most beautiful spots of the historical Kolcheti (Western Georgia). There still remain in Abkhasia the monuments of folk architecture dating XVIII and XIX centuries that up till present time were not the subject of systematic study.

The borders of Abchasia changed quite friquently as the result of constant invasions into Georgia by foreign invadors.

On the map of the present day Abchasia there are shown villages that have been studied already and also the scheme of the geographical lay-out of the popular types of the old dwelling houses (see the historical map of Vahushti Bagrationi, fig. I; modern map fig. 2).

### Chapter II

**The remains of the ancient structures and brief information about them.**

Natural caves—the dwellings of the paleolith man were found in Abchasia, there were also found different belongings there (fig. 2, 3). Artificial caves can still be found in the mountains even up till present time. In this respect the caves ensamble of the monastery in Mchishi is of great interest (fig. 5).

There were also studied the dolmens of the primitive category the planning elements of which even today are being repeated in the folk buildings (fig. 6, 7, 8, 9, tab. 1, 2, 3).

The remnants of the stone household buildings are worth paying attention to. They were erected by the ancient (tsan's ) tribes, the so called "atzangvari" (fig. 10, 11) and the ruins of the house-fortress" djichaochori" (fig. 12, 13, tab. 4).

The fragments of the log constructions that were found accidently in the Saken (gorge) are also of an interest, they are identical to the elements that are repeated today in the constructions of the suspended wooden bridges, and also in the constructions of the folk's (people's) buildings. This monuments have great importance in the study of the constructive structure of the ancient Colcheti djarguali (fig. 15, 16, 17).

The ancient fortification wall construction, the so called "Great wall of Abchasia" is also very interesting, the information about it is available at the present time too. Features of some structures of tower type are presented in this monography (fig. 18, 19, tabl. 5).

The study of the above mentioned ancient construction, the determination of their distribution (prevalences) gives us an oppotunity to establish the most ancient dwelling zones. It was established that Abchasia consists of 3 dwelling zones. I. Temporary dwelling zone, II. permanent dwelling zone and III — temporary dwelling zone (fig. 2).

### Chapter III

**Some questions of planning and building of the old Abchasian villages.**

The primitive settlement of the permanent dwelling zone (II dwelling zone) were built in the mountains and as a measure of protection they were surrounded by moats and dams (fig. 20). The remnants of temporary-season settlements are found in the I and III dwelling zones. The tradition of building artificial houses for temporary settlement in the coastal marshy lands is of especial interest (I dwelling zone). This hills were surrounded by protective channels (fig. 21).

In both cases the forms of the settlements are of group character and for comparison some synchronous examples are given in this work fig. 22.

Some group forms of settlements, building of the so called primitive "village", were situated with defensive aim under "the green protection" (woods) (fig. 23) later gradual necessity of wood cutting bared some parts of the settlements (fig. 24). The primary element of the central part of the village origination seem to be the cult trees (fig. 25).

Gradually for tribal purposes there was developing the so-called "green area" uround them, their consolidation was connected with the classial division. The comparison of the old and new settlements shows, that it is necessary to use progressive elements of people's planning while planning modern villages (fig. 27).

The ancient stone and wooden arch bridges and original forms of settlements of family tribes proove the existance of roads built for different purposes.

One of them is the road that was cut in a steep rock "Bagada", which is the most ancient trail (fig. 26).

The old estates are divided into two groups: those that were built in the mountains, and those in the plains. Most of the estates are situated on a broken relief and do not have distinct outlines (tabl. 6, 10, 15, 16, 17).

The estates of the villages in the plains were planed in the level places and have distinct outlines of a rectangle or of a trapezium (tab. 12, 13, 14, 18). In both cases the estate is divided into plots to be used for different purposes. Identical examples can be found in other parts of Georgia (tab. 1, 9, fig. 47, 48, compare with table 10, fig. 29, 30).

Different types of fences and "the aiba" passages cut through them are dealt with in this work.

One of the noteworthy elements of estates are the gates of simple and intricate construction. Simple gates are small and of primitive construction (fig. 36, 37).

The intricate gates were of covered type, sometimes the gates and the buildings had the same cover (fig. 38, 39, 40, 42, 43).

Quite often the gate pillars were also used as the maize granary supports (fig. 44).

The measurments of the old estates given by the author are supplied by the annotations and tables of the total traditional yards area and of the buildings coeffitient. Supplement №1.

## Chapter IV

### The ancient methods of the water supply

The water supply as one of the most important components of life was achieved by the following way in the system of the ancient settlements. The artificial wells, water supply by flow and by cable way lifts.

The tradition of using natural caves to construct the water reservoirs is also worth mentioningt the identical examples can also be found in Mingrelia (tab. 19).

The water supply by cable way lifts was widely used since ancient times in the mountaneous areas of Georgia, it is known as "mahara" ("adzu-echerhi) (Tabl. 21, 22, 24, 25, fig. 49, 52, 53, 54).

The underground curst waters were also used by the same cable-way lifts „mahara" (tabl. 23).

As it is know by cable way lifts it is possible to transporte not only water but also different solid goods (fig. 50, 51). "Mahara" is composed with gears to transport the water in the Western and Eastern countries of the antique world (fig. 55, 56, compare tabl. 21, 22, 23, 24. fig. 49, 50, 51, 52, 53).

## Chapter V

### Dwelling architecture of Abchasia

This chapter deals with the old colheti's types of wicker dwellings and also of household structures made of wood.

The simplest type of the Colhetis wicker houses is the so called "akvatzi", that have a shape of a circle (fig. 57, tabl. 26).

The wicker dwellings that can still be found up till present time on the territory of Abchasia proove further development of "akvatzi" houses and there is noticed in them a tendency of transition from the circle forms first into the oval, and then to the rectangle forms (tabl. 27, 28. See the plan of the old house, fig. 64 and oth.).

The concluding type of the wicker dwellings is the house of somewhat prolonged form, the walls of which on the following stages of development had changed to the wooden ones (fig. 65, 66, 68, 69): The identical types of "long houses" are found in different parts of Georgia. The identical types can also be met in other countries (fig. 70-71, 72, 73).

The household structures are also spread according to the dwelling zones (Tab. 30, 31, 32, 33, fig. 74, 75, 76).

Popular types of dwelling houses on the territory of Abchasia are the so called types of the houses named "oda sachli"—"akvaska".

The etymology of the term "oda" and of its synonyms "ochori," „palace "and others.

As it was established up till XVIII century the houses of the oda-sachli type were called "palace" or "ochori". The Besleti palace built in XII—XIII century is considered to be one of the types of a typical three-roomed oda-sachli (fig. 77).

Palaces served different purposes — summer ones and Winter ones. Out of all palaces only the remains of the lihni winter palace still exist on the territory of Abchasia (fig. 78).

The architectural-constructive features of oda—sachli are studied in this work. The plan of the typical—oda-sachli including the open balconies is getting closer to a squar. Such plan of the house representing one of the house building development of the oda-sachli type is confirmed by the archaeological monuments of the antique period (fig. 79).

Hight culture of wood processing (the introduction of board walls) determined the necessity of the prefabricated building elements of the constructive structure of oda-sachli.

Pre-fabricated architectural-constructive elements of oda-sachli, the technique of dissassembling such houses and the practice of their transportation from one plot to another contributed to their wide popularity.

In Abchasia there still can be found five main types of the oda-sahli: one-roomed (tabl. 35), two-roomed (tabl. 34, 37, 38, 39, 40, 41), three roomed (tabl. 41, 42), four-roomed (tabl. 43, 47) and an eight-roomed one (tabl. 45). As to the five and six-roomed ones, that are popular on the territory of Kolcheti and beyond its boundaries, they are very rare in Abchasia at present.

The identical types of the oda-sachli houses studied by us are also found in other parts of Georgia (fig. 35).

Worth mentioning are the united oda-sachli and samsadi of the old house ("amatzurta") with open balconies-passages "ashapa" are (tabl. 28, 34, 35).

The folks structures were mainly built of broken stones and switch (kva-tzkneli) and of broken stone and racks (kva-lartki).

The actual material affords us to reestablish the complete picture of the dwelling houses stages of development (tabl. 29). The end of this chapter is dedicated to the present day conditions of the dwelling houses construction, which in generall is conducted along the traditions of the folk architecture. Although, there are cases when there are used cumbersome rough elements as those that are used in cities (fig. 84, 86, 87, 88). To eliminate such phenome-

na it is necessary to follow the old traditions of the people's architecture and basing upon the correspopnding scientific conclusions to create typical projectes for the constructions of modern dwelling houses and different household buildings of real value.

## Chapter VI

### Household buildings

Among the form buildings the farmyard for sheep the so called "maraka" is of special interest, this "maraka" is quite often erected upon the tree (fig. 92, 93). The "maraka" of a bigger size is erected on the pillars (fig. 63, 64).

Small constructions the so called "osku" (pighouses) are also worth mentioning. As it was found out in the named constructions the elements of unique archaic forms and of ancient constructive units are met in the named constructions (tabl. 46).

The constructions of the maize granery type with their characteristic composition forms existed on the territory of Kolcheti even before the introduction of maize culture. Depending upon the building material there can be found the following maize graneries: wickered ones, log ones consisting of racks, boarded ones and djargveluri (fig. 44, 95, 96, 97, 103, 104, Tabl. 47, 48, 49).

The wicker maize graineries are of two types: simple wattle fence like and intricated—done with the ornamental wattle fences (fig. 98, 99). The identical examples were noticed in different parts of Georgia (fig, 100, 101).

There are maize granery with open balconies and without them. It is noteworthy that the maize granery composition plan doesn't differ from the composition of one-roomed and two-roomed oda-sachli (tabl. 47, 49, 37, 98, 39, 40, 41 see the plans).

Marani ("olagvane") are the parts shaded by threes in which kvevri (lagvani)-big earthen jugs for wine are buried.

There can also be found covered marani, which in general are situated in the ground floors of oda—sachli or maize graneries (tabl. 28, 84, 47).

The end of the chapter deals with water-mills and their historical data, and the etimology of the term "mill" (fig. 105, 106).

## Chapter VII

### Peoples ornament and different articles

The subject of some composition drows one's attention — those with the images of moon, sun, bird, geometrical and stylised themes of plants, and others (tabl. 35, 50, fig. 108, 109, 110, 111, 112 a, b, 114, 115, 116 and oth.)

The relief ornament is mainly based upon the themes of equilateral triangles (fig. 110, 111, 112, 113, 114).

The most popular unified scheme of folk compositions based upon the subjects of triangles and the question of its application in modern construction (tabl. 59) is dealt with.

Very interesting is the sculpture of the sheep head from Tsebelda (fig. 116, 117). The identical examples are met on the territory of Imeretia (fig. 117, compare with fig. 120).

Also ones attention is drawn by the image of the bull, the anology of which were found in the Eastern Georgia (fig. 120, compare with fig. 121).

The study offers the inside decoration of the old dwelling houses, the household articles (folk's art) tabl. 54. Ones attention is drawn by the wood utensils of original forms (fig. 122, 109, 110 and oth.) crockery etc (fig. 127, 128, 129, 130).

The study contains 54 tabl. and 130 photos taken by the author.

# ИЛЛЮСТРАЦИИ В ТЕКСТЕ[1]

1. Историческая карта Абхазии (по Вахушти Багратиони).

2. Современная карта Абхазии (схема деления на жилые зоны и географическое размещение распространенных типов жилых домов).

3. Первобытный способ крепления к деревянной рукоятке каменного молотка и топора (из материалов Сухумского краеведческого музея).

4. Пещера Ква-Чара (план и разрез).

5. Общий вид искусственной пещеры-монастыря в Мчиши.

6. План и разрез раскопанного дольмена в сел. Эшери (по Б. А. Куфтину).

7. Ситуационный план расположения дольменов в сел. Эшера (по Б. А. Куфтину).

8. Общий вид дольмена в дер. Пшарди (по Э. Д. Фелицину).

9. Село Ачигвара. Фамильная усыпальница-мавзолей «садзвале» Д. Шония.

10. План и фрагмент сухой кладки стены ацангвары (по И. М. Иващенко).

11. Остатки ацангвары:

I. Общий вид остатков каменных стен ацангвары в Кунани. Планы ацангвары: II.—Гуарапи, III. — Лихто, IV. — Ачамхуцари, V. — Бганипа.

12. Сел. Арасадзихи. Развалины «Джиха-Охори», восстановленные планы групповых поселений.

13. Сел. Арасадзихи. Общий вид развалин «Джиха-Охори».

14. Сел. Сакени. Схема расположения остатков старых деревянных построек.

15. Сел. Сакени. Фрагмент опор древнейшего висячего деревянного моста.

16. Висячий деревянный мост на р. Кодори.

17. Ложбина Начвали (ущелье р. Кодори). Фрагмент бревенчатой стены башни (восстановленная конструкция).

18. Сел. Келасури. Общий вид приморской башни «Большой ограды Абхазии» с юго-востока.

19. Сел. Келасури. Общий вид с моря приморской башни «Большой ограды Абхазии» (зарисовка Фр. Дюбуа).

20. Схема древнейших поселений на естественных холмах (реконструкция).

21. Схема временных (сезонных) поселений на искусственных холмах.

22. Хижины ирокезов, объединенные одной крышей (по Д. Г. Моргану).

23. Сел. Абгархук. Участок фамильного поселения шамбов. Общий вид с востока.

24. Сел. Сакени. Фамильный участок Ресисидзе. Общий вид с юго-востока.

25. Сел. Ачандара. Культовая гигантская чинара.

26. Ущелье р. Кодори. Общий вид тропиночной дороги, вырубленной в отвесной скале «Багада».

2 . Сел. Ачандара. Общий вид нового поселения с востока.

2 . Сел Дурипши. Генплан усадьбы Гунба.

29. Сел. Дурипши. Усадьба Минаси и Мартна Таркилеби.

30. Древнейшие типовые изгороди (по А. Миллеру).

31. Древнейшие типовые изгороди (по А. Миллеру).

32. Участок под сад отделен от «чистого двора» частоколом.

33. Каменная ограда, возведенная сухой кладкой.

34. Сел. Беслети. Живая изгородь—зеленая ограда. Общий вид с дороги.

35. Сел. Тамиши. Зеленая ограда. Общий вид с дороги.

36. Древнейшие виды простых ворот (по А. Миллеру).

37. Полевые простые ворота с автоматическим устройством (по А. Миллеру).

38. Сел. Лихни. Типовые двухскатные перекрытые ворота.

39. Сел. Ачандара. Общий вид двухскатных перекрытых ворот.

40. Сел. Царче. Сложные четырехскатные ворота.

41. Вид древнейших перекрытых ворот (по Хр. Кастелли).

42 Сел. Курзу (Мингрелия). Типовые четырехскатные перекрытые ворота.

43 Сел. How-Ингило (Саингило). Типовые четырехскатные ворота (дарвази).

44. Сел. Лихни. Кукурузник, установленный над воротами. Общий вид с дороги.

45. Переходы, оборудованные в приусадебных изгородях (по А. Миллеру).

46. Сел. Скурди (Гегечкорский р-н). Генплан усадеб трех семей с разными фамилиями.

47. Сел. Арбошики (Цителцкаройский р-н). Генплан общей усадьбы братьев Бацацишвили (обмер З. Алугишвили, выполнен автором).

48. Типовая схема планировки новых поселений.

49. Схема Хабю. Ведро с водой при помощи «махара» перевозят по воздушно-канатной дороге.

50. Сел. Блабурхва. При помощи «махара» по воздушно-канатной дороге перевозят дрова.

51. Сел. Хабю. По воздушно-канатной дороге переносят при помощи «махара» корзины с табаком.

52. Сел. Хихадзири (р-н Хуло). К дому по воздушно-канатной дороге при помощи «махара» подвозят ведро с водой.

53. Сел. Хихадзири (р-н Хуло). В роднике наполняется ведро с водой.

54. Конструкционное устройство «махара» (по А. Миллеру).

55. С помощью колеса подымают воду на подъем. (Колесо приводит в движение буйвол. Старинная китайская зарисовка.)

56. С помощью колеса воду подымают на подъем. (Колесо приводит в движение сила воды. Старинная китайская зарисовка.)

57. Сел. Хопи. Плетеный жилой дом-пацха М. Джакирба («Аквапи»).

58. Сел. Джвари (Мингрелия). План колхетской пацхи формы окружности.

59. Старые типы колхетских жилых домов из Мингрелии (по С. Макалатия).

60. Синхронные типы колхетских пацхи в разных странах.

61. Старые типы колхетских жилищ (по И. Понтюхову).

62. Подвесное устройство над очагом.

[1] Помещенные в тексте фотоиллюстрации, зарисовки и графические работы выполнены автором.

63. Сел. Отара (Очамчирский р-н). «Марака»-овчарня (зарисовка Т. Адамиа).

64. Сел. Отхара. Общий вид с пацхи с каркасно-плетеными стенами К. Аристава (из материалов Сухумского краеведческого музея).

65. «Длинный дом» — со средним открытым коридором.

66. «Длинный дом» — с общим длинным коридором (план).

67. Сел. Чубурхинджи. Типовой «длинный дом» со средним открытым коридором-навесом. Общий вид.

68. Сел. Пирвели Гали. Типовой «длинный дом» Г. Зухбаия. С одной стороны открытый средний коридор-навес. Общий вид.

69. Сел. Царче. Типовой «длинный дом» Дз. Бения. С одной стороны — открытый средний коридор-навес. Общий вид.

70. «Длинный дом» черкесов — хлев. План (по А. Миллеру).

71. Плетеный «длинный дом» черкесов. Общий вид. а, б (по А. Миллеру).

72. План «длинного дома» индейцев (по Моргану).

73. Синхронные типы «длинного дома». План (по Моргану).

74. Сел. Генцвиши. Джаргуали с одним отделением с открытым коридором.

75. Сел. Кахати (Мингрелия). Джаргуали с открытым средним коридором, с одним отделением.

76. Сел. Джвари (Мингрелия). Джаргуали с двумя отделениями. С одной стороны—открытый средний коридор-навес.

77. План Беслетского дворца (по граф. А. Уваровой).

78. Развалины дворца Лихни. Общее изображение с юго-запада.

79. Каменная ограда и остатки каменного жилого дома, обнаруженные при раскопках на территории старого Сухуми (Цхуми-Акуа, по В. Сизову).

80. Общий вид однокомнатного ода-сахли с палати (нижний этаж) на р. Тамиши, принадлежащего А. Шервашидзе (Алибей).

81. Сел. Блабурхва. Общий вид ода-сахли с палати О. Барцыця.

82. Сел. Ачандара. Общий вид ода-сахли с палати и с открытым крыльцом.

83. Сел. Цебелда. Двухэтажный дом с открытым крыльцом из ква-цкисли.

84. Сел. Дурипши. Общий вид нового жилого дома И. Гегонава, типа ода-сахли.

85. Сел. Лихни. Общий вид нового жилого дома О. Джения, типа ода-сахли.

86. Сел. Дурипши. Общий вид нового жилого дома А. Ардзинба, типа ода-сахли.

87. Сел. Лихни. Фрагмент общего вида жилого дома К. Махария, типа ода-сахли.

88. Сел. Дурипши. Общий вид со двора нового жилого дома З. Ардзинба, типа ода-сахли.

89. Сел. Цебелда. Фрагмент стены из ква-цкисли из сел. Кума.

90. Сел. Цебелда. Фрагмент стены из ква-лартки.

91. Дом Эриставн в Гурии. Общий вид (по Фр. Дюбуа).

92. Сел. Джгерди «Марака» — овчарня на ветвях дерева (фото Ц. Бжания).

93. Сел. Хопи. Плетеная «марака» (овчарня) на ветвях дерева.

94. Сел. Дурипши. Помещение для мелкого рогатого скота «марака» (овчарня), установленное на столбах. Общий вид (из материалов Сухумского краеведческого музея).

95. Сел. Лихни. Двухэтажный плетеный кукурузник («аца»).

96. Сел. Лихни. Общий вид усадьбы и плетеного кукурузника В. Камлия.

97. Сел. Ачандара. Фрагмент стены плетеного кукурузника. Стена выстлана из одинарных прутьев.

98. Сел. Санапиро. Фрагмент орнаментированной стены плетеного кукурузника.

99. Сел. Келасури. Фрагмент орнаментированной стены плетеного кукурузника.

100. Сел. Халипаури (Верхн. Имеретия). Фрагмент орнаментированной стены кукурузника.

101. Сел. Цирквали (Верхн. Имеретия). Фрагменты орнаментированной стены плетеного кукурузника.

102. Сел. Царче. Фрагмент плетенки «карачхули».

103. Сел. Дурипши. Типовой кукурузник со стеной-частоколом.

104. Сел. Ачандара. Типовой кукурузник со стеной-частоколом.

105. Сел. Твибрашели. Типовая мельница (джаргуали).

106. Сел. Твибрашели. Типовая мельница (джаргуали «бучула»).

107. Бичвинта. Фрагмент пола алтаря, выстланного художественной мозаикой.

108. Сел. Мокви. Деревянный крест. Орнамент получен сквозным выпиливанием.

109. Сел. Блабурхва. Подвесной плоский шкаф-«алапа».

110. Сел. Блабурхва. Подвесной шкаф-«алапа».

111. Сел. Отхара. Подвесной орнаментированный шкаф-«алапа».

112. а. табакерка из Эшери, б. сундук из сел. Царче.

113. Художественно выполненные сванские сундуки — а. б. (по Н. Чубинашвили).

114. Каменный столб-ворота.

115. а. Мотивы растения — кукурузы на каменном столбе, б. барельеф початка кукурузы на камне (из материалов сухумского краеведческого музея).

116. Сел. Ачандара. Кладбищенская каменная ограда с балясинами.

117. Сел. Цебелда. Голова барана, высеченная из камня (из материалов Сухумского краеведческого музея).

118. Сел. Лихни. Голова барана, высеченная из камня (из материалов Сухумского краеведческого музея).

119. Скульптурная голова барана на фронтоне малой молельни Мгвимского монастыря (Чиатурский р-н).

120. Рельефная скульптура головы быка из сел. Илори (из материалов Сухумского краеведческого музея).

121. Рельефная скульптура головы быка из Мцхета (Светицховели).

122. Сел. Ачандара. Круглый стол (табла).

123. Разливательная ложка с длинной ручкой для молока — «ченги».

124. Деревянные сахапелы — «апширка» для мацони.

125. Деревянная чаша «апатхи» из сел. Лихни (из материалов Сухумского краеведческого музея).

126. Деревянная чаша «катха» сел. из Цирквели (Чиатурский район).

127. Глиняная посуда с двумя ручками (античный кувшин для воды. Из материалов Сухумского краеведческого музея.)

128. Фрагмент амфоры с двумя ручками.

129. Оригинальная керамическая амфора (из материалов Сухумского краеведческого музея).

130. Изящный сосуд-амфора из Очамчири (из материалов Сухумского краеведческого музея).

# ТАБЛИЦЫ[1]

1. Дольмены сел. Эшери (Ки[illegible]) — фасад, план, разрез.

2. Дольмены сел. Хабио. Фасад, план, разрез.

3. Сел. Ачигвара. Фамильная усыпальница (мавзолей) Д. Шониа.

4. Сел. Арасадзихи. Общий вид и план развалин «Джиха Охори».

5. Сел. Келасури. План и разрез приморской башни абхазской «Большой ограды».

6. Сел. Хопи. Генплан усадьбы М. Джакирба:
1. Плетеный жилой дом; 2. Улей; 3. Кукурузник; 4. Курятник; 5. Камни мегалита; 6. Плетеная пацха (акваци); 7. Навес для сушки табака;
I — «Чистый двор», II — тупик («аванезо»), III — хозяйственный двор.

7. I — сел. Дурипши. Типовое перекрытие ворота М. Гумба. Фасад и план. II — сел. Ачандара. Типовые перекрытые ворота. Г. Чамагуа. Фасад, план и детали.

8. Сел. Царче. Ворота Ир. Акиртава, соединенные с кукурузником одной крышей. Фасад, план и детали.

9. Сел. Спети (Сачхерский р-н). Генплан общей усадьбы братьев Буцурадзе:
1 — амбар, 2 — кукурузник, 3 — свинарник и курятник, 4 — саманник, 5 — старый жилой дом, 6 — ода, 7 — старый жилой дом, 8 — ода, 9 — саманник, 10 — кукурузник, 11 — свинарник и курятник, 12 — амбар, 13 — винный погреб (марани).

10. Сел. Блабурхва. Генплан усадьбы трех братьев Барцици: 1 — ода, 2 — старый дом, 3 — кукурузник, 4 — хлев, 5 — перекрытые ворота, 6 — свинарник, 7 — улей, 8 — переход через изгородь (акиба); I — чистый двор, II — тупик (аванезо), III — хозяйственный двор (агвара).

11. Сел. Лихни. Генплан усадьбы О. Джения: 1 — жилой дом ода-сахли, 2 — амхара, 3 — старый дом, 4 — кукурузник, 5 — курятник, 6 — хлев, 7 — бывшие перекрытые ворота, 8 — свинарник, I — чистый двор, II — тупик («аванезо»), III — хозяйственный двор, IV — участок под сад.

12. Сел. Лихни. Генплан усадьбы Д. Джобуа.
1 — курятник, 2 — старый дом, 3 — жилой дом, 4 — переход-коридор, 5 — хлев (агвара), 6 — перекрытые ворота, 7 — кладбище, 8 — кукурузник, I — чистый двор, II — переулок, III — хозяйственный двор, IV — участок под сад.

13. Сел. Лихни. Генплан усадьбы М. Апшба: 1 — ода, 2 — улей, 3 — курятник, 4 — старый дом, 5 — кукурузник, 6 — помещение для мелкого рогатого скота (марака), 7 — бывшие перекрытые ворота; I — чистый двор, II — тупик («аванезо»), III — хозяйственный двор (агвара), IV — участок под сад.

14. Сел. Лихни. Генплан усадьбы К. Махарна: 1 — жилой дом типа ода-сахли, 2 — старый дом, 3 — винный погреб (марани), 4 — кукурузник, 5 — курятник, 6 — навес для кур, 7 — навес для сушки фруктов. I — чистый двор, II и III — не имеет типовых дворов, IV — участок под сад.

15. Сел. Дурипши. Генплан усадьбы С. Тарба: I — жилой дом ода-сахли, 2 — старый дом с навесом, 3 — улей, 4 — амхара, 5 — хлев, 6 — свинарник, 7 — помещение для мелкого рогатого скота (марака), I — чистый двор, II — тупик («аванезо»), III — хозяйственный двор (агвара), IV — участок под сад.

16. Сел. Хабио. Генплан усадьбы А. Ахба:
1 — беседка (махара), 2 — старый дом, 3 — улей, 4 — кладбище, 5 — свинарник, 6 — кукурузник, 7 — жилой дом типа ода-сахли, 8 — хлев-пристройка.
I — чистый жилой двор, II — тупик («аванезо»), III — хозяйственный двор (агвара), IV — участок под сад.

17. Сел. Блабурхва. Генплан усадьбы. М. Барцици: 1 — навес для сушки табака, 2 — курятник, 3 — ода-сахли, 4 — старый плетеный дом, 5 — колодец, 6 — хлев, 7 — кукурузник, 8 — кладбище; I — чистый двор, II — тупик («аванезо»), III — хозяйственный двор (агвара).

18. Сел. Ачигвара. Генплан усадьбы Д. Шониа: 1 — свинарник, 2 — самзади. 3 — курятник, 4 — кукурузник, 5 — жилой дом типа ода-сахли, 6 — усыпальница (мавзолей), 7 — колодец. I — чистый двор, II — тупик («аванезо»), III — хозяйственный двор, IV — участок под сад.

19. Сел. Балда (Гегечкорский р-н). Древнейшее водохранилище, оборудованное в естественной пещере. Фасад, план, разрез.

20. Сел. Арасадзихи (р-н Гагры). Распределительная башня при древнейшем водохранилище в естественной пещере. Фасад и план.

21. Сел. Хабио. «Махара» в беседке во дворе А. Ахба.

22. Сел. Дурипши. «Махара» и ее детали при усадьбе К. Агумава.

23. Сел. Отхара. Участок Аибеби — «махара» для добычи карстовых вод из пещеры (подземная канатная дорога).

24. Монастырь Теклати (Цхакайский р-н). Схематичный план «махара». План и разрез монастыря. Общий вид водохранилища.

25. Водохранилище монастыря Теклати (план бассейна, разрез у истока. Ведро входит в водохранилище).

26. Сел. Хопи. Плетеный жилой дом — пацха (акваци) М. Джакирба. Фасад, план, разрез и детали.

27. Сел. Лихни. Однокомнатный плетеный жилой дом Э. Джобуа. II. сел. Хопи. Плетеный жилой дом из двух отделений, принадлежащий М. Джакирба.

28. Сел. Лихни. Объединенный комплекс старого и нового жилых домов Д. Джобуа.

29. Схема развития колхетских жилых домов.

30. Сел. Твибрашели. Джаргуали из одного отделения, без коридора, принадлежащий Н. Зухбая.

31. Сел. Цебелда. Джаргуали из двух отделений, со средним открытым коридором, принадлежащий И. Лакирбана.

32. Сел. Сакени. Общий вид жилого дома джаргуали П. Гурчиани. План I и II этажей.

33. Сел. Сакени. Продольный и поперечный разрез жилого дома П. Гурчиани.

34. Сел. Блабурхва. Комплекс старого и нового жилых домов М. Барцици. Общий вид и планы.

35. Типы однокомнатных жилых домов ода-сахли — комната для гостей (акваска).

36. Сел. Зоди (Имеретия). Объединенный комплекс старого и нового жилых домов Я. Георгадзе.

37. Сел. Блабурхва. Двухкомнатный жилой дом — типа ода-сахли с палати О. Барцици. План палати, план II этажа. Виды.

38. Сел. Блабурхва. Двухэтажный жилой дом типа ода-сахли П. Барцици. Общий вид. План и детали.

39. Сел. Дурипши. Общий вид двухкомнатного жилого дома типа ода-сахли с палати С. Тарба. План палати, план и детали II этажа.

40. Сел. Ачандара. Общий вид двухкомнатного ода-сахли палати С. Кварчалиа. План палати. План II этажа и деталь карниза.

[1] Памятники, представленные в таблицах, обмерены и воспроизведены автором.

41. I сел. Аква (Михайловка). Двухкомнатный одноэтажный жилой дом типа ода-сахли Хр. Чахури (общий вид, план и детали). II — сел. Лихни. Общий вид и план трехкомнатного ода-сахли М. Махариа (обмер произведен архитектором Пейкришвили).

42. Сел. Ачандара. Общий вид трехкомнатного ода-сахли с палати. План палати. План и детали II этажа.

43. Сел. Лихни. Четырехкомнатный жилой дом типа ода-сахли с палати О. Джениа.

44. Сел. Лихни. Четырехкомнатный жилой дом типа ода-сахли с палати.

45. Сел. Отобаиа. Ода-сахли типа дворца, принадлежащий К. Дадешкелиани. Общий вид, план и детали.

46. Свинарники конструкции джаргуали.

I — сел. Ачигвара. Свинарник (оску) О. Шониа. II — сел. Царче. Свинарник М. Акиртава.

47. Сел. Блабурхва. Плетеные кукурузники с двумя отделениями с палати, принадлежащие: а. Одиссею, б. Тинатин Барцици.

48. I сел. Ачандара. Кукурузник со стенами из частокола М. Чамагуа. Фасад, планы, детали. II — сел. Хабю. Кукурузник со стенами из частокола А. Ахба.

49. Сел. Акваска. Кукурузники, объединенные одной крышей.

50. 1. Бордюр контура крыши. 2. Плоские капители. 3. Художественно обработанные перила.

51. Некоторые унифицированные схемы композиций, составленные на мотивы треугольников.

52. Пространственные композиции с фигурными блоками, составленные на мотивы треугольников.

53. Ионическая капитель из белого мрамора (из материалов Сухумского краеведческого музея).

54. Предметы домашнего обихода в разной художественной обработке.

# ჯაბულები[1]

[1] [illegible]




1. სოფ. ეშერის (კიერბერეს) დოლმენები. ფასადი, გეგმა, ჭრილი




2. სოფ. ხაზიის დოლმენი. ფასადი, გეგმა, ჭრილი




3. სოფ. არგვეთა. დ. შონიას „საძვალე“ (მავზოლეუმი)




4. სოფ. ირცხამიხი. „ჯიხა-ოხორის“ ნანგრევების საერთო ხედი და გეგმა




5. სოფ. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] გეგმა და ჭრილი



6. სოფ. [illegible] მ. [illegible] კარ-მიდამოს გეგმა

I საცხოვრებელ-სამეურნეო ეზო, II წინა ეზო ([illegible]) III საბოსტნე ეზო. 1. [illegible] სახლი, 2. [illegible], 3. [illegible], 4. [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] ([illegible]), 5. [illegible] [illegible], 6. [illegible] [illegible] ([illegible]), 7. [illegible] [illegible] [illegible]




7. სოფ. დურიპში I. მ. გუნბას გადახურული ტიპიური კიშკარი, ფასადი და გეგმა

II. სოფ. აჰანდარა. გ. ჩამაგუას გადახურული ტიპიური კიშკარი. ფასადი, გეგმა და დეტალები



8. სოფ. წარჩე. ირ. აკირთავას ერთსახურავის ქვეშ გაერთიანებული ჭიშკარი და სასიმინდე. ფასადი და გეგმა



9. სოფ. სვეთი (საჩხერეს რაიონი). ძმები ბუწურაძეების საერთო კარმიდამოს გენ-გეგმა

1. ბეღელი, 2. სასიმინდე, 3. საღორე, 4 საბძელი, 5. ძველი საცხოვრებელი („გრძელი სახლი“), 6. სასტუმრო სახლი (ოდა), 7, მეორე ძმის ძველი საცხოვრებელი („გრძელი სახლი„), 8. მეორე ძმის სასტუმრო სახლი (ოდა), 9. საბძელი, 10. სასიმინდე, 11. საქათმე და საღორე, 12. ბეღელი, 13. მარანი, 14. ბოსელი, 15. ვენახი




**10. სოფ. ბლაბურხვა. სამი ძმის — ბარციცების საერთო კარ-მიდამოს გეგმა**

I. საცხოვრებელი-სუფთა ეზო, II წინა ეზო (შუკა) III აგვარა (სამეურნეო ეზო), 1. ოდა-სახლი (სამი ძმის). 2. ძველი საცხოვრებელი სახლი, 3. სასიმინდე, 4. ბოსელი, 5. გადახურული ჰიშკარი, 6. სალორე, 7. საფუტკრე.




**11. სოფ. ლიხნი. ო. ჭენიას კარ-მიდამოს გეგმა**

I საცხოვრებელი-სუფთა ეზო, II წინა ეზო, (შუკა), III აგვარა (სამეურნეო ეზო), IV საბაღე ეზო, 1. ოდა-სახლი, 2. ამბარა, 3. ძველი საცხ. სახლი 4. სასიმინდე, 5. საქათმე; 6. ბოსელი, 7. ყოფილი გადახურული ჰიშკარი (ზედმედგმული სასიმინდეთი), 8. სალორე




12. სოფ. ლიხნი. დ. ჯობუას კარ-მიდამოს გენ-გეგმა

I საცხოვრებელი-სუფთა ეზო, II—III წინა ეზო და აგარა (გაერთიანებული), IV· საბაღე ეზო, 1. საქათმე, 2. ძველი საცხოვრებელი სახლი, 3. საცხოვრებელი სახლი (ოდა), 4. გადახურული კიბე, 5. ბოსელი, 6. გადახურული ჭიშკარი, 7. საოჯახო სასაფლაო, 8. სასიმინდე




13. სოფ. ლიხნი. მ. ანშბას კარ-მიდამოს გენ-გეგმა

I საცხოვრებელი-სუფთა ეზო, II_წინა ეზო (მეჯა), III აგარა (სამეურნეო ეზო), IV საბაღე ეზო, 1. საცხოვრებელი სახლი (ოდა), 2. საფუტკრე, 3. საქათმე, 4. ძველი საცხ. სახლი, 5. სასიმინდე, 6. წვრილფეხა საქონლის სადგომი (მარაკა), 7. გადახურული ჯოფალა ჭიშკარი.




14. სოფ. ლიხნი. კ. მახარიას კარ-მიდამოს გენ-გეგმა

I საცხოვრებელი-სუფთა ეზო, IV საბაღო ეზო, 1. საცხოვრებელი (ოდა), 2. ძველი საცხ. სახლი, 3. მარანი, 4. სასიმინდე, 5. საქათმე, 6. ღია ფარდული შინაური ფრინველებისათვის, 7. ხილის ფარდული




15. სოფ. დურიფში. ს. თარბას კარ-მიდამოს გენ-გეგმა




16. სოფ. ხაბიო. ა. ახბას კარ-მიდამოს გეგმა

I საცხოვრებელი—სუფთა ეზო, II წინა ეზო (შუკა), III აგვარა [(სამეურნეო ეზო), IV საბაღე ეზო, 1. ფანჩატური („მახარა“), 2. ;ძველი საცხოვრებელი სახლი, 3. საფუტკრე, 4. საოჯახო სასაფლაო, 5. საღორე, 6. სასიმინდე, 7. საცხოვრებელი სახლი (ოდა), 8. ბოსელი




17. სოფ. ბლაბურხვა. მ. ბარციცის კარ-მიდამოს გეგმა

I საცხოვრებელი-სუფთა ეზო, II წინა ეზო (შუკა), III აგვარა (სმეურნეო ეზო), 1, თამბაქოს საშრობი ფარდული, 2. საქათმე, 3. სიცხოვრებელი სახლი (ოდა), 4. ძველი საცხ. სახლი, 5. ჭა, 6. ბოსელი, 7. სასიმინდე, 8. საოჯახო სასაფლაო




18. სოფ. აჩიგვარა. დ. შონიას კარ-მიდამოს გენ-გეგმა

I საცხ. ეზო, II შუკა, III აგვარა (სამეურნეო ეზო), IV საბაღო ეზო, 1. საღორე, 2. სამზარეულო (ამაწურთა), 3. საქათმე, 4. სასიმინდე, 5., საცხოვრებელი სახლი (ოდა), 6. „საძვალე" (მავზოლეუმი), 7. ჭა.




19. სოფ. ბალდა. ბუნებრივ გამოქვაბულში მოწყობილი უძველესი წყალსაცავი. ფასადი, გეგმა და ჭრილი




20. სოფ. არასაძიხი (გაგრის რაიონი) კლდის წყაროს ბუნებრივ გამოქვაბულ-ნაგებობის უძველეს წყალსაცავთან არსებული გამანაწილებელი კოშკი. ფასადი და გეგმა




21. სოფ. ხაბიო. ა. ახბას ეზოში არსებული ფანჩატური („აშაპა") და მასში მოწყობილი „მახარა".




22. სოფ. დურიპში. კ. აგუმავას კარ-მიდამოსთან არსებული „მ.ხარა“
და მისი ნაწილები




23. სოფ. ოთხარა. აიბების უბანი — გამოქვაბულიდან კარსტული წყლის ამოსაზიდი — „მახარა" (მიწისქვეშა საბაგირო-საჰაერო გზა)




24. თეკლათის მონასტრის წყალსაცავი აუზის გეგმა და ჭრილი სათავესთან (ცხარი მელის წყალსაცავში)




25. თეკლათის მონასტერი (ცხაკაიას რაიონი). „მახარას" სქემატური ჭრილ-გეგმა, მონასტრის სიტუაციური გეგმა-ჭრილი და წყალსაცავი აუზის საერთო ხედი




26. სოფ. ხოთი. მ. ჯაყირბას წნული საცხოვრებელი ფაცხა (აქვაცი). ფასადი, გეგმა და ჭრილი




27. სოფ. ლიხნი. I. ვ. ჭონბუას ერთოთახიანი წნული საცხოვრებელი II. სოფ. ხოფი. მ. ჭაყირბას დგარულ-წნულ კედლებიანი ორგანყოფილებიანი საცხოვრებელი




28. სოფ. ლიხნი. დ. ჯობუას ძველი და ახალი საცხოვრებელი სახლის გაერთიანებული კომპლექსი




29. კოლხური საცხოვრებელი სახლის გეგმისა და სივრცობრივი კომპოზიციების განვითარების ეტაპების სქემა




30. სოფ. ტვიბრაშელი ნ. ზუხბაიას ერთგანყოფილებიანი ედერეფრო „ჭარგუალი"




31. სოფ. წებელდა. ი. ლაკრბას ორგანყოფილებიანი ჯარგვალი გვირგვინული შუა დერეფნით




32. სოფ. საკენი. პ. გურჩიანის ჯარგვალური საცხოვრებელი სახლის საერთო ასახულობა. I და II სართულის გეგმები




33. სოფ. საკენი. პ. გურჩიანის ჯარგვალური საცხოვრებელი სახლის განივი და გრძივი ჭრილი




34. სოფ. ბლაბურხვა. მ. ბარციცის ძველი და ახალი საცხოვრებელი სახლის კომპლექსი. საერთო ასახულობა და გეგმები




35. ერთოთახიანი ოდა-სახლის ტიპები. სასტუმრო სახლი (აყვასყა)




36. სოფ. ზოდი. (იმერეთი). იასონ გიორგაძის ძველი და ახალი საცხოვრებელი სახლის გაერთიანებული კომპლექსი




37. სოფ. ბლაბურხვა. ოდისეი ბარციცის ოროთახიანი პალატიანი ოდა-სახლი. პალატის გეგმა, მეორე სართულის გეგმა, ხედები და დეტალები




58. სოფ. ბლაბურხვა. პ. ბარციცის ოდა-სახლის ტიპის ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი. საერთო ხედი, გეგმები და დეტალები




39. სოფ. დურიფში. ს. თარბას ოროთახიანი პალატიანი ოდა-სახლი. საერთო ხედი, პალატის გეგმა, მეორე სართ. გეგმა და სვეტის დეტალი




40. სოფ. აჭანდარა. ს. ქვარჩალიას ოროთახიანი პალატიანი ოდა-სახლი. საერთო ხედი, პალატის გეგმა, მეორე სართულის გეგმა და სახურავის არშიის დეტალი




41. სოფ. აყვა (მიხაილოვკა). ქრ. ჩაჩუჩის ოროთახიანი ერთსართულიანი ოდა-სახლის ტიპის საცხ. სახლი. (საერთო ხედი (I), გეგმა და დეტალები
სოფ. ლიხნი, მ. მახარიას სამოთახიანი ოდა-სახლი (II). საერთო ხედი და გეგმა




42. სოფ. აჰანდარა. მ. ჩამაგუას სამოთახიანი პალატიანი ოდა-სახლი. საერთო ხედი, პალატის გეგმა, მეორე სართულის გეგმა და დეტალები




43. სოფ. ლიხნი. ო. ჯენიას ოდა-სახლის ტიპის ოთხოთახიანი პალატიანი საცხ. სახლი




44. სოფ. ლიხნი. მ. ანშბას ოდა-სახლის ტიპის ოთხოთახიანი პალატიანი საცხოვრ. სახლი



45. [illegible]




46. ჯარგვალური კონსტრუქციის სალორეები. I სოფ. აჩიგვარა. დ. შონიას სალორე" — „ოსქე". II სოფ. წარჩე. მ. აკირთავას სალორე




47. სოფ. ბლაბურხვა. ა. ოდისეი და ბ. თინათინ ბარციცების ორგანყოფილებიანი წნული პალატებიანი სასიმინდეები




48. I. სოფ. ხაბიო. ა. ახბას მესრულკედლებიანი სასიმინდე. ფასადი და გეგმები
II. სოფ. აჭანდარა. მ. ჩამაგუას მესრულკედლიანი სასიმინდე. ფასადი, გეგმა და დეტალები



49. სოფ. აკვასკა. ერთ სახურავქვეშ გაერთიანებული სასიმინდეები



50. I. სახურავის კონტურის არშიები. 2. ბრტყელი კაპიტელები. 3. მოაჯირების მხატვრული დამუშავების სახეები.




51. სამკუთხედის მოტივით შედგენილი კომპოზიციების უნიფიცირებული წყობის ზოგიერთი სქემა სიბრტყეზე




52. სამკუთხედის მოტივებით შედგენილი სივრცობრივი კომპოზიციები ფიგურული ბლოკებით




53. თეთრი მარმარილოსაგან გამოკვეთილი იონური კაპიტელი
(სოხუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მასალებიდან)



54. [illegible]

## გამოყენებული ლიტერატურა


ფრ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, რჩეული ნაწარმოები, ტ. II, 1950 წ.
კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I თბილისი, 1954წ.
Маркс и Энгельс, Архив I, 1954.
1. Абхазы и Пицунда, в журн. домашняя беседа, СПБ, 1877, вып. 33.
2. ი. ადამია, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება (აჭარა). „ხელოვნება“, 1956 წ.
3. ი. ადამია, წყალმომრაგების უძველესი ნაგებობანი საქართველოში, „ცოდნა“, 1956წ.
4. ი. ადამია, მშრალი წყობის ქვის უძველეს ნაგებობათა ნაშთები აფხაზეთში, ვ. ი. ლენინის სახელობის სახ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის შრომები №2 (95)თბ. 1964.
5. ი. ადამია, აფხაზეთის დიდი გალავნის ნაგებობათა კომპლექსი, ვ. ი. ლენინის სახ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის შრომები № 2 (95) თბ. 1964წ.
6. ი. ადამია, კოლხეთის საბინაო ხუროთმოძღვრება (სადისერტაციო შრომა), 1948წ.
7. И. Аджинджал. Жилища абхазов, 1967 г.
8. Н. Н. Анстов, В. Д. Васильев и др. История строительной техники, Ленинград, Москва, 1962 г.
9. ზ. ალუღიშვილი, საკოლმეურნეო სოფლის დაგეგმარებისა და კეთილმოწყობის საკითხები თბილისი, 1959წ.
10. Н. М. Альбов, Этнографические наблюдения в Абхазии, Живая старина, вып. III. 1893 г.
11. З. Анчабадзе, История и культура древней Абхазии, 1964 г. Москва.
12. А. М. Альбов, Ботанико-географические исследования в западном Закавказье в 1893 г.
13. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1961წ.
14. Artur Byhan, Civilisation caucasienne, payot, Paris, 1936.
15. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1938 წ.
16. Е. Ашепков, Русское народное зодчество в западной Сибири, 1950 г.
17. აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, თბილისი, 1948 წ.
18. ვ. ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941 წ.
19. ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბილისი, 1953 წ.
20. Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, Записки общества любителей кавказской археологии, книга I, Тифлис, 1875 г.
21. Д. Бакрадзе, Очерк Менгрелии, Самурзакани и Абхазии, «Кавказ», 1960 г. № 48, 49.
22. С. П. Басария, Нарзан на лугах (шхап-дза) и путь к нему 1925 г.
23. Х. С. Бгажба, Сказание о карликах аценах, Абхазские сказки. Сухуми, 1959 г.
24. ს. ბედუკაძე, წყლით მბრუნავი წისქვილები არაგვის ხეობაში, თბილისი, 1960 წ.
25. В. Беридзе, Против искажения истории грузинского искусства, Тбилиси, 1949 г.
26. კ. ბერულავა, აფხაზეთის ისტორიული ადგილები, თბილისი 1951 წ.
27. ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა და სხვა, საქართველოს ისტორია, ნაწ. 1, 1958 წ.
28. ნ. ბერძენიშვილი, ისტორიული გეოგრაფიისათვის, საქართველოს ისტორია, გეოგრ. კრებული, ნაწ. 1 თბილისი, 1959 წ.
29. ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. 1, 1948 წ.
30. Н. З. Бердзенишвили, Новые данные о палеолите Абхазии, 1959 г.
31. კ. ბოროზდინი, ბატონყმობა საქართველოში, თბილისი, 1927 წ.
32. Ц. Н. Бжания, К вопросу изучения каменных построек, Ацангвара, Сухуми, 1959.г
33. К. Ган, Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, часть I, Тифлис, 1884 г.
34. К. Ган, Поездка в Менгрелию, Самурзакан и Абхазию, Кавказский Вестник № 5, 1902 г. XII.
35. М. Гараканидзе, Грузинское деревянное зодчество, 1959 г.
36. А. Гастгаузен, Путевые впечатления и воспоминания, Закавказский край I, Петербург, 1857 г.
37. პ. გიორგაძე — აფხაზეთი და აფხაზნი, ივერია, 1888წ. № 165, № 167.

38. Г. Гаприндашвили, Пещерный ансамбль Вардзиа. Тб. 1960 г.
39. პ. გუგუშვილი, სოფლის მეურნეობა ამიერკავკასიაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VII, № 4, 1946 წ.
40. პ. გუგუშვილი, საქართველოს მოსახლეობა 160 წლის მანძილზე (1800—1959). მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XII--XIII, 1963 წ.
41. Н. Державин, Абхазцы в этнографическом отношении СМОМПК, вып. XXXVIII, 1907 г.
42. М. Джанашвили, Абхазия и абхазцы, 1893 г.
43. М. Н. Джандиери, Г. Н. Лежава, Архитектура горных районов Грузии, Москва, 1840 г.
44. შ. დუმბაძე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, ბათუმი, 1950 წელი.
45. Фр. Дюбуа де Монпере, Путешествие вокруг Кавказа, том I, Сухум, 1937 г.
46. Н. Дьячков-Тарасов, Гагры и их окрестности, Тифлис, 1903 г.
47. ს. [illegible], სოხუმი, 1947 წ.
48. Belk-Lemann, Forschugsreise der armenischen Expedition verhundlungen d. Berlantbrop Gesell, 1896.
49. Витрувий, Десять книг об архитектуре, том I, перевод Ф. А. Петровского, Москва, 1936 г.
50. Ю. Воронов, Итоги изучения флоры Абхазии за 100 лет, 1925 г.
51. Всеобщая история архитектуры, том II, книга вторая, Москва, 1948 г.
52. С. Замятнин, Палеолит Абхазии, Труды института Абхазской культуры, вып. X, Сухуми, 1937 г.
53. А. Зотов, Легенда о дольменах в Черноморской губернии. Известия Кавказского отдела императорского Русского географического общества, том XIII— № 1, Тифлис, 1915 г.
54. [illegible] IV, ნაკვეთი I.
55. [illegible] მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VII, თბილისი 1955 წ.
56. [illegible] XVII, თბილისი, 1938 წ.
57. М. М. Иващенко, Исследование архаических памятников материальной культуры в Абхазии, вып. 3, Тифлис, 1935 г.
58. [illegible] თბილისი, 1954 წ.
59. Ш. Инал-Ипа, Очерки по истории брака и семьи у абхазов, АБГИЗ, 1954 г.
60. [illegible] თბილისი, 1935 წ.
61. [illegible] თბილისი, 1954 წ.
62. [illegible] ტფ. 1914 წ.
63. [illegible] თბილისი, 1958 წ.
64. [illegible] 1938 წ.
65. Н. Н. Касперели - Кочадзе, Дорожные сооружения древней Абхазии, Сухуми, 1953 г.
66. [illegible]
67. Б. А. Куфтин, Жилище Крымских татар в связи с историей заселения полуострова, Москва, 1925 г.
68. Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, Т. Тбилиси, 1949 г.
69. В. Латышев, Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, том I, вып. 2.
70. Леон-Баттиста Альберти, Десять книг о зодчестве, перевод В. П. Зубова, Москва, 1936 г.
71. [illegible] 1942 წ.
72. [illegible] 1951 წ.
73. [illegible]
74. [illegible] 1956 წ.
75. [illegible] 1943 წ.
76. [illegible] 1941 წ.
77. [illegible] 1938 წ.
78. [illegible]
79. [illegible] История [illegible] 1912 г.
80. [illegible]
81. [illegible]
82. [illegible] Путеводитель по г. Сухуми и Сухумскому округу, [illegible]
[illegible] 1938 წ.
83. [illegible]

84. მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, [illegible] 1, 1949 წ.
85. შ. მესხია, სიმონ ჯანაშია, თბილისი, 1950 წ.
86. А. Миллер, Материалы по этнографии России, том I.
87. А. Миллер, Черкесские постройки, Материалы по этнографии России, т. II. 1914 г.
88. მეფისაშვილი, საქართველოს კოლმეურნეობის [illegible] ცრთი სახლის, ქართული ხელოვნება V, თბილისი, 1959 წ.
89. L. Mourier, Arm au caucase, Bruxells, 1912.
90. Морган, Древнее общество, Ленинград, 1935 г.
91. დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი, შიდა ქართლის 1955 წ. [illegible] შედეგები, 1960 წ.
92. Д. Мшвенерадзе, Строительное искусство в древней Грузии, Тбилиси, 1959 г.
93. დ. მშვენიერაძე, ტექნიკის ლექსიკონი [illegible], 1961 წ.
94. გ. ნიორაძე, პალეოლითის ადამიანი დევის ხვრელში, თბილისი, 1933 წ.
95. А. М. Павлинов, Материалы по археологии Кавказа, Москва, 1893 г. под редакцией графини П. Уваровой.
96. А. М. Павлинов, Материалы по археологии Кавказа, Москва, 1893 г.
97. И. И. Пантюхов, О пещерных и позднейших жилищах на Кавказе, Тифлис, 1896 г.
98. Андреа Палладио, Четыре книги об архитектуре, Москва, 1936 г.
99. Положение Абхазии в религиозном отношении, «Кавказ», 1868 г. № 5.
100. Е. А. Похомов, Закатальская длинная стена, Баку, 1930 г.
101. Ф. Жордания, Хроника Абхазских царей, Тифлис, 1902 г.
102. თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა და [illegible] ქვაბთა, თბილისი, 1896 წ.
103. ნ. რეხვიაშვილი, რაჭის სამეურნეო იარაღები [illegible] მუზეუმის მოამბე, XIX და XXI, 1957 წ.
104. ნ. რეხვიაშვილი, სამეურნეო ნაგებობა „ლუი" [illegible] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1954 წ. XVIII.
105. Румынское народное искусство, Бухарест, 1955 г.
106. კ. რუხაძე, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში, თბილისი, 1963 წ.
107. თ. სახოკია, მოგზაურობანი, გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი, 1950 წ.
108. საქ. ცენტრ. არქივი: განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, საქმე № 48.
109. Н. П. Северов, Памятники грузинского зодчества, Москва, 1947 г.
110. В. Сизов, Восточное побережье Черного моря, археологические экскурсий. Материалы по археологии Кавказа, выпуск II, Москва, 1888 г.
111. В. М. Сысоев, Археологическая экскурсия по Закубани, 1892 г.
112. Л. Н. Соловьев, Энеолитическое селище у Очамчирского порта в Абхазии, Материалы по истории Абхазии, Сборник I, вып. XV, 1939 г.
113. Справочник архитектора, том II, Градостроительство, Москва, 1946 г.
114. А. И. Стоянов, Путешествие по Сванетии. Записки Кавказского отдела РГО, X, вып. 2, Тбилиси, 1876 г.
115. В. И. Стражев, Руинная Абхазия, Известие Абхазского научного общества, 1925 г. вып. I.
116. В. И. Стражев, К Азантскому дольмену, Известия Абхазского научного общества, вып. IV, Сухуми, 1926 г.
117. Е. Н. Студенецкая, Современное Кабардинское жилище, Советская этнография, 1948 г.
118. სულხან-საბა ორბელიანი — სიტყვის კონა, თბილისი 1949 წ.
119. Л. Сумбадзе, Колхидское жилище по Витрувию, Тбилиси, 1960 г.
120. Г. Панфильев, Очерк главнейших районов черноморского побережья Кавказа из юбилейного сборника имени И. А. Стебута, 1904 г.
121. Э. Тейлор, Первобытная культура, Москва, 1939 г.
122. Н Торнау, Воспоминания Кавказского офицера, 1835 года, часть первая, Москва 1864 г.
123. Труды V-го Археологического Съезда в Тифлисе 1881 г. Москва, 1887 г.
124. პ. უშაკოვი, საქართველოს უძველესი ხალხები და უკანასკნელი წლების აღმოჩენები არქეოლოგიის დარგში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1940 წ.
125. Граф. П. Уварова, Кавказ, Абхазия, Аджария, Шавшетия, Псховский участок, часть II, Москва, 1891 г.
126. Граф. П. Уварова, Материалы по археологии Кавказа, вып. IV, Москва, 1894 г.
127. А. Фадеев, Что должен знать каждый об истории Абхазии, 1929 г.
128. А. В. Фадеев, Меч и золото на берегах Абхазии, 1933 г.
129. Я.' Фальк, Эллада и Рим (культурная история классической древности I, С—Петербург, 1881 г.

130. Е. Д. Фелицын, Западно-Кавказские дольмены, Материалы по арх. Кавказа, 1904 г. вып. IX.
131. Филипсон, Европа—С-Петербург, 1896 г.
132. Frederic Dubois de Monpereus, Atlas, Rue des Petits Augusting, № 5, 1843.
133. გ. წერეთელი, საქართველოს მუზეუმის ურარტული ძეგლები, თბილისი, 1939 წ.
134. ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1955 წ.
135. ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, 1942წ. ტ. IV და 1946წ. ტ. VI.
136. ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვეთი II, თბილისი, 1962წ.
137. И. Шафиро, Я. Дарсания и др., Долголетние люди Абхазии, Сухуми, 1956 г.
138. О. Шуази, История архитектуры, Москва, 1935 г.
139. მ. ჩართოლანი, სვანური სახლის აყარი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX-ა და XXI-ბ, თბილისი, 1957 წ.
140. გ. ჩაჩაშვილი, ცეცხლის მიწიელთა ყოფა და კულტურა XIX საუკუნეში, თბილისი, 1957 წ.
141. Вл. Чернявский, Записки о памятниках западного Закавказья, Пятый арх. съезд в Тифлисе, м., 1882 г.
142. თ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური საცხოვრებელი, თბილისი, 1960 წ.
143. გ. ჩიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, თბ. 1941 წ.
144. დ. ჩუბინოვი, ქართლის ცხოვრება, სანკტპეტერბურღს, 1854 წ.
145. Г. Ф. Чурсин, Материалы по этнографии Абхазии, Сухуми, 1957 г.
146. Ал. Цагарели, Из поездки в Закавказский край летом 1877 г. журнал МНП за 1877 г., XII.
147. ი. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია, თბილისი, 1955 წ.
148. ზ. ჭიჭინაძე, ოსმალეთის ყოფილი საქართველო და ქართველ მაჰმადიანთა ნაწილი, ლაზისტანი, თბილისი, 1927 წ.
149. ალ. ჭყონია, ჰიპოკრატეს ცნობანი კოლხიდელების შესახებ (470—376 წ. ა.) ისტორიული ნარკვევი, 1890 წ.
150. Н. В. Хоштария, Археологическое исследование Уреки, Тбилиси, 1955 г.
151. ნ. ხოშტარია, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა და მათი შესწავლის პრობლემა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XI, № 6, თბილისი, 1945 წ.
152. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბილისი, 1951 წ.
153. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი, 1948 წ.
154. ივ. ჯავახიშვილი, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, 2, თბილისი, 1946 წ.
155. ივ. ჯავახიშვილი — საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, 1930 წ.
156. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე, 1935 წ.
157. ალ. ჯავახიშვილი, საქართველოს გეოგრაფია ტ. I, გეომორფოლოგია, 1926 წ.
158. ს. ჯანაშია, გიორგი შერვაშიძე, კულტურულ-ისტორიული ნარკვევი, სოხუმი, 1946 წ.
159. ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, თბილისი, 1937 წ.

# ს ა რ ჩ ე ვ ი


წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა . . . 5

## თავი პირველი

აფხაზეთის ხალხური ხუროთმოძღვრების შესწავლის ზოგადი მიმოხილვა
- ხალხური ხუროთმოძღვრების შესწავლის ისტორია . . . 7
- გეოგრაფიული გარემო და მოსახლეობა . . . . . . 11
- მოგზაურობის მარშრუტები და შესწავლილი ძეგლების ძირითადი სახეები . . . . . . . . . 15
- გამოკვლეული ძეგლების დათარიღების საკითხისათვის . 16

## თავი მეორე

უძველეს ნაგებობათა ნაშთები და მოკლე ცნობები მათ შესახებ
- ბუნებრივი და ხელოვნური გამოქვაბული სადგომი . . 19
- არქაული ნაგებობები . . . . . . . . . 22
- აფხაზეთის დიდი გალავანი და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ნაგებობა . . . . . . . . . 32

## თავი მესამე

აფხაზეთის ძველი სოფლის დაგეგმარებისა და განაშენიანების ზოგიერთი საკითხი
- უძველესი დასახლების წარმოშობის ზოგადი პირობები და ძირითადი სახეები . . . . . . . . 34
- ძველი სოფლის დასახლების განვითარების ეტაპები და ძირითადი ტიპები . . . . . . . . . 39
- ძველი სოფლის ზოგიერთი სახელწოდების ეტიმოლოგია . 43
- კარ-მიდამოების დაგეგმვის უძველესი წესები და ტიპები . 48
- დაზომილ კარ-მიდამოთა ანოტაციები . . . . . 60

## თავი მეოთხე

დასახლებული ადგილების წყალმომარაგების უძველესი ხერხები . 63
- წყალმომარაგება მილსადენებით თვითდინების წესით . . 64
- წყალმომარაგება ამწის საშუალებით . . . . . 64

## თავი მეხუთე

აფხაზეთის საბინაო ხუროთმოძღვრება

საცხოვრებელი სახლების ძველი ტიპები . . . . . 70
- კოლხური წნული სახლები . . . . . . . 70
- ოთხკუთხოვანი მოყვანილობის წნული სახლები . . . 77
  - ა. ოთხკუთხოვანი გეგმის უსაძირკვლო წნული საცხოვრებელი . . . . . . . . . 77
  - ბ. ხის საძირკვლებზე გამართული სწორკუთხოვანი წნული საცხოვრებელი . . . . . . . 78
  - გ. წაგრძელებული წნული საცხოვრებელი სახლი . 79
- ხის საცხოვრებელი სახლები . . . . . . . 81
- ჯარგვალური სახლები . . . . . . . 83
- აფხაზურ-სვანური ტიპის საცხოვრებელი სახლები . 85
- ოდა-სახლის ტიპის საცხოვრებელი სახლები . . . 87
- ოდა-სახლის ხუროთმოძღვრულ-კონსტრუქციული თავისებურებანი . . . . . . . . . . 89
- დაზომილი ოდა-სახლების ანოტაციები . . . 92
- თანამედროვე ხალხური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დღევანდელი ვითარება . . . . . . . 99

## თავი მეექვსე

სამეურნეო ნაგებობანი
- საქონლის სადგომები . 100
- ბელელი და სასიმინდე . 102
- მ ა რ ა ნ ი . . 106
- წყლის წისქვილები . 107

## თავი მეშვიდე

ხალხური ჩუქურთმა და სხვადასხვა ნაკეთობანი
- ჩუქურთმა ხეზე . . . . . . 110
- ჩუქურთმა ქვაზე . . . . 115
- სხვადასხვა სახის ნაკეთობანი . . . . . 12[illegible]
  - Грузинское народное зодчество (резюме) . 125
  - Georgian folk architecture (Summary) . . 129
- . Иллюстрации в тексте . . . . . . . 132
- Т а б л и ц ы . . . . . . . . 134
- ტ ა ბ უ ლ ე ბ ი . . . . . . . . 137
- გამოყენებული ლიტერატურა . . . . . . 195

რედაქტორი ირაკლი ციციშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ე. ცაგურია
მხატვარი ირ. ჯანაშვილი
მხატვრული რედაქტორი ზ. რაზმაძე
ტექნიკური რედაქტორი რ. იმნაიშვილი
კორექტორი ც. ქართსანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/III-68 წ.
ქაღალდის ზომა 70×108 1/8. ნაბეჭდი თაბახი 33.6.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 27.59.
უე 00232. ტირაჟი 2000. შეკვ. № 334
ფასი 2 მან. 48 კაპ.

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება",
პლეხანოვის 179, თბილისი 1968

სტამბა № 1, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.
Типография № 1, Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50.